

№20 (310) 13/VI-24/VI.2006.

ფასი 60 ლ.

ექსკლუზივი — რუსი ქალების ქართული კერა



1168
2006

საფურელი, როგორც 74-კილო დიეტა

მარტოხელა დედა — ცხელი სახე თუ ცხელი სხეული



რას იხილავს მაყურებელი



პრეტენა ნონ გრატას სხინვალი არ უფუხდნენ ანუ პოსი მეტოხაჩია ალანა გაბლია

„მე და მიუა კარგად ვუბავთ ერთმანეთს“

ბრძოლა წესების გარეშე — მამაკაცობის 365 წესი



შს-ს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი — აფარიისტი პოლიციური წარსულით

ქართული საეკლესიო

№10(45), 19 მარტი-1 ივნისი, 2006

ფასი 80 თეთრი

ქართული საეკლესიო

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
ტაძრის
მსახური

ჩემს წინ
სრულიად
ახალი საყვარო
გადაიშალა

თუ თავად არ
გესმის ის, რასაც
ამბობ, როგორ
გინდა, რომ
ღმერთმა გაგიგონოს?

მოუთმენლად ველო
დღეს, როცა
საქართველო
შესვლი
მოიხი

ბაგრატიონთა მთავარი გენეალოგიური შტო

გენეალოგიური ხე (Genealogical tree) showing the lineage of the Bagrationi dynasty. The tree is divided into several branches, with names and dates of reigns listed for each. The main trunk is labeled 'ბაგრატიონთა მთავარი გენეალოგიური შტო' (Main Bagrationi Genealogical Line). The branches include:

- ბაგრატ I (879-908)
- ბაგრატ II (908-932)
- ბაგრატ III (932-960)
- ბაგრატ IV (960-979)
- ბაგრატ V (979-1014)
- ბაგრატ VI (1014-1040)
- ბაგრატ VII (1040-1063)
- ბაგრატ VIII (1063-1094)
- ბაგრატ IX (1094-1125)
- ბაგრატ X (1125-1156)
- ბაგრატ XI (1156-1184)
- ბაგრატ XII (1184-1212)
- ბაგრატ XIII (1212-1242)
- ბაგრატ XIV (1242-1270)
- ბაგრატ XV (1270-1302)
- ბაგრატ XVI (1302-1327)
- ბაგრატ XVII (1327-1362)
- ბაგრატ XVIII (1362-1392)
- ბაგრატ XIX (1392-1420)
- ბაგრატ XX (1420-1448)
- ბაგრატ XXI (1448-1478)
- ბაგრატ XXII (1478-1505)
- ბაგრატ XXIII (1505-1524)
- ბაგრატ XXIV (1524-1555)
- ბაგრატ XXV (1555-1582)
- ბაგრატ XXVI (1582-1606)
- ბაგრატ XXVII (1606-1634)
- ბაგრატ XXVIII (1634-1659)
- ბაგრატ XXIX (1659-1689)
- ბაგრატ XXX (1689-1709)
- ბაგრატ XXXI (1709-1739)
- ბაგრატ XXXII (1739-1769)
- ბაგრატ XXXIII (1769-1799)
- ბაგრატ XXXIV (1799-1829)
- ბაგრატ XXXV (1829-1859)
- ბაგრატ XXXVI (1859-1889)
- ბაგრატ XXXVII (1889-1919)
- ბაგრატ XXXVIII (1919-1949)
- ბაგრატ XXXIX (1949-1979)
- ბაგრატ XL (1979-2009)

ბაგრატ I (879-908) - ბაგრატ II (908-932) - ბაგრატ III (932-960) - ბაგრატ IV (960-979) - ბაგრატ V (979-1014) - ბაგრატ VI (1014-1040) - ბაგრატ VII (1040-1063) - ბაგრატ VIII (1063-1094) - ბაგრატ IX (1094-1125) - ბაგრატ X (1125-1156) - ბაგრატ XI (1156-1184) - ბაგრატ XII (1184-1212) - ბაგრატ XIII (1212-1242) - ბაგრატ XIV (1242-1270) - ბაგრატ XV (1270-1302) - ბაგრატ XVI (1302-1327) - ბაგრატ XVII (1327-1362) - ბაგრატ XVIII (1362-1392) - ბაგრატ XIX (1392-1420) - ბაგრატ XX (1420-1448) - ბაგრატ XXI (1448-1478) - ბაგრატ XXII (1478-1505) - ბაგრატ XXIII (1505-1524) - ბაგრატ XXIV (1524-1555) - ბაგრატ XXV (1555-1582) - ბაგრატ XXVI (1582-1606) - ბაგრატ XXVII (1606-1634) - ბაგრატ XXVIII (1634-1659) - ბაგრატ XXIX (1659-1689) - ბაგრატ XXX (1689-1709) - ბაგრატ XXXI (1709-1739) - ბაგრატ XXXII (1739-1769) - ბაგრატ XXXIII (1769-1799) - ბაგრატ XXXIV (1799-1829) - ბაგრატ XXXV (1829-1859) - ბაგრატ XXXVI (1859-1889) - ბაგრატ XXXVII (1889-1919) - ბაგრატ XXXVIII (1919-1949) - ბაგრატ XXXIX (1949-1979) - ბაგრატ XL (1979-2009)

ბაგრატიონთა მთავარი გენეალოგიური შტო

ქართული საეკლესიო

ტანი-აუტი	36
განცხადება	
შიო გვებავი. მონანიება (ბაბრქაშა) 38	
ოზიქტივი	
ფოტოგრაფის ალბომიდან 43	
ესა	
ბრიგოლ რობაქიძე. აღოლუ ჰილტარი უხროელი მწარლის თვალთ (წიგნის ფრაგმენტები) 44	
სხვათა შორის	
დედის ხმა 46	
მეინფანტი	
„მიღეთ, კეზო, თქვენი მწყემსმთავარი, რომელის თავად სულიწმიდაა სხსო“ 48	
ოსტატი	
მამონტის ეშვისგან დამგადაბული კამაა და სამაჯური „კამასტრის“ კომპოზიციით ანუ როგორ არჩევდა პოეზიას ლამაზი ქალბატონი... 49	
საფუძვლებს მიღმა	
საშურიდან სანატ-კეტირებურგში, დაკლებული 74 კილოგრამი და მწვადისა და ხინალის დამწყობი ბემო 50	
ჯანმრთელობა	53
ასპარეზი	
ოთარ ქორქია – კასი, რომელმაც კალათბურთში ეპოქა შექმნა 54	
პარსკვლავი	
ჯენიფერ ლოპესის ცხოვრებისეული დრამა 57	
ბომონდი	59
რომანი	
თქვენი. რუსულან ბერიძე. (ბაბრქაშა) 60	
შოუბიზნესი	64
მუნდიალი	
მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან ბერმანიაში 66	
ავტო	68
სქანეროდი	69
პოროსკოპი	
კვირის (18-24 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70	
ტესტი	
ვის ხელშია ოჯახის მართვის საღავეები? 71	

ბარეკანაზა: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
ბამილის კვირაში მრთხვლ. ს.უთუბათი(ოპი)
ბაზმით „კვირის პალიტრის“ ღამაშობა
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყემელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispaitra.com

დაუნერპლი „ზნეობის კოდექსი“ – ქართული პანის პანეობის ვნს წესი



„საქართველოში, საბედნიეროდ, კიდევ შემორჩნენ „ქართული იდეით მოწამლული“ ადამიანები, დანარჩენი ქართველებისთვისაც რომ არ იშურებენ ამ „საწამლავს“. ამას წინათ, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციას – „ხრიდოლს“ ვეწვიე...“

22

„ფარული პამერა“, „აშერისტი“ ბაბურ სპანიქი და ასდენილი ოცნება

„არასოდეს მნდომებია, რომ კადრში გამოვჩენილიყავი, თორემ, ამას რამენაირად მოვახერხებდი, რადგან ამ გადაცემის ავტორები მე და ალექო ვართ და კადრში ყოფნას ვერაფერს დამიშლიდა. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, ეთერში ჩემი გამოჩენის, მით უმეტეს – წამყვანის ამპლუაში.“



33

ჯენიფერ ლოპესის ცხოვრებისეული დრამა



მათი რომანი თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა. უკვე ერთი თვის თავზე, ოჯახი ჯეის ოფიციალური ბოიფრენდი გახდა, წყვილი მუდამ ერთად იყო. წვეულებებზე ერთად დაიარებოდნენ და ვნებიანი შეყვარებულების მთაბეჭდილებას გოვებდნენ...

57

მონანიება

– თქვით, რაგომ მოკალით ჩიკვაიძე და მოვრჩეთ! – არ მოეშვა მინდელი.
– არ მომიკლავს-მეთქი! ახლა, თუ გინდა, დილაზე მეითხე – აღარ გიპასუხებთ. ვითხარი, ქურდი ვარ და არა – ბანდიგი!
– კუთილი, მაგის დროც მოვა, – თქვა მინდელმა და ახალი კითხვა დასვა: – რა უყავით ნაბარცვი ნივთები და ობლიგაციები?



38

„ოჰ, ეს საშინელი ტელევიზორი“ და სადომხოხისე მყურებელი



საქართველო ოდითგანვე იყო პარადოქსებისა და სასწაულების ქვეყანა, მაგრამ ისეთი სასწაულები, დღეს რომ ხდება, ისტორიას არ ახსოვს. თანაც, არა მისტიკური და პარანორმალური, არამედ რეალური და თვალით ხილული. მაგალითად, თუ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება გადასახადებისა და ფასების დაკლებას ნიშნავს, რომ ხალხმა უკეთ იგრძნოს თავი, ჩვენთან — პირიქით; მთავრობა ეკონომიკური აღმასვლის საოცარ ტემპებზე ლაპარაკობს და თან გაზს, დენს და სანჯავს აძვირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახის პროდუქცია, რომლის დამზადებასაც გაზი, დენი და ტრანსპორტირება სჭირდება, აუცილებლად გაძვირდება.

არადა, ეკონომიკური ძლიერება მატერიალურ ძლიერებას ნიშნავს, მატერიალური ძლიერება — სიმდიდრეს. ე.ი. გამოდის, რომ ხალხის ხელფასი კი ნაჯე ბოლომდე გადასახადებში და ამით გაღარიბდება, მაგრამ მდიდარი იქნება. ესეც თქვენი სასწაული..

ერთადერთი, რაც ამ გაძვირება-„გამდიდრების“ დროს იაფდება, ტელევიზორებია. ანუ, რომ მოიბაზრებ და ხორცს, კარტოფილს და მწვანის იყიდი, შეგიძლია, გამოიარო საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიაში და მორჩენილი ხურდით კაი ბრტყელკრანიანი ტელევიზორიც გამოაყოლო ხელს. რატომ?! მოიტანე სახლში ის ტელევიზორი, ჩართე და ნახავ, — რატომაც!..

წარმოიდგინეთ, რა საინტერესო საღამო გელით: ჯერ ლათინურამერიკული გამოთავყვანებული სერიალი მოგიშლით ნერვებს, რადგან ვერაფრით გაიგებთ, ის კაცი იმ ქალის ძმა თუა, ქმარი როგორღაა?! ან თუ ქმარია, დედას რატომ ეძახის ბიჭს, რომელიც თავს იხრჩობს, გინდა თუ არა, ჩემი ცოლის მახლიშვილი ვარო...

კარგი, ბატონო, ამ სერიალს უერთგულე ბოლომდე იმის იმედით, რომ სხვა სერიაში ან სხვა სერიალში მაინც გაირკვევა ყველაფერი. ამასობაში საინფორმაციო გამოშვების დრო დგება, რომლის შემდეგაც ვამპირებიანი ფილმი დაიწყება, პედოფილიასა და ლესბოსურ რომანტიზმზე, რომელიც იმ საინფორმაციოს შემდეგ, დამამშვიდებლადაც კი იმოქმედებს. რატომ? რატომ და „საინფორმაციო“ იწყება თუ არა, წამყვანი (ან წამყვანები) ანონსად ჩამოგითვლის: „დენი და გაზი ძვირდება — მოსახლეობა სილატაკის ზღვარს მიღმა; საშინელი ყაჩაღობა თბილისში; უცნობმა მამაკაცმა ნაყინის გამყიდველს ხელი მოაძრო; ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილ ახალშობილს პამპერსში ერთი ვაგონი სუბუტექსი უპოვეს; სტიქია მძვინვარებს — წყალი და

მეწყერი მოდის... დაგველოდეთ“...
სად მაქვს გასაქცევი, თორემ შენ დაგველოდები?!
მერე იწყება რეკლამა, რომ მაყურებელმა წნევა დაირეგულიროს, გულის წვეთები მიიღოს, ფეხები ცხელ (ან ცივ) წყალში ჩაყაროს და ჩამოთვლილი ამბების დეტალური განხილვისთვის მომაგრდეს...

ამ ყველაფერს უძლებ, იტან და გიხარია, რომ სპორტის სიახლეებზე მაინც იქნები მშვიდად. ან კი, რა უნდა მომხდარიყო ისეთი ცუდი? დიდი-დიდი, წაგვეგო; მერე რა — ვის არ წაუგია? მაგრამ — არა. ტექსტი გროტესკულია: „საშინელი კატასტროფა და მარცხი მოედანზე: ამხანაგური მატჩი ტრაგიკული ანგარიშით დამთავრდა“...

შე კაი დედამამიშვილო, თუ ასეთი ტრაგედია და კატასტროფა გელის, რაღა ამხანაგური მატჩი პქვია? ან რას ეთამაშები! აუცილებელი კი არაა, ყველასთან იამხანაგო! ვისაც მოუგებ, იმას ეთამაშე...

და ბოლოს ამინდი: „დასავლეთ, აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველო გასული დღე-ღამის განმავლობაში მაღალი წნევის არეში იყო მოქცეული. შემოჭრილმა ციკლონმა გამოიწვია სეტყვა, მოსპო ვენახი და ბოსტნეული, დაამტვრია ხეხილი, არ გვექნება არაფერი, ვაი, უი!..

სამაგიეროდ, სვალიდან გამოიდარებს!.. ტემპერატურის მატება გამოიწვევს მთებში თოვლის დნობას, წამოვა ზეფები, მოხდება წყალდიდობები, დაიჭრება მწყერი, წაიღებს სოფლებს, 10-20 კომლი საათში სიჩქარით... ბედნიერ ღამეს გისურვებთ“...

„ბედნიერი ღამე“ კი იმას ნიშნავს, რომ იღებ ხურდით ნაყიდ ტელევიზორს, აგდებ ფანჯრიდან და იფიცებ, რომ აღარასოდეს იყიდი...

P.S. განცხადება საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიაში:

„გრანდიოზული SALE, ფასდაკლება 96 პროცენტით. ტელევიზორები 7 ლარად, რომლებსაც უფასოდ მოჰყვება ვიდეომაგნიტოფონი და 70-იანი წლების „მოამბის“ კასეტები და სხვა დამამშვიდებელ-გამაჯანსაღებელი ვიდეომაგნიტოფონები“...

— ეს ტელევიზორი მინდა, მაგრამ მარტო 5 ლარი მაქვს.

— ნაილე, სიფთა ხარ, უარს როგორ გეტყვი...



პროპოკატორი

„...ეს უზარმაზარი თანხაა, რომლითაც, როგორც სიკაითის, აბრათივე ბოროტების ჩადენას შეიძლება“



— გაფრცხლდა ინფორმაცია, რომ უცხოელი დონორებისგან გამოყოფილი თანხის უმეტესი ნაწილით სეპარატისტული ხელისუფლება ფინანსდება და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქართველები დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ. რა არის ამის მიზეზი?

ზვიად ძიძიგური, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:

— მთავარი მიზეზი იმისა, რომ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უცხოელი დონორებისგან გამოყოფილი თანხის უმეტესობა მიითვისა, შერეულ საკონტროლო კომისიაში არსებული დისბალანსია: კომისიაში შედის საქართველოს ერთი, ხოლო ოსეთის — 3 წარმომადგენელი. ამიტომ არის, რომ დონორი ორგანიზაციების მიერ გაღებული თანხის უმეტესი ნაწილი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლებს ერგოთ. ეს მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, როგორც ოსებით, ასევე ქართველებით, თანაბრად არის დასახლებული. ამ თანხის გამოყენება ეფექტურადაც შეიძლება და ამავდროულად, პრობლემის დასაძინებლადაც. კონფლიქტის ზონაში დაახლოებით 50 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მხოლოდ ეუთომ მათ, გრანტის სახით, 22 მილიონი ლარი გამოუყო. ეს უზარმაზარი თანხაა, რომლითაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როგორც სიკეთის, აგრეთვე ბოროტების ჩადენაც შეიძლება. ■

„მოვიტოვოთ, საარჩევნო ადმინისტრაციის პარტიტული პრინციპით დაკომპლექტებას“

— საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად, ოპოზიციური პარტიები საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლას ასახელებენ, ხელისუფლება კი, მას კვლავ უყურადღებოდ ტოვებს. რას აპირებს ოპოზიცია — ბოიკოტს არჩევნებსაც ხომ არ გამოუცხადებთ?

გაბრიელ ბუნიაშვილი, ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენელი:

— საოლქო საარჩევნო კომისიები, გაუმჭვირვალე წესებით დაკომპლექტდა. საოლქო და ცენტრალური საარჩევნო

ადმინისტრაციების წევრები მმართველი პარტიის ინტერესებს ატარებენ. ამავე დროს, ხელისუფლება არ ასახელებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ზუსტ თარიღს. მოვიტოვოთ, საარჩევნო ადმინისტრაციის პარტიტული პრინციპით დაკომპლექტებას: მასში უნდა შევიდეს ორ-ორი წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. თუ ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, არ გამოვრიცხავ, რომ კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალებმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარსაც განაცხადონ. ■

„...ხელისუფლებას ამათ დიდად არაფერი დააკლდება“

— ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ქართულ-აფხაზური სამშვიდობო გეგმის პირველადი რედაქცია მათთვის ხელმოწვევად იყო. ძირითადი ერთხელ სვამენ საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტის წინაპირობებს. თუ გეგმაც ხელისუფლება ოპოზიციის ულტიმატუმის გათვალისწინებას?

მინაილ ვაჭაბერიანი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

— ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების, ქართული მხარის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის პირველი ვარიანტი პარლამენტის თავმჯდომარის

სამდივნოში დევს და არავისთვის ხელმოწვევად არ არის. თუ ოპოზიციონერებს მისი გაცნობა სურდათ, მისულიყვნენ და მოეთხოვათ. რაც შეეხება ბოიკოტის შეწყვეტასთან დაკავშირებით წამოყენებულ ულტიმატუმს — ოპოზიცია ეძებს საბაბს, როგორმე გაამართლოს ბოიკოტის მიზეზი, ხან რას გაიძახის და ხან რას. მერებსა და გამგებლებს საკრებულოს წევრები ირჩევენ. ვეროსაბჭოს მიერ შემუშავებული ეს მოდელი, ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში საკმაოდ წარმატებით მოქმედებს. თუ ოპოზიციას პლენარულ თუ ბიუროს სხდომებში მონაწილეობა არ სურს, ეს მისი ნებაა, ხელისუფლებას ამათ დიდად არაფერი დააკლდება. ■

„მივაპართავთ საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რათა შეწყდეს მაია ნადირაძის სადაპუტატო უფლებამოსილება“

— ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრები უმრავლესობის ლიდერს, მაია ნადირაძეს შემოსავლების დაფარვასა და ქონებრივი დეკლარაციის გაყალბებაში ადანაშაულებთ. რა არგუმენტები გაქვთ ამის დასამტკიცებლად?

კახა კუპაძე, „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენელი:

— საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი თანამდებობას ბოროტად იყენებს. თბილისში არის 5 ათასამდე ინდივიდუალური და კოოპერატიული

ბინათმშენებელი, რომლებმაც სახელმწიფოს ფული გადაუხადეს, მაგრამ ბინები ვერ მიიღეს. მაია ნადირაძემ, პარლამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობის საფუძველზე, ბინა მიიღო მერისგან. თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია. „დემოკრატიული ფრონტი“ მიიჩნევს, რომ საჭიროა, დადგეს უმრავლესობის ლიდერის პასუხისმგებლობის საკითხი. უახლოეს მომავალში, მივმართავთ საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რათა შეწყდეს მაია ნადირაძის სადაპუტატო უფლებამოსილება. ■

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სპეციალური ბრძანება

— როგორ ჩაიარა „ცოდნის ზეიმა“ და რა გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში? როგორც ამბობენ — ყველაზე ეროვნულ მედიაპროექტში სტუდენტების ჩართვასაც აპირებთ.

გიორგი ტყეშელაშვილი, პროექტ „ეტალონის“ ავტორი:

— „ცოდნის ზეიმი“, თამარ მეფის ხსენების დღეს დაემთხვა და ალბათ ამიტომაც ჩაიარა ღონისძიებამ ასე კარგად. მაშინ, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით, გადაუღებლად წვიმდა, თბილისში არ უწვიმია, მხოლოდ ცივი ქარი ქროდა. თუმცა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან „ცოდნის ზეიმი“ უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევის მაღლი ჰფარავდა... თავიდან, ბავშვები რიყეზე შეიკრიბნენ, მერე, ყვითელი ავტობუსებით მოძრაობდნენ ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან შესახვედრად. ისინი შეხვდნენ თბილისის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს და სხვებს. ბავშვებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს საკმაოდ საინტერესო კითხვები დაუსვეს, რომლებიც არა მარტო პროექტ „ეტალონს“, არამედ სოციალურ საკითხებსაც ეხებოდა... ამის შემდეგ, რიყეზე სპეციალურად მათთვის გამართულ კონცერტს დაესწრნენ, რომელშიც ქართული ესტრადის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. დაბოლოს, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში სტილიზებული ფოლკლორის თეატრ „ნაბდის“ წარმოდგენა გაიმართა, რომლის შემდეგაც, კათოლიკოს-პატრიარქმა გამოთქვა სურვილი — გაეწყო სამების საკათედრო ტაძრის კიბე, მისულიყო ცენტრალურ კარიბჭესთან (სადაც თეატრ „ნაბდის“ წარმოდგენა იმართებოდა)... ამასთანავე, იწევა, რომ მთელი ამ პროცესის განმავლობაში, მეც თან ვსვებოდი და სახალხოდ წაეკითხა სპეციალური ბრძანება, რის შემდეგაც, საჩუქრად გადმომცა მოსე წინასწარმეტყველის ქანდაკება. გაოგნებული დავრჩი. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ ეს ბრძანება მე მცხებოდა. ასეთ პატივს არ მოველოდი, საოცარი პასუხისმგებლობის გრძობა დამეუფლა... მინდა გითხრათ, რომ



უწმინდესი ყოველთვის გრძობს იმას, რისი მოთხოვნილებაც საზოგადოებაში ჩნდება. ამის დასტური იყო იმდღევანდელი საუბარიც. ჩემთან ბოლო დროს ხშირად მოდის სტუდენტების წერილები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, რომ ანალოგიური პროექტი მათთვისაც არსებობდეს, რომ მათაც აქვთ გარკვეული ცოდნა, რომელიც უნდათ, თავიანთ ქვეყანას მოახმარონ და რალაციტ დასაქმდნენ. კათოლიკოს-პატრიარქმა მითხრა: ხომ არ არის დრო, რომ სტუდენტებზეც იფიქროო?.. მიმაჩნია, რომ ანალოგიური პროექტის განხორციელება სტუდენტებისთვისაც არის შესაძლებელი. თუმცა, „ეტალონს“ ამ შემთხვევაში, ცოტა სხვა მიმართულება და სხვა დატვირთვა უნდა ჰქონდეს. ერთი თვე ვითხოვე, რომლის გასვლის შემდეგაც, ჩემს მოსაზრებებს უწმინდესს მოვასხენებ და თუ მისი ლოცვა-კურთხევა იქნება, სტუდენტებსაც მიეცემათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

ბრძანება №54
სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი
14 მაის, 2006 წელს

მოსწავლე-ახალგაზრდების სულიერი და ინტელექტუალური განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის სატელევიზიო პროექტ „ეტალონის“ ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი ტყეშელაშვილი ა.წ. 14 მაისს დაჯილდოვდეს საქართველოს საპატრიარქოს სპეციალური სიგელით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

19 მაისს არ გაამოგრიჩით სვალ და ყოველ პარასკევს ახალი გაზეთი!

კვირის პალიტრა ყველა

სიკსელი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გაბოღის პარასკოვით.

კვირის პალიტრისგან

„ნარკომუნდბენელია, რუსეთის დელაქალაქში ჩასულ ბალაფუს საუბარი არ ჰქონოდა თბილისში გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე...“

თამარ როსტიაშვილი

სუთნლიანი პაუზის შემდეგ, ქართულ-აფხაზურმა საკოორდინაციო საბჭომ, უცხოელი დიპლომატების თანდასწრებით, შეხვედრა გამართა. გაეროს ეგიდით განხორციელებული შეხვედრის დასრულების შემდეგ, ორივე მხარე კმაყოფილი ჩანდა. ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომა აქამდე, სწორად იმართებოდა, მაგრამ — უშედეგოდ. რამდენად წაადგება გაყინული კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში უცხოელი დიპლომატების ჩაბმა, ამას ნომინალურ გვიჩვენებს. დე ფაქტო პრეზიდენტის, სერგეი შამბა, ბალაფუსის სამშვიდობო გეგმის — „მომავლის გასაღების“ ნაწილი, საქართველოს ხელისუფლებისთვის მისაღები აღმოჩნდა და მის მოგვარებაზე თანხმობას აცხადებს, მაგრამ არსებობს ისეთი საკითხები, რომლებიც გადახედვას საჭიროებს. საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო გეგმის ქართულ ვერსიაზე მუშაობას მომავალი კვირისთვის დაასრულებს.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი შამბა, ბალაფუსის სამშვიდობო გეგმას „ახმოვანებს“ და ამბობს, რომ მოვიდა დრო, როცა საქართველომ აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა აღიაროს და მის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ზენონაზე ხელი აიღოს. არალიბერული სახელმწიფოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ აფხაზეთზე დანესებული ეკონომიკური სანქციები ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ბალაფუსი მოითხოვს, რომ საქართველომ გადახედოს აფხაზეთთან მიმართებაში თავის პოლიტიკას, რომელიც ძალიან მძიმე მეთოდებს ეფუძნება. ამავდროულად, ის იმედოვნებს, რომ საქართველო მალე აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. „კონფრონტაციამ ბევრი დრო დაგვაკარგვინა. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მთავარია, აღდგეს ნდობა, რაც საკმაოდ ძნელია მას შემდეგ, რაც ომი გაჩაღდა და სისხლი დაიღვარა. დე ფაქტო სახელმწიფოს დედაქალაქი სოხუმი რკინიგზის აფხაზეთის მოსაკვეთის აღდგენაზე მუშაობს. გულში დევნილთა დამორჩევა კი, გაეროსთან შეთანხმების მიხედვით მოხდება“, — ამბობს სერგეი შამბა.

თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმის ქართული ვერსიის შედგენას იწყებს და ვარაუდობს, რომ ის აფხაზეთისთვისაც მისაღები იქნება.

„იმაში, რაც აფხაზეთში მოხდა, ორივე მხარე დამანაშავ და ამავდროულად, მესამე მხარე — საბჭოთა კავშირი და მისი სამართალმემკვიდრე, მაგრამ თუ კონფლიქტის დასარეგულირებლად მხოლოდ ცალმხრივად ვიმოქმედებთ, ძნელი იქნება კონსენსუსის მიღწევა, ამიტომ ჯობს, ერთობლივად ვიმოქმედოთ“, — ამბობს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, გიორგი ხაინდრავა.

ქართველი პოლიტოლოგები აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებებს, რუსეთის ხელისუფლების მმართველ ნრეებში შემუშავებულ გეგმას უკავშირებენ და ამბობენ, რომ თვითმარქვია პრეზიდენტის პოლიტი-

კური პროგნოზი საფუძველს მოკლებულია.

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— თვალში საცემი ის არის — ამდენი ხნის წინ ჩატეხილი ხიდი რატომ აღდგა იმ დროს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან მწვავე ურთიერთობა აქვს?.. როგორც ჩანს, ისევე, როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ შეარბილა (ვერ ვიტყვოდი, რომ მნიშვნელოვნად) ანტირუსული რიტორიკა და ცდილობს, გადაფაროს ბოლო პერიოდში გამოთქმული მწვავე განცხადებები, რუსული მხარეც საპასუხო რეაქციას ავლენს. საქართველოსთან მიმართებაში ამგვარი დამოკიდებულება, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილია. ბალაფუსის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა რუსული პოლიტიკითაა გაჯერებული. დიპლომატიურ მაგიდასთან ნებისყოფის გამოჩენა აუცილებელია. მაშინ, როდესაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში იმყოფებოდა, თვითმარქვია პრეზიდენტი მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ეს გარკვეულწილად, რაღაც რუსული პოლიტიკური სვლების მანიშნებელია. მოსკოვი სოხუმისთვის „პოლიტიკური დახმარების“ ქალაქია. წარმოუდგენელია, რუსეთის დედაქალაქში ჩასულ ბალაფუსს საუბარი არ ჰქონოდა თბილისში გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე.

ერთ-ერთი ოპოზიციონერის თქმით, იმასათვის, რომ საქართველო ნატოში შევიდეს, ხელისუფლებამ შესაძლოა, დე ფაქტო სახელმწიფოს დამოუკიდებლობა მიანიჭოს. დამოუკიდებლობის მოთხოვნა, ბალაფუსის სამშვიდობო გეგმის უმთავრესი საკითხია. რამდენად რეალურია თვითმარქვია პრეზიდენტის ამ მოთხოვნის შესრულება?

— თუ ვიმსჯელებთ საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ კი, ნატოს პოზიციაზე, მას რა თქმა უნდა, ხელს აძლევს ურთიერთობა ისეთ ქვეყანასთან, რომელსაც ნებისმიერი სახის კონფლიქტი მოგვარებული აქვს. დასავლეთს არ აინტერესებს, საქართველო მიანიჭებს თუ არა ავტონომიას აფხაზეთს, ოსეთს ან ნებისმიერ კუთხეს დამოუკიდებლობას — მისთვის მთავარია, სახელმწიფოში კონფლიქტები დარეგულირებული იყოს. მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, არ მიმანია, რომ საქართველოს ხელისუფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აფხაზეთის აღიარებას გეგმავდეს, ვეიქრობ, ეს გამოირიცხება. ისე კი, როდესაც დამიანი პოლიტიკით ინტერესდება და მასში აქტიურად ემბება, ის მეტ-ნაკლებად კარგავს ადამიანურ თვისებებს, ზოგიერთები რომლებზედაც იქცევინან სოლომე. თუ ჩვენი ხელისუფლების წევრები რომლებზედაც გადაიქცევიან, ამ შემთხვევაში, გამოირიცხული არ არის, ბალაფუსის ოცნება აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე ასრულდეს. ამგვარი გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებისთვის ყველა ვარიანტში წამგებიანი იქნება. არა მგონია, საქართველოს მოსახლეობა, ნატოში ინტეგრაციის საზღაურად, რუსეთის გავლენის სფეროში აფხაზეთის საბოლოოდ მოქცევაზე დათანხმდეს.

„saakaSvilis reJimi natoSi Sesvl as ver moeswreba“

„პუტინი ტრადიციულ რუსულ ავტორიტარიზმს ემბაკურად უბრუნდება“

ასე ფიქრობს დღეს არა მარტო ამ სიტყვების ავტორი, OPT-ს ჟურნალისტი და სააკაშვილის მოძულე მხილველი ონტრევი, არამედ რუსი პოლიტიკოსებისა თუ ანალიტიკოსების აპოლოგურული უმრავლესობა. თუმცა, საკმარისია, საკითხს სულ ოდნავ მაინც ჩაუღრმავდეს ადამიანი, უმალ დიანახავს, რომ ამ განწყობილების მიზეზი რუსეთისთვის (და არა მარტო მისთვის) მოუღებელი სააკაშვილის ხელისუფლებაში როდია მხოლოდ საძებნელი.

რუსულან ლებანიძე

ამ დღეებში რუსეთის ხელისუფლების მზარდი ავტორიტარიზმით შეფიქრიალებული ინგლისური „გარდნიანი“ წერდა:

„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი აცხადებს: „რუსული იმპერიალისტური მენტალიტეტი ნიშნავს, რომ ისინი საქართველოს უწინდებურად თავიანთ „უკანა ეზოდ“ განიხილავენ და მიანიჭა, რომ მას არ შეუძლია დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთება“.

სახელმწიფო მოხელე ბეჟუაშვილი — ბეჟუაშვილად და, ამ ბოლო ხანებში, როგორც კი რუსეთის ხელისუფლების თუ მასმედიის წარმომადგენლები (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა) საქართველოს ახსენებენ, ჩემნაირი რიგით მოკვდავსაც ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ ლაპარაკია არა დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, არ თუნდაც ყოველმხრივ სხვაზე დამოკიდებულ, მაგრამ მაინც რეალურ ქვეყანაზე, ანდა, ბოლოს და ბოლოს, ცოცხალი ადამიანებით დასახლებულ კონკრეტულ ტერიტორიაზე მაინც, არამედ უბრალო მინის ნაგლეჯზე, რომელზეც რუსეთის იმპერიას ოდესღაც ფეშქაშად ერგო და დღემდე თავისი საკუთრება ჰგონია. მაგრამ, მოდით, ისევ ლეონტიევის სმირ შემთხვევაში სუბიექტურ, ორაზროვან, მაგრამ ჩვენთვის მაინც ყურადსაღებ მოსაზრებებს დავუბრუნდეთ:

საკაშვილისთვის ნატო „კრიშა“

საქართველო ნატოსკენ დიდი ხნის მანძილზე მიიწვედა. საქართველოს ნატოსკენ სწრაფის ხარისხი პრაქტიკულად მთლიანად მისი კონკრეტული ხელისუფლების არამდგრადობისა და სისუსტის ხარისხით განისაზღვრებოდა. გამსახურდია ფიქრობდა, რომ მას ამ მხრივ ასაქარებელი არაფერი



როგორც ახალქალაქია. და კიდევ:

აჭარის კონფლიქტი ჩამქრალია, მაგრამ...

ის შეიძლება ნებისმიერ მომენტში განახლდეს. თუმცა, აჭარასთან დაკავშირებით მანაც სულ სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე. ზოგიერთებში ამბობენ, რომ რუსეთმა აჭარა ბედის ანაბარად მიატოვაო. სხვებს უკვრით, როგორ მოახერხა სააკაშვილმა აჭარის დაქვემდებარებაო. საქმე ისაა, რომ მართალია, აჭარა ავტონომია, მაგრამ მანაც ყოველთვის საქართველო იყო. აბაშიძის ხელისუფლების იმაში დადანაშაულება, რომ მას საქართველოსთან რაღაც კავშირების განწყობა სურდა, უბრალოდ აბსურდია. იმიტომ, რომ თავის დროზე, თავად აბაშიძეები ქმნიდნენ საქართველოს. ანუ თბილისის დღევანდელი რეჟიმის წინაშე აჭარის დანაშაული საქართველოსგან გამოყოფის ცდა კი არა, არამედ ის იყო, რომ ის საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომისგან გამოიჯანსაღებოდა. იმიტომაც, ძნელია სამოქალაქო ომში მონაწილეობაზე უარის მთქმელი ადამიანების იმაში დადანაშაულება — მეორე ეტაპზე ეს ომი ხელახლა რატომ არ წამოიწყეთო. ეს იგივეა, რომ ვთქვათ, რუსეთს თავის რომელიმე კუთხეში, მაგალითად, ტულის ოლქში კანონიერად არჩეული ხელისუფლება გაუეჭმებინა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში, ფედერალური ხელისუფლება მართალი არ ყოფილიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენს, რომ ამის გამო ტულელები ტყეში პარტიზანებად გაჭრილიყვნენ და რუსეთთან ომი წამოეწყათ.

ჰქონდა. შევარდნაძე თავს უალტერნატივო თეთრ მელად მიიჩნევდა, რომელსაც დასავლეთის მხრიდან უამისოდაც ასპროცენტური მანდატი და ინდულგენცია ჰქონდა და ამიტომ, ნატოში შესვლას არც ის ჩქარობდა. სააკაშვილი კი ხვდება, რომ ფეხქვეშ მინა ეცლება. სწორედ ამიტომაც მიიქაჩება ასე თავანწყვით ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ. მისთვის ნატო „კრიშაა“, რომლის დახმარებითაც საკუთარი მოსახლეობისგან თავის დაცვას ანუ



საკუთარი რეჟიმის ლეგიტიმაციას ცდილობს.

საქართველომ აფხაზეთსა და ოსეთზე უარი უნდა თქვას

საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული ადგილმდებარეობის მნიშვნელობა კოლოსალურია და ცხადია, ამერიკელების ადგილზე (ნატო ხომ ტოტალური ამერიკული კონსტრუქციაა და სწორედ ამით განსხვავდება ის ევროკავშირისგან) მეც დაინტერესებული ვიქნებოდი საქართველოს ნატოში ინტეგრაციით. მაგრამ აქ ერთი პატარა „მაგრამ“ მანაც იჩენს თავს. ნატოში შესვლა კონფლიქტების მოგვარების გარეშე შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ალიანსის პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ, საომარი კონფლიქტების სიტუაციაში მყოფ ქვეყნებს, იქ შესვლა აქამდე არ შეეძლოთ. იმიტომ, რომ ნატოს არ შეუძლია და ჩვეულებრივ, არც სურს, დაურეგულირებელი საზღვრებისა და გადაუჭრელი საომარი კონფლიქტების საკუთარ თავზე აღება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ნატოში შესვლის წინაპირობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე უარის თქმაა. თუმცა, ალბათ, ესეც აღარ იქნება საკმარისი, იმიტომ, რომ არსებობს კიდევ ერთი ისეთი რეგიონი,

საკაშვილს დრო აღარ რჩება

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს, ესტონეთის პრეზიდენტმა არჩოლდ რიუტიტელმა ქართველ კოლეგასთან, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველო მზადაა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესასვლელად, ესტონეთი კი მას ამაში დაეხმარებაო.

ესტონეთის დახმარებას რაც შეეხება, ის ამ მხრივ ნამდვილად ღირსეული პარტნიორია. არ ვიცი, არის თუ არა ვთქვათ, ანდორა ნატოს ნევრი, მაგრამ ისიც რომ შეერთებოდა ამ ალიანსს, მაშინ ალბათ, საქართველოს შანსებიც გაორმაგდებოდა. სინამდვილეში კი, სააკაშვილს ნატოში ინტეგრაციისთვის დრო აღარ რჩება. ამ რეჟიმის დროის რესურსი ნატოში ინტეგრაციის არსებითი ეტაპის გასავლელადაც კი აღარ არის საკმარისი. ამდენად, ეს ყველაფერი მხოლოდ დემოგოგია. ცხადია, რომ ეს რეჟიმი ნატომდე ვერ მიაღწევს. ვფიქრობ, ნატოს ხელმძღვანელობის ტაქტიკაც მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით არის განპირობებული. სხვა საქმეა, რომ ამერიკელები საქართველოში

არსებული რეჟიმის არანაკლებ ლოიალური, მაგრამ ბევრად უფრო წარმატებული რეჟიმით შეცვლას შეეცდებიან. სხვა საქმეა, მოინდომებს თუ არა ვიგინდარა სააკაშვილი ამისთვის ანგარიშის განვესა.

რუსეთთან კონფლიქტი არავის სურს

სადღეისოდ, საქართველოს ნატოში შესვლა უბრალოდ შეუძლებელია, თუ, რაღა თქმა უნდა, ამერიკას რუსეთთან ომის წამოწყება არ განუზრახავს. ისე, თუ ამერიკელები ჩვენთან ომის დაწყებას მანაც გადაწყვეტენ, საამისოდ უამრავი საბაბის პოვნასაც სულ თავისუფლად მოახერხებენ. პრინციპში, მათ ამის გაცემა ყველანაირი საბაბის გარეშე შეუძლიათ. თუმცა, მე მანაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი ამისთვის მზად არ არიან და რომ აშშ-ს ამაში მოკავშირეები მხარს არ დაუჭერენ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მანაც ძალიან არასერიოზულია.

მოკლედ, მარტივად რომ ვთქვათ, ისეთი ნიშნები, როგორცაა სუვერენიტეტთან, საზღვრებთან და ა.შ. დაკავშირებული სიტუაციების დარღვევები ნატოში შესვლისთვის დაკავშირებით, არა მარტო ფორმალურ, არამედ რეალურ დაბრკოლებასაც ბევრად უფრო წარმოადგენს, ვიდრე ის სხვა შემთხვევაში იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ახლა არავის სურს, რუსეთთან კონფლიქტში ჩაერთონ. ისე, ამერიკელებს რომ დახმარება მართლა უნდოდეთ, ისინი საქართველოს სამხედრო მხარდაჭერას მისი ნატოს სტრუქტურებში ინტეგრაციის გარეშე განახორციელებდნენ. მით უმეტეს, რომ ეს ტექნიკურადაც უფრო ადვილი იქნებოდა. მაგრამ, არა მგონია, ვინმეს თავში აზრად მოუვიდეს, რომ ამერიკელები ჩაერევიან რომელიმე შიდაკონფლიქტში, რომელშიც პირდაპირაა ჩართული რუსეთი, რუსეთის მოქალაქეები და რუსეთის პირდაპირი სამხედრო ინტერესები.

ვინც ფლობს საქართველოს, ფლობს კავკასიასაც

აბსტრაქტულად თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ნატოს სჭირდება საქართველო. საქართველო კავკასიის საკვანძო რეგიონია და ვინც მას ფლობს, ფლობს კავკასიასაც. სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს უმნიშვნელოვანესი რეგიონია სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკური სტრატეგიული, გეოეკონომიკური თვალსაზრისით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკვანძო პოზიცია კავკასიაში. სხვათა შორის, სწორედ აქედან მომდინარეობს რუსეთის მცდელობები, ბოლომდე არ დაკარგოს ამ რეგიონზე თავისი გავლენა. ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვა, ამ რეგიონში რუსეთს სრულიად პირდაპირი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესები აქვს და შეუძლებელია, არ ჰქონდეს. რუსეთმა, ალბათ, ძალიან შორს, ჩრდილოეთისკენ (სადაც მოსკოვამდე მანაც) უნდა გადაინიოს იმისათვის, რომ ის, რაც ამ რეგიონში ხდება, მას ნაკლებად შეეხოს. სხვანაირად, ეს ყველაფერი ყოველთვის შეეხება ჩვენს ინტერესებს. რა თქმა უნდა, ამ რეგიონში თავისი ინტერესები აქვს დასავლეთსაც. მაგრამ


უფრო წარმოადგენს, ვიდრე ის სხვა შემთხვევაში იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ახლა არავის სურს, რუსეთთან კონფლიქტში ჩართიონ. ისე, ამერიკელებს რომ დახმარება მართლა უნდოდეთ, ისინი საქართველოს სამხედრო მხარდაჭერას მისი ნატოს სტრუქტურებში ინტეგრაციის გარეშე განახორციელებდნენ. მით უმეტეს, რომ ეს ტექნიკურადაც უფრო ადვილი იქნებოდა. მაგრამ, არა მგონია, ვინმეს თავში აზრად მოუვიდეს, რომ ამერიკელები ჩაერევიან რომელიმე შიდაკონფლიქტში, რომელშიც პირდაპირაა ჩართული რუსეთი, რუსეთის მოქალაქეები და რუსეთის პირდაპირი სამხედრო ინტერესები.

ვინც ფლობს საქართველოს, ფლობს კავკასიასაც

ახსტრატულად თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ნატოს სჭირდება საქართველო. საქართველო კავკასიის საკვანძო რეგიონია და ვინც მას ფლობს, ფლობს კავკასიასაც. სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს უმნიშვნელოვანესი რეგიონია. სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკურ-სტრატეგიული, გეოეკონომიკური თვალსაზრისით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკვანძო პოზიცია კავკასიაში. სხვათა შორის, სწორედ აქედან მომდინარეობს რუსეთის მცდელობები, ბოლომდე არ დაკარგოს ამ რეგიონზე თავისი გავლენა. ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ამ რეგიონში რუსეთს სრულიად პირდაპირი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესები აქვს და შეუძლებელია, არ ჰქონდეს. რუსეთმა, ალბათ, ძალიან შორს, ჩრდილოეთისკენ (სადაც მოსკოვამდე მანძილი უნდა გადაინიოს იმისათვის, რომ ის, რაც ამ რეგიონში ხდება, მას ნაკლებად შეეხო. სხვათა შორის, ეს ყველაფერი ყოველთვის შეეხება ჩვენს ინტერესებს. რა თქმა უნდა, ამ რეგიონში თავისი ინტერესები აქვს დასავლეთსაც. მაგრამ როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მერე რა, რომ აქვს? ვფიქრობ, შერტებული შტატები წინააღმდეგი სულაც არ იქნებოდა, რომ ვთქვათ, შანსაში ჰქონდეს დიდი სამხედრო ბაზა. მაგრამ მერე რა? ეს ხომ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ასეთი ბაზა მართლაც ექნება...

დაბოლოს, ისევ „გარდაინს“ ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციას მოვიშველიებ. „საოფლიო შემოქმედებები, — წერს მისი ავტორი, — ამერიკის შერტებულმა შტატებმა დაასვენა, რომ პუტინი ეშმაკურად უბრუნდება ტრადიციულ რუსულ ავტორიტარულ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპა შიშით თრთის საკუთარ კეთილდღეობაში ჩაბირული თვითკაცოფილი დასავლეთეფრობლები პრობლემებს აწყდებიან და ნელ-ნელა ფიზიკურად და უკვე ყველა ერთად რუსეთთან ურთიერთობის ახალი პოლიტიკის გამოგონებას ცდილობს.“

არ ვიცი, რას გამოიგონებენ ამერიკელები და ევროპელები ერთად ან ცალ-ცალკე და მიუჩინენ თუ არა ამ „გამოგონებაში“ თავის, თუნდაც მოკრძალებულ ადგილს საქართველოსაც, მაგრამ ერთი რამ ახლავს ცხადია: ჩვენ გამო და ჩვენ მაგივრად არავინ არავის დაუპირისპირდება და არც ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს ვინმე, თუნდაც ეს ნატოში შემუშავებული არაა. უკვე ასე ყბადალებული საკითხი იყოს...




ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი **ლაშა მინდიაშვილი**, ნიუ-იორკის კინოაკადემიის წარჩინებული კურსდამთავრებულია. მისი სადიპლომო ნამუშევრით მოხბული ჟიური, ფეხზე წამოდგარო, მქუხარე ტაშით აღნიშნავდა ქართველი სტუდენტის წარმატებას. ამ და სხვა გარემოებამ განაპირობა ის, რომ დღეს ქართველ რეჟისორს, თამამად შეუძლია მსოფლიო კინონდუსტრიის კარი შეალოს, მაგრამ ჯერ არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობს. თითქმის ორი წელია, რაც ლაშა ამერიკაში ცხოვრობს, თბილისიდან კი, მას შემოქმედებით საქმიანობაში ოჯახის წევრები გულშემატკივრობენ.

ქართულმა ჩუქისონმა ნიუ-იორკის კინოაკადემიის ჟიური მოხიბლა
„ლაშას ჰოლივუდში ფილმის გადაღება შესთავაზეს“

ემა ბუხიაშვილი

არჩილ მინდიაშვილი, ლაშას მამა: — ლაშამ თბილისის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა. თავდაპირველად, ხატწერით იყო გატაცებული, მაგრამ საბოლოოდ, არჩევანი მონუმენტალისტიკაზე შეაჩერა. ამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში, უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე მოეწყო და ბატონი რეზო ესაძის ჯგუფი დაამთავრა. საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ რეზოსთან და სწავლის პერიოდში, რამდენიმე ფილმიც გადაიღო: „სიჩუმის ზღვარზე“, „შავი კვადრატი“ და მეგობრებთან ერთად გადაღებული — „უპატრონი ძაღლები“, სადაც ძაღლების სასაკლაოა ნაჩვენებია. სცენარების წერა, ლაშამ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც სოფიაში, სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. ცოტა ხანს ტელევიზიაში (ამჟამინდელ საზოგადოებრივ არხზე) იმუშავა, მაგრამ საკუთარი თავი იქაც ვერ პოვა და ბერლინის კინოაკადემიის მიაშურა. ლაშა გერმანიიდან გაოგნებული დაბრუნდა — ბერლინის კინოაკადემია, გერმანიის ტერიტორიაზე ერთადერთი უფასო უმაღლესი სასწავლებელი გახლავთ, ამიტომ, პროტექციისა და გავლენიანი ადამიანების ჩარევის გარეშე, იქ მოხვედრა ფაქტობრივად წარმოუდგენელია. გარკვეუ-

ლი პერიოდი ლაშამ გერმანიაში მანძი დაყო და გერმანული ენა საფუძვლიანად შეისწავლა. შემდეგ, ისევ თბილისში დაბრუნდა და ერთ დღესაც, სრულიად მოულოდნელად გვაცნობა, რომ ყველა საბოლოო მზად ჰქონდა და ამერიკაში აპირებდა გამგზავრებას. რა თქმა უნდა, თავისი ნამუშევრები თან წაიღო და ნიუ-იორკის კინოაკადემიაში ჩასარიცხად გასაუბრებაზე გამოცხადდა. შესარჩევი კომისია, ლაშას შესაძლებლობებით კმაყოფილი დარჩა. მას უთხრეს, რომ არსებული 4 კურსის ნაცვლად, მისი პროფესიონალური სრულყოფისთვის, ერთი სრული კურსის გავლაც კი საკმარისი იქნებოდა. ლაშა ნიუ-იორკში ისწავლიდა იმას, რისი სწავლაც საქართველოში ფაქტობრივად, შეუძლებელია — ეს გახლავთ თანამედროვე სამონტაჟო ტექნოლოგია, რისი ცოდნაც აუცილებელია პროფესიონალი რეჟისორისთვის. გარდა ამისა, იქაური



სცენარების წერა, ლაშამ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც სოფიაში, სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა

მოთხოვნის შესაბამისად, რეჟისორმა ოპერატორის სამუშაოს შესრულებაც უნდა იცოდეს, რათა საჭიროების შემთხვევაში, ოპერატორს კადრების შერჩევისას სწორი მითითება მისცეს.

— როგორც ვიცი, ნიუ-იორკის კინოაკადემიაში ცოდნის მიღება, საკმაოდ სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული...

— გაგვიმართლა, რომ ლაშასთვის ერთი სრულყოფილი კურსის გავლა საკმარისი აღმოჩნდა, რადგან ერთი წლის სწავლის საფასური, რამდენიმე ათას დოლარს შეადგენს. რომ არა ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილის დახმარება, ასეთი თანხის გადახდას მარტო ვერ შევძლებდი...

— თქვენ ბრძანეთ, რომ ლაშას საქართველოში უკვე რამდენიმე ფილმი აქვს გადაღებული. ძირითადად, რომელ ჟანრში მუშაობს?


— ლაშას გადაღებული აქვს როგორც დოკუმენტური, ასევე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. გადაღებული აქვს რამდენიმე სიურრეალისტური სურათი. სხვათა შორით, ახლახან გავიგე, რომ

ოვრება, რომლებიც ცდილობენ, მოცარტის ნაწარმოებები შეასრულონ და რადგან ვერ ასრულებენ, გენიალურ კომპოზიტორს აძაგებენ. როგორც ჩანს, ამერიკა-

ნენო. ეს რეჟისორი, ლაშას მიმართ სიმპათიით განწყობილი და დაჰმირდა: როდესაც ლაშას გადაღებას დავაპირებ, თანარეჟისორად აუცილებლად აგიყვანო.

— როგორც თქვით, ლაშას სხვა შემოთავაზებებიც აქვს...

— ლაშა ახლა სწორედ ისეთ ეტაპზეა, როდესაც ყველაზე კონსტრუქციული და მისაღები წინადადების სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი. აქვს რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ ყველა ეს წინადადება რეალურ საფუძველს საჭიროებს. ამ ეტაპზე, ერთმა მისმა მეგობარმა, რომელიც პოლივუდში უკვე კარგად არის ცნობილი, შესთავაზა, რომ ერთად გადაიღონ ფილმი. რა




ლაშას გადაღებული აქვს როგორც დოკუმენტური, ასევე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები

ში, სადაც კინო ძირითადად, იაფფასიან ეფექტებზეა ორიენტირებული, ძალიან მოუნონათ ღრმა შინაარსის მქონე სიუჟეტი. გარდა ამისა, ნიუ-იორკის კინოაკადემიაში სწავლისას, ლაშას რამდენიმე საკურსი-სავარჯიშო ფილმი აქვს გადაღებული.

თქმა უნდა, ლაშა საბოლოო პასუხის გაცემას ჯერ არ ჩქარობს, რადგან პოლივუდში ფილმის გადაღებას უამრავი ფორმალობის მოგვარება სჭირდება. მაგალითად, ნიუ-იორკის ქუჩაში ერთ კადრსაც ვერ გადაიღებ, თუ შესაბამისი ნებართვა არ გაქვს. ხოლო თუ ასეთ ნებართვას მოიპოვებ, ადგილობრივი პოლიცია ვალდებულია, გადაღების უსაფრთხოება უზრუნველყოს. კიდევ ერთი შეთავაზება, ლაშამ მისი ინდოელი თანაკურსელისგან მიიღო, რომ ფილმი ბოლივუდში გადაიღონ...

— უკვე ორი წელია, რაც ლაშა საქართველოში არ ყოფილა. ყველაზე მეტად რა ენატრება?

— ყველაზე მეტად მისი ოჯახი, მეუღლე და სამი შვილი — 9 წლის ლუკა, 5 წლის ანასტასია და 3 წლის მარიამი ენატრება. ამდენი ხნის განმავლობაში, ბავშვებს ინტერნეტით ვსაუბრებ. მჯერა, რომ როდესაც ლაშა საქართველოში დაბრუნდება, საკმაოდ წელგამართული იქნება.



გაგვიმართლა, რომ ლაშასთვის ერთი სრულყოფილი კურსის გავლა საკმარისი აღმოჩნდა

მას 2003 წლის ნოემბრის რეკლუციის, უნიკალური კადრები ჰქონია გადაღებული. იმ დღეს, იმდენი მოუხერხებია, რომ პარლამენტის სახურავზე ამძვრალა და მიმდინარე მოვლენებს იქიდან იღებდა. ალბათ, სხვა მასალებთან ერთად, ეს დოკუმენტური მასალაც ამერიკაში წაიღო. ვინ იცის, იქნებ სამომავლოდ მისგან ფილმიც შექმნას. ცოტა ხნის წინ კი, მუშაობა დაასრულა სადიპლომო ფილმზე — „და მშვიდი მუზით საესე“. ჟიური, რომელსაც ლაშასთვის ამ ფილმში ნიშანი უნდა დაენერა, ფილმის დასასრულს ფეხზე წამომდგარა და მისთვის ტაში დაუკრავს. იმ დღეს, ჟიურის სხვა ფილმებიც უნდა ენახა, მაგრამ ლაშას ფილმისგან იმხელა ემოცია მიუღია, რომ ჩვენება შეუწყვეტია. ლაშა დამპირდა, რომ როგორც კი ფილმს რუსულ ტიტრებს დაადებს, ფირს აუცილებლად გამომიგზავნის. მანამდე კი, შემიძლია გითხრათ, რომ ლაშას სადიპლომო ნამუშევარში აღწერილია ახალგაზრდა მუსიკოსების ცხ-

ვარს, მაგრამ ვიცი, რომ ნიუ-იორკის კინოაკადემიაში პოლივუდის ვარსკვლავები პერიოდულად, მართლაც კითხულობენ სალექციო კურსს. ლაშასგან მხოლოდ ის ვიცი, რომ მას ცნობილი პოლონელი რეჟისორი (სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი არ მახსენდება) ასწავლიდა. მას ლაშას გვარი პირველად რომ ამოუკითხავს, უკითხავს: საიდან ხარ? ლაშას პასუხის შემდეგ კი, აუდიტორიისთვის მიუმართავს: ის იმ ქვეყნიდანაა, სადაც კარგი ფილმების გადაღება იცოდ-

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს

ზსმრიაში ენჯეთ **საფუცუნოვან** **ქაგვას** გამორედილენას!

ნიდრჰდფრმიტი

სიზმრება იკითხეთ

იმაუტნალჰთ ჯფთიაქაჰში

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03

გაურალოგამდა 7 კვირის შემდეგ

გაურალოგოს შემდეგ

ლალი შანი

ქართული — ალანა გაგლოვა
რუსკონა — მიშა მისი

— როგორია, იყო მიშა მისი III?
— ალბათ, ჩვეულებრივი. ცხოვრებაში უბრალოდ, გამომართლა: ფილმში გადა- მილეს, ცნობილი გახდი. თუმცა, ჩემი ოჯახის, ბაბუის, მამის გამო, ყურადღება არც მანამდე მკლებია. ახლა კი, ჩემით რომ მივალნიე რაღაცას, მიხარია.

— მიშა, რომელს უფრო ჰგავ- არ — ბაბუას თუ მამას?

— რა ვიცი, სახლში მეუბნებიან, რომ მამაჩემს ვგავარ, როგორც გარეგნულად, ისე ხასიათით. თითქოს „ჰაპროვიტით“ ხარ გადასახტული (ილიმება), ჩვენ შორის იმ- დენად დიდ მსგავსებას პოულობენ.

— შენც თავიდან, ბაბუასავით და მამასავით ფეხბურთით დაინეც, მაგრამ მერე, მსახიობობა არჩიე. რატომ გადაწყვიტე ასე? შენ, როგორც ფეხბურთელის კარიერა ვერ შედგა?

— მართალია, ვერ ფეხბურთელი ვიყავი, შემდეგ, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავ- აბარე, რადგან ვიფიქრე, რომ უკვე მეტის- მეტი იქნებოდა, ფეხბურთში მესამე მიშა მისის გამოჩენა. ძნელია ამ სახელისა და გვარის ტარება. სულ ბაბუას და მამას მადარებდნენ. ფსიქოლოგიურად გამოიჭრდა ამ ყველაფრის გადატანა და ფეხბურთს ჩამოვშორდი.

— ოჯახში ეს გადაწყვეტილება როგორ მიიღეს?

— პრინციპში, მამაჩემს თავიდანვე არ უნდოდა, ფეხბურთს რომ გავყოლოდი, რადგან ფეხბურთელობის გამო, მასაც და ბაბუაჩემსაც ცხოვრებაში ბევრი პრობლე- მა შეექმნათ... მეორე პროფესიით უკმაყ- ოფილო ნამდვილად არ ვარ. გადამიღეს ფილმში — „გასეირნება ყარაბაღში“. სხ- ვათა შორის, სრულიად შემთხვევით მოვხ- ვდი იქ. მერე რუბო ჩხეიძემ მიმიწვია ფილმში, მოგვიანებით, ამერიკაში გადამიღეს... ასე რომ, სამსახიობო კარიერა ნელ-ნელა წინ მიიწევა.

— როგორც ვიცი, ქართულ ფილმ- ში მამაშენიც არის გადაღებული.

— მართალია. ის 3 ფილმში გადაიღეს. პირველი — „ნერგები“ იყო...

— რამდენად ჰგავხართ შენ და შენი გმირი ერთმანეთს, ფილმში — „გასეირნება ყარაბაღში“? გაქვთ რაიმე საერთო?

— ხასიათით ალბათ, ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ ცხოვრებაში მის მს- გავსად არ ვიქცევი. როგორც იცი, ნესი- ერი ბიჭი ვარ...

— შენი გმირი ფილმში ნარკო- ტიკებს ეტანება...

— გაინტერესებს — მეც ვკაიფობ თუ არა? რომც ვკაიფობდე, მაგას ვიტყვი (იცი- ნის)?.. ათასში ერთხელ, შეიძლება, გავაბ- ოლო...

— ცოტა ხნის წინ, უცნობის კლიპში რეჟისორმა ბასა ფოცხიშ- ვილმა გადაგიღო. იქ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ხარ. კლიპში

პრეზიდენტის პრესპიკერის მოადგილე და საზოგადოებრივი არხის ოსურენოვანი საინფორმაციო გადაცემის წამყვანი ალანა გაგლოვა ინტერ- ვიუზე ოფიციალურად ჩაცმული გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ მის პირისპირ, რუბრიკისთვის — „უფუნალისტის როლში“ — ამჯერად, ოფიციალური პირი სულაც არ ყოფილა — წარსულში ფეხბურთელი და ახლა უკვე მსახიობი, მიშა მისი იჯდა.

ისინი მეგობრები არიან, მაგრამ „გზისთვის“ ჩანერილი ინტერვიუ მეგობრულ ჩარჩოებს გასცდა და როგორც მიშამ თქვა, ალანა ცოტა „სტროგიც“ კი მოეჩვენა...

„მე და მიშა მისი — კარგი პრეზენტი ერთმანეთს“



ალანა გაგლოვა
ვისი ეპოქაშია და რატომ ვარ ჩვენი ის ცხინვალში

შენი გადაღება უცნობთან პირადმა ნაცნობობამ განაპირობა?

— უცნობს ამ კლიპამდე, არც ვიცნობ- დი. გადაღების მერე კი, დავძმავაცდით. კლიპში ჩემი მონაწილეობა ბასა ფოცხიშ- ვილის ინიციატივით მოხდა. მე და ბასა ერთ-ერთ კლუბში შევხვდით ერთმანეთს, იქ მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი და ვიცეკვე. როგორც ჩანს, იქიდან დავამახს- ოვრდი. კლიპის გადასაღებად რომ ემზა- დებოდა, რატომღაც გავახსენდი, თქვა — ისეთი კაცია, როგორც მჭირდება, მიშაა და უნდა მოვიწვიოო. გიაც დათანხმდა.

— „გულახდილ“ სცენებში მონაწი- ილეობაზე იოლად დათანხმდი?

— რა თქმა უნდა. ტანზე სომ არ გამიხ- დია, არ გავმისწვლავარ და არც არავის ჩავნოლივარ ლოგინში. სამარცხვინო არაფერი გამოიკეთებია.

— როგორც მსახიობს, შეგი- ძლია, ფილმში გადაღებისას გაშიშ- ვლება, „თამამ“ სცენებში მონაწილე- ობა, თუ რეჟისორმა მოითხოვა?

— სცენარს და რეჟისორს გააჩნია. სა- მარცხვინოს არაფერს გავაყვებ. ისე არას- დროს მოვიქცევი, რომ მეორე დღეს, გა- რეთ გამოსვლის მომერიდოს.

— ამ კლიპის მერე, ალბათ, უფრო პოპულარული გახდი, რად- გან, როგორც ნესი, უცნობის ყველა კლიპს ხალხი აღტაცებით ხედავდა.

— ვილაც-ვილაცები ფილმიდან მიც- ნობდნენ, მაგრამ კლიპით უფრო ბევრმა

გამიცნო. ქუჩაში მაჩერებენ ხოლმე... გან- საკუთრებით შევეუყვარდი ბავშვებს, რაც ძალიან მახარებს და მსიამოვნებს.

— აღნიშნულ კლიპში უცნობი მღერის: „არჩევანი ამომივიდა... ყვე- ლაფერი გამოივიდა“. ეს ფრაზა მთელ სიმღერას რეფერენად გასდევს. ცხოვრებაში შენც გამოგდის ყვე- ლაფერი? ილბლიანი ხარ?

— კი, ილბლიანი ვარ. ყველაფერი, რაც ხდება — თავისთავად ხდება, სპეციალუ- რად არაფერს ვწალიჩობ.

— იმავე სიმღეროდან ფრაზას გაგახსენებ: „მე ვარ პლუსი, შენ კი — მინუსი“. შენ რომელი ხარ, პლუსი თუ მინუსი?

— ძნელი სათქმელია. მე „ზამიკანიუსი“ ვარ. ამასაც ხომ ამბობს უცნობი?

— ისე, როგორია „ზამიკანიუსი- ბა“?

— კარგია, ძალიან კარგია...

— როგორ ფიქრობ, ქალებში პოპულარობით სარგებლობ?

— ალბათ, კი...

— შენ გარემო მათმა რაოდენ- ნობამ კლიპს გამოსვლის შემდეგ იმატა თუ მანამდეც ბევრი იყენენ?

— არასდროს მავლდა ქალების ყურა- დლება... შენ რას ფიქრობ, ამ შევითხვას რომ მისვამ — ვა-არ ქალებში პოპულარული?

— რას იზამ?!
— არ გინდა, ცოლი მოიყვანო, ოჯახი შექმნა და ქალებმა, რომლებიც ბუზებივით გესვვიან, თავი დაგანებონ? თუ ქალების „თავდასხმა“ მოგნონს კიდევ და ამიტომ არ ჩქარობ დაოჯახებას?

— ქალების ყურადღების ცენტრში ყოფნა მომწონს. ცოლი იმიტომ არ მომყავს, რომ ჯერ არავინ მიყვარს.
— არ მჯერა.
— სიმართლეს გეუბნები. ბევრი მომწონს, მევახება, მაგრამ სიყვარულით ჯერ ვერავინ შევიყვარე. ცხოვრებაში სულ ორჯერ მიყვარდა და ისიც — ბავშვობაში.

— რამდენი წლის ხარ?
— 26-ის.

— როდესაც ვილატას ეცნობი და ეუბნები, რომ მიშა მესხი ხარ, როგორი რეაქცია აქვთ?
— ამას წინათ, პატრულმა გამაჩერა. მიშა მესხი ვარ-მეთქი. — მერე რაო? ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი. მენყინა, მაგრამ არა უშავს, ყველასთვის ცნობილი ხომ ვერ იქნები!

— თავისუფალ დროს როგორ ერთობი?
— როგორც ყველა, მეც ისე. ახალგაზრდებს თბილისში ძალიან ცოტა გასართობი საშუალება გვაქვს. ჯერ იმ დონეზე არა ვართ, რომ მართო გართობაზე ვიფიქროთ. ნელ-ნელა ალბათ, ყველაფერი გამოსწორდება... როგორ ვერთობი და მეგობრებთან ერთად ღამის კლუბებში დავდივარ.

— ახლა რას განიცდი, როდესაც მე შენ პირისპირ ვსხედვართ და ჟურნალისთვის შენგან ინტერვიუს ვიღებ?
— განსაკუთრებულს არაფერს: მე და შენ ხომ მეგობრები ვართ.

— კი, მაგრამ მაინცდამაინც მეგობრული საუბარი რომ არ გამოგვივიდა?!
— ჰო, ცოტა „სტროგი“ ხარ. მაგრამ არა უშავს, რამენირად ავიტან...
— შენც გაითვალისწინე და კითხვების დასმისას, ასევე „სტროგად“ წარმართე ჩემთან ინტერვიუ.

— კარგი.
ჟურნალისტი — მიშა მესხი
რესკონსენტი — ალანა ბაგლოვეა

— ეი. ისეთი კითხვები დაგისვა, რომ სიტუაცია დავბაბო?
— დიას.
— ისე, ბოლო დროს, ძალიან ცნობილი ადამიანი გახდი. ღამაში და კარგი გოგო ხარ, მაგრამ საიდან „გაიჩითე“? ანუ ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში როგორ აღმოჩნდი?
— ჯერ ტელევიზიაში მუშაობა დავინყე, პარალელურად — სახელმწიფო კანცელარიაში. როგორც ჩანს, ჩემმა სამსახურებმა გამხადა „იძულებით ცნობილი“.

— როდესაც სიტუაცია ქართველებსა და ოსებს შორის დაიძაბა, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნა,
იმ პერიოდში ხომ არ გაგაჭირდა?

— შემიძლია განვაცხადო, რომ იმ პერიოდში არანაირი შევიწროება, დისკომფორტი არ მქონია. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ისეთი არაფერი მომხდარა, რომ აქაურობა დაგვეტოვებინა, როგორც ჩვენმა ნათესავებმა დატოვეს. ერთადერთი დეიდამილი, ვინც აქ დარჩა, ქეთი ყიფშიძეა — დანარჩენები რუსეთსა და ოსეთში გადავიდნენ.
— ამ ორ ერს შორის შექმნილი დაძაბულობა, კონფლიქტი, შენში რა გრძნობას აღძრავს?
— სანწყენია, ამ ერებს შორის გაუგებრობა იყოს, რადგან წლების განმავლობაში, ერთად ვცხოვრობდით. ბავშვობაში ვერც კი წარმომედგინა, რომ ქართველები და ოსები ერთი არ ვიყავით და სხვადასხვა ენა გვეყონდა. ჩვენ შორის წარმოქმნილი დაპირისპირება — სირცხვილია.

— შენ, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფმა ადამიანმა, ალბათ, უფრო ბევრი იცი ამ კონფლიქტის შესახებ. ეშველება რაიმე ამ საქმეს?
— აუცილებლად.
— როგორც ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა, 2007 წლის 1-ელ იანვარს, ცხინვალში ვიზიტიდან ახალი წლის დღემდე...

— ბატონი ირაკლის ამ მოსაზრებაზე მე კომენტარს ვერ გავაკეთებ. რაც უფრო სწრაფად მოგვარდება ეს კონფლიქტი და ეშველება ამ საქმეს, ჩემთვის უკეთესია. ცხინვალში უკვე ორწლიანი დაძაბვაა, არ ვყოფილვარ, არ მინახავს ჩემი ნათესავები, მეგობრები. ყველა მენატრება. მენატრება ჩემი სახლი.
— ისინი გემდურაან?
— თავიდან, მათთან პატარა უსიამოვნება მქონდა, როდესაც მუშაობა ტელევიზიაში დავინყე. ჩემს ტელეფონზე ზარები არ წყდებოდა: მიჩვენებდნენ, მოითხოვდნენ — წამოდიო! ბოლოს, სამშობლოს მოღალატედაც გამოაცხადეს და ჩემი იქ შემწეობა არ უნდოდათ. მას მერე, აღარც ჩავსულვარ... მაგრამ ახლა, მდგომარეობა გამოსწორდა. არიან მათ შორის ისეთები, ვინც ჩემით ამაყობენ, ვუყვარვარ, ჩემთან შესხედრა უნდათ. მხოლოდ ჩემს ახლობლებზე არ ვლაპარაკობ. ჩემი სამსახურით, როგორც შემიძლია, ისე ვვხმარები იქაურ მოსახლეობას.

— გისურვებ, შენც და ჩვენს თავსაც, რომ მალე მოგვარებულიყოს, როგორც ოსებთან, ისე აფხაზებთან ურთიერთობის პრობლემა... ახლა, მოდი, „განვმუხტოთ“ ჩვენი საუბარი, სხვა თემებზე გადავიდეთ. როგორც ვიცი, დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვს. მეგობრებთან ურთიერთობას როგორ ასწრებ?
— მეგობრებთან შესხედრას და მათთან გართობას სამსახურის შემდეგ, ღამის საათებში ვახერხებ. შემიძლება ითქვას, რომ ღამურა ვარ. ისეც ხდება, რომ სამსახურში ღამეც მიწვეს ხოლმე მუშაობა. ზოგჯერ ისე გადავებმება დღე და ღამე ერთმანეთს, რომ გარეთ ცხვირსაც ვერ ვყოფ, შესაბამისად, ვერავის ვხედავ და ვნახულობ. ამის

გამო, ბევრი მეგობარი გამინწყენებია.

— ასეთ დროს, როცა გარეთ ვერ გამოდინარ, დებრესია არ გეუფლება?
— როგორ არა და ის ხშირად, ერთი-ორი კვირაც კი გრძელდება...
— როგორ უმკლავდები დებრესიას?
— ის ნელ-ნელა, თავისით „იფანტება“. როგორც ყველაფერს ცუდს, მასაც აქვს დასასრული.

— ვიცი, რომ წარსულში მუსიკით იყავი გატაცებული.
— ბავშვობიდან, მამის გავლენით, როკ-მუსიკას ვუსმენდი. მერე, თვითონ დავინყე სიმღერა და ბოლოს — დაკვრაც. დასარტყამ ინსტრუმენტებზე ვუკრავდი. ჯგუფშიც ვიყავი. ამ საქმეს კი, ჩემი სამსახურის გამო ჩამოვმორდი.

— მანქანასაც და მოტოციკლსაც კარგად მართავ, რომ შემოგხედავს კაცი, საკმაოდ ქალური ხარ, მაგრამ მამაკაცური საქმეებიც კარგად გამოგდის...
— ეს იმიტომ, რომ ბავშვობიდან, ბიჭებთან ვმეგობრობდი, მათთან ერთად ვიზრდებოდი. სამეზობლოში უმრავლესობა, ბიჭი იყო. სულ მათთან ვიყავი და ალბათ ამიტომ, მოტოციკლეტი და მანქანა შემეყვარა. მაგრამ ეს ყველაფერი იყო მანამ, სანამ სახელმწიფო კანცელარიაში სამსახურს დავინყედი. კიდევ კარგი, თორემ, ახლა ალბათ, ვერც მოვახერხებდი ამას.

— ერთხელ თქვი, ბაბუა მწერალი მყავდა...
— დედის მხრიდან, ბაბუა ფეხბურთელი მყავდა, მამის მხრიდან — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერალი, ვლადიმერ გაგლოვი, რომელიც ბოლო წლებში, მოსკოვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. ორივე ბებია მსახიობი მყავდა.

— კარგი ოჯახიდან რომ ხარ, გეტყობა... რას ფიქრობ ჩემზე? მოდი, ორი სიტყვით მითხარი. კი ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ ახლა, ხალხმაც გაიგოს, აბა, გისმენ, თქვი...
— გადასარევი პიროვნება ხარ. შეუძლებელია, შენთან ადამიანმა მოიწყინოს. მიშა (ამ დროს, ალანა მე მომიბრუნდა. — ავტ.) სულ კარგ ხასიათზეა, სულ იცინის, ყველას გვამხნევებს, არავის აძლევს ცუდ ხასიათზე ყოფნის საშუალებას... ახლა, შენ მითხარი, ჩემზე რას ფიქრობ.

— უპირველეს ყოვლისა, შენში კარგი თვისებები დავინახე, ისეთი, რომლებიც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს შექონდეს. უღამაზესი გოგო ხარ. წინსვლას გისურვებ, ბედნიერებას. 1000 წელი იცოცხლე! (იცინის)...
— მე და მიშა ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

— ჩვენ ერთად ვუყურებთ ხოლმე ფეხბურთს, კლუბებში ვერთობით, კარტს ვთამაშობთ. მაგრამ, ალანა, „ფუფლო“ ხარ: იმ დღეს რომ წააგე და ანგარში არ გამისწორე?
— კარტის თამაში არ ვიცი, შენთან უბრალოდ, ვისუმრე. მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ...
— კარგი...



თაბარ როსტიაშვილი

ლევან ფირაძე, სააგენტოს დირექტორი:

— სააგენტოში უკვე შემოსულია იმ 350 ათასი ოჯახის განაცხადი, რომელთაც აქვთ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის სურვილი. აღნიშნული ოჯახების უდიდესი ნაწილი სააგენტოს მიერ უკვე შეფასებული და რეგისტრირებულია. თანდათანობით, მიმდინარეობს რეგისტრაციის მონაწილეების გაცემა. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ ოჯახებზე მონაწილე გაცივება სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებში, ხოლო სოფლად მცხოვრებ ოჯახებისთვის — შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან არსებული საკომუნიკაციო პუნქტების მეშვეობით.

— გაფრთხილება ინფორმაცია, რომ სახელმწიფო დახმარების მიღებ ოჯახს არ უნდა ჰქონდეს ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ. რა კრიტერიუმების მიხედვით დგინდება ოჯახის სარეიტინგო ქულა?

— თუ ოჯახს აქვს ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა და ა.შ., გამოდის, რომ ის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში არ იმყოფება. ოჯახს, რომელსაც პირველადი მოხმარების ყოველგვარი საგანი აქვს, ამასთან ერთად — ავტომანქანა და მობილური ტელეფონიც, რასაკვირველია, ლატაკად არ მიიჩნევა და სახელმწიფო დახმარებას ვერ მიიღებს. ეს განისაზღვრება დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად გამოყვანილი ქულით, რომელიც სილატაკის ზღვრულ მაჩვენებელს წარმოადგენს. თუ ოჯახმა სარეიტინგო ქულაზე ნაკლები არ დააგროვა, ის სოციალურ დახმარებას ვერ მიიღებს. განაცხადის საფუძველზე, სააგენტოს წარმომადგენელი ავსებს ე.წ. „ოჯახის დეკლარაციას“: რამდენი სულისგან შედგება, როგორია მისი ყოველთვიური შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები, ოჯახის მფლობელობაში არსებული ქონება და ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ადგენს სარეიტინგო ქულას. დეკლარაციის შევსებამდე, სოციალური აგენტო აფრთხილებს ოჯახს, რომ თუ დეკლარირებული მონაცემების გადამოწმებისას, სიყალბეს აღმოაჩენენ, ოჯახს გაუუქმდება რეგისტრაცია და მომდევნო 3 წლის განმავლობაში, დაკარგავს უფლებას, განმეორებთ მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირება. დეკლარაციაში დაფიქ-

პირველი იენისიდან, სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და სარეიტინგო ქულად, მთავრობის მიერ დადგენილი, „სილატაკის ზღვრულ ქულაზე“ ნაკლები მაჩვენებელი აქვთ მინიჭებული. გარდა ფულადი კომპენსაციებისა, სააგენტოში რეგისტრირებულ თითოეულ ბენეფიციარს, ელექტროენერგიის გარკვეული ნაწილის სავსაფარსაც დაუფარავენ. რაც შეეხება ბუნებრივ აირს — შეღავათები სოციალურად დაუცველ 19 კატეგორიის მოქალაქეებს დაუნქსდებათ.

ოჯახს, რომელსაც მიაჩნია, რომ უკიდურესად გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება, შეუძლია მიაკითხოს მის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე საკომუნიკაციო პუნქტს, შეაქსოს და ჩააბაროს საცეცხლური ფორმა. ამის შემდეგ, მას მიაკითხავს სოციალური აგენტო, რომელიც შეისწავლის მატერიალურ მდგომარეობას და ოჯახის წევრებთან ერთად, შეადგენს „ოჯახის დეკლარაციას“. ამ დოკუმენტში აღნიშნული მონაცემების მიხედვით, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო დაადგენს ოჯახის სარეიტინგო ქულას და მონაცემთა ბაზაში დაარეგისტრირებს მას. სწორედ სარეიტინგო ქულა განსაზღვრავს — მიიღებს თუ არა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი სოციალურ დახმარებას.

ს i R a t a k i s f o r m u l a ~ ,
s a r e i t i n g o q u l e b i d a 3 5 0 a T a s i o j a x i ,
d a x m a r e b i s m o l o d i n S i

სირებული მონაცემების დამუშავებისა და დადგენილი მეთოდის — ე.წ. „სილატაკის ფორმულის“ გამოყენებით, სააგენტო თითოეული ოჯახის სარეიტინგო ქულას აზუსტებს. რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო ლატაკია ოჯახი. მაგალითად, თუ მარტოხელა ადამიანი ცხოვრობს ვაკეში, ოთხთახიან ბინაში და ამჟამად გაჭირვებულია, მას სახელმწიფო ვერ დაეხმარება, რადგან მას დაახლოებით 170-180 ათასი დოლარის ქონება აქვს. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს ჯერჯერობით არ შესწევს იმის ძალა, რომ მოსახლეობის დასახმარებლად ბიუჯეტიდან უფრო დიდი თანხა გამოყოფს, პირველ ეტაპზე, ვეხმარებით უკიდურესად გაჭირვებულ, სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს. აქვე ვიტყვი, რომ თითოეული მათგანის სარეიტინგო ქულა შეიძლება შეიცვალოს მისი მინიჭებიდან ერთი წლის შემდეგ. პროგრამის განხორციელების შემდეგი ეტაპისთვის დაგეგმილია ზღვრული ქულის მნიშვნელოვანი გაზრდა.

— სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფმა ბევრმა ოჯახმა ჩელ მარტამდე განაცხადის შეტანა ვერ მოასწრო. ასეთი ოჯახები როგორ უნდა მოიქცნენ?

— სააგენტოს რაიონულ საკომუნიკაციო პუნქტებში განაცხადების მიღება ახლაც მიმდინარეობს. ის ოჯახები, რომელთაც მოასწრეს და განაცხადი 1-ელ მარტამდე შეიტანეს (ასეთი სულ, 100 ათასი ლატაკი ოჯახია) 1-ელი იენისიდან მიიღებენ დახმარებას. ხოლო ის ოჯახები, რომლებიც განაცხადს შემდგომში შეიტანენ და შესაბამისი სარეიტინგო ქულა მიენიჭებათ, დახმარების მიღებას, სამთვიანი ინტერვალის შემდეგ შეძლებენ.

— სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ბენეფიციარები ფულად დახმარებას რა ოდენობით მიიღებენ და შეღავათები ელექტროენერგიაზე როგორ

განისაზღვრება?

— დახმარება ერთსულიანი ოჯახისთვის შეადგენს 38 ლარს, ორსულიანისთვის — 55-ს, სამსულიანისთვის — 70-ს, ოთხსულიანისთვის — 85-ს, ხუთსულიანისთვის — 100-ს, ექვსსულიანისთვის — 115-ს, შვიდსულიანისათვის — 125 ლარს. მერვე და ოჯახის მომდევნო თითოეულ წევრზე 10 ლარი ემატება. აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშებისას, ოჯახის წევრთა რაოდენობაში არ იქნება გათვალისწინებული ოჯახის ის წევრი, რომელიც იმყოფება: სასჯელალსრულებების დაწესებულებაში, სამკურნალოდ საზღვარგარეთ, სამხედრო სამსახურში, ინსტიტუციურ დაწესებულებაში და სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ან 3 თვეზე მეტ ხნითაა წასული ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება შეღავათებს ელექტროენერგიაზე — ვინც მიიჩნევა, რომ მას სახელმწიფო დახმარება ესაჭიროება, უნდა შეიტანოს განაცხადი საკომუნიკაციო პუნქტში, რის შემდეგაც, მას ეწვევა ჩვენი სააგენტოს წარმომადგენელი და ნახავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახისთვის ელექტროენერგიის სუფსიდი. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, რომლებიც ყოველთვიურად, მხოლოდ 100 კვტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, სახელმწიფო თითოეულ სულზე, თბილისში 1,5-დან-2 ლარამდე, ხოლო რაიონებში — 4-დან 5 ლარამდე დაეხმარება. პირველი იენისიდან, ელექტროენერგიაზე სუფსიდიას ყოველთვიურად, ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით 250 ათასი ოჯახი (მკითხველს ემასხვრება, რომ ტარიფის გაზრდის შემდეგ, ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა — სახელმწიფო დახმარებას 400 ათასი ოჯახი მიიღებს); როგორც ჩანს, საბოლოო ციფრი მოგვიანებით დაზუსტდება. — რედ.) მიიღებს.

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

„გავრცელებული ჭორები ეფაში სროლის შესახებ ექსპერტიზის დასკვნამ არ დაადასტურა“, — აცხადებს ზალდასტანიშვილის ადვოკატი

— რა სოციალური შედეგებით ისარგებლებენ იძულებით გადაადგილებული პირები?

— იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც მოხვდება სოციალური დახმარების პროგრამაში, 11 ლარის ნაცვლად, 33 ლარს მიიღებს. ვინც ვერ მოხვდება — ანუ სიღატაკის ზღვარს ზემოთ მყოფი ოჯახები, — სახელმწიფო დახმარების სახით, კვლავინდებურად 11 ლარს მიიღებს. სოციალურ შედეგებთან დაკავშირებით, მოსახლეობას შეუძლია, დარეკოს „ცხელ ხაზზე“: 509-509 და მისთვის საინტერესო ინფორმაციას მიიღებს.

ბუნებრივ აირზე სახელმწიფო დახმარებას სოციალურად დაუცველი 19 კატეგორიის მქონე ადამიანი მიიღებს. „თბილგაზის“ რაიონულ ბიზნესცენტრებში ხალხის ნაკადი თითქმის არ წყდება. თითოეულ მათგანს აინტერესებს, მოხვდა თუ არა სახელმწიფო დახმარების მიღებათა კატეგორიის სიაში. სამაშურო ომის ინვალიდები, თბილისის საპატრიო მოქალაქეები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, I და II ჯგუფის ინვალიდები, მარტოხელა პენსიონერები, მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, უმწეო ოჯახების ინვალიდი შვილები, მრავალშვილიანი დედები და ა.შ. — ბუნებრივ აირს 40 და 20 კუბმ ოდენობით მიიღებენ, მაგრამ როდინად — ეს ჯერჯერობით, თბილისის პრემიერმაც კი არ იცის. „თბილგაზის“ რაიონული ცენტრის ოპერატორი თითოეულ მოქალაქეს სათანადო დოკუმენტაციის წარდგენას სთხოვს: პირადობის დამადასტურებელ მოწმობას (საბჭოთა დროინდელი პასპორტი აღარ გამოგადგებათ) და სოციალური კატეგორიის დამადასტურებელ დოკუმენტს.

თამარ ქარხული, თბილისის პრემიერი:

— სოციალურად დაუცველი რამდენიმე კატეგორიის მქონე მოქალაქეთათვის ბუნებრივ აირზე შედეგებით დაწესდა. მართალია, ჯერჯერობით დაუზუსტებელია, თუ როდის ამოქმედდება ეს პროგრამა, მაგრამ მსურს, მოსახლეობა დავამშვიდო: განსაზღვრული კატეგორიების მოქალაქეებს სახელმწიფოსგან ნაჩუქარი გაზის კონკრეტული ოდენობა დაუგროვდებათ და პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ყოველთვიურად დაერიცხებათ.

მართალია, გაზის საფასურის სუბსიდირების პროგრამის ამოქმედების თარიღი ჯერჯერობით დაუზუსტებელია, მაგრამ „თბილგაზის“ ბიზნესცენტრებთან მოსახლეობის გრძელი რიგები უკვე დგას.

ნაზი ზიზაური, თბილისის მცხოვრები:

— ძალიან ვწუხვარ, რომ 9 აპრილს მონაშლულთა დახმარების პროგრამა საერთოდ გაუქმდა. ჩემი შვილი III ჯგუფის ინვალიდია, მე კი, 9 აპრილს მონაშლული გახლავართ, გამოდის, რომ ბუნებრივ აირზე შედეგით ორივეს მოგვეხსნა. ძალიან მენწყინა, მით უფრო მაშინ, როდესაც გაზი ასე გაძვირდა.

ლავით ბაყინაშვილი, თბილისის მცხოვრები:

— 4 შვილის მამა გახლავართ. გასულ წლებში, 40 კუბმ გაზს სუფსიდის სახით ვიღებდი. განაცხადის შესატანად, დოკუმენტები კვლავ შევაგროვე, მაგრამ დაწესდება კი შედეგით?..

7 მაისს, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე „დედ მარეში“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ახალი დეტალები გამოიკვეთა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ კაფეში იმ საღამოს, თავის არეში გასროლის შედეგად, სასიკვდილოდ დაიჭრა 24 წლის ირაკლი გოგიშვილი. ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. რამდენიმე დღის განმავლობაში, მძიმედ დაჭრილი, კომაში იმყოფებოდა. ექიმები თავიდანვე ამბობდნენ, რომ მისი გადარჩენის შანსი არ არსებობდა. მეორე დღესვე გავრცელდა ორი ვერსია — მკვლელობისა და თვითმკვლელობის შესახებ. დაზარალებული ოჯახის წევრები კატეგორიულად უარყოფდნენ მეორეს. მათი თქმით, წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო, რომ ირაკლის თავი მოეკლა. „თანაც, არავინ იკლავს თავს კეფაში გასროლით“, — აცხადებდნენ ოჯახის წევრები. ამის თქმის საფუძველს მათ ექიმების განცხადება აძლევდათ — დაჭრილის თავის არეში დაფიქსირებული ჭრილობების თაობაზე. საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა პაციენტის შემომწმობის შემდეგ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ტყვია შესულია კეფის მხრიდან და გამოსულია შუბლის მხარეს.

რაც შეეხება მკვლელობის ვერსიას — სამართალდამცველებმა ეჭვი თბილისელ, 21 წლის ჯუნა ზალდასტანიშვილზე მიიტანეს. ჯუნა შემთხვევის დღეს, ირაკლი გოგიშვილთან ერთად იმყოფებოდა კაფეში. ის და ირაკლი, როგორც მათი ახლობლები ამბობენ, დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ამას გარდაცვლილის ოჯახის წევრებიც ადასტურებენ.

7 მაისს, საღამოს, დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის, კაფეში ირაკლი გოგიშვილსა და ჯუნა ზალდასტანიშვილთან ერთად, კიდევ ორი გოგონა მივიდა. მათ იქაურობა დაახლოებით ერთ საათში დატოვეს. ცოტა ხანში, გოგიშვილისა და ზალდასტანიშვილის სუფრას ორი ახალგაზრდა ბიჭი შეუერთდა, სამართალდამცველების ინფორმაციით — ლევან იმედაშვილი და ლევან ლლონტი. თვითმხილველების — კაფეს მომსახურე პერსონალის თქმით, სუფრასთან რაიმე უსიამოვნო ექსცესს ან შელაპარაკებას ადგილი არ ჰქონია. ლლონტი და იმედაშვილი საპირფარეოში გავიდნენ, გასროლა ამის შემდეგ მოხდა. ოფიციალტის თქმით, სუფრასთან იმ დროს, მხოლოდ ორნი — ირაკლი გოგიშვილი და ზალდასტანიშვილი ისხდნენ. ამის შესახებ მან ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტშიც განაცხადა. თუმცა, ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს თავად ზალდასტანიშვილი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი — რამაზ ხუნნარია. ზალდასტანიშვილის თქმით, გასროლის ფაქტს ის არ შესწრებია და არც იარაღი დაუნახავს, ირაკლის ან ვინმეს ხელში იმ საღამოს. „იმ მომენტში ყავის შესაკვებად გავედი, გას-

როლის ხმაც მაშინ გავიგონე“, — ამბობს ექვმიტანილი. ის აღნიშნავს, რომ პირადად მას იარაღი არასდროს უტარებია და შესაბამისად, არც შემთხვევის დღეს ჰქონია თან. მისი ადვოკატის თქმით, ჯუნას არანაირი საბაბი არ გააჩნდა საიმისოდ, რომ მისი უახლოესი მეგობრისთვის სიცოცხლე მოესწრაფებინა.

რამაზ ხუნნარია, ადვოკატი:

„ჯუნა ზალდასტანიშვილი ექვმიტანილის სახით დაიკითხა და მან თავის ჩვენებაში ყველაფერი დააფიქსირა, რაც იმ დღეს დაინახა და გაიგონა. გარკვევით აღნიშნავს, რომ გასროლის მომენტს ის არ შესწრებია. არც იარაღი დაუნახავს. თავად ჯუნა ირალს არ ატარებდა და საერთოდ, მას არანაირი საბაბი არ ჰქონდა, თავისი უახლოესი მეგობარი მოეკლა. ეჭვს მის შესახებ არაფერი ადასტურებს და გამოძიებას ამ მხრივ, არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. მკვლელობა მოხდა თუ თვითმკვლელობა — ჯერ კიდევ გასარკვევია. ჯუნა და ირაკლი დიდი ხნის და თანაც ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ. ერთმანეთთან ოჯახში რჩებოდნენ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ. არასდროს ჰქონიათ რაიმე კონფლიქტი — ამის მოწმე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ზალდასტანიშვილს არანაირი მოტივი არ ჰქონდა მკვლელობისთვის.“

რაც შეეხება მომხდარი ფაქტის შემდეგ ზალდასტანიშვილის ორი დღით გაუჩინარებას, ადვოკატი ამასაც უარყოფს:

რამაზ ხუნნარია:

„ის არ გაუჩინარებულა და არსად დამალულა. თავად გამოცხადდა პოლიციაში. კი არ ჩაბარდა, არამედ ჩვენების მისაცემად მივიდა, უნდოდა გარკვეულიყო,

რა მოხდა. პოლიციაში ის მომხდარი ფაქტიდან მეორე დღევს მივიდა და არა ორი დღის შემდეგ. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ დახვდა ის, ლლონტისა და იმედაშვილის მსგავსად, შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას, ამას თავად ზალდასტანიშვილის მიერ განხორციელებული მოქმედებები ხსნის: მომხდართი გაოგნებული, ჯერ საპირფარეოში შევარდა, რათა იქ მყოფი დანარჩენი სუფრის წევრებისთვის ეთქვა, რაც მოხდა. ლლონტმა და მისმა მეგობარმა თქვეს, გაგიჟებული აბრაახუნებდა, კარი კინალამ ჩამოიღო, თან ყვიროდა — ჩქარა, გამოდით, ირაკლიმ თავი მოიკლაო! ამის შემდეგ, თავის სახლში ავარდა და იქ ოჯახის წევრებს უთხრა — ირაკლიმ თავი დაიჭრა და უშველეთ რამეო. მისი მშობლები და ახლობლები მაშინვე ბარში წავიდნენ ამბის გასაგებად. ამას ადასტურებენ ზალდასტანიშვილის მეზობლებიც. ამის შემდეგ, ჯუნამ მეგობრები გაგზავნა ირაკლი გოგიშვილის სახლში, ამბის მისატანად. ყოველივე ამის შემდეგ, პოლიციაში როგორღა ავიდოდა?.. იქ მეორე დღეს მივიდა“.

თუმცა, ჯუნა ზალდასტანიშვილის პოლიციაში გამოცხადების შესახებ ინფორმაცია შემთხვევიდან სწორედ ორი დღის შემდეგ — 9 მაისს გავრცელდა. სამართალდამცველებმა ჟურნალისტებთან საუბრისას ისიც აღნიშნეს, რომ ზალდასტანიშვილი თავად ჩაჰბარდა. სხვათა შორის, მან მაშინ, თავისი გაუჩინარება, ადვოკატისგან განსხვავებით, ასე ახსნა: „იმ დღეებში, იმიტომ არ ვჩანდი, რომ არ მინდოდა, ტელეკამერების წინ შემთხვევებზე პასუხი გამეცა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას იქ არც დანაშაულის იარაღი დახვდა და არც გარდაცვლილის მობილური ტელეფონი. აღმოჩნდა, რომ მობილური იქიდან გაქცეულმა ზალდასტანიშვილმა თან წაიღო. მოგვიანებით, ტელეფონი მან გოგიშვილის ოჯახის წევრებს თავად დაუბრუნა.

„ტელეფონი წაიღო იმის გამო, რომ იქ, შენობაში თურმე კარგად არ იჭერდა“, — ამბობს ადვოკატი. მისი თქმით, თავად ზალდასტანიშვილს მობილური ტელეფონი არ ჰქონდა. რაც შეეხება იარაღს, მისი ბედი აქამდე გაურკვეველია. „სად გაქრა იარაღი, მეც ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით“, — გვიპასუხა კითხვაზე ადვოკატმა.

რამაზ ხუნწარი

ყურადღებას ამახვილებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზეც: „ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ ტყვიის შემავალი ადგილია მარჯვენა საფეთქლის მიდამო, გამომავალი კი — კეფის მხარე. პირველ დღეებში, ჭორის დონეზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კეფაში იყო ნასროლი; ვინც ეს

მოისმინა, ამიტომაც გამოირიცხა თვითმკვლელობის ვერსია. ექსპერტიზის დასკვნამ ეს ჭორი არ დაადასტურა. ჯუნა ზალდასტანიშვილი ამბობს, რომ იმ საღამოს, ირაკლი გოგიშვილი ძლიერ ნასვამი იყო და ამასთან, ძალიან ცუდ ხასიათზე, დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. წინა დღეებში, ის მას ნანახი არ ჰყავდა და არ იცის, რა პრობლემები ჰქონდა ირაკლის. გამოირიცხული არაფერია და არავინ იცის, ნასვამ ადამიანს რა აზრი მოუვიდა თავში“.

ზალდასტანიშვილის თქმით, ირაკლი იმ პერიოდში შეყვარებულს დაშორდა და შესაძლოა, პრობლემებიც ამის გამო ჰქონდა. დაზარალებული მხარის თქმით კი, გამოირიცხულია, ირაკლის, შეყვარებულთან უთანხმოების გამო მოეკლა თავი.

გამოძიების ცნობით, გასროლილი ტყვია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტისაა, მეორე — ხულიგნობის ეპიზოდში კი, რაშიც ზალდასტანიშვილს ბრალი უკვე წაუყენეს, „ბრაუნინგის“ სისტემის იარაღი ვიგნურირებს. დადგენილებაში (ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ) მომხდარი ფაქტი შემდეგნაირადაა აღწერილი:

ჯუნა ზალდასტანიშვილმა, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დაუდგენელი სისტემისა და ნომრის, 7,65 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ატარებდა და ინახავდა. 2006 წლის 26 აპრილს, აღნიშნული იარაღით შეიარაღებული, საღამოს, დაახლოებით 5-ის ნახევრისთვის, შევიდა თბილისში, ტაბიძის №39-ში მდებარე სუპერმარკეტში და პარფიუმერიის სექციის გამყიდველს — ნინო გოგლიძეს, იარაღის დემონსტრირების, მოსთხოვა, დაესახელებინა, თუ ვის უხდოდა სუპერმარკეტის მეპატრონე ფულს მისი ბიზნესის მფარველობისთვის. გამყიდველს ასევე მოსთხოვა, შეხვედრებინა სუპერმარკეტის მეპატრონესთან. გამყიდველისგან უარი მიიღო. გოგლიძემ მას უთხრა, რომ მეპატრონე თბილისში არ იმყოფებოდა. ამის შემდეგ, ზალდასტანიშვილმა იქაურობა დატოვა. დაახლოებით ხუთ წუთში, ისევ დაბრუნდა სუპერმარკეტში, გამყიდველს — გოგლიძეს დაუტოვა მუყაოს ნაჭერი, რომელზეც თავად დანერა მობილური ტელეფონის ნომერი და იქვე სახელი — ჯუნა. გოგლიძეს უთხრა, რომ მალაზიის მეპატრონე მას ამ ნომერზე დაჰკავშირებოდა. ამის შემდეგ, ზალდასტანიშვილმა გადაინაცვლა გვერდით სექციაში, შეიძინა სიგარეტი და ისევ პარფიუმერიის სექციისკენ წავიდა; ამ მომენტში გოგლიძემ მას ჰკითხა, თუ რაში სჭირდებოდა მალაზიის მეპატრონესთან შეხვედრა. ამ კითხვით გაღიზიანებულმა ზალდასტანიშვილმა იარაღიდან პარფიუმერიის სექციის მიმა-

რთულებით გაისროლა და წავიდა. სროლის შედეგად, არავინ დაშავებულა, ტყვია კედელს მოხვდა. ამ ფაქტიდან დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, ზალდასტანიშვილი კვლავ დაბრუნდა აღნიშნულ სუპერმარკეტში, იარაღმომარჯვებული და უმიზეზოდ დაემუქრა გამყიდველებს მოკვლით. ზალდასტანიშვილის ასეთი ქმედება, როგორც დადგენილებაში წერია, დაახლოებით 20 წუთი გაგრძელდა. ამის შემდეგ, ის შემთხვევის ადგილიდან წავიდა.

ზალდასტანიშვილს ბრალი 236-ე (იარაღის უკანონოდ შექმნა-შენახვა-ტარება) და 239-ე (ხულიგნობა, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი უპატივცემულობას, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითა და ძალადობის მუქარით) მუხლებით წაუყენეს. წარდგენილ ბრალდებებში ჯუნა ზალდასტანიშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ იმ დღეს ის შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილა. აღნიშნულის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატს მოსამართლის ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შესახებ არ გაუსაჩივრებია.

რამაზ ხუნწარი:

„გასაჩივრებას რა აზრი ჰქონდა? ყველასთვის ცნობილია უკვე, რომ სასამართლო, პროკურატურის წინააღმდეგ წასვლას ვერ ბედავს. აქედან გამომდინარე, წინასწარ ვიცოდი, რომ გადანყვეტილება არ შეიცვლებოდა. ბრალის დასადასტურებლად, პროკურატურას რეალური მტკიცებულება არ გააჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ 26 აპრილიდან, ჯუნა ზალდასტანიშვილის დაკავებაზე, ორი კვირა იყო გასული. როცა გოგიშვილის საქმეში ექვმიტანილის სახით დაკავების ვადები იწურებოდა, სწორედ მაშინ „შეადგეს“ საქმეში, ხულიგნობის ეპიზოდში ბრალდების დადგენილება. მანამდე, 26 აპრილიდან მოყოლებული, გამოძიებას ზალდასტანიშვილის მიმართ არანაირი საპროცესო მოქმედება არ ჰქონდა განხორციელებული“.

ადვოკატის თქმით, გოგიშვილის მკვლელობის თუ თვითმკვლელობის ფაქტმა ხულიგნობის საქმეს ერთგვარი ბიძგი მისცა და ბრალდებაც სასწრაფოდ შეადგინეს იმისთვის, რომ ზალდასტანიშვილი წინასწარი დაკავების საკნინდან როგორმე არ გაეშვათ. ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ დადგენილებაში აღწერილ ქმედებაში ხულიგნობის ნიშნები არ არის. რაც შეეხება გოგიშვილის მკვლელობის საქმეს, ადვოკატის თქმით, ის მოწმეების ჩვენებებს ჯერ სრულყოფილად არ გასცნობია და ამას უახლოეს მომავალში გააკეთებს.

"ეზმაკის კონვეიერი"

ყველაზე სისხლისმღვრელი მოსკოვეური ბანკის ლიდერი, ქართველი ქალი აღმოჩნდა

ცამეტკაციანი ბანდა, რომელსაც სამართალდამცველები ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და სისხლისმღვრელ კრიმინალურ დაჯგუფებად მიიჩნევენ, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს წინაშე რამდენიმე თვის წინ წარდგა. მართალია, არასრული შემადგენლობით (პოლიციამ ბანდის მხოლოდ 8 წევრის დაკავება მოახერხა), მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ჯგუფის ორგანიზატორებსა და ლიდერებს შორის, ერთ-ერთი ქართველი ქალბატონი გახლდათ. ოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთიდან ლტოლვილმა ნანა გველესიანმა საქართველო 1996 წელს დატოვა და რუსეთში სამუშაოდ გაემგზავრა. საქმის მასალების მიხედვით, მალე ის მეუღლესთან ერთად, კარგად ორგანიზებულ, შეიარაღებულ ბანდიტურ დაჯგუფებას ჩაუდგა სათავეში. სასამართლოს წინაშე წარმდგარმა განსასჯელებმა მოსკოვის ქალაქის პროკურატურის არც ერთ ბრალდებაში არ ცნეს თავი დამნაშავედ. ბრალდებებს შორის კი, განზრახ მკვლელობების, ადამიანების გატაცებისა და შეიარაღებული თავდასხმების გარდა, ბანდიტიზმის მუხლიც ფიგურირებდა.

მათ მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რამდენიმე თვის წინ დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების ფაქტები 1998-2001 წლებში დაფიქსირდა. სწორედ 2001 წელს ბანდის სამი წევრი ერთდროულად დააკავეს, შემდეგ კი, ლიდერებიც აიყვანეს. წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებული ბანდიტები სასამართლოს განაჩენს იმდენ ხანს ელოდნენ, რომ იმ მომენტისთვის, როცა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა, შეფარდებული სასჯელის ნახევარი თითქმის მოხდილიც ჰქონდათ. ბანდიტების წინააღმდეგ აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ დიდხანს იმოგზაურა ერთი სასამართლოდან მეორეში. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ადვოკატების მხრიდან საჩივრები თუ შუამდგომლობები არ წყდებოდა. სხვათა შორის, ბანდაში რომ დიდი ფული ტრიალებდა, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ თითოეულ განსასჯელს კერძო და საკმაოდ ძვირად ღირებული ადვოკატი იცავდა. განსასჯელები სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციით გასამართლეს, ამის გამო, მათ შედარებით ნაკლებადიანი თავისუფლების აღკვეთა მიიღეს სასჯელად: მაშინ, როცა მრავალეპიზოდური საბრალდებო დასკვნაში 17 მოკლული ადამიანის და არაერთი გატაცებული და დასახიჩრებული ადამიანის გვარი ფიქსირდებოდა. მართალია, დაზარალებულებსა და ბრალდების მხარეებს დიდი სურვილი ჰქონდათ, განსასჯელები კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილიყვნენ, მაგრამ განაჩენის გასაჩივრებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ამ შემთხვევაში, კანონი სასჯელის უმაღლეს ზომად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთაზე მეტს არ ითვალისწინებდა.

სწორედ ბანდის სისასტიკემ გაიყვანა სამართალდამცველები კვალზე. დაჯგუფების სამი წევრი მაშინ დააკავეს, როცა მათ ბანდასთან წარსულში შეკრული ერთ-ერთი კრიმინალი, საკუთარ ბინაში, ცოლისა და მცირეწლოვანი შვილის თვალწინ ჩაცხრილეს. მართალია, თავდამსხმელები, რომელთაც ბანდის ლიდერების დავალება შეასრულეს, ნიღბებით იყვნენ და მოკლულის მეუღლემ ისინი ვერ იცნო, მაგრამ ბოროტმოქმედები ამან მაინც ვერ იხსნა. დაზარალებულის ერთ-ერთმა მეზობელმა, სროლის ხმის გაგონებისთავე, მილიციაში დარეკა. იმ დროს, თავდამსხმელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დატოვებული ბინა. როცა მილიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა, ბოროტმოქმედები უკვე უნომრო ავტომანქანაში ისხდნენ და იქაურობას ტოვებდნენ. ოპერატიული თანამშრომლები მათ დაედევნენ. დამნაშავეებმა ცეცხლი გახსნეს სამართალდამცველების მისამართით. ორმხრივი სროლის დროს, მძღოლი — ვადიმ ელცკი დაიჭრა და საჭის დამორჩილება ვეღარ შეძლო. ამის შემდეგ, კრიმინალები სამართალდამცველებს დანებდნენ. ელცკი გადარჩა და სწორედ მის აღიარებით ჩვენებაში ვკითხულობთ ბანდის ლიდერების წარმოდგენილი სისასტიკის შესახებ. ბრალდებულის თქმით, ბანდის ლიდერს და ნანა გველესიანის ქმარს — ვალერი გუმინის პათოლოგიური სადღიზმი ახასიათებდა, ძალაუფლების წყურვილი კლაედა და ამისთვის ყველაფერზე მიდიოდა. ამასთანავე, მან ბანდაში მკაცრი დისციპლინა დაამკვიდრა. ბანდის წევრები ერთმანეთს სახელებით არასდროს მიმართავდნენ, მხოლოდ მეტსახელებით, რომლებსაც ხშირად იცვლიდნენ ხოლმე. ასევე პერიოდულად იცვლიდნენ საცხოვრებელ ბინებს, მანქანებსა და დოკუმენტებს. მაგალითად, საქმის მასალების მიხედვით,

ბანდის ორმა წევრმა ფიქტიური ქორწინება გააფორმა და ამის შემდეგ, ორივე მათგანი ცოლის გვარზე გადავიდა. მათ ძირითად საქმიანობას შეკვეთილი მკვლელობის შესრულება, ადამიანების გატაცება (ფულის გამოძალვის მიზნით), მსხვილი ბიზნესმენებისგან ნიღბების გამოძალვა და ახალბედა კომერსანტების ჩაძირვა და განადგურება წარმოადგენდა. ასეთი სახის დანაშაულები სწორედ იმ პერიოდში, როცა აღნიშნული ბანდა ჩამოყალიბდა, იშვიათობას არ წარმოადგენდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყველაზე მეტი სისხლიანი გარჩევა, ადამიანების გატაცება და შეკვეთილი მკვლელობა 90-იან წლებში დაფიქსირდა. დანაშაულების მოტივაცია შეიცვალა და თუ ადრე სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაული პირადი ან ყოფითი საფუძვლით ხდებოდა, ახლა მოტივი კომერცია გახდა. კომერსანტებს შორის ნიღბების გადანაწილებას თითქმის ყოველთვის მოჰყვებოდა უთანხმოება, რაც საბოლოოდ, სისხლის ღვრით სრულდებოდა. კერძო სავაჭრო დაწესებულებების — მაღაზიების, სუპერმარკეტების, ბანკების, ასევე პრესტიჟული რესტორნებისა და სასტუმროების გამოჩენასთან ერთად, იმატა ამ სახის დანაშაულის რიცხვმაც. ახალბედა და შედარებით პატიოსანი წვრილი ბიზნესმენები თუ მენარჩენი საქმის წამოწყებისთანავე ბანკროტდებოდნენ, სამაგიეროდ, კრიმინალურად განწყობილი კომერსანტების ბიზნესი დღითი დღე სულ უფრო ყვაოდა.

გუმინის ბანდის საქმიანობაც ამას მოწმობს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბანდის წევრების მსხვერპლს, ძირითადად, ზემოთ აღნიშნული ობიექტების მფლობელები და დირექტორები წარმოადგენდნენ. ამა თუ იმ კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით თუ გავლენიანი, კონკურტენტი ბიზნესმენის შეკვეთით, მათ ფულს აწერდნენ. თუკი წინააღმდეგობას ნააწყდებოდნენ, კლავდნენ. პისტოლეტებით, რევოლვერებით, ავტომატებით კბილებამდე შეიარაღებული და ასაფეთქებელი საშუალებებით კარგად აღჭურვილი ბოროტმოქმედები უკან არაფერზე იხევდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბანდის წევრთა შორის, ორი — ყოფილი სამხედრო მოსამსახურე (ერთი ავღანეთის, მეორე კი ყარაბახის ომგამოვლილი), ერთი კი ყოფილი მილიციელი გახლდათ, რომელიც სამსახურიდან მოულოდნელად დაითხოვეს. ამის შემდეგ, მას ცხოვრების პატიოსანი წესით გაგრძელება აღარც უცდია, დაუყოვნებლივ „ეზიარა“ შავ სამყაროს. ასე

რომ, დაჯგუფების წევრებს წარსულშიც საკმაოდ ახლო შეხება ჰქონდათ იარაღთან. რაც შეეხება, გუშჩინს, ის ადრე არაერთხელ ნასამართლვე რეციდივისტი იყო. ნანა გველესიანს ის საერთო ნაცნობის სახლში შემთხვევით, 1998 წელს შეხვდა. გუშჩინი მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში მარტო ცხოვრობდა, 42 წლის გახლდათ და იმ მომენტისთვის მას უკვე, საერთო ჯამში, 23 წელი ციხეში ჰქონდა გატარებული. გველესიანი ნასამართლვე არ იყო. პირველი, როგორც საქმის მასალებში არსებულ ერთ-ერთ საჩივარში მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი აღნიშნავს, საქართველოში, ნაცნობების თუ ახლობლების წრეში, მას ყველა პატიოსან ქალბატონად და ბრწყინვალე დიასახლისად მიიჩნევდა. აფხაზეთიდან ლტოლვილი გველესიანი ოჯახთან ერთად თბილისში დასახლდა, თუმცა იმის გამო, რომ მატერიალურად ძალიან გაუჭირდა, სამუშაოდ რუსეთში წასვლა გადაწყვიტა. რამდენიმე თვეში ის გუშჩინს შეხვდა და მასთან ერთად გაურკვეველი მიმართულებების ორგანიზაცია — „წმინდა ნიკოლოზი“ ჩამოაყალიბა. წესდების მიხედვით, გველესიანის ორგანიზაცია ქვეყანაში წვრილი ბიზნესის აღორძინებასა და დამწყები კომერსანტებისთვის ხელშეწყობას ითვალისწინებდა. ორგანიზაციის ფუნქცია იყო, მოლაპარაკებები ეწარმოებინა სხვადასხვა ქალაქის ბიზნესმენებთან და მოსკოვში მათი საქონლის რეალიზაცია განეხორციელებინა. შეთანხმების თანახმად, გველესიანი პროდუქციას მიიღებდა, რეალიზაციის შემდეგ კი, ფული მომმარაგებლისთვის უნდა გადაეხადა. შეთანხმება ხშირად ირღვეოდა. საქონლის რეალიზაციას ის მართლაც ახდენდა, მაგრამ აღებულ ფულს არავის აძლევდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, „წმინდა ნიკოლოზი“ სინამდვილეში ოფიციალურად დარეგისტრირებულ, კრიმინალების თავშესაფარს წარმოადგენდა. „ბიზნესლედში“ გასამდიდრებლად იოლი გზა აირჩია და რთულ სქემებზე მტკრევით თავი არ შეუწუხებია“, — წერია სახელმწიფო ბრალდებლის სიტყვაში. პარტნიორების „გადაგდება“ ყოველთვის რომ არ შერჩებოდა, ესეც იცოდა და ამიტომ საიმედო „კრიშაზე“ დაიწყო ფიქრი. ამ საქმეში მას გუშჩინი დაეხმარა. გველესიანს თავისი წარსული ცხოვრების შედეგად შექმნილი გამოცდილება სრულად გაუზიარა და ურჩია, ერთად ჩამოეყალიბებინათ კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება. გველესიანმა წინადადება მიიღო. გუშჩინთან ნაცნობობის წყალობით, ის შავი სამყაროს დეტალებში გაერკვა. მალე დაქორწინდნენ კიდევ. ამის შესახებ გველესიანს შვილისთვის, რომელიც მცირეწლოვან შვილთან ერთად საქართველოში დაბრუნდა, არაფერი უთქვამს; საქმის კურსში არ ჩაუყენებია არც ნათესავები და მეგობრები. გუშჩინთან ქორწინებაში, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი უკვე ჰქონდა შექმნილი, წინააღმდეგობები არ

შეხვედრია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ქმართან — ვაჟა ბაძალუასთან მას ეკლესიური წესით, ჯვარი ჰქონდა დანერვილი, სამოქალაქო წესით კი, ხელი არ მოუწერიათ. ამის გამო, გუშჩინმა გველესიანთან მოსკოვში უპრობლემოდ მოანერხა ხელი და ის მისი მეორე ქმარი გახდა. მეუღლემ გველესიანს აუხსნა, რომ მოტყუებული და განბილბული პარტნიორებისგან თავის დაღწევა და მათი მხრიდან მოსალოდნელი შურისძიებისათუ ნებისმიერი უსიამოვნების თავიდან აცილება ოილად და უფრო ეფექტიანადაც შეიძლებოდა. სასამართლო განაჩენის მიხედვით, ბანდის შექმნის იდეა გუშჩინს ეკუთვნოდა და გველესიანმა მისი აზრი მხოლოდ გაიზიარა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიება საპირისპირო აზრის იყო. გამოცდილმა რეციდივისტმა 11 თანამოაზრე მალევე იპოვა. პირველი მკვლელობის ფაქტიც მალე დაფიქსირდა. პირველი მსხვერპლი კი, თავად ბანდის ერთ-ერთი წევრი გახდა. დანაშაულის მოტივი, როგორც ეს აღიარებით ჩვენებებშია დაფიქსირებული, კრიმინალებს შორის როლების, ფუნქციებისა და უფლებების გადანაწილების დროს წარმოქმნილი უთანხმოება გახლდათ. უთანხმოება მალე სისხლისმღვრელ ჩხუბში გადაიზარდა, რომლებსაც ბოლოს მკვლელობა მოჰყვა. დანაშაულის კვალი მოხერხებულად გააქრეს. მოკლულის — 21 წლის ილია კოვალენკოს დანით აჩეხილი გვაში, ჯერ პოლიეთილენის პარკში შეახვიეს, შემდეგ ავტომანქანის საბარგულში მოათავსეს და მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში, დაუსახლებელ ადგილზე, ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე დამარხეს. გვამს ალბათ ვერც ვერავინ მიაგნებდა... სამართალდამცველების მიერ დაკავებულმა ბანდის ერთ-ერთმა წევრმა — ვადიმ ელვიკიმ გამოძიებას თავად მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ახალგაზრდა კოვალენკოს სხეული ჩაფლეს. რამდენიმე დღეში ამას ერთდროულად ორი ადამიანის მკვლელობა მოჰყვა. ისინი გველესიანის ორგანიზაციის დაცვის წევრები აღმოჩნდნენ. როგორც გაირკვა, დაცვის წევრებმა ხელმძღვანელების საექვო საქმიანობის შესახებ რაღაცას ყური მოჰკრეს, გადაწყვიტეს ამით ესარგებლათ და გველესიანს ხელფასის გარდა, დამატებითი პროცენტები მოსთხოვეს. გათავხებდნენ თანამშრომლებს ორგანიზაციის ხელმძღვანელები სასტიკად გაუსწორდნენ. მკვლელობის მეთოდი ამჯერად სხვაგვარი აღმოჩნდა: ორივე მათგანს ყელში თოკი ნაუჭირეს და მოახრჩვეს. მალე მეოთხე მსხვერპლის ვინაობაც გაირკვა. გველესიანმა შეიტყო, რომ მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომლის ნათესავი მილიციაში მუშაობდა. იგრძნო, რომ თანამშრომელს — ოლია ნიკოლევას სამსახურში სიტუაცია არ მოს-

წონდა და რაღაცას ეჭვობდა. იმის შიშით, რომ შეიძლებოდა, მას ნათესავ მილიციელთან რაიმე წამოსცდნოდა, თუნდაც უნებლიეთ, ამ ქალის მოშორება განიზრახა. ეჭვი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ 32 წლის ქალისთვის სიცოცხლე სადისტურად მოესწრაფებინათ. ნილიანები მას საკუთარ ბინაში დაესხნენ თავს. ქალმა კარი გააღო თუ არა, ერთმა მაშინვე პირზე ააფარა ხელი, მეორემ კი ყელში დანა გამოუსვა. მეორე დილით, მოკლულს შინ კარის მეზობელმა მიაკითხა. ჯერ ზარი დარეკა, შემდეგ ყოველი შემთხვევისთვის კარის სახელურიც მოსინჯა. მეზობელს გაუკვირდა ოლიას შინ არყოფნა, რადგან იცოდა, რომ ის სამუშაო დღეში, ყოველ დილით, დაახლოებით 10 საათისთვის გადიოდა ბინიდან და სამსახურში მიდიოდა. მაშინ კი, ჯერ მხოლოდ 9-ის ნახევარი იყო. კარი ღია აღმოჩნდა. შესასვლელში, სასტუმრო ოთახის ზღურბლთან მან სისხლში მოტივტივე ოლიას გვაში დაინახა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა, თუმცა გამოძიება წლების მანძილზე ამაზე შორს არ წასულა. ვიდრე დამნაშავეების ვინაობა გაირკვეოდა, ბანდამ კიდევ 13 მკვლელობის ჩადენა მოახსრო. მათგან ყველაზე საშინელი 2000 წლის დეკემბერში მომხდარი ფაქტი გახლდათ. ბანდის წევრებმა ბინაში ერთბაშად ექვსი ადამიანი ჩაცხრილეს. მოკლულებიც სამართალდამცველებისთვის ცნობილი კრიმინალები აღმოჩნდნენ. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მკვლელობა სხვა კრიმინალური ავტორიტეტების მიერ იყო შეკვეთილი, ბანდის წევრები კი, უბრალოდ შესრულებლები იყვნენ. სასამართლო პროცესზე ბრალდებას მხარს მოსკოვის ქალაქის პროკურორი უჭერდა. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული აღიარებითი ჩვენებების მიუხედავად, განსასჯელებმა წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ არ ცნეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების დასადასტურებლად გამოძიებას საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდა, ამიტომაც ყველა მათგანი დამნაშავეებად ცნეს. ბანდის ლიდერს, გუშჩინს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. მის მეუღლეს 10 წელი მიუსაჯეს, ელევკისა და ფოგინს — 15-15 წელი; დანარჩენ წევრებს — ბარანოვს, ლუსიგინს, ლავეცკისა და სოკოლოვს — 8-დან 10 წლამდე. სასამართლო პროცესზე პროკურორმა ბანდა ეშმაკის კონვეიერს შეადარა და მათ პროფესიონალიზმსაც გაუსვა ხაზი. იმის თქმით, შეკვეთილი დანაშაულები პროფესიონალურ დონეზე ხორციელდებოდა და შემკვეთებიც რიგში იდგნენ.



ემანსიპაცია

მარი ჯაფარიძე

მადლობა ექიმს ანუ ვის უნდა ქართველი ქმარი?

დიდი ხნის წინ, XX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქ ბელოსტოკში (პოლონეთი) ცხოვრობდა ადამიანი, გვარად ზამენგოფი. ქალაქი, სადაც ის ცხოვრობდა, დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნების ხალხით, რომლებიც შესაბამისად, სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. ახალგაზრდა ზამენგოფს გაუჩნდა აზრი, რომ შეექმნა ერთი ენა, რომელზეც ეს ადამიანები ილაპარაკებდნენ და ყველასთვის გასაგები იქნებოდა. ამის შემდეგ მის საყვარელ საქმიანობად, სწორედ ხელოვნური ენის შექმნა იქცა. მისი პირველი რვეული, მამის წყალობით ცეცხლმა შთანთქა, რადგან უფროს ზამენგოფს მიაჩნდა, რომ ბიჭი საქმით უნდა დაკავდეს და ასეთ სისულელეზე დრო არ უნდა დაკარგოს. ზამენგოფი ვარშავისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში სწავლობდა და ექიმი-ოკულისტის დიპლომი აიღო, მაგრამ ენის შექმნის იდეა მოსვენებას არ აძლევდა და დიდი მუშაობის შედეგად, 1887 წელს, პროშურაზე მუშაობა დაასრულა, სადაც მოცემული იყო ხელოვნურად შექმნილი ენის გრამატიკა და სიტყვათა ლექსიკონი. წიგნის ავტორად მითითებული იყო ვინმე დოქტორი ესპერანტო. ეს გახლდათ ზამენგოფის ფსევდონიმი... აი, რა შეუძლია საქმის სიყვარულს... გაიხსენეთ ლენინი... მისი საყვარელი საქმიანობა რევოლუციონერობა გახლდათ და თურმე, ძალიან მოსწონდა ქალაქებში მითი წერა. ასე შედგენილ წერილს, ადრესატი ქვევიდან ცეცხლს შეუნითებდა, რძე ფერს იცვლიდა და ფურცელზე ჩნდებოდა ტექსტი, რომელსაც „დიდი ბელადი“ მთელი მონდომებით წერდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი გლობალური მასშტაბის საქმეს ვერ მოჰყვებოდა ხელს, მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რა პროფესიას ეუფლებოდა ადამიანი უმაღლეს სასწავლებელში (მთელი 5 წლის განმავლობაში), საყვარელი საქმის მოძებნა ნებისმიერ სფეროში შეუძლია.

„ჩემი იმიჯის ნუ შეგეშინდება, მე სომ ერთი უსუსური ქალი ვარ!“

სიტყვა „ემანსიპაციის“ მნიშვნელობას ალბათ ახსნა-განმარტება არ სჭირდება. იყო დრო, როდესაც მატრიარქატი სუფევდა. არ ვიცი, იბრძოდნენ თუ არა მაშინ მამაკაცები „ემანსიპაციისთვის“ ან მამაკაცის ქალის უფლებებთან გათანაბრებას „ემანსიპაცია“ ერქვა თუ რამე სხვა, მაგრამ ცხადია, რომ სიტუაცია შეიცვალა და ახლა ჩვენ, ქალები ვიბრძვით საიმისოდ, რომ მამაკაცების მხარდამხარ ვიდგეთ და ტოლი არ დავეუდოთ ჯარში, სამსახურში, პოლიტიკასა თუ საოჯახო საქმეებში. როგორც მკითხველთა მესიჯებიდან ჩანს, ქართველი მამაკაცების გარკვეული ნაწილი მიესალმება ფემინისტი ქალბატონებს, მაგრამ უმეტესობა მტკივნეულად განიცდის იმას, რომ ქალი მისი კონკურენტი გახდა ამა თუ იმ სფეროში და ირონიულად უყურებს ამ ვითომ თანაბარ უფლებებს. ვიდრე მკითხველთა მესიჯებს გაგაცნობდეთ, მინდა ერთი ამბავი მოგიყვებოთ ქართული სინამდვილიდან, რომელიც ჩემ თვალწინ მოხდა: 2 წლის წინ, სვანეთში, უცხოელი ტურისტების ჯგუფს ვახლდი. ჩვენთან ერთად იყო ტურისტული ფირმის ადგილობრივი წარმომადგენელი, სვანი მამაკაცი, რომელიც გიდობას გვიწევდა. სტუმრები მოიხიბლნენ სვანეთის ბუნების სილამაზით, განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი მათზე უშგულმა მოახდინა, მაგრამ საღამო ხანს, უზომოდ დაღლილებს, არაფრის თავი აღარ ჰქონდათ. წინ კი საკმაოდ გრძელი გზა გვქონდა გასავლელი, უშგულიდან მესტიამდე. გიდს სთხოვეს, რომ ვერტმფრენი გამოეძახებინა და უკან ისე წამოფსულიყავით. მან მობილური მოიმარჯვა და საჭირო ნომერზე დარეკა. მისი წვეტილი ლაპარაკის შინაარსი მხოლოდ მე მესმოდა (ქართული მხოლოდ მე ვიცოდი): — „ვერტალიოტი“ მჭირდება... გადაიხდინ... ტურისტები არიან... რამდენი? 4...“ — მე გაოცებულმა შევხედე: — „ათნი ვართ, ათნი...“ — ცვადე, თვლაში მივხმარებოდი. შუბლშეკრულმა გადმომხედა, თვალი გადაგვაგლო და ტელეფონში ჩასძახა: — „და კიდევ — 6 ქალი!“ ალბათ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ეს რომ უცხოელ ქალბატონებს გაეგოთ, ნამდვილად „აჯანყდებოდნენ“ და რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანში ნამდვილი ფემინისტი გაიღვიძებდა. ახლა კი პირველ რესპონდენტს მოვუსმინოთ.

მესაათე ფილოლოგი

„პროფესიით ფილოლოგი ვარ. უნივერსიტეტი 15 წლის წინ დავამთავრე. მოგესხენებათ, მამაკაცი ფილოლოგი იშვიათობას წარმოადგენს და ნებისმიერ სკოლაში დიდი სიამოვნებით შემომთავაზებენ სამსახურს, მაგრამ რატომღაც სულაც არ მხიბლავს ბავშვებთან ყოველდღე ერთი და იგივე თემებზე საუბარი და გაკვეთილების ახსნა. ამიტომ არასოდეს მიმუშავია ჩემი პროფესიით. რამდენიმე წლის წინ გადავწყვიტე, რომ ბებიჩემის დანატოვარი სახლი გამეყიდა, გურიიში. როდესაც სახლს ახალ პატრონს ვაბარებდი, გადავწყვიტე,

ბოთლი ლუდი გამოვიყიდე და რუსთაველის მეტროსთან ვაბირყავებდი. თან, რა თქმა უნდა, ქალებზე ვსაუბრობდი. ორივე იმ აზრზე ვიყავით, რომ სიცხე და ქალი ერთად არ გამოვა, რომ საშინელებაა, სიცხეში სექსი და ა.შ. სწორედ ამ საუბრით ვართ გართული და 2 ახალგაზრდა გოგონა მოგვიახლოვდა. ერთს ხუჭუჭი თმა ჰქონდა, თავზე კეპი ეხურა, ჯინსის შარვალი და წითელი მაისური ეცვა. მეორე ქერათმიანი იყო, ტილოს ბევრჯიბიანი შარვალი და „დაცემა“ ბოტასები ეცვა, ზემოდან კი ორივეს — თხელი ჯინსის ქურთუკები. ჯიქურ მოვიდნენ და გვეკითხებინ: — ბიჭებო, ამ საღამოს რას აკეთებთ? — ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და გაგვეღიმა. ჩემი ძმაკაცი მაგარი ხუმარა ტიპია. ცოტა დაფიქრდა და უთხრა: ჩვენ არ ველაპარაკებით გოგონებს, ვისაც მობილური

წავიდე, გავისერნოთ... თან იდაყვი გამკრა. გოგონებს გაუღიმათ: — ჰო? ჩვენ კი მსუბუქი ყოფაქცევის მამაკაცებს ვერ ვიტანთ... მიბრუნდნენ და წავიდნენ. ჩვენ კი გაოგნებულები დავგვტოვეს. დღემდე არ ვიცი, ვინ იყვნენ, რა უნდოდათ და რატომ გადაიფიქრეს ჩვენთან ურთიერთობა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ მე და ჩემმა ძმაკაცმა მაგარი შანსი გავუშვით ხელიდან. აი, ეს გახლავთ ემანსიპაცია და ალბათ ახლო მომავალში საქმე სწორედ ასე შემობრუნდება. ბიჭები პანელზე გავალთ, გოგონები კი შეგვაბამენ..."

ცრემანსიპაცია

„ეს აბზავი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. მაშინ სტუდენტი ვიყავი — სიცოცხლით სასვე და ენერგიული, 22 წლის მამაკაცი. ერთი ძალზე მაკერი ლექტორი გვყავდა. ძირითადად რუსულად მეტყველებდა. ასე, 35-40 წლის ქალბატონი გახლდათ და თანაც, გაუთხოვარი. ყველა სტუდენტს ემინოდა მისი, რადგან არასოდეს წერდა ნიშანს ტყუილად. მასთან არც ქრთამი ჭრიდა და არც



ტელეფონი არა აქვსო... ორივემ ერთდროულად გაიხსნა ქურთუკის ლილები და დავანახა მობილური ტელეფონები. ქამარზე თითოს სამ-სამი მობილური ეკეთა. მეგონა, სიცხისგან მელანდებამეთქი. თვალები დავხუჭე და ისევ ვაგახილე. არაფერიც არ მელანდებოდა. ჩემმა ძმაკაცმა ისტიბარი არ გაიტყხა: — ფული? ისეთ გოგონებს არ ველაპარაკებით, ვისაც 1.000 დოლარზე ნაკლები თანხა აქვთ ვიბეშიო. — ერთ-ერთმა მათგანმა შარვლის უკანა ჯიბიდან „ლაპატნიკი“ ამოძრო, გახსნა, ასდოლარიანების დასტა ამოიღო და კარტივით გაგვიშალა ცხვირწინ. მე მეორედ დავხუჭე თვალები, გავახილე და მივხვდი, რომ ჩემ წინ მდგარ გოგონას, სულ მცირე, 5 ათასი დოლარი მაინც ეჭირა ხელში და ეს სულაც არ მელანდებოდა. ჩემმა ძმაკაცმა ღრმად ამოისუნთქა და გაბზარული ხმით უთხრა: — თუ მანქანა არ გყავთ, ჩვენთან არაფერი გაგივითო. მგონი, ხავს ეჭიდებოდა, ისეთი სახე ჰქონდა. გოგონამ სიგნალიზაციის პულტი ამოიღო ჯიბიდან და ლილავს ხელი დააჭირა. შესაბამისად, ისეთი ხმა გაისმა, როგორიც მანქანის პულტით გახსნისას ისმის ხოლმე. მე და ჩემი ძმაკაცი ლამის წავიქცეთ. ყოველ შემთხვევაში, მე აშკარად მუხლი მომიკვეთა. ამ დროს, ჩემი მეგობრის ხმა მესმის: — კარგი,

ლამაზი თვალები. „სამიანს“ საერთოდ არ წერდა. თუ საგანი სამზე იცოდი, მაშინვე ორიანს გაჯახებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ორიანი და სამიანი ერთი და იგივე იყო. რა თქმა უნდა, ვცდილობდით, რომ მისი საგანი გვესწავლა და მოწინებითაც ვეპყრობოდით. ერთხელ, მასთან კაბინეტში შევედი და დიდი მოწინებით ვუბნებდი: — ქალბატონო ლუბა, შეიძლება, ჩათვლა ერთი კვირით ადრე დამინიშნოთ-მეთქი? რალაცას წერდა. თავი არ აუნევიდა, ისე მიბასუხა: — „ზაჩოტ ტოლკო ჩერეზ ტრახმანა...“ — გაოგნებული გამოვბრუნდი. — ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა-მეთქი?! ჩავთვალე, რომ მომქსმა და 20 წუთის შემდეგ, ისევ მივედი და იგივე კითხვა გავუთხრო. — იგივე პასუხი დამიბრუნდა. იმ დღეს აღარ შემიწუხებია. მეორე დღეს ისევ იგივე კითხვა გაბრაზებულმა ხმამაღლა მივიყირა: — „ია უე ვამ სკაზალა, ჩტო ზაჩოტი ბუდემ ზდავათ ჩერეზ ტრახმანა“. კარგა ხანს ვიფიქრე, რა გამეკეთებინა, რადგან არანაირი სურვილი არ მქონდა, რომ ასეთი ასაკის ქალს ჩავწოლოდი ლოგინში, მაგრამ რადგან მან არჩევანი ჩემზე გააკეთა, რალას ვიზამდი? გადავწყვიტე, რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი. ისევ შევედი მის კაბინეტში, რაც შეიძლება ახლოს მივედი და თითქმის ჩურჩულით უთხარი: — თანახმა

ვარ! — თავი ასწია და მკითხა: — ნა ჩტო სოგლასენ? — „ნა ტო, ჩტო ზაჩოტ ზდავ ჩერეზ ტრახმანა...“ — ნუ, ტოგდა იდითე კ ტრახმანუ...“ — ვერაფერიც ვერ გავიგე და როგორც ჩანს, სახეზე შემეტყო, რომ ძალიან დავიბნე. უცებ, ქალბატონი ლუბა ახარხარდა. ძლივს მოიბრუნა სული და მეუბნება: — „მოლოდოი ჩელოვეკ, ტრახმან — ეტო ნამ ლექტორ, ვლადიმირ იოსიფოვიჩ, ა ნე ტო, ჩტო ვი პოდუმალი... ნუ, ზა სმელოსტ, დაიტე სვოიუ ზაჩოტნუიუ კნიკუ“. — მივანოდე ჩათვლის წიგნაკი და ხუთიანი ჩამინერა. აი, ასე გადავჩრი“.

ვიდრე შემდეგ ამბავს მოგიყვებით, მინდა, ერთი ძველი ანეკდოტი გავიხსენო: — მიხო, კომუნიზმი რა არისო? — ეკითხება მარო ქმარს. — კომუნიზმი ქალო ის არის, რომა, მაგალითად, მიტოს ვირიც ჩვენი იქნება, მიტოს ცოლიცა, მიტოს ღვინოცა... — იიი, მამ, თუ მენდომება, მიტოც ჩემი იქნება? — დედაკაცო, შენა კომუნიზმსა და ბოზობას ერთმანეთში ნუ ურევო — განრისხდა მიხო... კომუნიზმისა და მაროს რა გითხრათ, მაგრამ მგონი, ჩვენს მომდევნო რესპონდენტს ემანსიპაცია და ბოზობა ნამდვილად არევიან...


გაუსტუმრებული ვალი

„ერთ-ერთ ახალგაზრდა რადიოში ვუშაობ. გვიან ღამით ნამოვედი სამსახურიდან, მეგობართან ერთად. გზაზე საკმაოდ „ემანსიპირებული გარეგნობის“ გოგონა იდგა. ხელი აგვიწია და ჩვენც, მის ფეხებთან დავამუხრუჭეთ მანქანა. კარი გამოვალე და ორნი რომ დავგინახა, ისევ მოხურა: — უკაცრავად, ტაქსი მეგონაო. — მე არ მოვეშვი: — დაბრძანდით, გენაცვალე, ტაქსია, არ მოგერიდოთ-მეთქი. მისამართი გვითხრა, სადაც უნდა მიგვეყვანა. გზაში გამოველაპარაკეთ, გვითხრა, რომ მსახიობი ყოფილა. ჩვენ რადიოსთვის დიჯეი გოგონა გვჭირდებოდა და ორივეს ერთმა აზრმა გაგვიელვა თავში: კარგი იქნებოდა, თუ ასეთი გარეგნობის გოგონას ჩვენთან დავანეგბინებდით მუშაობას. თუმცა, ამაზე ხმაშალა არაფერი გვითქვამს. როდესაც ადგილზე მივედით, გოგონამ ფული გამოგვიწოდა. მე ჩემს მეგობარს მივბრუნდი: — იქნებ, ფული არ გამოვართვით და სხვაწარად გადავხადე-ნოთ-მეთქი? — ვგულისხმობდი იმას, რომ ჩვენთან სამსახურს დავანეგბინებდი და მერე იქნებ, შეშებო ბიდეც... მან კი უცებ მოგახსალა: — იცით, კიჭებო, ახლა ნამდვილად არ მცალია, ჩემი ტელეფონის ნომერი ჩამინერეთ და მერე დამირეკეთო. რა თქმა უნდა, იმ მგზავრობის საფასური უკვე ბევრჯერ გადაიხადა, მაგრამ რადიოში მუშაობა სწორედ თავისი ემანსიპირებულობის გამო ვერ დაინყო...“

ახლა კი, „ბოლომდე ემანსიპირებული“ ქალბატონის პორტრეტი, ჩვენი მკითხველისგან.

„...არა ვარ თამაზი“

„მარტოხელა კაცი ვარ. მიყვარს შუალამედე ტელევიზორის ყურება ან კომპიუტერთან ჯდომა. იმ დღესაც სწორედ ასე შემოვჩრი და ის-ის იყო, უნდა დავწოლილიყავი, რომ ტელეფონმა დარეკა. საათს შევხედე. დილის 5-ის ნახევარი იყო. ყურმილში ქალის სასიამოვნო, საკმაოდ ფხიზელი ხმა გაისმა: — „გამარჯობა, თამაზ“. საერთოდ, ტელეფონით ლაპარაკი არ



მიყვარს, მაგრამ იმ წუთში სულაც არ გავუღიზიანებდი იმ ქალის ხმას. — გაგიმარჯოს, მაგრამ მე თამაზი არა ვარ! — ვუპასუხე და ვინაჲ, რადგან არ მინდოდა, ყურმილი დაეკიდებოდა. — „რას აკეთებ?“ — დილის 5-ის ნახევრისთვის ნამდვილად შეაფერის კითხვა დასვა რადგან ბავშვობიდან მასწავლებს, რომ სიმართლე უნდა ვილაპარაკო, მეც ალბათ ვუპასუხე — ვმუშაობ-მეთქი. — „მარტო ხარ?“ — ალბათ იმიტომ შეგეკითხა, რომ შენ უნდა, ხომ არავინ გააღვიძა მისმა ზარმა. — „არა!“ — ახერხადაც სიმართლე ვთქვი, რადგან სახლში 2 ძალი მყავს — ძუ და მისი პატარა ლეკვი... — „ქალი გყავს?“ — მკითხა შენ უნებელი ხმით. გამახსენდა, რომ ჩემი ორივე ძალი დედალი იყო და ვუპასუხე — კი, 2 ქალი მყავს-მეთქი. — კარგი, ხელს აღარ შეგიშლიო, — ეს რომ მითხრა, გავიფიქრე, რომ ასეთი ცოლი ურიგო არ იქნებოდა. ყურმილის დადება დააყოვნა და მერე ეჭვიანად შეგეკითხა: — ვინ არიან ეგ ქალები? — გოგონა, ვის ურევავ, გენაცვალე? — შევუბრუნე კითხვა. — ვის და — შენ! — ლოგიკური პასუხი დამიბრუნა. — ჰო, მაგრამ მე თამაზი არა ვარ! — არა? აბა, შენ რა გქვია? — თითქმის მართლა ძალიან აინტერესებდა, რა მერქვა. — ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ მე ის არა ვარ! — გაღიზიანებული ხმით ვუპასუხე. — რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს, თამაზი გქვია თუ არა, მაგრამ რაც მთავარია, ყველაფერი ხომ ისეთივე გაქვს, როგორც თამაზს? — უკეთესი! — გამოვიდე თავი... — ჰოდა, თუ უკეთესი, მაშინ ჩემს მისამართს გეტყვი და მოდი! — გაოგნებული დავრჩი. რა თქმა უნდა, ვიზიტზე უარი არ მითქვამს და რაც მთავარია, არ ვინაჲ, რომ დავთანხმდები. აი, რას ნიშნავს ემანსიპაცია...“

„იესკიუზ მი“

„დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი ამერიკაში. თქვენ იქ უნდა ნახოთ, ემანსიპაციისთვის როგორ იბრძვიან ქალები. მათ შუქილიათ, თავისი უფლების შელახვისთვის სასამართლოში გიჩვიონ და იმდენი ფული გადაგახდევინონ, რომ სულ თავზე იწყველო. ქართველი ქალები ანგელოზებად მოგჩვენება, იქ რომ ჩახვალ. ახლა მინდა, ერთი ამბავი მოგიყვებო. ვფიქრობ, მკითხველებს კარგ ხასიათზე დაგყენებ. ერთხელ, ვმზავრობ „მშობლიური“ ნიუ-იორკის მუტროთი. ვაგონში დასაჯდომი ადგილი არ იყო და ფეხზე ვიდექი. უეცრად, მატარებელმა მკვეთრად დააშურა. ამ დროს, ვხედავ, ვიღაც ქალმა ნონას-ნორობა ვერ დაიცვა, ხელები გაშალა, ჩემკენ გამოფრინდა და „ჩაიუხუტა“. უეცრად, ქართულად ამოხეთქა — „შენი დედა...“ და პირდაპირ, უნმანურად შეიგინა. მე ხელი შევაშველე და დავიჭირო, რომ არ წაქცეულიყო. შემომხედა, გამიღიმა და მითხრა: — „იესკიუზ მი...“ — მეც გავუღიმიე და ქართულად ვუთხარი: — „ბოლო-ბოლო“, ვერ გავიგე, ჩემი დედა თუ „იესკიუზ მი?“ — ისე დაიბნა, რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა. უამრავი ბოდიში მოიხადა. ემანსიპაცია ალბათ სართულ-სართულ გინებასაც ნიშნავს... პაატა ცხადაძე“.

ამდენი ქალი?

„ვინც ქალთა კოლექტივში მუშაობს, მას ცვლინება, რა არის ემანსიპაცია. საგაფთეოა,

სამსახური კი არა. 30 ქალში მხოლოდ მე ვარ მამაკაცი. გამაგიჟებს კაცი. სულ არ მერიდებინ, მიანინათ, რომ მეც ქალი ვარ და ნებისმიერ თემაზე ისე გახსნილად ლაპარაკობენ, რომ ლამის ჭკუიდან გადამიყვანონ. სულ ზვირად ვიცი, ვის რამდენჯერ აქვს ქმართან სექსი, ვის როგორი დედამთილი ჰყავს, რა ზომის მკერდი აქვს, როგორი საცვლები უყვარს და თუ ვინმე გასაყიდი ტანსამოსი მოიტანა, ჩემ თვალწინ ისდიან და იცვამენ, ვითომც აქ არაფერი იყო. ეს გახლავთ სრული ემანსიპაცია. მეც, რატომ ავარიდებ თავს? დაფუძნები და ვუყურებ ხოლმე, ახალ ტანსამოსს რომ მოირგებენ, მერე გაახსენდება ხოლმე, რომ მამაკაცი ვარ, ჩემ ცხვირწინ აივლ-ჩაივლიან საჯდომის ქნევით და მეკითხებიან — მამაკაცის თვალთშეშვითაა, მისდებ? — გახდელი უკეთესად გამოიყურები-მეთქი, — ვუტყვი ხოლმე. ჯანდაბას, მაგათი თავი, იყენენ ემანსიპირებულები და ნუ ჩამთვლიან მამაკაცად, მე ხომ ვიცი, რომ ნამდვილი, სრულყოფილი მამაკაცი ვარ და ერთხელ მაგათაც მივახვედრებ. ამას წინათ სამსახურში ასეთ ფაქტს შევესწარი: ერთ თანამშრომელს ქმარმა დაურეკა და უთხრა, რომ ცუდად გახდა და სასწრაფოდ ბრმა ნანღავის ოპერაცია სჭირდებოდა. მორთო ტირილი ამ ქალმა. მე კი გაოცებული ვუყურებ, რადგან კარგად ვიცი, ქმარი არ უყვარს, სულ ფეხებზე ჰკიდია და 1-2 საყვარელიც ჰყავს. მის თვალზე ცრემლი რომ დაეინახე, გამიხარდა, ადამიანურ თვისებებს გაუღვიძია მასში-მეთქი, ვიფიქრე და თანაგრძობით გადავუტუსი თავზე ხელი: — ნუ ტირი, ყველაფერი კარგად იქნება, ბრმა ნანღავის ოპერაცია რთული არ არის და მალე გამოჯანმრთელდება-მეთქი. — ოპერაცია რა შუაშია? ხვალ მასთან გაყრას ვაპირებდი, უკვე მოფიქრებული მქონდა, რა უნდა მეთქვა, ხოლო ზეგ უნდა გავთხოვილიყავი სხვა კაცზე, ახლა კი, კიდევ ერთი თვე უნდა ველოდოოო... — სლუკუნებდა და დარდებს მიზიარებდა ემანსიპირებული ქალი... — რას იზამ, ცხოვრება სასტიკია-მეთქი, ვუთხარი და გავეცალე... ღმერთს კი მაღლობა შევნიერე, რომ ცოლი არ მყავს...“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნობ. „რადგან ქალები სუსტ სქესს მიეკუთვნებიან, სულ ვიჩაგრებიან. ქალებო, ვიბრძობოთ თანაბარი უფლებებისთვის, ჭკუა ვასწავლოთ მამაკაცებს! მაგარი ქალები“.

„ემანსიპაციის რა მოგახსენოთ? ბიჭების დისკრიმინაციას ვწევი. ამ ბოლო დროს, ჩვენად მექცა: გავიცნობ ბიჭს ტელეფონზე, მერე გვიან ღამით ვუწინაჲ პაემანს და ვალოდინებ. მე, რა თქმა უნდა, არ მივდივარ. მერე, გაბრალებული რეკავენ, მე კი ყურმილს არ ვიღებ და ვკაიფობ. ევა“.

„არავინ იფიქროს, რომ ქალები სუსტები არიან, მაგრამ ჩვენთან, მამაკაცებთან გათანასწორება არ შეიძლება. ქალს საკმარისად აქვს ისეთი საქმე, ჩვენ რომ არ ჩამოგვივარდება. თეო“.

„ვერ ვიტან ისეთ მამაკაცებს, ვინც სმასა და ქალებს არის გადაყოლილი. ასეთმა კაცმა ჩემი 23 წლის სიცოცხლე შეინირა. თავბრუ დამახვია და ცხოვრება დამიძინა. სამწუხაროდ, გვიან მოვეცე გოგმა, მაგრამ მაინც მასზე ვფიქრობ. რატომ?“

„ჩემმა დამოუკიდებლობამ, რაც გან-

ისაზღვრება ჩემი საქმიანობით, მყარი შემოსავლით და ალბათ იმიჯით, მამაკაცები დამიფრთხო. მე კი ახლა მივხვდი — მთელი ცხოვრება იმისთვის ვიბრძოდი, რომ ცოტა ხნის წინ ერთი კაცი გამეცნო. სიამოვნებით ვიცხოვრებდი მისი მამაკაცური უფლებების უპირატესობის აღიარებით, მასთან ერთად! ჩემი იმიჯის ნუ შეგეშინდება, მე ხომ ერთი უსუსური ქალი ვარ!“

„ჩემს დევერატ შევყარებულს ჰგონია, რომ ჩემზე მეტი უფლებები აქვს, რადგან მე სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ. დაიძახოსო! მე ნივთი არა ვარ!“

„ქალსა და მამაკაცს აუცილებლად თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ, რადგან გოიმებს თავი ოჯახის უფროსები ჰგონიათ. წინ, ქალებო, კაცებმა არ დაგვგარონ!“

მკითხველთა მიერ გამოგზავნილი აფორიზმები

- ქალის უფლებები — ეს მამაკაცის მოვალეობებია.
 - ქალებმა მამაკაცებს შარვლის მოხმარებაშიც კი ავჯობეს!
 - ემანსიპაციის დევიზი: ყოველ ქალს თითო შინამოსამსახურე!
 - ქალთა ემანსიპაციას მამაკაცთა ჰარამბანად მიგვაყვართ.
 - ქალი მამაკაცის გარეშე იგივეა, რაც თევზი უქოლგო.
 - ქალი ფიქრობს, რომ ჭკვიანია და თავს მამაკაცს უტოლებს, მაგრამ ნამდვილად ჭკვიანი ქალი ამას არ მოითხოვს.
 - ქალები წარმომადგენენ უმრავლესობას, რომლებიც უმცირესობის პრივილეგიებით სარგებლობენ.
 - ქალთა ემანსიპაცია საჭიროა, რადგან ისინი მამაკაცებზე არანაკლებ შეცდომებს უშვებენ.
 - ქალებს აქვთ იმდენივე უფლებები, რაც მამაკაცებს, მაგრამ მათ ინტერესებში არ შედის მათი გამოყენება.
 - როდესაც ქალები მიიღებენ სრულ ემანსიპაციას, ისინი მიიღებენ მამაკაცის ხელზე კოცნის უფლებასაც...
 - მამაკაცებს ისეთივე გადამტეხილი წარმოდგენა აქვთ თავიანთ უფლებებზე, როგორც ქალებს თავიანთ უფლებებზე.
 - რატომ მოითხოვენ ქალები იმას, რაც აქვთ მამაკაცებს? მათ ხომ ის ყველაფერი უკვე აქვთ და კიდევ, მამაკაციც მათი კუთვნილებაა!..
 - დამოუკიდებელია ქალი, რომელმაც ვერ იპოვა ვერავინ, ვისზეც შეიძლებოდა, რომ დამოკიდებული ყოფილიყო.
 - ემანსიპაციის მიუხედავად, ჩვენი ცოლები მაინც ჩვენზე ჭკვიანები არიან.
- აქვარად „გზაპნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემაზე გთავაზობთ: საყვარელი საქმიანობა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61, გვიამბეთ თქვენი საქმიანობის საინტერესო ეპიზოდები ან თუნდაც, ჰობის შესახებ. ველი თქვენს მესიჯებსა და აფორიზმებს მოცემულ თემაზე და გეშევიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობს, **ლარეშან ხაჩიძეს** საზოგადოების უმეტესი ნაწილი მხატვრული ფილმიდან — „სიყვარული ყველა უნდა“ იცნობს. თუმცა, მას არაერთი, უფრო რთული და საინტერესო ხასიათის გმირი ჰყავს სცენაზე განსახიერებელი, ვიდრე — მკერავი გოგო — მაყვალა იყო. დარეჯანი, რეჟისორმა — მიხეილ თუმანიშვილმა თეატრალურ ინსტიტუტში აღმოაჩინა, თავის ოჯახშიც წაიყვანა და მას არა მარტო მსახიობად ჩამოყალიბებაში დაეხმარა, არამედ ცხოვრებაც ასწავლა. დარეჯანს დიდი მხატვრობის სიკვდილი დღესაც ვერ მოუწვდებია და მან, მშობლიური თეატრისათვის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ დღეს, ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „უმაღურობაში ნუ ჩამოვლით — ეს ყველაფერი, რაც გაკეთდა, საოცნებოა მსახიობისთვის... მაგრამ მე ამ ყველაფერს გავცვლიდი ერთ პატარა, ძველებურ ხალიჩაზე, მხატვრობის შავ სარეპეტიციო მაგიდაზე, მის მიერ არტისტულად ჰაერში აწეულ პატარა ჯადოსნურ ჯოხზე, წარმოთქმულ სიტყვაზე — „დავიწყეთ“ და დღესასწაულზე, რაც აქვე, ამ ხალიჩაზე შეეძლო მოესდინა მსახიობებთან ერთად“...



„ლილ კანსტროს ან კოსტოცა, როსა კსახიოჯუი ოჯახს ქანიცინ“

თეატრში დაჯარგული გოგონა, მოლაპარაკე ქარი და მზისთვის გასწორებული თვალები

ლილა ქაჩია

— რუსთავში დავიბადე, რომელიც მაშინ ინტერნაციონალური ქალაქი გახლდათ — რა ეროვნების ადამიანებს არ შეხვედბოდით იქ?! მიყვარდა ებოში ყოფნა და ბავშვებთან თამაში, ძალიან უცნაური ვიყავი, ყველას ვუბღვივდი — ყოველთვის ლიდერობა მინდოდა.

— **ალბათ, ეს გამოგვიადოთ კიდევ არა?**

— გამომდიოდა იმიტომ, რომ მოხერხებული და ალლოიანი ვიყავი. ჩემნაირი ბავშვები, მსახიობები რატომ ხდებიან, იცი? მათ სხვანაირი წარმოსახვა აქვთ: მე გაბზარულ კედელზე და ფოთოლშიც კი, რალაც საინტერესოს ვხედავდი, ჩიტებს დავდევი, სხვანაირად ვბანაობდი, სხვა რამით ვცხოვრობდი... ზაფხულში, სოფელში პაპასთან რომ ჩავდიოდი, სადაც ჩემ გარდა, კიდევ 17-18 ადამიანი იყო (პაპაჩემის შვილები, შვილიშვილები), ანეკდოტის მოყოლას რომ დავიწყებდი, უნდა გენახათ — რა ამბავი, რა სიცილ-ხარხარი იყო. ბავშ-

ვებს ზღაპარს ან რაიმე საშინელ ამბავს რომ ვუყვებოდი, ისინი ხელებს თვალბუზე იფარებდნენ, ეშინოდათ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ანეკდოტსაც და ზღაპარსაც რალაც სხვანაირად ვუყვებოდი. კიდევ ერთ ამბავს გაიხსენებ — სოფელში მწყემსი არ ჰყავდათ და ცხოველების სამწყემსად ბავშვებს გვიშვებდნენ ხოლმე. დილით ადრე ვდგებოდით და რიგრიგობით ვმორიგობდით ხოლმე. მარტო შუადღეზე ვისვენებდით — ვჭამდით, მერე მდინარეში ვჭყყუმბალაობდით მანამ, სანამ ბუბურები არ გაგვიჩნდებოდა; შემდეგ, ისევ საქონელს ვმწყემსავდით. ამ დროს, სულ ძროხებს ხომ არ ვუყურებდით და... მზეს ვუსწორებდით თვალს, მაინტერესებდა — როგორი იყო, მეგონა, თუ დიდხანს დავაცქერდებოდი, რალაც უჩვეულოს აღმოვაჩენდი და ვუმზერდი მანამ, სანამ მზე არ გამწვანდებოდა, გალურჯდებოდა, განითლდებოდა... მერე თითების დახმარებით ვცდილობდი, გამეგო — რამდენ ხანში ჩავდიოდა მზე. ვხვდებოდი — 1 საათში დალამდებოდა თუ ორში... ღრუბლებს რომ ვუყურებდი, იქ ათასნაირ კურდღელს, დევს, ადამიანს და სხვა რალაცებს ვხედავდი: ქარს ჩემთვის ყოველთვის მოჰქონდა რალაც ახალი ამბავი, მელაპარაკებოდა ხოლმე...

თვალი, გონება — მზად უნდა იყო იმისთვის, რომ მას მოუსმინო, თორემ, ისე ვერაფერს გაიგებ.

— **პირველად, სპექტაკლი რა ასაკში ნახეთ?**

— პირველ კლასში ვიყავი, მასწავლებლებმა საბავშვო სპექტაკლის — „ჩიპოლინოს თავგადასავლის“ სანახავად თეატრში რომ წაგვიყვანეს. სპექტაკლით ისე აღვფრთოვანდი, რომ თეატრის ფოიეში დავიწყე სირბილი, მომენილი ტექსტების გამეორება, სიმღერა და როცა გამოვფხიზლდი, ვეღარავინ ვიპოვე, დავიკარგე.

— **ალბათ, სწორედ მაშინ გადაწყვიტეთ მსახიობობა, არა?**

— მაშინ მაგდენის ფიქრის თავი სად მქონდა! მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან მომეწონა... როცა სკოლას ვამთავრებდი, სწორედ იმ წელს, რუსთავის თეატრში მუშაობა დაიწყო არაჩვეულებრივმა დასმა გიკა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით... ჩვენს კლასში, ერთ-ერთ გაკვეთილზე, შემოვიდა ახალგაზრდა კაცი და იკითხა, რომელ თქვენგანს აქვს იმის სურვილი, რომ სპექტაკლში მიიღოს მონაწილეობა? ხელი მორცხვად ავწიე და... ვუა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ერთი პატარა როლი მომცეს. ალბათ, ამან განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი.

— **თეატრალურ ინსტიტუტში როგორ მოხვდით?**

— რუსთავის თეატრში მითხრეს — მონაცემები გაქვს და თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარეო. თბილისში ისე ჩამოვდი, რომ არც კი ვიცოდი — სად იყო ეს უმაღლესი სასწავლებელი. ტროლეიბუსში ჩავჯექი, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი და შემთხვევით,



სცენა სპექტაკლიდან „ემერალდი“. ერთი მანჯარალები, თამო თროლორია, დარეჯან ხაჩიძე, თურა ვასაძე, ვანჩო საყვარელიძე

რუსთაველის თეატრი დავინახე: ჩამოვხტი, ვნახე, რომ თეატრალური ინსტიტუტი იქვე იყო. საბუთები შევიტანე. სწორედ იმ დროს, თურმე მეტყველებამი გასაუბრება უკვე დაწყებული იყო, მაგრამ მეც დამიშვეს. აუდიტორიაში რომ შევედი ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა, ყველა ჩუმად იდგა. პედაგოგმა იკითხა: ვინ იტყვის ლექსსო? ნამოვხტი და ვთქვი — მე ვიტყვი-მეთქი.

— რომელი ლექსი შეარჩიეთ?

— მუსრან მაჭავარიანის „საბა“. ლექსის წაკითხვა რომ დავასრულე, მთელი აუდიტორია გატრუნული იყო, ხმას არავინ იღებდა. ბოლოს, მეტყველების პედაგოგი წამოიღო და მითხრა: თქვენ ჩემი საგანი ჩააბარეთ, კარგი მეტყველება გაქვთ, მაგრამ ვნახოთ — რას იზამთ მომდევნო ტურშიო... მსახიობის ოსტატობის გამოც-

ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი... ისე, როგორც უკვე გითხარი, ძალიან მიყვარდა ფეხბურთი, ასევე მინდოდა, ფორტეპიანოზე დავკრა მესწავლა. ერთხელ, დედაჩემმა, როგორც იქნა, ჩემთვისაც (მრავალშვილიანი დედა გახლდათ) მოიცალა, ჩამაცვა, დამახურა და მუსიკალურ სკოლაში წასასვლელად მოვემზადეთ. ჩემდა ჭირად, ფეხბურთის მოედანი ფეხით გავიარეთ, დავინახე მინდორზე დაგდებული ცარიელი რკინის კოლოფი, ფეხი ვკარი და... ფეხსაცმელმა პირი დააღო. დედაჩემმა მითხრა: ასე სად უნდა წაგიყვანო?! — და უკან გავბრუნდი. მერე, ხან რა მოხდა, ხან — რა და ფორტეპიანოზე დავკრა ვეღარ ვისწავლე.

— თეატრალურ ინსტიტუტში ბატონი მიშას ჯგუფში სწავლობდით?

— კოტე სურმაგას ჯგუფში ვსწავლობდი, მაგრამ როცა თუმანიშვილის ჯგუფს მსახიობის ოსტატობის მეცადინეობა ჰქონდა, აუდიტორიის კართან ვდგებოდი და ვუსმენდი... დღევანდელ სტუდენტებთან შედარებით, ჩვენ უფრო გვიანტრენებდა ჩვენი საქმე, მუშაობა. მაშინ, თეატრალურ ინსტიტუტში არაჩვეულებრივი პედაგოგები გყავდა. თითოეული ჯგუფიდან 2-3 კარგი მსახიობი ყოველთვის გამოდიოდა, დანარჩენები კი, ბაზრობებზე, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში და ა.შ. იწყებდნენ მუშაობას.

— ბატონმა მიშამ, თავისი სახელობის თეატრში სამუშაოდ როდის მიგიწვიათ?

— ერთ დღეს, თეატრალური ინსტიტუტის სასადილოში ვიჯექი და ჩაის ვსვამდი. ამ დროს, ბატონი მიშა შემოვიდა, იმანაც ჩაი აიღო, მერე, მაგიდებს ჩაუარა და რატომღაც ჩემ წინ დაჯდა. თვალს არ მაცილებდა, მერე მითხრა: ახალ თეატრს ვქმნი და არ გინდა ჩემთან რომ წამოხვიდეო? წარმოიდგინე, რა დამემართებოდა! — ლამის ავფრინდი... 1975 წლის 5 სექტემბერს, ახალი დასი შევიკრიბეთ, მაგრამ ამას დიდი პრელუდია ჰქონდა. საქმე რა არის, იცი?... 12 მსახიობი ვიყავით, რომელთაც თუმანიშვილის გენმამა, ჩვენ კომუნისტური რეჟიმის დროს ვცხოვრობდით, ოღონდ მაშინ, როდესაც ადამიანებმა საბოლოოდ დაკარგეს ამ წყობილების რწმენა. ამ 12-კაციანი დასის პირველი სპექტაკლი, თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული სადიპლომი ნამუშევარი — „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ — გახლდათ, სა-

დაც ფაშინის წინააღმდეგ საბჭოთა კომკავშირელთა ბრძოლა ასახული. მაგრამ ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა სპექტაკლში, რომ ფაშინზე არანაკლებ საშიშია კომუნისტები... სპექტაკლის ბოლოს ვმღეროდით „ინტერნაციონალს“: „ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევემნით ახალს, დაჩაგრულს გავხდით მთლიანს“ — ამ სიტყვებში ჩავედეთ ქვეტექსტი — რად გვიწოდოდა ის წესწყობილება, რომელშიც ვცხოვრობდით, ამიტომ მას დავანგრევდით და ისეთს ავაშენებდით, რომელიც ადამიანს შვებას მოუტანდა.

— მერე, ცენზურამ ეს თქვენი სათქმელი უპრობლემოდ გაატარა?

— რატომღაც გაეპარა... შემდეგ, ბატონმა მიშამ დადგა — „ანტიკონი“, ზღაპარი — „ნაცარქექია“, რომლითაც ბიუროკრატია მთლიანად „ამოატრიალა“. საზოგადოებას მისი ნამდვილი სახე უჩვენა...

— თქვენ რამდენიმე წელი ბატონი მიშას ოჯახში ცხოვრობდით, როგორი იყო შინ?

— არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, თუმცა, თავისი სისუსტეებიც ჰქონდა. წარმოიდგინეთ, არ უნდოდა მთავრობასთან, ცენზურასთან კონფლიქტში შესულიყო, მაგრამ როგორც ხელოვანი, ყოველთვის უკომპრომისო გახლდათ და შიშის მიუხედავად, უკან არაფერზე იხევდა. ამასთანავე, ოჯახურ საქმეებში მოუხერხებელი იყო — კედელში ლურსმანს თუ ჩააჭედებდა, ჩაქუსს აუცილებლად ხელზეც დაირტყამდა, მაგრამ შეეძლო უღამაზესი ვიტრაჟი გაეკეთებინა. მშობრაც იყო და გულადიც. დიდ მასტროს არ მოსწონდა, როცა მსახიობები ოჯახს ქმნიდნენ და ამის გამო, თეატრისთვის ვერ იცლიდნენ.

— გათხოვებას გიკრძალავდათ?

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი გაბედნიერება ძალიან გაუხარდა, მაგრამ ამის გამო თეატრი რომ მიმეტოვებინა, ამას არასდროს მაპატიებდა...



დიდ მაესტროს არ მოსწონდა, როცა მსახიობები ოჯახს ქმნიდნენ და ამის გამო, თეატრისთვის ვერ იცლიდნენ

დას ბატონი მიშა თუმანიშვილი, თემურ ჩხეიძე და კიდევ სხვები ესწრებოდნენ. მათ ჩემი სასცენო მოძრაობა ძალიან მოეწონათ, რადგან ცოცხალი ბავშვი ვიყავი, ცეკვა და ქუჩაში ფეხბურთის თამაში, ჩემთვის უცხო არ იყო.

— მსახიობის ოსტატობის გამოცდაზე რის გაკეთება გთხოვეს?

— გავაკეთე ასეთი შინაარსის ეტიუდი: 2 დეპეშა უნდა გამეგზავნა — ერთში ცუდი ამბავი ეწერა, მეორეში — კარგი (ეს დავალება თემურ ჩხეიძემ მომცა). როგორც ჩანს, კარგად შევასრულე, რადგან იქვე მივხვდი, რომ გამოცდა ჩაბარებული მქონდა.

— იქვე როგორ მიხვდით?

— იქ ისეთი „კარგი“ პაუზა ჩამოვარდა, რომ ყველა ყველაფერს მიხვდებოდა: პედაგოგებს სასიამოვნო ღიმილი ეფინათ სახეზე.

— მსახიობობის ნიჭი შთამომავლობით ხომ არ გადმოგეცათ?

— მამაჩემი მეტალურგი იყო, დედა — დიასახლისი. ჩვენს ოჯახს, თეატრთან არანაირი შეხება არ ჰქონდა... ჩემებმა მოგვიანებით გაიგეს, რომ თეატრალური



როცა თუმანიშვილის ჯგუფს მსახიობის ოსტატობის მეცადინეობა ჰქონდა, აუდიტორიის კართან ვდგებოდი და ვუსმენდი...

ბრძოლა წესების გარეშე ქართულად: ჩიხი უაუზინდა ჩუსთოს და ლაუნჩანი

„ზნაოზის კოლაქსი“ - ქართუანი კაცის კაცოზის 365 წესი

კარგად ვიცით ცხოვრების ჯან-სალი წესის უპირატესობანი, თუმცა, სამწუხაროდ, ასე ნაკლებად ვცხოვრობთ... ნაკლებად გვახსოვს (ან ვიცით) ცხოვრების ქართული წესის უპირატესობანი და შესაბამისად, ასე, თითქმის არ ვცხოვრობთ. თითქმის-მეთქი, ვამბობ, რადგან საქართველოში, საბედნიეროდ, კიდევ შემორჩნენ „ქართული იდეით მონამულული“ ადამიანები, დანარჩენი ქართველებისთვისაც რომ არ იშურებენ ამ „სანამლავს“. ამას წინათ, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციას — „ხრიდოლს“ ვენწვი, სადაც 200-მდე ბავშვი ვარჯიშობს და ფედერაციის წამომადგენელს, მწვრთნელს გიორგი კოპოზაშვილს ვესაუბრე.



ირმა ხარშილაძე

— ბავშვი, რომელიც აქ მოდის, ვარჯიშს ქართულ ჭიდაობაში იწყებს. ვგულისხმობ, ჭიდაობის ქართლ-კახურ სახეობას, სადაც ქამარს ზევით არის დამკვებული ხელის ჩავლება. საერთოდ, დაფიქსირებული გვაქვს ქართული ჭიდაობის კიდევ 23 სახეობა. ბევრი ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ არის საკმაოდ განსხვავებული, უნიკალური სახეობებიც. ასეთია მესხური ჭიდაობა, როდესაც ჭიდაობენ წელს ზევით და აგრძელებენ ჩოქბჯენში მტკიცეული იდეებით, მოხრჩობებით. ხევისურეთშიც არის ორი სახეობის ჭიდაობა დაფიქსირებული. ერთს — მოშდამოშ ჭიდაობას, მეორეს — მუქასრისას ეძახიან. დამოშვა ხევისურულ დიალექტზე დაბლუჯვას ნიშნავს. მოკვედ, ასეთი ჭიდაობის დროს, ყოფილა მოხრჩობის, მოტეხილობის, სიკვდილის შემთხვევებიც კი. მეორე — მუქასრისა, არის შარვლის ტოტში ხელის ჩავლებით ჭიდაობა (მუქასარი ჰქვია ხევისურული შარვლის დაქარგულ ტოტს). მოშდამოშ და მუქასრისას იდეების მცოდნეებს შეიძლებოდა, ერთმანეთთან ეჭიდავათ — ორივე ჭიდაობის იდეების გამოყენებით. ჩვენც ავდექით და ხევისურული ჭიდაობის საფუძველს, მესხური ჭიდაობის იდეები დავურთეთ და ხევისურული ჭიდაობა დავარქვით. ეს გახ-

ლავთ მეორე სახეობა, რაშიც ჩვენთან ბავშვები ვარჯიშობენ. მათ ქართულ კრივშიც ვავარჯიშებთ.

— კრივი ქართულიც არსებობს?

— სამწუხაროდ, კრივი ყოველთვის ასოცირდება „ბოქსთან“. რეალურად, „ბოქსი“, დღეს რომ ინგლისურ სახეობად მივიჩნევთ, აბსოლუტურად განსხვავებული სახეობაა და აზიიდან შემოვიდა. რა არის კრივი? — როდესაც ადამიანები ერთმანეთს შურდულებით ებრძვიან ან ვთქვათ, ქვას ესვრიან ერთმანეთს — ამას ქვით-კრივს ეძახიან, ხის ხმლებით ფარიკაობას — სალდასტი-კრივს (სალდასტს უწოდებენ ხის ხმალს), ხოლო როდესაც მარტო მუშტით კრივობს ადამიანი — მუშტი-კრივს. „ბოქსზე“ ადრე საქართველოში საბრძოლო ხელოვნების ნებისმიერი სახეობა რომ შემოსულიყო, მას კრივი დაერქმეოდა. საერთოდ, ისტორიულად, წყვეტა მოხდა ჩვენი ალბრდის კულტურაში, რის შედეგადაც, დღეს კრივს, სრულიად უსაფუძვლოდ, სადაურობის დასახუტებლად, „ქართულს“ ვუმატებთ. ქართულ კრივში კაცი ხმარობს ყველაფერს: ხელს, მუშტს, ფეხს, ჩოქბჯენშიც კი აგრძელებს ჭიდაობას — ეს არის ბრძოლა წესების გარეშე, ოლონდ ჩოხით და განსხვავებული იდეებით.

— რატომ არის ქართველი საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებული?

— ვთქვათ, საქართველოში Football რომ შემოვიდა, მოუძებნეს შესანიშნავი სახელწოდება — ფეხბურთი. კალათბურთის შემთხვევაშიც ანალოგიურად მოხდა. „ბოქსი“ რომ შემოვიდა, ის რატომღაც მუშტი-კრივთან გაიგივეს და მას კრივი დაარქვეს. მეოთხე სახეობა, რომელშიც ჩვენთან ბავშვი ვარჯიშობს, ეს არის ხევისურული ფარიკაობა — მოფარიკავეს ცალ ხელში ფარი აქვს ჩაბლუჯული, მეორეში — ხმალი, ორივე ხელს ფარს უკან მალავს, რაც მტევანსაც იცავს დაზიანებისგან და ფარს ძირითად ფუნქციასაც უნარჩუნებს. აი, ამ ოთხ სახეობაში ოსტატდება ჩვენთან მოსული ბავშვი. მერე ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში, სწავლობს ხის იარაღის და სატევრის ხმარებას, ხმალიაობის სხვა სახეობებს, ვთქვათ, მორქიას (მეგრული სიტყვაა) — ცხენიდან ჩეხის ხელოვნებას, მშვილდოსნობას. ყოველ წელს ვატარებთ ოთხ დიდ შეჯიბრებას — ქართულ ჭიდაობაში, ხევისურულ ჭიდაობაში, ქართულ კრივში და ბოლოს — ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალს, სადაც ხალხიზე გამოსული თითო წყვილი იწყებს ჭიდაობას, გადადის ფარიკაობაზე და ასრულებს კრივით.

ერთდროულად?

— დიას. განსხვავებაა წონით კატეგორიასა და ასაკში. ამ ფესტივალის გამარჯვებულს ვაძლევთ წლის მემეტეს ნოდებას. „მემეტე“ — სპარსული სიტყვის — „ფალავნის“ შესატყვისია და ნიშნავს სხვაზე მეტს. ცხოვრების მანძილზე, ვინც 7-ჯერ გახდება წლის მემეტე, სამუდამოდ ინარჩუნებს ამ სახელს.

ალზრდის კულტურაში წყვეტა ახსენეთ და ეს კრივსაც დაუკავშირეთ. რატომ?

— ეს წყვეტა საქართველოში რუსეთის შემოსვლას უკავშირდება. 1801 წლიდან, სანამ ეკლესიის ავტოკეფალიას გააუქმებდა, პირველი, რაც რუსეთმა გააკეთა, როცა ნახა თბილისში, თელავში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში მოწყობილი ქალაქური კრივობები, მაშინვე აკრძალა, რადგან საშიშროება იგრძნო. რისი შეეშინდა რუსეთს? წარმოიდგინეთ, კრივის დღე ინიშნება წელიწადში რამდენჯერმე, ყველიერის ხუთშაბათს ან სხვა რომელიმე დღესასწაულზე და მასში მონაწილეობს 6000 კაცი ერთად. ერთმანეთს ეჯიბრება, ვთქვათ, რომელიმე ცხემო უბანი და ქვემო უბანი — 3000 კაცი თითოეული მხრიდან. ეს 3000 კაცი დაყოფილია ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად. ყველას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს, თითოეული მხარეს კიდევ — ცალკე ხელმძღვანელი. კრივს იწყებენ ბავშვები — 7 წლის ბიჭები. ჯერ შორიდან შურდულეობით ქვის სროლით იწყებენ, ახლოს რომ მიდიან, იყენებენ სალდასტს — ხის ხმალს, ნაბდის ფარს და ფარიკაობენ. შემდეგ, უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და იწყებენ კრივს. მერე, ასაკი მატულობს და აგრძელებენ 14 წლის ყმაწვილები, შემდეგ — 20-25 წლის ახალგაზრდები და ბოლოს, ბრძოლაში ერთვებიან 35 წელს გადაცილებული სერიოზული მებრძოლები. გამარჯვებულად ის მიიჩნევა, ვინც მოახერხებს პოზიციის დაკავებას, ე.ი. ზემოუბნელებმა უნდა ჩარეკონ ქვემოუბნელები ან პირიქით — ქვემოუბნელებმა უნდა არეკონ ზემოუბნელები. ასეა ორგანიზებული

თბილისის მთელი მოსახლეობა — მამაკაცები. სერიოზული საშიშროების შემთხვევაში, ლაშქარს რამდენიმე წუთში შეუძლია შეკრება. თითოეული — ჩვეულებრივი მებრძოლია: შეუნაცვლებს ხის ხმალს რკინისას, იცის, რომელ ათეულს, ასეულს და ათასეულს ეკუთვნის, ხელმძღვანელი ვინ არის და დაიკავებს თავის ადგილს. ქალაქის მთელი მოსახლეობა მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაშია. რუსეთიც სწორედ ამან შეაშინა, მან აჯანყების საშიშროება იგრძნო.

ანუ მოასპარეზეთა „ლაშქარი“ პროფესიონალი ჯარის რანგში გადაიქცევა?

— მთლიანად საქართველოს მოსახლეობა პროფესიონალი ჯარისკაცების ნაკრების რანგში გადაიქცევა. ამიტომ, ასეთი დღესასწაულები გააუქმეს. როდესაც ციციანოვი მთავარმართებლად დაინიშნა, მან დაუშვა ჭიდაობები, 1832 წლის აჯანყების შემდეგ კი, ისევ გააუქმეს. მერე უკვე ჩვეულებრივი ჭიდაობის გამართვასაც უშლიდნენ ხალხს. აკაკი წერეთელი წერს, იქამდე მივიდა საქმე, რომ მეზურნეები დააპატიმრესო. მაგრამ ქართველ კაცს ისე ჰქონდა სისხლსა და ხორცში გამჯდარი ქართული ჭიდაობა, რომ ასეთი სანახაობები მინც იმართებოდა. იოსებ გრიშაშვილს ძალიან კარგად აქვს აღწერილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ და „საიათნოვაში“ ქალაქური კრივის სახეობები, მათ შორის, ახსენებს ხრიდოლსაც. ამბობს, რომ ხრიდოლი არის ცალი ხელით კრივი, ეს არის დუელის სახეობა. როდესაც ერთი განაწყენებული მეორეს დუელში გამოიწვევს, ის აუცილებლად ცალი ხელით ეკრივება, თანაც, თუ მემარჯვენეა — მარცხენათი და თუ ცაციაა — მარჯვენათი. ცალ ხელს ან ქამარში იდებს, ან უბრალოდ, უკან სარტყელზე მიიდებს (ეს ღირსების საქმეა). მონინალმდეგვს კი, შეუძლია, ცალი ხელითაც ეკრივოს და — ორივეთიც. აქ ჩანს ქართველი კაცის ბუნება — შეგნებულად ჩაიყენოს თავი წამგებიან

მდგომარეობაში. აქ თითქოს საქართველოს ისტორიაც ჩანს: თითქმის ყოველთვის, რიცხობრივად ნაკლებს გვიწევდა ბრძოლა ბევრად მრავალრიცხოვან მონინალმდეგვსთან. რადგან ყველაზე კარგად სწორედ ხრიდოლში დავინახეთ ქართველი კაცის ბუნება, ჩვენს ფედერაციასაც ამიტომ ვუწოდებთ „ხრიდოლი“.


სიტყვა „ხრიდოლი“ რას ნიშნავს?

— თუ არ ვცდები, ჩუბინაშვილის ლექსიკონში წავიკითხე, რომ „ხარდიორდა“ — ეს არის ფანდის გამოყენებით ჭიდაობა, ხოლო „ხრიკულს“ ეძახიან თუშები — ხრიკის გამოყენებით ჭიდაობას. მეც წარმოვიდგინე, რომ ეს იყო ხრიდული (იგივე, ხრიდოლი) — კრივი, რაღაც განსაკუთრებული ილეთების გამოყენებით. იოსებ გრიშაშვილი წერდა, რომ დიდი ოსტატების კრივია ხრიდოლი-კრივი, რადგან ცალი ხელით კრივის ნორმალურად ჩამთავრებას, დიდი ოსტატობა და შესაბამისი ილეთების ცოდნა სჭირდებაო. ამიტომ, ვიფიქრე, რომ სწორედ ეს იყო ხრიდული — კრივი ხრიკის გამოყენებით. ჩვენ დავდიოდით ექსპედიციებში ფშავში, ხევსურეთში და დღემდე შემორჩენილი, მაგარი მოფარიკავეებისგან ვსწავლობდით ბევრ ილეთს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რამდენიმე ილეთი ვნახეთ — ცალი ხელით ჭიდაობის, უხელო ჭიდაობის — მკერდაობის. ჩვენი ვარაუდით, არსებობდა კიდევ მაჯურად ჭიდაობა — ხელის გაშვება არ შეიძლებოდა. ვნახეთ ბრინჯაოს პატარა ქანდაკებები, ისეთ პოზაში დგანან, თითქოს ხელი აქეთ ერთმანეთზე ჩაველებული და ჭიდაობენ. აქედან შესაძლებელია, რაღაც ილეთების აღდგენა.

ეს, რაც შეეხებოდა ქართული საბრძოლო ხელოვნების სპორტულ მხარეს, მაგრამ ერთ-ერთ ექსპედიციამ წავიყენეთ ასეთ მოვლენას: თურმე, ხევსურეთში არსებობდა კაცის კაცობის 63 წესი. ზოგიერთი ხევსური დღესაც ამ წესებით ცხოვრობს. წესების მიხედვით, მკაცრადაა განსაზღვრული — როგორ უნდა მოიქცეს, რა გააკეთოს, როდის იმუშაოს, როდის დაისვენოს, როგორ მოიქცეს ქალთან, როგორ მოიქცეს ნათესავთან... მივხვდით, რომ ეს ადამიანის ზნეობის კოდექსია.

„ცხენზე ზის წმინდა გიორგი, ქვეშ უქრის ნიავ-ქარია, მხარზედა ჰვიდავ მათრახი, 63 მხარია, ვისაცა დაჰკრავს, დაამჩნევს, მისი დაკრული მწარეა“.

ის 63 მხარი, მათრახის 63 დანწულ პირს ნიშნავს და წმინდა გიორგის მათრახთან არის გაიგივებული; ხევსურების კაცის კაცობის წესებიც, ალბათ, წმინდა გიორგის უკავშირდება. არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“ რომ წავიკითხოთ, იქაც პრაქტიკულად სწორედ



ხევსურეთში არსებობდა კაცის კაცობის 63 წესი. მოგიერთი ხევსური დღესაც ამ წესებით ცხოვრობს

მაგაზეა ლაპარაკი: ბევრი წესი არსებობს, მაგრამ ის 365 (ეს ციფრი ხევესურულ კოდექსს კი არა, საერთოდ ქართველებისთვის შესასრულებელ ზნეობის კანონს გულისხმობს) გამორჩეული წესი, რომელიც კაცის კაცობას განსაზღვრავს, ყველა ქართველისთვის სავალდებულოა. არის, მაგალითად, ასეთი წესი — „მუშაობით არ უნდა დაიღალო“. ამ წესში იგულისხმება, რომ ქართველი კაცი არის მეომარი, სამშობლოს დამცველი და მუდამ დაუღლეელი უნდა იყოს. ის ყოველ წუთს უნდა ელოდოს თავდასხმას, ამიტომ, სულ მზადყოფნაში უნდა იყოს. ამის გაგრძელებაა ერთ-ერთი წესი — „არ უნდა დათვრე“. ეს არის ხევესურეთში დაფიქსირებული წესი. თითქოს წარმოუდგენელია, ხევესურეთში სმისას არ დათვრე, ისეთი დაძალება იცინავს; მაგრამ იცით, რაშია

რა და სად იდო. სანოლზე უნდა ჩამოეკიდებინა ტყავის აბგა სამი დღის საჭმლით, რადგან შეიძლება, უცებ მდევარში წასულიყო. განგაშის შემთხვევაში, უსწრაფესად უნდა ჩაეცვა: ვიდრე მთვარე ნახევრად ამოსცდებოდა მთას, უნდა აღჭურვილიყო, ცხენზეც შემჯდარიყო და საბრძოლველად მზად უნდა ყოფილიყო.


ერთ-ერთი წესი არის — „გონით არ გამავიდას“ — არ უნდა დაკარგო სულიერი წონასწორობა ბრძოლის დროს, არ უნდა გაბრაზდეს, განრისხდეს.

შემდეგი წესი არის აზარი — ნადირობისას გამოარჩევდნენ წმინდა ცხოველებს, რომლის რქასაც სწირავდნენ ხატს. ასეთი იყო ჯიხვი, არჩვი, ნიამორი, ირემი, შველი. აზარი ნიშნავს, რომ მონადირეს შეუძლია, 100 ასეთი ცხოველის მოკვლა ანუ შეწირვა, ოღონდ ერთ ჯერზე

ბის კანონს, ჩვენ აღვადგინეთ ეს წესები. ასე რომ, როდესაც მოდის ჩვენთან ბავშვი, როდესაც იზრდება ნამდვილ ქართველად, ჭეშმარიტ სპორტსმენად ყალიბდება, ის არა მარტო ქართულ საბრძოლო ხელოვნებას ეუფლება, არამედ ქართული ცხოვრების წესით ცხოვრებას ეჩვევა; ნებისმიერმა იცის, რომ ყველა საქმის დაწყების წინ, აუცილებლად უნდა ილოცოს. ვთქვათ, ვინმე დაიგვიანა ვარჯიშზე, შესენების გარეშე მიდის, დგება სპეციალურ სალოცავ კუთხესთან, ლოცულობს და მერე შემოგვიერთდება. აქ მოსულ ბავშვს კვირაში ერთხელ აუცილებლად უტარდება ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი, სწავლობს ქართულ ცეკვას.

— **თქვენთან მარტო ვაჭები მცადაინებენ?**

— დღესდღეობით — კი, ორასამდე ბავშვია. გვყავდა გოგონების გუნდი. სანამ



როდესაც მოდის ჩვენთან ბავშვი, როდესაც იზრდება ნამდვილ ქართველად, ჭეშმარიტ სპორტსმენად ყალიბდება, ის არა მარტო ქართულ საბრძოლო ხელოვნებას ეუფლება, არამედ ქართული ცხოვრების წესით ცხოვრებას ეჩვევა

პატარები იყვნენ და ხელს აძლევდათ პირველ ცვლაში ვარჯიშში, ვაგარჯიშებდით, ახლა შეუძლებელია: აქ ერთი დარბაზია და 4 საათის შემდეგ, სულ ბიჭები ვარჯიშობენ, ბიჭების და გოგონების ვარჯიში კი, ერთად არ შეიძლება — ეს აბსოლუტურად განსხვავებული სისტემაა.

— **მარტო თბილისელი ბავშვები ვარჯიშობენ?**

— კი. ისე, რაიონებშიც გვყავს ძლიერი ჯგუფები. მაგალითად, ახალციხეში,

საქმე? ხევესურებს ძალიან უყვართ ქილიკი. ქეიფის დროს ცდილობენ, ერთმანეთს სმა დააძალონ, იქნებ, სიმთვრალეში ვინმეს რამე შეეშალოს, რომ მეორე დღეს, მთელმა სოფელმა დასცინოს. მაგრამ ერთი მშვენიერი ტრადიციაც აქვთ ხევესურებს: თუ ატყობენ თავს, რომ დალევა აღარ უნდათ, შეუძლიათ, სასმელი, პირდაპირ სმის დროს, დაღვარონ მინის იატაკზე.

საერთოდ, კაცის კაცობის წესები იწყება ასე: პირველი წესი არის ორჯული — კაცი, მოვლენილია ამქვეყნად ღვთის სამსახურად. მთის ხალხი სხვადასხვა ხატის ყმაა — სხვადასხვა ხატს ემსახურება. ყველაფერს იწყებს და ამთავრებს ღმერთით. იგივე ხატები — სალოცავები ქართლშიც არის, ასე რომ, ქართველი კაცის დანიშნულებაა ღვთის სამსახური. აქედან გამომდინარეა ყველა დანარჩენი წესი.

კაცი დასაძინებლად რომ დაწვებოდა, აღჭურვილობა, ტანსაცმელი ისე უნდა დაელაგებინა, სიბნელეშიც უნდა გაერკვია,

— მხოლოდ თითოსი. ამის შემდეგ, ის იარაღი უწმინდურად ითვლებოდა და განსაზღვრულად მინაში ფლავდნენ. ასეთივე აზარი არსებობდა ბრძოლაში: ბრძოლის დროს, მხოლოდ 12 კაცის მოკვლა შეეძლო. გახურებული ომის დროსაც კი, 12-ის მოკვლის მერე, უნდა გამდგარიყავი გვერდზე, რადგან იგულისხმებოდა, რომ კაცი იყო ღვთის სამსახურში, ღმერთი მფარველობდა, ამიტომაც, ეს ღვთის წესი უნდა შეესრულებინა. თუ გადააცილებდა — ღმერთისგან დაისჯებოდა.

— **ანუ ეს იყო დაუნერვლი კოდექსი და ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა თაობებს?**

— ეს იყო დაუნერვლი, მაგრამ ყველამ ძალიან კარგად იცოდა. რომ ვახსენე, ხევესურეთში იყო 63 წესი-მეთქი, 1920 თუ 1923 წელს, არხოტში ჩატარდა კრება და ხევესურებმა გადაწყვიტეს, რომ 63 წესი 23-მდე დაეყვანათ, რადგან ძალიან ძნელი შესასრულებელი იყო. რაც შეეხება მთელ საქართველოში არსებულ 365 წესს, ზნეო-

ადიგენსა და ვალეში ჩვენმა მეგობარმა — ყოფილმა მოჭიდავემ — ზაზა ჩილინგაძემ რამდენიმე ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა. მას ტაო-კლარჯეთშიც გაუხსნია ჭიდაობის სექცია, იქაურ ქართველებს ავარჯიშებს. რაიონებში, ძირითადად, პედაგოგების პრობლემა გვაქვს. სულ ათი კაცი ვართ, ვისაც შეუძლია, ხრიდოლში დამოუკიდებლად ავარჯიშოს ბავშვები. ბიჭების თაობა გაიზარდა, დღეს მწვრთნელებად მუშაობენ, მაგრამ დამოუკიდებლად სწავლების მთლიან პროცესს ვერ უხელმძღვანელებენ. დროა საჭირო, რომ მომდევნო თაობა გაიზარდოს. ასე რომ, დღეს ჩვენი საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია — ეს არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მოძრაობა ცხოვრების ქართული წესისთვის, რომელიც დაფუძნებულია კაცის კაცობის 365 წესზე. კაცი, რომელიც „მოინამლება“ ხრიდოლით, ქართული იდეით, გაიზრდება ზნეობის წესებით, ცოდნას ცუდ საქმეში არ გამოიყენებს.

„ვცდილობდი, ჩემს თავყვანისმცემლებს ერთმანეთთან არ ეჩხუბათ, სიტუაციებს ვანიტირებდი, ყველას ვუძემაკაცდებოდი“, — მითხრა მსახიობმა ნინო ლეჟავამ, რომელიც ვერელობით დღესაც ამაცობს. მისი გულისთვის, ბიჭები ერთმანეთის დაჭრასაც კი ახერხებდნენ და დაზარალებულები, მსახიობს შინ ურეკავდნენ იმის სათქმელად — რას მერჩოდით?..

„ძეგლმითი ჯიღვამი“ მსახიობი, ვერელობი ყანნიერა ჩუმდი და საჯდომში დაჭმითი „ჯაჟომნიჟი“



ლიპა ქაჯაიძე

— ტერმინი „თინიჯერი“ ახლა შემოვიდა მოდაში. ჩემს დროს, ამ ასაკის ადამიანებს, „ახალგაზრდებს“ ეძახდნენ. როგორც ჩანს, დასავლური ორიენტაცია გვინდა ავილოთ და ამისთვის ყველაფერს ვაპასივნებთ.

— და მაინც, რასთან ასოცირდება შენთვის თინიჯერული ასაკი?

— ბავშვობასთან, სკოლასთან, იმ ლამაზ პერიოდთან, როდესაც ნამდვილი ვერელები ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილები ვერის ბალთან... იმ პერიოდს რომ ვისხენებ, თვალები ცრემლით მეცხება ხოლმე.

— როგორ ფიქრობ — დღევანდელი თინიჯერებისგან რითი განსხვავდებოდით?

— ყველას ერთ ქვაბში ვერ ჩავყრი, მაგრამ დღეს, ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს, რატომღაც ჰგონია, რომ ყველაზე დიდი თავისუფლება — უზრდელობა და თავხედობაა. მე თვითონ ბიჭის პატრონი ვარ, რომელიც მე-5 კლასშია და სამწუხაროდ, მან უკვე დაიწყო მასწავლებლისთვის ენის შეტრუნება. სკოლაში ბავშვები ჯგუფებად არიან დაყოფილნი და ერთმანეთს ტანსაცმლის ხარისხის მიხედვით უშეგობრდებიან, სოციალურ ფენებად იყოფიან, რასაც ვერასდროს ვიტანდი. სხვათა შორის, ე.წ. დაბალი ფენის წარმომადგენლებს უფრო ვუმეგობრდებოდი, მათ „ძალად სვეტებისგან“ ვიცავდი და ამის გამო, ზოგი, დედა ტერეზას მეძახდა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ ითვლებოდი?

— ფრიადოსანი არ ვიყავი, მაგრამ რატომღაც ბევრი ბავშვად მაინც მთვლიდნენ. „შატალოზე“ პირველი მე გაგრობოდი, ფეხბურთს ვთამაშობოდი, მეკარეც ხშირად ვყოფილვარ და ვინ იცის, რეებს არ ვაკეთებდი.

— მასწავლებლებსაც აბრაზებდი, არა?

— არა მგონია, სკოლა ვინმეს ისე დაემთავრებინა, რომ მასწავლებელი ერთხელ მაინც არ გაებრაზებინა. არასდროს ვყოფილვარ ყელსახვევიანი „შკოლნიცა“. იყო გაკვეთილები, რომლის დროსაც ჩუმად ვთამაშობდით „ჯოკერს“, „ქალაქობანას“



არასდროს ვყოფილვარ ყელსახვევიანი „შკოლნიცა“. იყო გაკვეთილები, რომლის დროსაც ჩუმად ვთამაშობდით „ჯოკერს“, „ქალაქობანას“

ლებელს წინასწარ ვუთხნებოდი — თქვენი საგანი არ მესმის-მეთქი. შევიკრიბებოდი 4 მოსწავლე (ვისაც საგანი არ ესმოდა), სულ ბოლო მერხთან დავსდებოდი და ჩუმად ვთამაშობდით „ჯოკერს“, „ქალაქობანას“.

— „შატალოზე“ ხშირად დადიოდით?

— ამ მხრივ, მე-10 კლასში გადავრინეთ. ზამთარში, ერთმანეთზე დაკიდებულები, ფეხით ავსულვართ ფუნთუკლორზე, ყინულის ლოლუებს ვვიდებოდი, ვერთობოდი. მახსოვს, ერთხელ, „შატალოზე“ წავდიდი, ძალიან მოგვმივდა, რაღაც კაპიკები შევაგროვეთ, სოსისი ვიყიდეთ და ყველამ თანაბრად გავინანილეთ. ის დღე არასდროს დამავიწყდება.

— მშობლები ამის გამო არ გიბრაზდებოდნენ ხოლმე?

— არა, როცა ყველა მიდიოდა, მე რატომ უნდა დავრჩენილიყავი?! თუ „შატალოზე“ წასვლას დავაპირებდი და რომელიმე კლასელი არ წამოგვეყვებოდა, მეორე დღეს „ვანაშობით“ ხოლმე. ჩვენს დროს, ექსკურსიაზე წასვლასაც სხვა ხალისი ჰქონდა — სპეციალურად ვიცვამდით დახეულ ტანსაცმელს, იმიტომ, რომ მერე იქ კარგად გვეგოვრავა, ახლა კი, ყველა გამოპრანჭული მიდის. ის კი არა, ვგიჟდები, როცა ბაზარში ბრილიანტებასმული და „აუურულ“, „ტიულით“ განყობილ კაბაში გამოპრანჭულ ქალებს ვხედავ.

— რა, ასე გამოწყობილი ქალები ბაზარში მართლა გინახავს?

— აბა, ხომ არ გატყუებ?! მინახავს და საკმაოდ ხშირადაც. ეტყობა, ასეთ ქალბატონებს ქმრები არაფერს აკლებენ, მაგრამ არსად არ უშვებენ და სად უნდა ჩაიცივან ძვირფასი კაბები?.. ვიცნობ ისეთ ქალებსაც, რომლებიც სახლში 10-სანტიმეტრიანი ფეხსაცმლით „დაბაკუნებენ“, კერძებს გამოპრანჭულები ამზადებენ, „ბაკაბუკისგან“ მეზობლებს ტვინი ნაუღეს, მაგრამ რა ქნან?!

— ვერელობა შენთვის რას ნიშნავდა?

— საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად იზრდება ადამიანი. ვერელო-

ბით იმიტომ კი არ ვამაცობ, რომ ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ვიზრდებოდი, არამედ იმიტომ, რომ ჩემს უბანში ძველი კოლორიტიული სახეები იყრიდნენ თავს. სხვათა შორის, დღემდე ვერ ვეგუბები სხვა უბანს. ერთადერთი, ვორონცოვი მიყვარდა (ისიც, დედაჩემის და მამიდაჩემის ხათრით, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ), სწორედ იმ უბანში გავთხოვდი, მაგრამ ვერელობას ვერ ვუღალატე..

— მაშინდელი თინიჯერები როგორ ერთობოდით ხოლმე?

— ერთმანეთთან სტუმრად დავდიოდით. ხშირად კინოში, ვერის ბაღში მივდიოდით და ათასგვარ კარგ თემაზე ვსაუბრობდით.

— კონკრეტულად?

— დღეს ამის გამო შეიძლება, ვიღაცამ დამცინოს, მაგრამ — ვარჩევდით წიგნებს, ფილმებს, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე და ა.შ. სამწუხაროდ, ის დრო მოკვდა. იმასაც ვალიარებ, რომ ჩემს 12 წლის შვილს ნიგნი ვერ ავალებინე ხელში და ეს ფაქტი ძალიან მამწარებს. ახლა, თუ კომპიუტერი გაქვს სახლში ან მასთან მუშაობა იცი, მაგარი ტიპი ხარ, თუ არა და, უკიდურეს შემთხვევაში, „პაღუმეკებში“ — მინის ქვეშ უნდა ირბინო. მერე მიდის საქმეების გარჩევა, კლასები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ა.შ. ჩემს დროს, ასეთი რაღაცები არ ხდებოდა. ამას რომ ვამბობ, თავი 100 წლის ბებერი მგონია, მაგრამ რა ვქნა — ღმერთს სიმართლე უყვარს!..

— თინიჯერობის ასაკში შევავარებული არ გყავდა?

— თქვენ წარმოიდგინეთ — არ მყავდა. თუმცა, თავყვანისმცემლები არასდროს მაკლდა, მაგრამ მათთან ძმაცობა მერჩინა. გოგონები „პაკლონიკებზე“ ჩურჩულით ვლაპარაკობდით. დღეს კი, 15-16 წლის ახალგაზრდა ამაცობს იმით, რომ რიგით მესამე შეყვარებული იმიტომ მიატოვა, რომ დეგენერატი და იდიოტი აღმოჩნდა. ამ ასაკში, მე სულ სხვა რაღაც მაინტერესებდა.

— მაინც რა?

— თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებაზე ვოცნებობდი, ამისთვის ვემზადებოდი.

— თავყვანისმცემლებს არ აბრაზებდი ხოლმე?

— ჩემი ყოფილი „პაკლონიკები“ გულდაწყვეტილებით მსოლოდ იმიტომ შეიძლება იყვნენ, რომ მე მათ სიყვარულითვე ვერ ვუპასუხე, თორემ, მათი გაბრაზება არასდროს მიცდია. მათგან საჩუქრებს არ ვიღებდი, პაემნებზე არ ვთანხმდებოდი, მარტო

ყვავილების მორთმევის უფლება ჰქონდათ. ზოგიერთი გოგო ჩემნაირებს შტერს და დეგენერატს ეძახის — თუ თავს გამოგაყენებინებენ, რატომ არ იყენებო?!. მე კი ვამბობდი — რაც არ მერგება, იმას ძალით ვერ შევირგებ-მეთქი.

შენი „პაკლონიკები“ ერთმანეთს არ ეჩხუბებოდნენ ხოლმე?

— ვცდილობდი, ერთმანეთთან კონფლიქტი არ მოსვლოდათ. ერთი შემთხვევა გამახსენდა — მანგლისში ვიღაც ბიჭი გავიცანი და თბილისში ჩამოსულს, თურმე, სკოლაში მომავითხა. ჩემს ერთ-ერთ თავყანისმცემელს უკითხავს — რომელი უბნელი ხარ და ვისთან მოხვედიო? იმას უპასუხია: ვაზისუბნელი ვარ და ნინოსთან მოვედი — მიყვარსო. ბიჭებს ვერის ბაღში წაუყვანიათ და საწყალი ბიჭი, საჯდომში დაუჭრიათ. რამდენიმე დღის შემდეგ, იმ ბიჭმა დაიმირცა და



რალაქ პერიოდი, მოდამი, იდიოგურად გაწეილი ლაპარაკი იყო. ამაზე, სხვებს დაფიცინოდი და მერე მიხვდები, რომ თურმე, ეს მეც ჩვევაში გადამივიდა

მკითხა: ასეთი რა დაგიშავა, რას მერჩოდო?!. კინაღამ გავგიჟდი: შენ ცუდად ხომ არ ხარ, რა გინდა-მეთქი? — ვკითხე. მერე მომიყვა, რაც გადახდა თავს. ასე იყო: თუ ვინმე მომპატივებდა, უბნებოდნენ — ბიჭო, შენ იცი, სადა ბანაობო?!

— კიდევ რა ტერმინი იყო მაშინ მოდაში?

— რალაქ პერიოდი, მოდამი, იდიოგურად განელილი ლაპარაკი იყო. ამაზე, სხვებს დაფიცინოდი და მერე მიხვდები, რომ თურმე, ეს მეც ჩვევაში გადამივიდა. სამაგიეროდ, ახლა მოდამი, რბილი „ლ“-ებია, რომელიც რაიონული კი არა, რალაქ ქალაქურ-გოიმურია.

— ვინმეს ფანი თუ იყავი ან თუ ცდილობდი, რომელიმე ცნობილი ადამიანისთვის მიგებადა?

— ხუმრობით ვბაძავდი ხოლმე — რამაზ ჩიქვაძეს, თამარიკო გვერდინათელს და სხვა ცნობილ სახეებს, მაგრამ არასდროს არავისი ფანი არ ვყოფილვარ. მახსოვს, თბილისში ცნობილი ფრანგი მსახიობი, პიერ რიშარი რომ ჩამოვიდა, გადაიღეს ფილმი — „შეგვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი“, სადაც მასობრივ სცენებში მეც მივიღე მონაწილეობა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი სურათი არ გადამიღია მასთან — მაშინ, როდესაც თავყანისმცემლებით გარს

შემოხვეული, საწყალი რიშარი, დათვი მამა და მაიმი ჩიკო მეგონა, — როცა ის იჯდა და მასთან სურათის გადაღების მსურველთა უზარმაზარი რიგი იდგა...

— შენ რატომ არ გადაიღე სურათი?

— იმიტომ, რომ შემეცოდა — არ მინდოდა, მეც შემეჩხუბინა. საწყალი, გაკრეჭილი სახით, სკამზე ერთ პოზაში იჯდა და გიჟივით იყურებოდა... მახსოვს, მაშინ, ინდურ ფილმებსაც ბევრი ფანი ჰყავდა.

— შენ არ დადიოდი ინდური ფილმების საყურებლად?

— სხვათა შორის, ეს ფილმები, უფრო სწორად, მსახიობების ფერადი კოსტიუმები და ცეკვები მომწონდა. ინდური ფილმის საყურებლად რომ მიყავდი ვინმეს, მამაჩემის ყვირილი ანგრევდა სახლს — ნუ უფუჭებთ ამ ბავშვს გემოვნებასო!..

— დაგიფერო, არ გქონდა სურვილი, რომ სხვებისგან გამორჩეული ყოფილიყავი?

— ჩაცმულობით — არა, მაგრამ სხვებისგან გამორჩეული, ჩემი მხიარული ხასიათის გამო ვიყავი. ყველა ამბობდა: ლეჟავა რომ არ იყოს, ხალხის არაფერს ეწებოდანო. მაგრამ მერე მიხვდები, რომ ზოგი იმიტომ მეპატივებოდა თავისთან, რომ ფორტეპიანოზე დაძვრდა, ანეკდოტები მომეყოლა, — მოკლედ, ხალხი უნდა გამერთო, ჯამბაზი ვყოფილიყავი. ბევრი ფიქრობდა, რომ ვაფერუნდი. როცა ამას მიხვდები, ყველაზე გაებრაზდი — რატომ ვაფერუნდი? იმიტომ, რომ მიყვარს, როცა ადამიანი იცინის, მინდა, მას ნუთით მაინც დაევაფიწო თავისი პრობლემა და ამის გამო, მისთვის ყურბზე ვდგებოდი?.. ამ პერიოდმა გამიარა — აღარც ანეკდოტს ვყვები და არც ყირაზე ვდგები. ახლა ტვინი წაიღეს — ხასიათზე რატომ აღარ ხარ ხოლმეო?.. მოკლედ, ამ ხალხს ვერაფერი გაუფერე.

— თინათინა ჯაფარიძის ასაკში, არ იპარანჭებოდი ხოლმე?

— ო, გაპარანჭვა ბავშვობიდანვე მიყვარდა. ბებიჩემი, ელენე ცქვიტინიძე-აბაკელიასი, რომელიც 98 წლის ასაკში გარდაიცვალა, საოცარი ქალი იყო. ის მუსკომედიის თეატრის მთავარი დიზაინერი ხელსდებდა. ქუჩაში ვუალანინი შლაპისა და ხელთათმანის გარეშე არ გადაიოდა. ფილარმონიაში თუ მიდიოდა, აუცილებლად ლორწოვანი და ლოჯაში უნდა მჯდარიყო. მას ძალიან პატარა ფეხი ჰქონდა (ისედაც დაბალი ტანის ქალი იყო). ეტყობა, გაპარანჭვის მხრივ, მას ვგავდი — მის ფეხსაცმელს ვიცვამდი, მისი ნივთებით ვიპარანჭვოდი. სკოლაში თავისუფალი ჩაცმის უფლება რომ მოგვეცა და ის საზიზღარი, „სუნიანი“ ფერის ფორმები რომ გადავაგვადეთ, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, ყოველდღე სხვადასხვა ტანისამოსის ჩაცმა მინდოდა, ბიჭებს ვუპარანჭვებოდი. ბედნიერი ვიყავი, რომ პიონერის ყელსახვევი, რომელიც სულ ჩანთაში მედო და არ ვიკეთებდი, აღარ უნდა მეტარებინა. კომკავშირელის მანდატი პირველბაშა მე და ჩემმა კლასელებმა, დათო ჯაფარიძემ დავევით. მოკლედ, პრანჭვა, მაგრამ აღქვანი გოგო ვიყავი.

— კიდევ რით განსხვავდებიან დღევანდელი ახალგაზრდები მაშინდელი თინათინა ჯაფარიძისგან?

— მაშინ, ბიჭს მძაკაცისთვის ნაშა რომ

„აეხია“, ეს „პოდლობად“ ითვლებოდა, მაგრამ დღეს, ეს ვაჯაცობად ითვლება... მაშინ სპექტაკლს სხვანაირი იყო — ახლა, სცენიდან თითო-ორილა დედის გინება თუ არ ისმის, იმ სპექტაკლს არავინ ესწრება. ხალხი აფიშაზე შექსპირის რომელიმე პიესას რომ წაიკითხავს და თუ გაიგებს, რომ პიესა გათანამედროვეებულია, რომ იქ დახეული ჯინსით დადიან და ჯულიეტას ქვედა საცვალი გამოუჩნდება, შესაძლებელია, ხალხი სპექტაკლს დაესწროს, მაგრამ თუ გაიგებს, რომ პიესა თანამედროვე დრამატურგის შეთხზულია, იქ დედის გინება ისმის, სალაროსთან წყევტა, დარბაზში სრული ანშლაგია. ამიტომ, დღევანდელი რეჟისორი, მსახიობები იძულებული არიან, იაფფასიანი, გაცვეთილი, დამტაშვებული თემები ითამაშონ... ერთხელ, მამაჩემი (მსახიობი გია ლეჟავა — ავტ.) ჩემს სკოლაში რალაქ საქმეზე მოსულა. მე კლასში ვიყავი, როცა ვიღაც ბიჭი ყვირილით შემოვიარდა — სკოლაში ვერელი კანონიერი ქურდი მოვიდაო! ყველანი გარეთ გავცვივდით და მამაჩემი შემჩნა ხელში. იმ ბიჭს ვკითხე: ვინ არის ქურდი-მეთქი? — ესო, — მითხრა და ხელი მამაჩემისკენ გაიშვირა. ერთ-ერთ ფილმში, მამა კანონიერი ქურდის როლს თამაშობს და ეგონათ, რომ ცხოვრებაშიც ქურდი იყო... არ დამავინწყდება ის დღეც, როცა ფილმში — „თბილისი ჩემი სახლი“ გადამიღეს. ამ ფილმში, ჩემი გმირი კვდება... მოკლედ, ერთ დღეს, ტროლიბუსში ავედი და მესმის: დედა, ეს გოგო გუშინ არ მოკვდაო?.. გავიხედე და ვიღაც ბიჭები ჩემს შიშით იყურებოდნენ. მათ ვუთხარი — რას მიყურებთ? მოკვდი, ალვედექი და ახლა, ყველა მიფრთხილდა-მეთქი...

— როგორ ფიქრობ — რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართველი და უცხოელი თინათინა ჯაფარიძეები?


— იმით, რომ ჩვენთვის ეს თანამედროვეობა, სრული თავისუფლება, მიმბაძველობით გამოიხატება, ისინი კი, ამ მენტალიტეტით არიან დაბადებული და ცხვირზეც უხდებთ საყურე და ენაზეც...

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინათინა ჯაფარიძეებს?

— ნუ მიშპაძავთ სხვებს, პირიქით — ეცადეთ, რომ თქვენ მოგბაძონ. მით უმეტეს — ხედავთ, რომ დღეს, ჩვენი ტრადიციებით, ხალხური სიმღერითა და ქართული ცეკვით მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია. იყავით ის, რაც ხართ.

P.S. ძვირფასო თინათინა ჯაფარიძე! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც ნინო თავის თინათინა ჯაფარიძეს და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და ახლანდელ თინათინა ჯაფარიძეებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინათინა ჯაფარიძეები რალაქ ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულისტკივილი გაგიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, მაშინ დაგვიმეგობრე ნომერზე: 899 17-35-27.

გადასახურობა



ანი, 21 წლის:

„აქამდე, ბედინაზე სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, მისდამი დადებითად განვეწყვე. ძალიან მომეწონა მისი რჩევა ნარკოტიკებთან დაკავშირებით“.

ბაილინა:

— ძირს ნარკოტიკი, გაუმარჯოს ჯანსაღ რეპს!.. არ ვიცი, რატომ გეგონათ, რომ ნარკოტიკების მომხრე ვიყავი, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი იმიჯი მაქვს, ქუჩაში გაზრდილი კაცი ვარ და ქუჩაში ნაშალი უფრო იშოვება, ვიდრე ვთქვით, დოსტოვესკის „დანაშაული და სასჯელი“.

საბია, 16 წლის:

„ბედინა, მართლაც, საუკეთესო რეპერი ხარ. ამაში, ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ უფრო დავრწმუნდი. მინდა, რჩევა გკითხო — უკვე მეოთხე წელია, რაც ერთი ბიჭი მიყვარს, ის კი, ვერც მამჩნევს. თან, სამწუხაროდ, ნარკომანია. მაგრამ გულს როგორ უბრძანებ?! რა ვქნა — ვუთხრა, რომ მიყვარს?.. მეშინია, „კაიფი“ არ დამიწყოს. მით უმეტეს, რომ დიდი სილამაზით არ გამოვირჩევი. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში არ გამომართლა. ბედინ, შენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ“.

ბაილინა:

— წერილი მისწერე, მაგრამ იმას კი ნუ ეტყვი, რომ გიყვარს. უბრალოდ, მის მიმართ სიმპათია გამოხატე და ბარათი რამენაირად მიანვლინე. შეეცადე, შენს სიმპათიას ის სუსტი წერტილი უპოვო (ნარკოტიკის გარდა), რაზეც შეგიძლია, მიუთითო... წერილის მიწერის შემდეგ, ცოტა ხანი ნუ გამოჩნდები: დაინტრიგდები და იქნებ, უნახავად შეგიყვაროს ან სულაც, შეიძლება, ნარკოტიკსაც შეეშვას.

ვაპა, 15 წლის:

„ბედინ, მაგარი ვილაც ყოფილხარ. ერთი კითხვა მაქვს შენთან — ბიჭებს ჩემნაირი ასტაჯანა გოგოები მოსწონთ?“

ბაილინა:

— შენნაირი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, არ მომწონს ცანცარა, მეტიჩარა გოგოები, თუმცა, არც „მკვდარი“ მანდილოსნები „მევასება“. მომწონს

ცოცხალი, მოუსვენარი, „მატრიცული“ გოგონები, რომლებიც სწრაფად აზროვნებენ.

თაპო, 18 წლის:

„ბედინ, მეგონა, ფულისა და ქალებების გარდა, არაფერი გაინტერესებდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. შენმა ინტერვიუმ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, მიხარია, ქართველი კაცის სახე რომ განაღვლებს. ისე, „ვოსტოჩნიე სკაზიკი“ არც მე მომწონს, მაგრამ ქართულ რეპს, რუსული ესტრადა ნამდვილად სჯობია. ქართული რეპი ყალბი და უინტერესოა. კარგია, თუ ამასაც გაითვალისწინებ“.

ბაილინა:

— ჩემო თაპო, შენ გეტყობა, ქართულ რეპს კი არ უსმენ, არამედ უყურებ. რეპს კი მოსმენა სჭირდება. გირჩევ, ქართული რეპის ჩანაწერებს კარგად მოუსმინო (თუნდაც, ჩემს „განქსტა დუეტების“ ერთ-ერთ კრებულს) და მიხვდები, რა არის ჭეშმარიტება. აი, მერე ვილაპარაკოთ მუსიკაზე. მით უმეტეს, როცა მეუბნები, რომ „ვოსტოჩნიე სკაზიკი“ არ მოგწონს, ისიც ხომ რუსული ესტრადის ერთ-ერთი გამონაშთია!.. ვიმეორებ — მირჩევნია, ცუდი ქართული სიმღერა მოვისმინო, ვიდრე რუსულ ესტრადას დავუგლო ყური.

სალი, 15 წლის:

„ბედინა, გაქვს თუ არა იმის პრეტენზია, რომ ლექს-სენზე უკეთ რეპავ?“

ბაილინა:

— მე არასდროს მითქვამს, რომ ვინმეზე უკეთესი ან უარესი ვარ. ეს თქვენ, მსმენელებმა უნდა გვითხრათ.

თაითა, 17 წლის:

„სალო“ ბედინ, შენგან ასეთ ლაპარაკს არ ველოდი. ჩემს თვალში რეიტინგი ავიმალდა, მაგრამ ალიარე, რომ ქართული რეპი მაინც ნულია, იმიტომ, რომ ეროვნული არ არის და გულიდან არ მოდის. ჩვენ „მრავალჟამიერი“ უფრო გვიხდება, ვიდრე სიმღერა ნაშებსა და სექსზე. ეს ჩვენში არ ზის და ამიტომაც ვერ „ქაჩავს“ ვერავინ“.

ბაილინა:

— ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. სუფრასთან რეპი არც მე მომწონს. მაგრამ არის ისეთი სიტუაციები, როცა „მრავალჟამიერს“ ვერ იმღერებ. რეპი გულიდან ნამოსული არ არისო, რომ ამბობ, ამაში ვერ დაგეთანხმები, რადგან რეპის თემა, სწორედ საკუთარი გულისტკვილის გადმოცემაა. ეს სტილი შენ არ მოგწონს, მაგრამ რეპს თაყვან-

ისმცემელების არმია ჰყავს.

ბაპო, 18 წლის:

„აუ, რა ჯიგარი ხარ, ბედინა?.. მაინტერესებს — ირაკლი გაბუნიასთან თუ გაქვს გარეპილი და როგორ რეპავს?“

ბაილინა:

— როგორც ვიცი, ირაკლი გაბუნია რეპერი არ არის, ის ხმებში მღერის. ჩვენ დუეტი ჩავწერეთ, რომელიც ახალ ალბომში — „რაო, პატარავ, მოგენატრე?“ — არის შესული. ირაკლი ნორმალური მომღერალია და თუ კარგად „იმუშავებს“, შეიძლება, ირაკლი ფირცხალავასთანაც აღმოჩნდეს (ციცინის).

ბარი, 15 წლის:

„მინდა გითხრათ, რომ ყველა ახალგაზრდას რაღაც პრობლემა აქვს. მე საბერძნეთის ქალაქ ათენში ოჯახთან ერთად ვცხოვრობ და ჩემს პრობლემას ძირითადად, ბიჭები წარმოადგენენ. საქმე ისაა, რომ ბიჭებს არ ვენდობი, იმიტომ, რომ აქ ყველა ცუდი თვალთ გაყურებს — ლოგინში უნდათ შეგითრიონ. არადა, მაგრამ მინდა, ვინმე წესიერი გავიცნო და შევიყვარო, მაგრამ მეშინია — იმედი არ გამიცრუვდეს. რა ვქნა?“

ბაილინა:

— დაემრწმუნე, ყველა იმაზე არ ფიქრობს, რომ გოგო ლოგინში შეითრიოს, თუ ამის საბაბს თვითონ გოგო არ იძლევა. ნურავის მისცემ იმის უფლებას, რომ გული გატყინოს. დრო მოვა და ღირსეული ადამიანი აუცილებლად გამოჩნდება.

ელი, 17 წლის:

„1 წლის წინ, უბნელი ბიჭი შემიყვარდა. ის ე.წ. ძველი ბიჭია. არ მეგონა, „ნამალზე თუ იჯდა“. მის გასაცნობად რა არ გავაკეთე?! ბოლოს, იმდენი მოვახერხე, რომ თავი დამეყვარა... ერთხელ, მეგობართან დამაპტიყა, დავლიეთ, დავთვერი და მერე წამალიც გამიკეთეს. მთელმა „სასტავმა“ ვიკაიფეთ... იმ დღის შემდეგ, ორივე ერთად ვიკეთებთ ნამალს. დღეს, მინდა, ეს უბედურება თავიდან მოვიცილო, მაგრამ ვერც ერთს ვეშვები და ვერც — მეორეს (შეყვარებული). ბედინა, შენ რას მირჩევდი?“

ბაილინა:

— ფსიქოლოგი არა ვარ და ამიტომ, მხოლოდ ის შემიძლია გირჩიო, რომ თავი ფიზიკურად დაიტვირთე — დილით ადრე ადექი, ივარჯიშე, ნამალზე ალარ იფიქრო. იმ ვნებამ, რომელმაც „გაგაჩხერინა“, წამალიც გადაგადგებინოს. შეეცადე, შენი შეყვარებული იმაში დაარწმუნო, რომ თავს ილუპავთ. დარწმუნებული ხარ, რომ მას უყვარხარ? თუ უყვარხარ, შენი გულისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს. იბრძოლე ბოლომდე და ამ ბრძოლაში გამარჯვებას გისურვებ.

ინფორმაციულ-მედიასფეროში კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკრები:

1. კილო — ქუთუთოს კიდეა.
2. „წულისწული“ და „შვილიშვილი“ სინონიმებია.
3. ვლადიმირ პუტინი შავი ქაბრის მფლობელია ძიუდოში.
4. კანადას, დაცინვით, ამერიკის ლელვის ფოთოლს ეძახიან.
5. ლოკოკინებს სამი წლის განმავლობაში შეუძლიათ იძინონ.



6. ფიჭიან თაფლს კიპრუჭი, მეორენაირად კი — გოლეული ჰქვია.
7. კონეკტიკუტის შტატში აკრძალულია ქუჩაზე ხელებით გადასვლა.

8. ქერა მამაკაცებს შავგვრემანებზე უფრო სწრაფად ეზრდებიან წვერი.

9. „ატმისებრი მერილინ მონრო“ ვარდის ერთ-ერთი ჰიბრიდული ჯიშია.

10. ფესხაცმლის თასმის პლასტმასის დაბოლოებას აქსელბანტი ჰქვია.

11. ამერიკელი მომღერალი, დინ რიდი ლენინური პრემიის ლაურეატი იყო.

12. კომპანია „მარლბოროს“ პირველი მფლობელი ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა.

13. არსებობენ ადამიანები, რომელთაც მთვარეზე აქვთ შესყიდული მიწები.

14. ძილის დროს, ადამიანი უფრო მეტ კალორიას წვავს, ვიდრე ტელევიზორის ყურებისას.

15. მხატვრული ფილმი — „რაჭა ჩემი სიყვარული“ — ბრატისლავასა და სოხუმშია გადაღებული.

16. იულიუს კეისარი დაფნის გირგინს უკვე აშკარად შესამჩნევი სიმელოტის დასაფარავად ატარებდა.

17. ვენერა ერთადერთი პლანეტაა მზის სისტემაში, რომელიც საათის ისრის სანინალმდეგო მიმართულებით ტრიალებს.

18. ერთხელ, ლას-ვეგასში ყოფნისას, მსახიობმა ბენ აფლეკმა 150.000 დოლარი მოიგო. მოგებული თანხიდან 100.000 დოლარი მან კაზინოს მომსახურე პერსონალს დაურიგა.

19. „პაცანი, სეგოდნია ია იეხალ ნა მაშინე, სმატრიუ, სლევა დევუშკა, სპრავა დევუშკა, სლევა დევუშკა, სპრავა დევუშკა!.. ჩევო ანა ზა დვორნიკი ზაცუპილას?!“ — ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.

20. მხატვრული ფილმის — „ტროას“ გადაღებისას, მეომართა იარაღი რეზინისგან იყო დამზადებული, ისრები — ქალაღისაგან.

21. ტრაფალგარის ბრძოლის დროს, ინგლისის ფლოტის ადმირალი, ჰორაციო ნელსონი, სააღლუმე ფორმით, გემის კიჩოზე იდგა. იგი მტრის ტყვიამ იმსხვერპლა.

22. „ძალიან ბევრი ენა უნდა შეისწავ-

„ცხელი ყვოვნების“ „ცხელი სხე“ რას მის ცხოვრებაში დაშვებული ყველაზე რიდი შეცდომას

სატელევიზიო პროექტი „ცხელი კალენდარი“ დასასრულს უახლოვდება. 36 გოგონადან, ჟიურიმაც და მაყურებელმაც 6-6 მონაწილე უნდა შეარჩიოს. 12 გამარჯვებული ფოტომოდელის სურათებს ქალაქის ცენტრში, ბილბორდებზე გააკრავენ. ამ პროექტის შესახებ, ერთ-ერთ მონაწილეს, სტუდია — „ლიკა ყაზბეგის“ მოდელს, 19 წლის ნინო თაყაიშვილს ვესაუბრეთ. ის მარტოხელა დედაა და მიაჩნია, რომ ცხოვრებაში ყოველთვის უმართლებს, თუნდაც იმაში, რომ ბოლო ორი კვირის მანძილზე, ის რეიტინგით პირველ ადგილზეა.



ობენ, რომ მაყურებლებს ისინი ჩაცმულებიც მოეწონებათ.

— რას ნიშნავს შენთვის, იყო „ცხელი კალენდრის“ სახე?

— თავიდან, საბუთები 3000-მა გოგონამ შევიტანეთ, აქედან, კასტინგზე მხოლოდ 60 დაგვიბარეს. ჟიურიმ კი, 36 გოგო შეარჩია და პროექტის ავტორებმა კონტრაქტი გაგვიფორმეს. ასეთ კონკურსში პირველად ვმონაწილეობ, ამიტომ, ფოტოკამერის წინ პოზირების დროს, საშინლად ვნერვიულობ ხოლმე. ამის გახსენებაზე, ტანში ჟრუანტელი მივლის.

— კონტრაქტის გათვალისწინებით კონკურსანტებს რა მოგეთხოვებათ?

— უფლება არ გვაქვს, ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, ჟურნალისტს ინტერვიუ მივცეთ, არ უნდა გავიდეთ ქალაქიდან მაშინ, როცა გადაღება დაგეგმილი, პროექტის დროზე ადრე დატოვების შემთხვევაში კი, ფულადი ჯარიმა დაგვეკისრება. მინდა გითხრათ, რომ კონტრაქტში არ წერია — უნდა გაშიშვლდეთ. ასე რომ ყოფილიყო, მეც და ბევრი სხვა გოგოც მონაწილეობას არ მივიღებდით.

— გოგონებს როგორი დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთთან?

— სხვათა შორის, ყველა ძალიან თბილი და მეგობრულია, ყოველ შემთხვევაში, შური და ბოღმა არ გვამოძრავებს. ჩემი აზრით, 12 გოგონას შორის აუცილებლად იქნებიან ანუკი არეშიძე და ნატა ბოხოვა.

— შენ?

— მე — უჩვეულად გავიმარჯვებ...

სოფო ყარალაშვილი

— ნინო, პირველ რიგში, აგვიხსენი — რას ნიშნავს „ცხელი კალენდარი“?

— ყველას ჰგონია — რადგან



„ცხელ სხეულზე“ კი არა, „ცხელ სახეებზე“ ლაპარაკი

პროექტს „ცხელი კალენდარი“ ჰქვია, აუცილებლად შიშველი გოგონების სურათები უნდა იყოს. ვერ მოგართვით (იციინის) აქ, „ცხელ სხეულზე“ კი არა, „ცხელ სახეებზე“ ლაპარაკი. ამ პროექტში იმდენად ლამაზი გოგონები მონაწილე-

— როგორც ვიცი, მარტოსელა დედა ხარ. როგორ უთავსებ ერთ-მანეთს — სწავლას, მოდელის კარიერის აწყობას და შვილის აღზრდას?

— გიო 3 წლის ხდება, მის აღზრდაში დედაჩემი მესმარება, თუმცა, გარკვეულ დროს მამამისის დედასთანაც ატარებს, უყვარს მასთან ყოფნა. სწავლა (ნიჩო ყურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს. — ავტ.) და ფოტომოდელის კარიერის შექმნა კი, ისორი საქმეა, რომელიც მსიამოვნებს. ისე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემთხვევით აღმოვჩნდი, სამსახიობოზე მიწოდდა ჩაბარება.

— შემთხვევით, როგორ?


— მე გორელი ვარ, ქმარიც გორელი მყავდა, იქ კი, სამსახიობო ფაკულტეტი არ არსებობდა. ქმარს რომ გავეშორდი, პანიკაში ჩავვარდი, აღარაფერი მიწოდდა: როგორია — 17 წლის გოგო, ბავშვით ხელში, მარტო რომ დარჩები?! დედაჩემმა სიურპრიზი მომიწყო, თბილისში ჩამომიყვანა და ვაჟა-ფშაველას გამზირზე ბინა მაჩუქა. ჩემი მეგობრები „ალმა-მატერში“, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდნენ, ჰოდა, მეც იქ ჩავაბარე.

— როგორც „ცხელი კალენდრის“ კონკურსანტს, ინსტიტუტში ლექტორები შელავათს არ გინვენ?



ქმარს რომ გავეშორდი, პანიკაში ჩავვარდი

NINI TAVKELISHVILI



ყველაზე დიდი სისულელე, რასაც ქალი ცხოვრებაში სჩადის — ადრე გათხოვება

Height: 165 cm

Bust: 82 cm

Waist: 60 cm

Hips: 85 cm

Eyes: green

Hair: brown

Date of birth: April 1987

— „ცხელი კალენდარი“ არ გიშველისო, — მეუბნებიან.

— პატარა გიო რას ამბობს, როცა დედიკოს ტელევიზორში ხედავს?

— თავიდან გაუკვირდა — ამ ყუთში როგორ შევტიეო (იციანს)? აწუხსენი და ახლა სხვა არხზე აღარ მართვევინებს ტელევიზორს, სულ დედას ელოდება.

— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს.

— თაყვანისმცემლებზე არ ვილაპარაკებ, ისე — არიან. არ მინდა, ჩემი შვილი რომ გაიზრდებოდა, დედამისზე ვინმეს რაიმე აუგის თქმის საფუძველი ჰქონდეს. ამიტომ, დღეს ისე ვიქცევი, როგორც უნდა იქცეოდეს ზრდასრული ქალი, თუმცა ხანდახან მომინდება, რომ ჩემი თანატოლებივით თავისუფლად ვიცხოვრო.

— ესე იგი, ჯერ გათხოვებას არ აპირებ?

— ყველაზე დიდი სისულელე, რასაც ქალი ცხოვრებაში სჩადის — ადრე გათხოვებაა. მე ეს გამოვცადე, რადგან 14 წლის გავთხოვდი. ვფიქრობდი — საყვარელი ადამიანი სახლში რომ მიყოლებოდა, სწავლა-განათლებას უფრო მშვიდად მივხედავდი, მაგრამ მეორე დღესვე გამიცრუვდა იმედი. არ გავთხოვდები მანამ, სანამ ცხოვრებას არ ავიწყობ. ისე, პეტრე ცისკარიშვილი მომწონს, პრეზიდენტსაც არა უშავს, მაგრამ უფრო ახალგაზრდა რომ იყოს (ილიმება)..

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეჩი ღვალის უბის წიგნაკრან:

ლო, ბიძიკო, ქართული ენის ფასი და სიდიადე რომ გაიგო“, — უთხრა ერთხელ ნოდარ დუმბაძეს აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა.

23. პიტლერი ლოგინიდან გვიან დგებოდა და ხშირად, მთელი დღის განმავლობაში არაფერს აკეთებდა, განსხვავებით სტალინისაგან, რომელსაც „კარტო თევის მეგობარს“ ეძახდნენ, რადგან სამუშაოში ჩაფლული, დღე და ღამე კაბინეტიდან არ გამოდიოდა.



24. ერთხელ, როდესაც ცნობილი მათემატიკოსი, ვაცლავ სერპინსკი ოჯახთან ერთად სხვა ბინაში გადადიოდა საცხოვრებლად, ცოლმა სთხოვა, ყურადღება მიექცია ბარგისათვის, რომელიც ათ ყუთად იყო შეკრული, თავად კი, სატვირთო მანქანის საძებნელად წავიდა. მეუღლის წასვლის შემდეგ, სერპინსკიმ, ყოველი შემთხვევისათვის, დათვალია ყუთები და აღმოჩნდა, რომ ათის ნაცვლად, ცხრა ყუთი იყო. მან კიდევ ერთხელ გადათვალია ყუთები და დარწმუნდა, რომ ერთი ყუთი მართლაც აკლდა. „იცი, ათი ყუთის ნაცვლად, ცხრა ყუთია“, — შესჩივლა დაბრუნებულ მეუღლეს. „გამორიცხულია! მე სულ ათი ნუთით ვიყავი წასული!“ — შეწუხდა ცოლი. მან თავად გადათვალია ყუთები და ათივე, ადგილზე აღმოჩნდა. ერთი ყუთის დაკარგვის მიზეზი ის იყო, რომ სერპინსკი, როგორც მათემატიკოსი, თვლას ნულიდან იწყებდა.

25. ლავრენტი ბერიას, ივანე ჯავახიშვილთან ფარული, პირადი მტრობა ჰქონდა. ჯავახიშვილს სემესტრის დამთავრება არ აცალეს, ისე დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. მთვრალმა სტუდენტებმა ლექციის ჩატარების საშუალება არ მისცეს და აუდიტორიიდან გააძევეს. რეპრესიების დროს ივანე ჯავახიშვილის გადარჩენას სტალინის ცოლისძმას (სვანიძეს) მიაწერენ, მაგრამ სინამდვილეში, თავად სტალინს დასჭირდა ჯავახიშვილი — ბელადს სურდა იმის დამტკიცება, რომ იგი მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნიდან იყო და არა ვილაც ბარბაროსი, რასაც ხშირად იმეორებდა ტროცკი. ჯავახიშვილს დეივალა, ჯულაშვილების გენეალოგიის გამოკვლევა, რასაც მან კარგად გაართვა თავი და სტალინის მოწონებაც დაიმსახურა. ამის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი დეპუტატად აირჩიეს, მისცეს აგარაკი, დაუნიშნეს პერსონალური ავტომობილი. იგი 64 წლის ასაკში ლექციის კითხვისას გარდაიცვალა.

ნათქვამია: ისტორიას ხალხი ქმნის; ვერდიქტიც სწორედ ხალხს გამოაქვს, ოღონდ — ცოტა მოგვიანებით. უფრო „დროულად“ კი, არც „საბრალდებო დასკვნები“ გვაკლია, არც საკამათო და სადავო ილევა და შესაბამისად, გასაანალიზებელიც ბევრი გვიგროვდება. დღესაც, ჩვენს რუბრიკაში — განსხვავებულ აზრს და წინა რესპონდენტისგან (პოლიტოლოგ გიორგი გაჩეჩილაძისგან, „გზა“, №18) განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანს მოვუსმენთ. „აქტუალური ინტერვიუს“ სტუმარია „სახალხო ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბუბაზ სანიძე.

გამრუდებული დემოკრატია, სამოქალაქო აზროვნების დეფიციტი და ტვიინის „გადასატრიალებელი თაგუნი“

ირმა ხარშილაძე

— ბატონო გუბაზ, როგორ ფიქრობთ, დღეს ისტორიკოსი უფრო ხართ თუ პოლიტიკოსი?

— ჩემდა სამწუხაროდ, პოლიტიკოსი უფრო ვარ, რადგან, ჩემი სპეციალობით არ ვმუშაობ, არ ვმუშაობ, არ ვაგრძელებ ფაქტობრივ მასალას, თუმცა, ეს ორი სფერო ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან: კაცობრიობის ისტორიის ყველა დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ უზადოდ იცოდა ისტორიული ფაქტოლოგია.

— მოდი, როგორც ისტორიკოსმა წარმოიდგინეთ, რომ თავისუფალი დემოკრატიული საქართველოს მემკვიდრე ხართ. ძალიან მოკლედ როგორ მოაქვებით საქართველოს უახლეს ისტორიას?

— ფაქტობრივად, მესამედ იწყება ახალი ქვეყნის შენება. სამჯერ რომ რაღაცის შენებას დაიწყებ, უნდა იცოდე, რომ ის არასდროს დასრულდება... შევფასებ მოკლედ: ბოლო 15 წელი — ეს არის ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ძალზე ხელმოკცებული მცდელობა.

— გაგულდებათ დღეს საქართველოში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლების სათავეში ყოფნას იმსახურებს?

— როგორ არ მეგულება?! მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსისთვის ყველა ღირსებით დაჯილდოებული ადამიანი არის აკაკი ასათიანი.

— ამ შემთხვევაში, ტენდენციური არ ხართ?..

— არა. თუ დამერწმუნებით, აკაკი ასათიანზე ჭკვიანი პოლიტიკოსი ვერ ვნახე აქ. 18 წელია, ჩვენი პოლიტიკური გუნდი არსებობს და თუ პოპულარული არაა, გავლენიანი მაინცაა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გონებრივი და მორალური შესაძლებლობების შედეგია. ფული არასდროს გვქონია, არც რეგიონს ვმართავდით, ხელისუფლებაში მხოლოდ 1 წელი ვიყავით, სამწუხაროდ — როცა ზვიად გამსახურდიას დროს გადატრიალება მოხდა და ვერ მოხერხდა ქვეყ-

ნისთვის საჭირო პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელის ბოლომდე ჩამოყალიბება. ამის შემდეგ, სულ ოპიზიციაში ვართ და ჩვენი იდეებიც ყველასთვის ცნობილია, თუმცა, ნაკლებად იზიარებენ სხვა პოლიტიკური ჯგუფები. მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებას ერთი პლუსი აქვს: ვაკუუმს ვერ იტანს. ამიტომ ღრმად მნამს, რომ ოპიზიცია მოახერხებს, ვინმეს გარშემო კი არაა, მომავალი საქართველოს, ქართული სახელმწიფოს მოდელის გარშემო გაერთიანებას და ჩვენი იდეებიც მაშინ განხორციელდება. პოლიტიკოსისთვის ინტელექტია აუცილებელი და არა ბიზნისინტერესები. დღეს ბევრს ბიზნისისა და პოლიტიკის წესები ერთნაირი ჰგონია, არადა — სხვადასხვაა.

— ბოლო დროს, სწორად ლაპარაკობენ ოლიგარქებზე...

— მოდი, გავსწავლო ფრჩხილები — ლაპარაკია ბადრი პატარკაციშვილზე. „ოლიგარქია“ ნიშნავს ხელისუფლებასთან შეზრდილ ბიზნესს (რამდენადაც ვიცი, ბადრი პატარკაციშვილს არა აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესი), ხოლო „ოლიგარქია“ ჰქვია მდიდარ ადამიანს იმ შემთხვევაში, თუ ის ხელისუფლებასთან არის დაახლოებული. ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის პრობლემა რა არის? — არ ვიცი თუ ამა თუ იმ ტერმინის უსუსტი მნიშვნელობა.

— მგონი, ყველა თავისებურად განმარტავს ამ მოვლენას...

— რამდენადაც ვიცი, მარტო ლევან ბერძენიშვილმა განმარტა სწორად ოლიგარქის მნიშვნელობა. (ცნობისათვის: ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ეს ცნება ამგვარადაა განმარტებული: „Oligarchia ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მცირეთა ძალაუფლებას (Oligos — მცირე; arche — ძალაუფლება). ესაა მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც, სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ადამიანთა მცირე ჯგუფს, როგორც წესი, ეკონომიკურად ძლიერთ“. — ავტ.). რა არის, იცით?.. ოლიგარქი არის საკმაოზე მეტად ხელფესმეკრული ადამიანი. ის არ არის თავის სოციალურ არჩევანში



გარკვეული. ბადრი პატარკაციშვილმა საკმაოდ ვაუკაციური ნაბიჯი გადადგა ის თქვა, რაც უნდა ეთქვა: დღეს ქართული ბურჟუაზიის დარბევა მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ეს ვერ გაბედა ვერც ერთმა ქართველმა ბურჟუამ. რა იქნება შემდგომში — ვერ გეტყვით. არ ვიცი, აპირებს თუ არ პატარკაციშვილი პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას.

— რა როლი, ადგილი უჭირავს დღეს საქართველოს მსოფლიო სივრცეში?

— საქართველოს ტერიტორია ძალზე მნიშვნელოვანია გეოსტრატეგიული თვალსაზრისით. აბა, როგორც ერს და სახელმწიფოს, პატივს არ გვცემენ, იმიტომ, რომ სამწუხაროდ, გამოცდა ვერ ჩავაბარეთ. ბოლო 15 წელია, ყველა გამოცდაში ორიანს ვიღებთ. ჩვენ ანგარიშს არავინ გვინებს, გვიყურებენ, როგორც მათხოვარ ერს და მათხოვარ სახელმწიფოს, მაგრამ ჩვენს ტერიტორიას, როგორც გეოსტრატეგიულ ერთეულს, განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი პრობლემებიც აქედან მოდის. ბალანსია დარღვეული: ტერიტორია ყველას ძალიან სჭირდება, მაგრამ ჩვენ — როგორც ეთნოსი, ნაცია, როგორც სახელმწიფო — არავის. იმიტომ, რომ ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა თავის ტკივილია სხვებისთვის. ახლა კავკასიაში ორი მოთამაშე ძალა არის — რუსეთი და ამერიკა, ხომ?.. მე გეტყვით სიმართლეს: რუსები, მათი საკმაოდ პრიმიტიული საგარეო პოლიტიკის გამო, ღიად ავლენენ ზრახვებს და ოფიციალურად, დეკლარირების დონეზე, ქართულ სახელმწიფოებრიობას ემხრობიან, ამერიკელები და ანგლოსაქსები უფრო დახვეწილად მოქმედებენ, თუმცა ისინიც მაინცდამაინც არ ინტერესდებიან, რომ აქ — „ახალი ისრაელი“ აშენდეს, რადგან ისრაელი ძალიან პრეტენზიული სახელმწიფოა; „ახალი თურქეთი“ აშენდეს — რადგან ისიც პრეტენზიული სახელმწიფოა, კარგი მადა აქვს... როცა ამერიკელები ერაყში შედიოდნენ, თურქებმა უარი უთხრეს მათ საჰაერო ბაზის მიცემაზე. ახლა, როცა ირანის ჯერი

დადგა, საქართველოს ხელისუფლება ვერ ეტყვის უარს აშშ-ს ბაზაზე, ხომ? აი, ესაა საქმე! რატომ ვერ იტყვის? — იმიტომ, რომ სუსტი სახელმწიფო ვართ. არა ვართ პოლიტიკური სუბიექტი, ამიტომ ყველა ჩვენზე ზემოქმედებს და არავინ გვეკითხება რამეს. ისტორია მეორედება: 1555 წელი, ამასიის ზავი — ოსმალეთმა და ირანმა ჩვენი ბედი გადაწყვიტეს ისე, რომ არაფერი გვეკითხეს. შემდეგ, ლენინის და ათათურქის ხელშეკრულება — იგივე სიტუაცია შეიქმნა; ახლაც იგივე ხდება — ამერიკა და რუსეთი ვაჭრობენ ერთმანეთთან, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი ვართ ორივესთვის, მაგრამ ჩვენ არავინ გვეკითხება ჭკუას. ეს ვისი ბრალია? — რა თქმა უნდა, ჩვენი. 6 საუკუნეა, ვერა და ვერ ვიქცევით პოლიტიკურ სუბიექტად. შეიძლება, ამდენი ხანი დაულაგებლად იცხოვროს ქვეყანამ? — არ შეიძლება.

— ალბათ, გასულ საუკუნეების საქართველოს ხელისუფალთაც ბევრს საყვედურობდნენ...

— მაშინ ობიექტური მიზეზები იყო ძალიან მძიმე, არ მოქმედებდა საერთაშორისო სამართალი, არ არსებობდა

რომელიც შევარდნაძის ოჯახს შეარჩინდა და ჩვენს შვილებს ვალად დაადე, თან დემოკრატია რომ გამრუდებული მაქვს, რადგან 1995 წლიდან არჩევნების გამყალბებლები დამისვი ხელისუფლებაში, მინიშნავ პრეზიდენტებს — ამ ყველაფერს თავი დაანებე და 4 მილიარდი კიდევ ზემოდან დამიმატე... აბა, როგორ გინდათ?! მაგრამ ეს ხელისუფლება ვერ „ივაჭრებს“, იმიტომ, რომ ამერიკის მოჯამაგირეა. ამიტომაც აუცილებელი ოპოზიციური სპექტრის მომძლავრება, რომელიც დაელაპარაკება რუსსაც, ამერიკელსაც, ოლონდ — მათ ჭკუაზე არ ივლის. საერთოდ, პოლიტიკამ არ იცის გამოუვალი სიტუაციები, თუ ჭკუა და დიპლომატიის უნარი გაქვს.

— თქვენ კიცხავთ ხელისუფლებას „გამრუდებული“ დემოკრატისთვის. რას ითხოვთ მისგან — „სტირლიურ“ დემოკრატია?

— არავითარ შემთხვევაში.

— ისე, არ შეიძლება, არსებობდეს ასეთი დემოკრატია?

— როგორ არ შეიძლება?! მაგრამ ქვეყნის სპეციფიკას გააჩნია. მაგალითად, რუსეთში დემოკრატია კლასიკური გაგე-

დეს ქვეყნის მოწყობის წესზე: საპრეზიდენტო რესპუბლიკამ არ გაამართლა, უნდა ვიფიქროთ საპარლამენტო რესპუბლიკაზე; საჭიროა თვითმმართველობის არჩევნები; ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ნატო გვჭირდება ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ხომ? თუ ნატოში შესვლამ ჩვენი ტერიტორიების დაკარგვას შეუწყო ხელი, მაშინ არ უნდა შევიდეთ. ამ იდეასაც აქვს არსებობის უფლება. შევიდეთ ნატოში და ხორცის, სხეულის ნაწილი შევატოვოთ რუსეთს?! თუ აფხაზეთი და ცხინვალის რუსეთის გავლენის სფეროში მოქცეულად დაფიქსირდა, დანარჩენი საქართველო ეს — ნატოს გავლენის სფეროში — კი ნიშნავს, რომ აფხაზეთს და ცხინვალს სამუდამოდ დაკარგავთ, ყოველ შემთხვევაში — ძალიან დიდი ხნით. მაშინ, ისე უნდა აღვზარდოთ შვილები, რომ მათ ყოველდღე რასხუმი და ცხინვალის ესიზმრებოდეთ, რასაც ვერ ვატყობ ამ ახალგაზრდობას და ჩვენს თაობასაც. არა ვართ ამ გაგებით კარგად და სწორად შვილების აღზრდელნი. სამწუხაროდ, უმეტესად, ვერ ვზრდით მათ პატრიოტებად. იმიტომ, რომ ჩვენ არ გვეტყობა, არა გვაქვს დამარცხებული ქვეყნის კომპლექსები... ეს იცით, არ არის — რევანშის სურვილი. იტალიამ, გერმანიამ, იაპონიამ წააგეს ომი, მაგრამ რევანში აიღეს თავისი ეკონომიკით და დანიანურდნენ — ამრიგად, დღეს, დიდი რვიანის შემადგენლობაში სამი, ადრე დამარცხებული ქვეყანა... ვთქვით, სორვატები 2 წელი არ ჩაერივნენ სამოქალაქო თუ შიდაომში, რომელიც იუგოსლავიაში მიმდინარეობდა, მაგრამ 2 წლის განმავლობაში, ისეთი ძლიერი არმია შექმნეს, რომ კრაინის სერბებმა ვერც კი გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა და მდღეში დაიკავეს კრაინის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი კინე ხორვატებმა. ვერც ამას ვშვრებით: აგერ, თავდაცვის მინისტრი, „მთავარი მეღვინე“ გახდა.. ჩვენ გვყავს ისეთი ხელისუფლება, რომელმაც არაფერი იცის — რა და როგორ უნდა გავუთდეს...

— ანუ ჯანსაღი აზრი არ

ბალანსია დარღვეული: ტერიტორია ყველას ძალიან სჭირდება, მაგრამ ჩვენ — როგორც ეთნოსი, ნაცია, როგორც სახელმწიფო — არავის

გაერო, მაშინ ადამიანის უფლებები არ აინტერესებდათ. ევროპაში საქართველოს ელჩი რომ ჩასულიყო, 6 თვე სჭირდებოდა — ახლა, წამში იქ ხარ. კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა გაიოლდა. პოლიტიკა ჭორებს, გავრცელებულ ხმებს აღარ ეყრდნობა. ადრე ასე იყო: მაგალითად, მონღოლები რომ შემოდოდნენ, ქართველებს ქრისტიანები ეგონათ, ისეთ წარმოუდგენელ ჭორს იყენენ აყოლილი (სხვათა შორის, თვითონ მონღოლები ავრცელებდნენ ამ ჭორს). ახლა ყველაფრის გადამოწმება შესაძლებელი. მაშინ ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდით, დასავლეთს ასეთი დიდი და გლობალური იდეები არ ჰქონდა აღმოსავლეთში, ახლა — აქვს. აგერ, ამერიკა ერაყშია შესული, ირანში შესვლას, ისლამის გაკონტროლებას, ნავთობის გაკონტროლებას აპირებს. ამიტომ, ჩვენი როლი იზრდება. ახლა გვჭირდება ზუსტად ისეთი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ამ ქვეყნისთვის მაქსიმალურად მომგებიანად „ივაჭრებს“. „ვაჭრობა“ პოლიტიკაში ცუდი როდია: კი, ბატონო, გითმობ რაღაცას, მაგრამ სანაცვლოდ რას მიძლევ?! ამერიკასთან როგორი მარტივი პოზიცია უნდა იყოს, იცით?.. ვთქვით, გჭირდება ბაზა ირანის დასაბოძავად? — მაშინ, ის 4 მილიარდი ჩამომანერე,

ბით, არ გამოვა: ამხელა ტერიტორია ცენტრალიზებულად უნდა იმართებოდეს. მაგრამ საქართველოში აუცილებელია არჩევითობა — ეს პატარა, კომპაქტური, დასავლური ფასეულობების მქონე ქვეყანაა. ქრისტიანობა ჩვენთვის მარტო რელიგიას ხომ არ ნიშნავს — ფასეულობას ნიშნავს — ფართო გაგებით. ახლა, ჩვენ და შოტლანდიას უფრო მეტი გვაქვს საერთო, საზღვრები და მორალური კრიტერიუმი, ვიდრე ჩვენ და ვთქვით, მეზობელ ირანს, რომელიც სხვა ცივილიზაციის წარმომადგენელია. ამიტომაც საჭირო, ფასეულობების მიხედვით იმის განსაზღვრა, თუ საით ვიღებთ ორიენტაციას და როგორ განვსაზღვრავთ მას.

— არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ — დღეს საქართველოში ახალი რევოლუციის, სახელმწიფო გადატრიალების, ხელისუფლების შეცვლის საფუძველი არსებობს?

— ვთქვით სამიშროება და არა — საფუძველი.

— მაშინ, ორივე ვიგულისხმობთ.

— რა არის, იცით? — ოპოზიცია საბოლოოდ უნდა შეთანხმ-



თუ ნატოში შესვლამ ჩვენი ტერიტორიების დაკარგვას შეუწყო ხელი, მაშინ არ უნდა შევიდეთ

არსებობს ამ ხელისუფლებაში?

— არც ჯანსაღი, არც ავადმყოფური აზრი — არაფრის აზრი არა აქვთ. ხელისუფლებაში არიან იმიტომ, რომ სიამოვნებთ. მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნა არ არის სიამოვნება — ჯოჯოხეთური შრომა სჭირდება. ვერაფერი იტყვის, რომ მოშე დაიანი და გოლდა მეირი ხელისუფლებაში მოსვლით გაბედნიერდნენ. დღეს და ღამეს ასწორებდნენ და ისრაელის სახელმწიფოს აშენებდნენ. დავით აღმაშენებლის ცხოვრება არ არის ბედნიერი კაცი ცხოვრება — ეს არის უზარმაზარი შრომა, ოფლი, ნერვული სტრესი, ხომ?.. ჩვენს ხელისუფლებაში ჩაფიქრებულ ადამიანებს ვერ ნახავ. თუ ფიქრობენ, მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე. ხელისუფლებაში, ასე ვთქვათ, „პიარშიკების“ გუნდია მოსული...

— პიარშიკ ხომ საჭიროა...

ჩვენს ხელისუფლებაში ჩაფიქრებულ ადამიანებს ვერ ნახავ. თუ ფიქრობენ, მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე. ხელისუფლებაში, ასე ვთქვათ, „პიარშიკების“ გუნდია მოსული...

— პიარს მაშინ აქვს აზრი, როცა გლობალურად კარგს და სწორს გააკეთებ და ყოველივეს მერე აუნყებ ხალხს. გზა დიხსავ, უნდა დააგოს ხელისუფლებამ, კი არ უნდა დაგვამადლოს. თან, უნდა დააგოს კარგი ხარისხის და არა ალბათი, როგორც ჭავჭავაძეზე დააგეს და უკვე გადათხრილია. პიარს აქვს ერთი ცუდი მახასიათებელი: მერე იცის თვით მისი ავტორის „შეჭმა“ და დგება მომენტი, როცა საკუთარი თავი — ნამდვილი — აღარ ახსოვს, როგორია: აი, შევარდნაძე საკუთარ ნიღაბს ემსხვერპლა — იმდენ ხანს ატარა ეს ნიღაბი, დაავინწყდა, როგორც იყო. იგივე სჭირთ ამათაც. ურწმუნო ხალხია, ურწმუნო ხალხი კი ყოველთვის ცოდვავა, ოღონდ — ცოდვავა ცალკე, როგორც საზოგადოების რეალურ ნაწილად არა იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანას მართავს. ყველაზე დიდი დანაკარგი ჩვენთვის, ტერიტორიები კი არ არის — მორალის მოსპობაა. ჩვენმა წინაპარმა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირადაც იცოდა და ზნეობაც ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი. ამიტომ იყვნენ ქართველები — კარგი მეომრები, კარგი მეურნეები, წესიერი ოჯახიშვილები. ქართველის მთავარი ღირსება, სიღირსება და თავმჯდომეობა იყო. ღირსება თუ არ გაქვს, იკითხე წიგნი და იყავი. სიმბოლურად არის ყველაზე ცუდი თვისება დღევანდელი ქართველის — საზოგადოებრივ, სამოქალაქო სიმბოლურად ვგულისხმობ, თორემ, ჩხუბში მაგრები ვართ.

— ასეთები ადრე არასდროს ვყოფილვართ?

— არ ვიყავით ასეთები. ჩვენ სოციალურად საკმაოდ ორგანიზებული ხალხი ვიყავით. ფეოდალიზმის ეპოქა იყო და იმ საზოგადოებას მუდამ მებრძოლი ელიტა ჰყავდა, სხვათა შორის. ხოლო XX ს-ში დავით კლდიაშვილის შემოქმედება, იმ მუდამ მებრძოლი ელიტის გადაგვარების გამოხატულებაა: ქვეყნის დაცვის, შენახვის, გადარჩენის ფუნქცია დაკარგა აზნაურობამ... ახლა, ჩვენც უფუნქციოდ დარჩენილი ადამიანები ვართ. ჩვენ — დიდი მემკვიდრეობის მქონე ხალხმა — არ ვიცით, როგორ მოვეპყროთ ამ მემკვიდრეობას. ამან კი შეიძლება, ნგრევა და განადგურება გამოიწვიოს.

— მაშინ, უსაშველო მდგომარეობაში ვყოფილვართ... თუნდაც, ხელისუფლების შეცვლა სიკეთეს მოუ-

ნი ხანი ველოდოო?!. ამ „დაულოდებლობაში“ გავიდა დრო. მაშინ, ერთ-მანეთთან კინკლაობის, სროლის და ხოცვა-ჟლეტის მაგივრად, სხვა რაღაცები რომ გავგვეკეთებინა და ამ ქვეყანაზე გვეზრუნა, საზოგადოებასაც და პოლიტიკელთაგანაც (ჩემს თავსაც ვუბნები ამას) ყველაზე ხანგრძლივი რეფორმები უკან მოტოვებული გვექნებოდა.

— სამწუხაროდ, რაც მოხდა, ამას ვეღარ შევცვლით. ან რა იქნება?

— დაჩვეული ვართ ტყბილი და სწრაფი ტყუილების მოსმენას. ეს ის ხალხი არ იყო, მილიონ სამუშაო ადგილს რომ ჰპირდებოდა ხალხს?! კარგი, ვთქვათ, აირჩიე მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად 90%-ით, მერე, 1 თვეში რომ მოდის საპარლამენტო არჩევნები და მაინც 90%-ით მის პარტიას აძლევ ხმას — ხომ სისულელეა! ეს ძალიან მარტივია: მე შენ — პრეზიდენტს — გაძლევ ნდობის მანდატს, მაგრამ პარლამენტს მაინც ოპოზიციურს ვირჩევ, იმისთვის, რომ შენ გააკონტროლოს!.. რატომ ტოვებ შენ — ხალხი ოპოზიციას — ვთქვათ, შალვა ნათელაშვილს, კოკო გამსახურდიას, „ტრადიციონალისტებს“ — გარეთ? შეუშვი ესენიც!.. ის სხვა საკითხია, გამსახურდიას ბლოკმა და ნათელაშვილმა რომ გადალახეს 7%-იანი ბარიერი და მაინც გარეთ დატოვეს. მაგრამ მეტი ხმა რომ მიეცათ მათთვის, 11 დეპუტატის მაგივრად, 25 ოპოზიციონერი დეპუტატი რომ ყოფილიყო პარლამენტში, ხომ აჯობებდა! გამოსავალი ერთია — უმეტესი ქართველის ტვინის გადატრიალება. გინდათ, ასეთი თამაში გამოვაქცადოთ? ჩვენს მკითხველს მივმართავ: რასაც თქვენ მიიჩნევთ სწორად, მოდი, იმის საპირისპირო გააკეთეთ — იქნებ, სწორად გამოვივადეთ. იმიტომ რომ, როცა რაღაც სწორად ჩათვალეთ და გააკეთეთ, არასწორი აღმოჩნდა. ამიტომ, „დალაგეთ“ თქვენი შეხედულებები და საპირისპირო გააკეთეთ. ხომ ადვილი თამაშია! მოკლედ, ყველანაირი მონაცემი გვაქვს: კარგი ქვეყანა, არაჩვეულებრივი მდებარეობა — სახიფათო, მაგრამ პერსპექტიული, ჯიშის ხალხით, დიდი ისტორიით, დიდი მემკვიდრეობით, მაგრამ არა გვაქვს სამოქალაქო აზროვნება. ქართველი ხალხი, ქართული საზოგადოება 15 წელია, არ მონაწილეობს თავისი ქვეყნის მშენებლობაში — ზოგს ეშინია, ზოგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა... 18 წელია, ამ საქმეში ვარ და სინამდვილე არაფერი ჩამიდენია. რატომ ფიქრობენ ასე? იმიტომ, ქვეყანა უნიჭო, უღირსი და უწინგნო ადამიანებს რომ ჩააბარეს. დიდი პოლიტიკოსი — დავით აღმაშენებელი — ბინძური იყო?! რაღაც სტერეოტიპებით ვცხოვრობთ, რომლებიც სხვათა შორის, XX საუკუნეში ჩამოგვიყალიბდა. რომ გაიძახინ — ქართველი ბუნებით მოლაღატაო! — სხვა ქვეყნებში ნახონ, როგორი მოლაღატები არიან და რას კადრულობენ — იმას საქართველოში არავინ იკადრებდა... ■

გადაცემის — „ფარული კამერა“ — მახეში დღითი დღე, უფრო და უფრო მეტი ადამიანი ებმება. მის სახედ, ალექო მალხაზიშვილი მიიჩნევა, რადგან ის გადაცემის წამყვანია, მაგრამ კადრს მიღმა, უამრავი სხვა ადამიანი მუშაობს, რომელიც მახეში ხალხის გასაბმელად, ყოველკვირა, ახალ-ახალ სუბრობებს იგონებენ. ერთ-ერთი მათგანი, გადაცემის ავტორი, ბაკურ სპანიძეა, რომელიც კადრში არცთუ ისე სწორად ჩნდება, თუმცა მაინც, უკვე საკმაოდ ცნობილი სახეა. გარდა „ფარული კამერისა“, იგი ერთ დროს, ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა, რის შესახებაც თავად მოგვითხრობს.



„ფარული კამერა“, „კურნისტი“ ბაკურ სპანიძე და ახდენილი ოცნება „მე ვარ პირველი ჟურნალისტი, რომელიც პოლიციამ სცემა“

ნათია ჟივიძე

— როგორც ვიცი, „ფარული კამერის“ სუბრობების ძირითადი ნაწილი შენი მოფიქრებულია. მიუხედავად ამისა, ყოველთვის კადრს მიღმა რჩები. გული არ გწყდება?

— მართალი ხარ, ბევრი იდეა ჩემია. მაგრამ ამ გადაცემაში, იდეების გარდა, სხვა ფუნქციებს ვასრულებ — გადაცემის ავტორი ვარ. თანაც, სანამ „რუსთავი 2“-ზე გადმოვიდოდით, პროექტის კომერციული დირექტორი ვიყავი და სპონსორების ძებნა, მათთან ურთიერთობა და მოლაპარაკება მევალებოდა. პროექტის დაარსებიდან მოყოლებული, მთელი 10 წელი, თვითდაფინანსებაზე ვიყავი, ბოლო 2 წელია, რაც სპონსორები გვყავს. ახლა, პროექტის სპონსორისა და მენეჯერის ფუნქციებს ვასრულებ, აქედან გამომდინარე, იდეების ძირითადი ნაწილი ჩემი ვერ იქნება. ამ საქმეს, ალექო-

სთან ერთად ვინაწილებ. ალექო ჩემზე ცოტა უფრო პროდუქტიულია. ნიკაც საკმაოდ ბევრ კარგ სუბრობას გვთავაზობს... კადრს მიღმა ყოფნის გამო, გული არ მწყდება, რადგან ასეთი არჩევანი თავად გადაკეთე. არასოდეს მდომებია, რომ კადრში გამოვჩენილიყავი, თორემ, ამას რამენაირად მოვახერხებდი, რადგან ამ გადაცემის ავტორები მე და ალექო ვართ და კადრში ყოფნას ვერავინ დამიშლიდა. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, ეთერში ჩემი გამოჩენის, მით უმეტეს — წამყვანის ამპლუაში. ისე, როლები შემისრულებია. მაგრამ „ფარული კამერაში“ როლი რომ შესარულო, არ უნდა გცნობდნენ, ჩემი „ცნობადობა“ კი, ჩემდა გასაკვირად, ძალზე გაიზარდა.

— ეს ალბათ, გარკვეულწილად, სასიამოვნოც არის, არა?

— სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც საქმე კარგად მიდის. ეს ჩემთვის იმის მანიშნებელია, რომ ხალხი „ფარულ-

კამერას“ უყურებს. პირადად მე რომ მცნობენ, ეს ნაკლებად მახარებს. ამის ინტერესი არასოდეს მქონია. ადამიანი ბავშვობაში რალაცაზე რომ ოცნებობ, იმას ახორციელებ. როცა „პა-სენს“ ვუყურებდი, ლევან ლელაშვილის ადგილზე ყოფნა არასოდეს მნდომებია. გადაცემის ბოლოს რომ ეწერებოდა — „სცენარის ავტორი — მამუკა ლლონტი“, ის მომწონდა. ამას მივალწიე კიდევ და კმაყოფილიც ვარ. ალექოს კი, ის მიზანი ჰქონდა, რომ გადაცემის წამყვანი ყოფილიყო და ამას მიაღწია კიდევ. მას რუსული სკოლა აქვს დამთავრებული და თვითდან, ქართულად მეტყველებდა ცოტათი უჭირდა. მაშინ მითხრა — ცოტა მიჭირს ქართული, მაგრამ აუცილებლად დავხვეწ და გადაცემა ორივემ ერთად წავიყვანოთო. მე ვუთხარი — კადრში გამოჩენა არ მინდა და გადაცემის წამყვანი მხოლოდ შენ იყავი-მეთქი. როგორც მასსოვს, ალექო ჩემმა წინადადებას გააკვირვა... საქართველოში ისეთი ტენდენციაა, რომ ადამიანებს, რომლებიც ტელევიზიის „მისტიკაში“ ვერ ერკვევიან, მიაჩნიათ — ვინც ეკრანზე ჩანს, გადაცემაც მისია. ელიავაზე რომ გავიარო, იქ მომუშავე ხალხის 90%-ზე მეტს ჰგონია, რომ მე, ალექო მალხაზიშვილის გადაცემაში ვმუშაობ. მაგრამ ეს არ მანაღვლებს — მთავარია, რომ საქმე იყოს კარგად. სწორად ყოფილა შემთხვევა, როცა სატელევიზიო გამოცდილების მქონე ადამიანთან, ჩვენს პროექტთან დაკავშირებით რალაც საკითხზე მქონია მოლაპარაკებები და მასაც უთქვამს: შენ — არა, ალექო დამელაპარაკოსო... ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება ვისაც აქვს, მან აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ წამყვანი, მოლაპარაკებებზე არ დადის, საორგანიზაციო საკითხებს ვილაც სხვა წყვეტს. ეს ქართული ტელეზარის საკმაოდ დაბალი დონის მაჩვენებელია, თორემ, მასურებული რომ ფიქრობს ასე, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენი გადაცემა ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანია, სადაც ჩანერაზე ბავშვები დაიშვებიან, მაგრამ მათ ეკრანზე არ ვაჩვენთ. მქონია შემთხვევა, როცა ბავშვის მშობელი მოსულა და უთხოვია:



მთელი „შაბათის მოუს“ ბიჭებს „გადაუარეთ“



მათი თითოეული სიტყვა წინასწარ დაწერილი და მომზადებულია

ამ ბავშვის მამა მოსკოვშია და ჩემი შვილი კადრში დასვით, რომ იქ მამამისმა ნახოსო. ეს გადაცემა — როგორ შეიძლება, ასეთი კერძო ინტერესი გავითვალისწინოთ?! მაგრამ როცა ვუბნები, რომ ბავშვის კადრში დასმა დაუშვებელია, ბრახდებიან და მემუქრებიან — ახლა წავალთ და უფროსთან გიჩივლებთო. ჩემს უფროსად კი, ალექსო გულისხმობენ. ვერ გავაგებინე, რომ მე უფროსი არა მყავს.

— ნიკა და ალექო რომ „შაბათის შოუშიც“ არიან დაკავებული, ამით თქვენს გადაცემას ხელი არ ეშლებათ?

— რა თქმა უნდა, იმ გადაცემაში ალექოს მონაწილეობა საქმეს ხელს უშლის, ის კვირაში 2 დღე მონაწილეობს ჩვენს გადაცემას და ამიტომ, მე მეტი საზრუნავი მიჩნდება. ვცდილობ, მას ყველანაირად შევუწყო ხელი.

— ყოველი „ფარული კამერის“ გადაღებისას, სულ სხვადასხვა სახე გყავთ. სად პოულობთ ამდენ ადამიანს, რომელსაც კამერის წინ თამაში შეუძლია?

— „ფარული კამერის“ გადაღებას სხვანაირი ნიჭი სჭირდება — ამისთვის არ არის აუცილებელი, რომ ის მსახიობი იყოს, უბრალოდ, განსხვავებულად უნდა აზროვნებდეს. მეექვსეა, რომ ჩემზე კარგად ვინმემ „ფარული კამერა“ გააკეთოს, მაგრამ მე ვერც სცენაზე ვითამაშებ და ვერც კინოში, რადგან მსახიობის ნიჭი არა მაქვს...

— ანუ — კარგი „აფერისტი“ ხარ?..

— ალბათ. ჩვენ ადამიანების სპეციფიკური აზროვნება უფრო გჭირდება, ვიდრე მათი გარდასახვის უნარი და მსახიობური ნიჭი. „ფარულ კამერაში“ ყველაზე კარგად, გიორგი ქათამიძემ ითამაშა, რომელსაც მეტსახელად კუროსკინს ეძახიან. ის „თეატრალურ სარდაფში“ მუშაობს, ოღონდ, არა მსახიობად, არამედ — განათებაზე. ამ ბიჭმა ძალზე

გამართლა და ჩვენს გადაცემაშიც აქტიურად ვიღებთ. მეორე ასეთი „ლეგენდარული“ ადამიანი, თემო სტურუაა, რომელიც „ფარულ კამერაში“ ბევრ როლს ასრულებს. ხანდაზმულებს გვიტყაპუნებენო! — რომ ამბობდა, ის არის. ეს კაცი საუცხოოდ „ჩაჯდა“ ჩვენს სპეციფიკაში და შესაბამისად, ხშირად ვიღებთ. თემო, ალექოს მშობლების მეგობარია. ჩვენთან მოსვლა ალექომ შესთავაზა და არც შემცდარა... ისეც ხდება, რომ გვირეკავენ და გვეუბნებიან, თქვენს გადაცემაში მონაწილეობა გვინდაო, მაგრამ ასეთი ადამიანები უმეტესად, არ ამართლებენ.

— ციყვსა და კვერნას ქუჩაში უკვე ყველა ცნობს. მათი ტექსტი ყოველთვის წინასწარაა დაწერილი თუ იმპროვიზაციასაც მიმართავენ ხოლმე?

— მათი თითოეული სიტყვა წინასწარ დაწერილი და მომზადებულია, მაგრამ გადაღების ადგილზე თუ რაიმე „მოუფთვენი“ და იტყვიან, ეს არ ეკრძალება. მათი რუბრიკა ორ ნაწილადაა დაყოფილი: „ზახოდები“ და კითხვები. „ზახოდები“ წინასწარ თითქმის არასოდეს გვაქვს დაწერილი, რაც ნიკას „გაუსწორდება“, ქუჩაში ის შეუძლია გააკეთოს. აი, ტექსტზე კი, ყოველთვის წინასწარ ვზრუნავთ.

— ამ რუბრიკის ჩანერა ალბათ, განსაკუთრებით საინტერესოა...

— ჩემთვის ამ რუბრიკის ჩანერა სასიამოვნო არასოდეს ყოფილა, რადგან მისი მომზადების დროს, ძალიან ვნერვიულობ ხოლმე. ერთ-ერთ გადაღებაზე მე და ნიკას სერიოზული შეხლა-შემოხლა მოგვივიდა, რადგან მან რაღაცები ისე ვერ გააკეთა, როგორც საჭირო იყო... ეს რუბრიკა ნელ-ნელა დაიხვეწა, ახლა უკვე ამის გადაღებებზე არც მე მივდივარ და არც ალექო, მხოლოდ ნიკა და დათო მიდიან ოპერატორთან ერთად და ამ ყველაფერს აკეთებენ.

— ციყვსა და კვერნას უკვე ყველა რომ ცნობს, მათი გადაღება პრობლემას არ გიქმნით?

— არა, რადგან ეს რუბრიკა „ფარულ კამერას“ არ წარმოადგენს. ნიკასა და დათოს კამერა უკან მიყვება. ეს არ არის გათვლილი იმაზე, რომ ისინი ვერ იცნონ, პირიქით — უნდა იცნონ და მათ ხალხთან ერთად უნდა „ახურონ“ რაღაცები.

— შენი აზრით, რომელი იყო ყველაზე პოპულარული „ფარული კამერა“ და ციყვისა და კვერნას ხუმრობა?

— ყველაზე პოპულარული უდავოდ, „პამპერსები“ იყო. ეს ალექოს იდეა გახლდათ, რომელიც ფილმმა უკარნახა. თუ არ ვცდები, იმ ფილმს „მამაკაცი გამოძახებით“

ჰქვია. ამ იდეამ ძალზე გამართლა. კიდევ ის მომეწონა, ნიკა და დათო — ფაშისტები და ნითელარმიელები რომ იყვნენ. რეჟისორული თვალთ, ძალიან კარგად გაცემებული იყო, რაშიც ჩვენს მემონტაჟს ირაკლი ცქიტიშვილს მიუძღვის დიდი წვლილი. ასე რომ, კადრს მიღმა, მხოლოდ მე კი არა, ძალიან ბევრი ადამიანი ვიმყოფებით. რაც შეეხება „ფარულ კამერას“, წლევანდელი სეზონიდან, ყველაზე დასამახსოვრებელი, „კოვზების გადნობა“ იყო. სხვას ვერ გამოვყოფ — ყველა, შვილივით მიყვარს (იცინის)... სიმართლე გითხრა, ჩავარდნები უფრო მამახსოვრდება ხოლმე, ვიდრე წარმატებები, რადგან ჩავარდნებს უფრო განვიცდი. ჩვენ მიჩვეულები ვართ კარგი რაღაცების კეთებას, ცუდისას კი — არა...

— ნიკა თქვენთან „გამღვიძების“ რუბრიკით მოვიდა, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცნობილ ადამიანებს ალვიძებდით. რატომ გადაწყვიტეთ ამ რუბრიკის გაუქმება და ხომ არ აპირებთ, რომ ცნობილი სახეები სხვა რუბრიკაში მიიწვიოთ ხოლმე?

— ნიკა ამ რუბრიკით გახდა პოპულარული, თორემ, ის ჩვენთან ერთი წლით ადრე, გამოსაცდელი ვადით მოვიდა. „გაიღვიძე, ფარული კამერა!“ — ალექოს იდეა იყო და გადაწყვიტეთ, რომ ამ რუბრიკის წამყვანი, ნიკა ყოფილიყო. ეს რუბრიკა გაუქმდა, რადგან ისეთ კარგ ეფექტს აღარ იძლეოდა. საქართველოში ცნობილი ადამიანები „ფარულ კამერაში“ პირველად ჩვენ გადავიღეთ. ეს კი, ნატო ონიანის დამსახურება იყო: მაშინ მას პირველ არსზე გადაცემა „ტაიმ-აუტი“ მიჰყავდა და მოგვცა დაკვეთა, რომ მახემი გაგვებოცნობილი პოლიტიკოსებით, „მესტროსთან“ ერთად, შოუბიზნესის წარმომადგენლები გავაბით „ფარულ კამერაში“, შარშან კი, ბევრი ცნობილი სახე, გაღვიძების გარდა, ისედაც გყავდა „ფარულ კამერაში“. წელსაც, მთელი



„ფარული კამერის“ გადაღებას სხვანაირი ნიჭი სჭირდება



2 წლის მანძილზე ვმუშაობდი მათ პრესსამსახურში. უმცროსი ლეიტენანტის წოდება მქონდა

„შაბათის შოუს“ ბიჭებს „გადავუარეთ“. ქეთა თოფურიაც ხომ გავაბით!.. რაც შეეხება მომავალ სეზონს, მოსალოდნელია, რომ „გაღვიძება“ აღდგეს, ოღონდ — სახეცვლილი ან ასე ვთქვათ, ინტეგრირებული სახით — ე.ი. შესაძლოა, ნიკასთან ერთად, ამ პროცესში ციყვიც ჩაება. ამასთანავე, მუშაობა იმაზეც მიმდინარეობს, რომ მუდმივი რუბრიკა გვქონდეს, რომელშიც ყოველთვის, ცნობილი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. ეს საკითხი ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის და ამის შესახებ დანერგვით ვერ გესაუბრებით.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, „ფარული კამერის“ დაარსებამდე, ჟურნალისტიკას ეწოდებოდა. საერთოდ, ვინ ხარ განათლებით და ორიოდ სიტყვით შენს ჟურნალისტურ კარიერაზეც მოგვიყვი...
— განათლებით ფსიქოლოგი ვარ, ჟურნალისტიკა კი, ჩემთვის, მეორადი პროფესიაა. „ფარული კამერა“ ჩემი ცხოვრების ერთი საზიაა, ჟურნალისტიკა კი — მეორე. იუმორი ყოველთვის მიყვარდა, შესაბამისად, უნივერსიტეტის „კავე-ენ-ის“ აქტიური მონაწილეც ვიყავი. სწორედ იქიდან წარმოიშვა „ფარული კამერის“ იდეა. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, კათედრაზე დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. ერთი დღეც არ მიმუშავია ფსიქოლოგად. უბრალოდ, ეს პროფესია ცხოვრებაში ძალიან მეხმარება. საერთოდ, გამოყენებითი ფსიქოლოგიის სპეციალისტი ვარ. ჰოდა, „ფარული კამერა“ გამოყენებითი ფსიქოლოგისთვის, დაკვირვებისა და მეცნიერული ექსპერიმენტის ერთ-ერთი მეთოდია... რაც შეეხება ჟურნალისტიკას — ვიდრე მეორად განათლებას მივიღებდი, პრესაში უკვე ვმუშაობდი. სულ თავიდან, სტამბის მუშად, მოგვიანებით — ჟურნალ „პირიზზეში“ კურიერად „დამანინაურეს“. სერიოზული ჟურნალისტიკა კი, „დილის გაზეთში“ დავიწყე. თავდაპირველად, შტატგარეშე კორესპონდენტი ვიყავი საზოგადოების განყოფილებაში, მოგვიანებით, შტატში ამიყვანეს და საზოგადოებრივ საკითხებთან ერთად, სამარ-

თლსაც ვაშუქებდი. თენგიზ კიტოვანისა და ლოთი ქობალიას პროცესებს ყოველთვის მე ვაშუქებდი. მე ვიყავი პირველი ჟურნალისტი, რომელიც პოლიციამ სცემა: ლოთი ქობალიას პროცესის გაშუქების გამო, მთაწმინდის რაიონის პოლიცია წიხლებით შემდგა. ამის გამო, შსს-სთან გარკვეული შეხლა-შემოხლა მქონდა. მათზე ნერილებიც გამოვაქვეყნე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩავთვალე, რომ ამ საკითხის გამწვავება არ ღირდა, ვიფიქრე, რომ სხვა მეთოდებით ჯობდა საზოგადოებისა და პოლიციის ურთიერთდახლოება. ამ და მსგავსი იდეებით შეპყრობილი რომ ვიყავი, სწორედ მაშინ შემომთავაზა შსს-მ — ჩვენი პრესსამსახურის ხელმძღვანელად იმუშავე და შენი იდეების განხორციელების საშუალებასაც მოგცემთ. 2 წლის მანძილზე ვმუშაობდი მათ პრესსამსახურში. უმცროსი ლეიტენანტის წოდება მქონდა. ლეიტენანტობა რომ უნდა მოეცათ, სწორედ მაშინ დავეწერე პატაკი და იქიდან წამოვედი...

— ე.ი. ვერ შეძელი საზოგადოებისა და პოლიციის დაახლოება...
— სხვათა შორის, ბევრი რალაც ნამდვილად შეცვალე. მამიდელ ჟურნალისტებს ემხსოვრებათ, რომ თავისუფალი მედიისადმი სამინისტროს დამოკიდებულებაში ბევრი რამ შეიცვალა. სწორედ მაშინ სცემეს „რეზონანსის“ ჟურნალისტები — ალექო ცეციტიშვილი და გიორგი კაპანაძე... როცა მე მცემეს, მაშინ შსს-ს პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მე მთვრალი ვიყავი, პოლიციას ვაგინე, ბევრი პოლიციელიც ვცემე და ა.შ. ალექოსა და გიორგის ცემისას კი, მე ასე არ მოვქცეულვარ. მკაცრად მივუდექი ამ საკითხს და ჩვენმა სამსახურმა გაავრცელა განცხადება — რომ პოლიციელები ასე არ უნდა იქცეოდნენ. ე.ი. შსს-მ მხარი არ დაუჭირა საკუთარ თანამშრომლებს. ასეთი პრეცედენტები მაინც შევქმენი... სხვათა შორის, შსს-ში პირველი კომპიუტერი ჩემი დაყინებული თხოვნით შეიტანეს. მანამდე, საბუქდი მანქანებით მუშაობდნენ. ასევე ჩემი თაოსნობით დაიბუქდა საინფორმაციო ბუკლეტი, რომელსაც „ყოველდღიური კრიმინალური ინფორმაცია“ ერქვა. ეს ბუკლეტი 2 თვის განმავლობაში გამოდიოდა და სოლიდური ტირაჟიც ჰქონდა, მაგრამ მერე, ამაშიც აღარ შემინყვეს ხელი... იქ მუშაობისას, სხვადასხვა გაზეთთან ვთანამშრომლობდი. იქიდან წამოსვლის შემდეგ კი, გაზეთ „ახალ ეპოქაში“ პოლიტიკის განყოფილების კორესპონდენტად ვმუშაობდი, ამასთანავე, მქონდა საავ-

ტორი გვერდი, რომელსაც „მო გვერდი“ ერქვა. ეს „ღამის შოუს“ საგაზეთო ვარიანტი იყო, თუმცა მაშინ, დათო გოგიჩაიშვილი საქართველოში ჩამოსული ჯერ კიდევ არ იყო. სხვათა შორის, ეს რუბრიკა საკმაოდ პოპულარული გახდა, უამრავი გამომხაურება მომდიოდა. მოგვიანებით, საკუთარი გაზეთი — „ყველა ნიუანსი“ დავაარსე. ამ გაზეთშიც ცოტა ხანს იარსება, თუმცა, ვინც იქ ჩემი თანამშრომელი იყო, ახლა ყველანი კარგ ადგილებზე მუშაობენ. ჩემი გაზეთიდან „ტრიბუნაში“, ოპერატიული განყოფილების რედაქტორად გადავედი, იქიდან კი, უკვე — „მატარკაციშვილის კანტორაში“. „მთავარი გაზეთის“ საკვირრო გამოშვების — „კვირის“ საავტორო გვერდის რედაქტორი ვიყავი. მერე დამანინაურეს — მთავარი რედაქტორის მოადგილე დამინიშნეს, მოგვიანებით კი, მთელი პოლდინგის მთავარი რედაქტორის მოადგილე გახვდი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ეს პოლდინგი დაიხურა და პრესას „დედა ფტორა“. მაშინ გადავწყვიტე, რომ მხოლოდ „მე-მაიმუნა“ და სხვა არაფერი მეკეთებინა. ამიტომაც, დღეს ვზივარ და „ვმაიმუნობ“...

— გასაგებია, მაგრამ საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ჟურნალისტურმა საქმიანობამ მიჩვევა



ნიკასა და დათოს კამერა უკან მიყვება. ეს არ არის გათვლილი იმაზე, რომ ისინი ვერ იყნონ

იცის. არ გენატრება?

— სიმართლე რომ გითხრა, პრესა გაცილებით კარგად ვიცი, ვიდრე ტელევიზია. თავს პრესის მუშაკად უფრო ვგრძნობ. ტელევიზიაში იუმორს ვაკეთებ და ეს მაკავშირებს მასთან, მაგრამ იუმორის კეთება ყველგან შეიძლება. ახლა, ვთქვათ, „კურიერში“ მუშაობა რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყვი, ოღონდ, იმიტომ კი არა, რომ „კურიერთან“ მაქვს პრეტენზია — უბრალოდ, არ მიყვარს ტელევიზია... თუ ოდესმე, საშუალება მომეცემა, აუცილებლად პრესაში ვიმუშავე. მართლა ძალიან მენატრება ეს საქმე.

ჟონაჟონ სანარჩოჟო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გადაქცეთ თვალი.

1. ჰყვებიან, რომ ცნობილი რუსი მსახიობი ფაინა რანევსკაია ცუდად ერკვეოდა ზუსტ მეცნიერებებში. ერთხელ, ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც ცდილობდა, მისთვის ფიზიკის ერთ-ერთი კანონი აეხსნა, ასეთი შეკითხვა დაუსვა: „რატომ გადმოდის აბაზანიდან წყალი, როდესაც შიგნით წვები?“ რა უპასუხა რანევსკაიამ?
2. 1776 წელს, ინგლისში გამოიცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, სამეფო ფლოტის კუთვნილ ყველა თოქსა და ბაგირში წითელი ძაფი უნდა ყოფილიყო ჩანწული. რა იყო ამის მიზეზი?
3. ერთხელ, ვალერიან კუბიშევის თანაშემწემ თავისი ხელქვეითი დაუდევრობისთვის გამოლანძღა. კუბიშევა შენიშვნა მისცა: „ყოველივე ამის თქმა უფრო რბილადაც შეიძლება“. — „ხელმძღვანელს მტკიცე ხასიათი უნდა ჰქონდეს“, — შეეპასუხა თანაშემწე. „მართალია, — დაეთანხმა კუბიშევი, — ხასიათი მამაკაცის ასოსავითაა, რაც მტკიცეა და მაგარი, მით უკეთესია, მაგრამ ხასიათი, ისევე როგორც ასო...“ დაასრულეთ ფრაზა.
4. დაასრულეთ ვიქტორ ჩერნომირდინის ფრაზა, რომელიც მოგვიანებით, ფრთიან გამონათქვამად იქცა: „ხატელი, კაკ ლუჩში, ა პალუჩილას...“
5. რის გამო დაბრმავდა მომღერალი სტივ უანდერი?
6. რა ჰქვია ბეთჰოვენის ერთადერთ ოპერას?
7. ეს ნაწარმოები ლეო ქიაჩელმა შვეიცარიის იაში ყოფნისას დაწერა.
8. იმ ადგილებში მოზინადრე არნივებს, სადაც ადამიანები აქტიურად ნადირობენ, სშირად, ტყვიით მონამვლა ეუქრებათ. დაასახელეთ მიზეზი.
9. თარგმნეთ იაპონურად „შიშველი ხელი“.
10. დაასახელეთ ნაწარმოები, რომლის პერსონაჟები არიან: პოეტი ჰილარიო ბუერა, მჭედელი დაჰკა-დაჰკა, ფეხბურთელი კვანტი დაუდე, ხაბაზი ცომი ზელია, ფოსტალიონი სირბილა, ბრძენი კინა-ლოკო, ჯამბაზი ალე ჰოპი და მოკრივე მიდი მოადე.
11. 1700 წლამდე, რუსეთში ახალი წელი 1-ელ სექტემბერს იწყებოდა. ვინ გადაიტანა ეს თარიღი 1-ელ იანვარს?
12. „აქაურებს 330 საკუთარი მონარქის ისტორია აქვთ შემონახული“, — წერდა ამ ქვეყანაში ჩასული ჰეროდოტე. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

ანეკდოტები

* * *

კურდღელი მივიდა აფთიაქში:
— ფორთოხალი გაქვთ?
— ჩვენთან ფორთოხალს რა უნდა? — გაუკვირდა გამყიდველს.
კურდღელი წავიდა. მოდის მეორე დღეს:
— ფორთოხალი გაქვთ?
— ხომ გითხარი გუშინ: — ჩვენთან ფორთოხალი არ იყიდება.
კურდღელი წავიდა. შემდეგ დღეს ისევ მოდის და კითხულობს:
— ფორთოხალი გაქვთ?
— არა-მეთქი!!! იცოდე, კიდევ თუ მოსულხარ აქ, მაკრატლით ყურებს დაგაჭრი! — დაემუქრა გამყიდველი. კურდღელი წავიდა. მეორე დღეს ისევ მივიდა აფთიაქში.

— მაკრატელი გააქვთ?
— არა!
— ფორთოხალი?

გაბრაზებულმა გამყიდველმა კურდღელი ყურებით კედელზე მიაჭედა. კურდღელი ხედავს მისგან მარჯვნივ მარქსის სურათი კიდეა, მარცხნივ — ენგელსის და თანაგრძნობით ეუბნება:
— თქვენც ფორთოხალი გინდოდათ?

* * *

— რა განსხვავებაა ეკლესიაში მლოცველსა და კაზინოში მლოცველს შორის?
— კაზინოში მლოცველი უფრო გულწრფელია!

* * *

ფსიქიატრიულ განყოფილებაში ავადმყოფი დგას აკვარიუმთან და ოქროსფრად მოელვარე თევზს



ენხუბება:
— ხომ შემპირდი ბინას, მან-

ქანას, ბევრ ფულსა და ლამაზ ცოლს?!... გადამაგდე, ხო?!..

* * *

სკოლის ექიმის კაბინეტში მესამეკლასელი გოგონა ზღუქუნებს.
— ექიმო, ძალიან ცუდად ვარ, სკოლის გაფიქრებაზეც კი გული მერევა! ფეხმძიმედ ხომ არ ვარ?!



გუშინ ვასიკო ისე მიყურებდა...

* * *

— როგორც ჩანს, თქვენ პატარა ბინა გაქვთ.
— საიდან მიხვდით?
— თქვენი ძალი კუდს ზევით-ქვევით აქიცინებს.

* * *

ველურებმა ჭიჭიკია დაიჭირეს:
— რას მიპირებთ? — იკითხა ჭიჭიკიამ.

— უნდა შეგჭამოთ, შენი კანისგან კი, დაფდაფები უნდა გაავაყოთოთ.
— უკანასკნელი თხოვნა მაინც შემისრულეთ!
— თქვი, რა გინდა.
— ლურსმანი მომეცით. — ჭიჭიკიას მისცეს ლურსმანი, მან ხელი სტაცა და საკუთარი მკერდისა და მუცლის დაჩხვლეტას მიჰყო ხელი:
— აი, თქვენი დაფდაფები!... — აი, თქვენი დაფდაფები!..

* * *

პროფესორი ჩუქჩას ესვენება თეთრ დათვზე სანადიროდ წამიყვანო.

— ჭკუა თუ გიჭრის? — ეკითხება ჩუქჩა.
— აბა, როგორ?! მე ხომ პროფესორი ვარ.
— კარგი, წავიყვან!
წავიდნენ. დიდხანს იარეს, ათი

მონანიება

შიო გვებაცე



(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-18)

მათე ჩარგიევის (რომელიც რუსეთიდან ჩამოსული ქალის, ბასკაკოვას საქმროდ ასაღებს თავს) შესაპყრობად, მას რესტორანში პროვოკაციას მოუწყობენ და მონმის სტატუსით დაკითხვის საბაბით, მილიციის სამმართველოში წაიყვანენ. მისი ვინაობის დასადგენად, გამოძიებელი გადაწყვეტს, ბანდის წევრთა ურთიერთდაპირისპირებები მოაწყოს. გამოძიება გადამწყვეტ ფაზაში შედის.

— ახლა ხომ გესმით, რომ თქვენს ჯიუტობას არავითარი აზრი არა აქვს? — დასძინა მტკიცედ.

კიტოვანი ისევ დუმდა, მოწეული პაპიროსი დაადგო და ახალს მოუკიდა.

— რას იტყვით?

ისევ დუმდა.

— რას იტყვით-მეთქი? — ხმას აუწია მინდელმა.

კიტოვანი წყნარად შებრუნდა, გამომძიებელს ბრაზიანი მზერა მიაპყრო, ერთხანს უტყირა, შემდეგ, ნელ-ნელა ემოციები დაიცხრო, ირონიულად ჩაიცინა და წამოიძახა:

— ვაჰ დედასა, სად ჩავვარდი! — თან გამეტებით დაირტყა მკერდზე მუშტი და დაუმატა: — აფსუს, ჩოფურ!

— ასე, — გაიღიმა გამოძიებელმა. — ხომ ხედავთ, რომ უარყოფას აზრი არა აქვს.

— ვხედავ, რაღა, სუფთად გიმუშავით... — ამოღურდა პატიმარმა და ნაძალადევად გაიღიმა.

— მაშ... — დაინყო მინდელმა.

— მაშ ის, რომ, — სიტყვა ჩამოართვა კიტოვანმა, — ჩემი ბანკი გაკოტრდა, დავინვი, რაღა, თქვენ მოიგეთ. მკითხეთ და გეტყვით, გეტყვით, რაღა! — დაუმატა ბრაზიანად.

— კეთილი. აბა, დავინყოთ: როგორ და რა პირობებში გახარცვეთ ბინა და მოკალით ტყეშელაძე?

კიტოვანი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ, ხელი ჩაიქნია, თითქოს სურდა ეთქვა, სულერთიაო და დაინყო:

— ეგ საქმე ერთმა ვინმემ მოგვცა. ჰოდა, ჩვენც ხევედით. ვიცოდით, ბინის პატრონე-

ბი სახლში არ იყვნენ, მაგრამ ალბათ, საქმის მომცემს შეეშალა: სახლში პატრონები დაგვხვდნენ, ეძინათ. ის იყო, საქმე მოვათავეთ, რომ კაცმა გაიღვიძა. მე უკვე ფანჯარაში გადავდიოდი. ის მამაოხერი ივანისელებს ეძგერა, იმანაც „პერო“ მიატყა და ფანჯრიდან გადავარდა, სისხლი სდიოდა, მუცელში იყო დაჭრილი. ეს მერე გავიგეთ, რაღა!.. ქალმაც გაიღვიძა, იფსინა, ჩვენ კი ავითესეთ. ასე იყო, რაღა!

— რამდენი იყავით?

— მე, ნიპუკა და ფირუზა.

— ივანისელი?

— ჰო, ივანისელი, ფირუზა, რაღა!

— საქმე ვინ მოგცათ?

— ეე, ეგ რა თქვენი საქმეა?!

— მაშ, არ გინდათ, თქვათ?

ჩოფურა მოიღუშა.

— იცი, რა გითხრა?.. შენ ჩვენი წესი კარგად იცი: ვინც არ დამწვარა, იმის გაყიდვა არ იქნება. თუ ასეთ რამეს კიდეც მკითხავ, ჩემმა მზემ, სულ გაეწუმდები.

— კეთილი, — გაიღიმა მინდელმა, — დრო მოვა და საქმის მომცემსაც დაასახელებთ. ახლა კი, განვაგრძოთ: როგორ შეხვედით ბინაში?

— ისე, რა, როგორც სხვა ბინაში შეესულვართ, დუღუკები არ დაგვიკრავს...

— ერთხელ გითხარით, ნუ ლაზლანდარობთ-მეთქი! — შეუტია მინდელმა.

— ვა, რასა ცხარობ, უფროსო? მკითხეთ და გიპასუხე, სხვა რაღა გინდათ?! — გაუკვირდა კიტოვანი.

— მე გეკითხებით, როგორ შეხვედით დაკვიტლ ბინაში?

— ფანჯარა გავალეთ და შევედით.

— შიგნიდან დაკვიტლი ფანჯარა როგორ

გააღეთ?

— ვა, მა, რისი ოსტატები ვართ, თუ ფანჯარასაც ვერ გავალბებთ?! — გულწრფელად გაიკვირვა პატიმარმა.

— არ გინდათ, თქვათ?

— გავალბეთ და შევედით — მორჩა და გათავდა!

— კარგი. რა წაიღეთ სახლიდან?

— ცოტა რამ. ჩვენ „ბარახლოზე“ არ ვმუშაობთ, „ანტიკა“ რამეები მოგვწონს... — გაიღიმა ცრუკიტოვანმა.

— მაინც, რა წაიღეთ?

— ორი ოქროს „ბაკა“, თავის „ცეპოჩკებით“ და 25.000 მანეთის ობლიგაციები.

— კი, მაგრამ საქმის მომცემმა გითხრა, რომ ოქროს საათი და ობლიგაციები იყო ოჯახში?

— არა, იმან საქმე მოგვცა.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ისე, რა, როგორც ვუბნობ — საქმე მოგვცა და ჩვენც წავიღეთ.

— თქვენ ხომ ტანსაცმლის მოპარვა არ გქონდათ განზრახული?

— მე გითხარით — „ბარახლო“ ჩვენი საქმე არ არის-მეთქი: არ „სოსარდება“, ბლომად ყრია მალაზიაში „იმპორტნი“ რამეები.

მინდელს გაეღიმა.

— ერთი ეს მითხარით, საქმის მომცემი, ტყეშელაძის ნათესავი იყო?

— მე რა ვიცი, ვინ იყო?!

— საინტერესოა. განა, ახლო ნათესავის გარდა, შექმლო ვისმეს, სცოდნოდა, რომ ტყეშელაძეს სახლი 3%-იანი ობლიგაციები ჰქონდა? — დაცინვით შეეკითხა მინდელი.

— ვა, ახლა მე ანკეტას ხომ არ შევუვსებდი! საქმე მოგვცა, ეძიეთ და იპოვეთ, ნათესავია თუ მტერი!.. — წარბები შეკრა პატიმარმა.

— ჩვენ უკვე ვიპოვეთ, კიტოვანო!

— მართლა?! მაშ, ჰკითხეთ და გეტყვით... — არა, კიტოვანო, კითხვით ვერ ვკითხავთ.

— ვერ ჰკითხავთ? რათა? — გაუკვირდა კიტოვანი.

— თქვენ ხომ ის მოკალით, შეუბრალებლად მოუსწრაფეთ სიცოცხლე! — ყინულივით ცივი ხმით მიუგო გამოძიებელმა.

— მოვკალით?! ვინ მოვკალით? — გაფითრდა კიტოვანი.

— ანზორ ჩიკვაძე — საქმის მომცემი.

— ტყუილია, არავინაც არ მოგვიკლავს! ჩიკვაძეს არ ვიცნობთ, ტყუილია! — ყვირდა კიტოვანი.

— აი, ნერვებმაც გიმტყუნათ, ყვირით... — მშვიდად მიუგო მინდელმა და განაგრძო: — რას ერჩოდით ჩიკვაძეს?

კიტოვანი გონს მოეგო, მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, ნებისყოფა დაძაბა და შეეცადა, დამშვიდებულიყო.

— ტყუილია! ჩიკვაძე ჩვენ არ მოგვიკლავს. არც ვიცი, ვინ არის, — ამოღურდა ნაძალადევი სიმშვიდით.

— მოკალით-მეთქი! — შეუვალი ხმით გაიმეორა გამოძიებელმა.

— შენ „სველი“ საქმეების ჩვენზე აკიდებას თავი დაანებე! — კვლავ იყვირა კიტო-

ვანმა. — ჩვენ ქურდები ვართ და არა — ბანდიტები.

— კეთილი, ამ საკითხს კიდევ დაფუბრუნდებით. ახლა კი, მიპასუხეთ, ვისი მანქანით მოიტაცეთ ქირურგი გრძელიძე?

— „ხალტურის“ მანქანა იყო.

— სისულელეებს თავი დაანებეთ! საჭესთან თქვენ იჯექით — გრძელიძემ ამოგინცნოთ.

კიტოვანი აირია. მას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მანქანას თვითონ მართავდა. გამომძიებელი მიხვდა პატიმრის მდგომარეობას, გონს მოსვლა და ახალი ტყუილის მოგონება აღარ აცალა.

— ვის გამოართვით მანქანა? — შეუტია მკაცრად.

— მე არ ვიცი, ნიპუკამ მოიყვანა.

— სტყუით!

— ვა, გეუბნები, არ ვიცი-მეთქი!

— მაშ, მე გეტყვით: დავით ქავჭავაძეს გამოართვით.

— მე ქავჭავაძეს არ ვიცნობ.

— არა, იცნობთ, ძალიან კარგად იცნობთ!

— ვის ვიცნობ?

— დავით ქავჭავაძეს — კიტრას, აი ვის, — სუსხიანად მიუგო მინდელმა და დაუმბატა: — ტყუილად უარყოფთ, ეს უკვე დადგენილია. თუ არ გჯერათ, დაგაბირისპირებთ.

კიტოვანი მოიკუნტა, ერთ ნაშში დაკარგა ნაძალადევი სიმშვიდე. გაფითრებული, უეცრად დაპატარავებული სახე, წვრილი, მოუსვენარი თვალებით, გამომძიებლის გამჭოლ მზერას აარიდა და უაზროდ შეათვალიერა მუხლებზე დანყობილი თავისი ხელები.

— იტყვით თუ არა? — კვლავ შეუტია მინდელმა.

თავდახრილი კიტოვანი ერთხანს დუმდა.

— მართალია, ვალიარებ, რომ მანქანა ქავჭავაძის იყო, — ჩაილაპარაკა თავაუწყევლად.

— ქავჭავაძე რატომ არ მართავდა მანქანას? — ახალი კითხვა დასვა გამომძიებელმა.

— მან არ იცოდა, რა საქმეზე მივდიოდით, არც ჩვენ გვინდოდა, რომ გაეგო.

— რომელი საქმე?

— ტყეშელიაძის სახლის გაქურდება.

— მაშ, აღიარებთ, რომ ტყეშელიაძის ბინის გასაქურდად, ქავჭავაძის მანქანით იყავით?

— ვალიარებ, მისი მანქანით ვიყავით.

— სად გაიცანით ქავჭავაძე?

— თბილისში გავიცანი.

— როდის, რა ვითარებაში?

— გასულ ზაფხულს, თვე არ მახსოვს. ერთ კომპანიაში შევხვდით, ზარს

ვთამაშობდით... ჰოდა, ნაღდის გარდა, 1.000 მანეთი „ვალცი“ მოუფე. ერთ კვირაში უნდა ჩაუბარებინა, მაგრამ აითესა. ქუთაისში ჩამოსული, შემთხვევით შევხვდი. ფული მოვთხოვე, შემდეგ შევთანხმდით, მანქანა ეთხოვებინა ორი დღით და ვალსაც გადახდილად ჩაუთვლიდი.

— შემდეგ?

— რა გზა ჰქონდა?! მათხოვა.

— როდის მიუყვანეთ ქავჭავაძეს მანქანა?

— მეორე დღეს, ღამის 2 საათზე.

— სად?

— თავის ბინაზე.

— კეთილი. ვინ არის ის ჭალარა კაცი, რომელიც გრძელიძის მოსატყუებლად გახლდათ თან?

— ერთი ჩემი ძმაცაა.

— ვინ ძმაცაა, დაასახელეთ!

კიტოვანმა თავი ასწია:

— მე უკვე გითხარით — ეგ ჩვენს „კარაბადინში“ არ წერია-მეთქი... — მიუგო მტკიცე ხმით.

— აკი, დაასახელეთ ქავჭავაძე! რა განსხვავებაა?

— ქავჭავაძე არიფია, არიფები კი, სათვალავში არ არის. რაც შეეხება ჩვენს ხალხს — ნაჭერ-ნაჭერაც რომ ამკუნთო, არ გაყვიდი.

— გამოდის, რომ ჩიკვაიძე თქვენი კაცი იყო. მაშ, რად მოკალით?

— მე გითხარით, რომ არ ვიცნობ ვილაც მუდრეგ ჩიკვაიძეს, რას გადამიკვიდეთ?! — იღრიალა პატიმარმა.

— რად მოკალით-მეთქი? — გაუმეორა კითხვა ლევანმა.

კიტოვანს თავლები ჩაუსისხლიანდა, ფეხზე წამოიჭრა:

— თქვენ რა, ტყუილბრალოდ გინდათ, გამიშვათ „რასხოდში“?! — ჩაიხიხინა

მან.

— დაჯექით! ამაზე მაშინ უნდა გეფიქროთ, როცა მკვლელობას სჩადიოდით.

კიტოვანი მოკვლავრებით ჩაამტვრდა გამომძიებელს, შემდეგ, მუშტი პირთან მიიტანა და ისე გამეტებით იკბინა ჩაყვითლებული კბილებით, რომ უმაღლეს სისხლმა გამოყოვნა...

— გვიანლაა თითზე კუნა... — შენიშნა მინდელმა.

კიტოვანს არ უპასუხია.

— თქვით, რატომ მოკალით ჩიკვაიძე და მოვრჩეთ! — არ მოეუფა მინდელი.

— არ მომიკლავს-მეთქი! ახლა, თუ გინდა, დილაზე მკითხე — აღარ გიპასუხებთ. გითხარი, ქურდი ვარ და არა — ბანდიტი!

— კეთილი, მაგის დროც მოვა, — თქვა მინდელმა და ახალი კითხვა დასვა: — რა უყავით ნაძარცვი ნივთები და ობლიგაციები?

კიტოვანმა გაიღიმა, თითქმის გამხიარულდა.

— „შევასოხარეთ“.

— სად და ვის მიჰყიდეთ?

— ვა, ადგილის მეტი რაა?! ქუთაისში ხომ არ დავალეხებდით.

— ისეც ტყუილები დაიწყეთ?

— მე გითხარი, ჩემი „ბანკი“ გაკოტრდა, ამიტომ, სიმართლეს ვალიარებ.

— ტყუილი ანგარიშია: თქვენი ხელის დამცლელი უკვე დაპატიმრებულია!

— ვაა! ვინ არის?

— მალე შეგახვედრებთ.

— შემახვედრებთ და შემახვედრეთ! ეგეც მე ვიტყვი?..

— მაშ, რატომ არ ამბობთ?

— იმიტომ, რომ არ ვიცი.

— დარწმუნებული ხართ?

— ვა, აი, შარი, თუ გინდა, ეს არის! — გაიღიმა კიტოვანმა.

— კარგი. ვინ მოგცათ წერილი, რომელიც დევიძეს მიუტანეთ?

— ერთი კაცი ჩამოვიდა მაგა... გადასახლებიდან და იმან მომცა.

— რა გვარია და სად არის ამჟამად?

— ვა, ძალიან ბევრი მოგივათ: ეძებთ და იპოვით.

— რად გინდოდათ წერილი?

— აკი გითხრით — ქუთაისში „გასტროლოგებზე“ წამოვედით, ჰოდა, უხიფათო ბინა რომ გვქონოდა, ეს წერილი გამოვიყენეთ.

— წერილი თქვენ ტყეშელიაძის ბინის გაძარცვამდე ჩამოიტანეთ, — შეახსენა მინდელმა.

— სწორია. მერე რა?

— ის, რომ მაშინ, მარტო იყავით ჩამოსული და...

— და არც ერთი საქმე არ დამინიყა? — კვლავ ღიმილით შეაწყვეტინა კიტოვანმა და განაგრძო: — მართალია, ჩამოვედი, გიორგაძის ცოლი ვნახე, ბინა შევიგულე და წავედი.

— თქვენი ჩამოსვლის მიზანი, ტყეშელიაძის ბინის გაქურდება იყო?

— არა, შემთხვევით გამოვიდა. ჩვენ სულ სხვა საქმე გვქონდა, მა-



გრამ ვერ გავაკეთეთ, ფირუზას დაჭრის გამო.

გამომძიებელი შენიშვნებით აჭრელებულ ფურცლებს დასცქეროდა. უკვე დასმულ კითხვებს ფერადი ფანქრით აღნიშნავდა.

საათმა ხუთჯერ ჩამოჰკრა. მინდელმა თავი ასწია, კედლის საათს მიაპყრო მზერა, შემდეგ, მაჯის საათს დახედა, გაუკვირდა: 2 საათს შეუმჩნევლად გაერბინა.

ლევანი წამოდგა, ფართოდ გამოაღო ფანჯარა. ოთახში გრილი ჰაერი შემოიჭრა, თამბაქოს კვამლი განდევნა.

მზიანი ამინდი იდგა. უჩვეულო ყინვების შემდეგ, ერთბაშად დათბა, ყინული გალღვა და ქუჩები აატალახა. დაღლილმა მინდელმა გახურებული შუბლი ცივ ჰაერს მიუშვირა, სასიამოვნო სიგრილე შეიგრძნო. ერთხანს, ქუჩას მისჩერებოდა...

რამდენიმე წუთი გავიდა. კაბინეტში შესამჩნევად დაინმინდა ჰაერი. მინდელმა ფანჯარა დახურა და სავარძელს დაუბრუნდა. პატიმარი ისევ თავჩაქინდრული იჯდა და შეუწყვეტილივ აბოლებდა.

— კიტოვანო! — დაარღვია დუმილი მინდელმა.

პატიმარმა თავი ასწია, მოლოდინით მიაჩერდა გამომძიებელს.

— კიტოვანო, — გაიმეორა მინდელმა, — ხომ ხედავთ, ჯიუტობას აზრი არა აქვს. თქვით, რაც სათქმელია და მოვრჩეთ.

— ვა, კიდევ დარჩა რამე?.. რაც გამიკეთებია, ვთქვი, რაც არ გამიკეთებია, ტყუილს ხომ არ ვიკისრებ?!

— სხვის დანაშაულს თქვენ არავინ გაბრალებთ, ხოლო რაც გააკეთეთ, იმაზე პასუხს გაგებინებთ.

— მაშ არა და, მე ვიცი: სანატორიუმში გამგზავნით... — იქედნურად ჩაიცინა პატიმარმა.

— კიდევ ერთხელ გკითხვით, ვის მიყიდეთ ნაპარავი ნივთები?

— მეც კიდევ ერთხელ გიპასუხებთ: ერთ ვინმეს... — მიუგო კიტოვანმა.

მინდელმა წამით იყუჩა, შემდეგ, მოკლედ მოჭრა:

— ხოტოველი სალამს გითვლით, ვახტანგ...

— ვინ?.. ვინ მითვლის?

— ხოტოველი, იოსებ ხოტოველი, — ღიმილით უპასუხა გამომძიებელმა.

— ეს კიდევ ვინდაა?! — ისე ბუნებრივად გაიოცა კიტოვანმა, რომ გამომძიებელმაც კინაღამ ირწმუნა მისი.

— იოსებ ხოტოველი. აღარ გახსოვთ — წყალტუბოს ნანარმი ძხვი რომ გამოგიგზავნათ?..

— არაფერი მესმის!

— როგორ არ გესმით? განა, დევიძის ქალი თქვენ არ გაგზავნეთ მასთან? იქნებ, ამასაც უარყოფთ?

— ჰო, ხოტოველი. იოსკა? — „მოაგონდა“ კიტოვანს. — როგორ არა, გამახსენდა, მალაზიაში რომ მუშაობს.

— სწორედ ის. ხომ არ გინდათ, შეგახვედროთ?

კიტოვანმა თავი ასწია, მოლოდინით მიმდებარდა გამომძიებელს გამომძიებლად შეხედა, შეყოყმანდა.

— რატომ უნდა შემახვედროთ? — იკითხა გაუბედავად.

— უბრალოდ, შეგახსენებთ, რა გადაგისადათ ნაპარავ ნივთებსა და ობლიგაციებში... და კიდევ...

— კიდევ — რა? — თვალები გაუფართოვდა პატიმარს.

— ...და კიდევ... — განგებ გაანწვრილა მინდელმა. — სალამს გადმოგცემთ მათე ჩარგივისაგან — იგივე სამ-კა ჩერ-ქე-ზი-სა-გან... — დამარცვლა გამოძიებელმა.

კიტოვანი გველცემულივით წამოიჭრა სკამიდან, ერთბაშად მოწოლილმა სისხლმა სახე აუჭარხლა; შემდეგ, უცერად გაფითრდა, საკინძე გაიგლიჯა და თვლებიდან ღვეულივით გადმოსცვივდა.

— მე არავითარ ჩარგივს არ ვიცნობ, გესმით? არავითარ ჩერქეზს! — ისე იბღავლა, რომ კაბინეტში, დაფეთებული სერჟანტი შემოიჭრა და მუშტებმოკუმულ პატიმარს უკნიდან მხრებში სწვდა.

— შეწყვიტეთ ღრიალი! — შეუტია ფეხზე სწრაფად წამოდგარმა მინდელმა.

მაგრამ კიტოვანს არაფერი ესმოდა, ან-გარიშპიუცემლად მიიწვდა გამომძიებლისაკენ და უცერად მოღრეცილი პირით რალაცას ბუტბუტებდა.

— ახლავ შეწყვიტეთ-მეთქი! — დასჭექა მინდელმა.

პატიმარი შეკრთა, უაზრო თვლებით მიმოიხედა და სერჟანტის ძლიერ მკლავებში მოქცეული ძნასავით სკამზე დევსა.

— არ ვიცნობ, არ ვიცნობ-მეთქი!.. — რამდენჯერმე გაიმეორა მან და გამშრალი ტუჩები გაილოკა.

სიწუმე ჩამოვარდა. სერჟანტს კვლავ მაგრად ეჭირა პატიმარი, რომელსაც პირველმა განრისხებამ გაუარა და ახლა, მხოლოდ მხრები უტოკავდა ციებიანივით.

— გაუშვით, — უბრძანა მინდელმა სერჟანტს, — გაუშვით და წყალი მიაწოდეთ, დამშვიდდებთ.

სერჟანტმა იჭყნულად შეათვალღერა ჯერ კიდევ მოცასცახე კიტოვანი, შემდეგ, ხელე-ბი უშვა და წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა. კიტოვანი ხარბად დაუნვა წყალს, გონს მოეგო, ჯიბე მოიქექა, მაგრამ პაპიროსი გამოლეოდა.

— მოსწიეთ! — გაუნოდა მინდელმა კოლოფი.

პატიმარმა ავანკალებული ხელებით ძლივს ამოიღო პაპიროსი, მაგრამ ასანთის გაკვრა ვერ შეძლო, რამდენიმე ღერი გატეხა. სერჟანტი მიეშველა — ანთებული ღერი მიაწოდა. კიტოვანმა ღრმად მოქაჩა — ერთხელ, მეორედ, მესამედ...

— დაგვტოვეთ! — უბრძანა მინდელმა სერჟანტს.

სერჟანტმა წყნარად გაიხურა კარი.

კიტოვანი ავადმყოფივით გარინდულიყო, სახე მოღრეცილი, თითქმის შემლილი ჭქონდა, უაზროდ შესცქეროდა გამომძიებელს, შიშისგან გაფართოებული თვლებით.

მინდელიც დუმდა. პატიმრის უეცარმა გამაგებამ გამომძიებელი დაარწმუნა იმაში, რომ კიტოვანი არათუ იცნობდა ჩარგივს, არამედ შიშისაგან ძრწოდა კიდევ მის წინაშე...

ექვი არ იყო — ჩარგივეი ბანდის მე-თაური და შეპყრობილთა შორის ყველაზე საშიში ბოროტმოქმედი იყო, ამასთანავე, არა მარტო თავაცობდა ბანდას, არამედ მისი წევრების სიცოცხლეც ხელთ ეპყრა. სწორედ ამით უნდა ახსნილიყო ის პირუტყვეული შიში, რომელსაც საშკა ჩერქეზის მარტოდენ სხენებაც კი ინჯევდა ბანდიტებში...

გამომძიებელმა პატიმარს გადახედა. კიტოვანი ბოროტად შეკრულ წარბებქვეშ ნადირივით აბრიალებდა თვლებს. პირველ შიშს უკვე გადაეწვო და მისი მოღუმული სახე ბრძოლისათვის მზადყოფნას გამოხატავდა.

მინდელი წყნარად ჩაეშვა სავარძელში, შენიშვნებით აჭრელებული ფურცელი წინ დაიდო, რამდენიმე სტრიქონი მიუმატა, შემდეგ კალმისტარი გვერდზე გადადო და გამჭოლად მიაჩერდა თავჩაქინდრულ კიტოვანს.

პატიმარმა ალლოთი იგრძნო გამომძიებლის მზერა. თავი ასწია, თითქოს რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, რამდენჯერმე უხერხულად ჩაახველა და თვალი აარიდა გამომძიებლის მტკიცე გამოხედვას.

მინდელი მიხვდა — მან გატეხა კიტოვანის ნებისყოფა და ახლა მისი ადგილი შიშს დაეკავებინა — იმდენად ძლიერ, პანიკურ შიშს, რომ უშლად, გამდნარ ტყვიას ჩაყლაპავდა, ვიდრე ჩერქეზზე იტყოდა რამეს.

გამომძიებელი დარწმუნდა, რომ ახლა, პირდაპირ იერიშს აზრი არ ჰქონდა და გადაწყვიტა, სხვა მხრიდან მოეწვო კიტოვანისათვის.

— დანყნარდით, — დაარღვია დუმილი მინდელმა.

კიტოვანმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მზერა მიაპყრო.

— ძლიერ გშინებიათ ჩერქეზის, თუმცა, თავი ვაჟაცად მოგაქვთ... — განაგრძო გამომძიებელმა.

— მე არავისიც არ მეშინია, — ძლივს ამოლერდა კიტოვანმა. — მით უმეტეს, ვილაც ჩარგივის.

— არა, გეშინიათ. უფრო მეტიც — ისტერიკაში ვარდებით.

კიტოვანმა არაფერი უპასუხა.

— ყველას ტვირთს თქვენ ვერ აწევთ, ვახტანგ კვალისაშვილო, გაიჭყლიტებით.

— მე არავის ტვირთს არ ვწევ, ჩემიც მეყოფა.

— ეგ რომ გესმოდეთ, თქვენს თავზე იზრუნებდით და არ ეცდებოდით სხვისი დანაშაულის საკუთარ თავზე აღებას.

— თქვენ ჩემზე წუ ზრუნავთ, უთქვენოდაც იოლას გავალ როგორმე.

— მამასადამე, ჩერქეზს არ იცნობთ?

— გითხარით, არა-მეთქი! — დაიღრინა კიტოვანმა.

— არც ხოტოველი მიგიგზავნიათ მასთან?

— ეს კიდევ საიდან მოიტანეთ?

— ცუდი კონსპირატორი ხართ, ჩოფურ, — გაიღიმა მინდელმა. — თუმცა თავი გამოცდილ ქურდად მოგაქვთ, სინამდვილეში, ყველა თქვენი ნაცოდვილარი,

ვეებრთელა კვალს ტოვებს. ჩარგიევიც თქვენ უნდა „გიმადლოდეთ“ ჩავარდნას.

— გინდათ, „ამადლოთ“? — ბრაზიანად ჩაისინინა პატიმარმა.

— არა, რატომ?! სიმართლეს გეუბნებით. თქვენ გგონიათ, დიდი კონსპირაცია გამოიჩინეთ, როდესაც ხოტოველს გააგებინეთ, როდის და რომელ საათზე გამოცხადებულეყო 407-ე ნომერში ბასკაკოვასთან?.. ან იქნებ გგონიათ, რაკი გულუბრყვილო ქალის მოტყუება შექელით, გამოძიებაც მოტყუებდებოდა?! შეცდით, კვალაშვილო, მოტყუვდით! ყველაფერი პირიქით მოხდა და როგორც თქვენ, ისე ჩერქეზიც, ორივე ფეხით გაებით ხაფანგში.

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ!
— კმარა, ვახტანგ! წუთო, იმდენად დაგაბნიათ შიშმა, რომ მარტივი ქვეშაობიერებაც სადავოდ გინდათ გახადოთ?!

— გეუბნებით — არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ, — ჯიუტად გაიმეორა კიტოვანმა.

— წუთო?! — გაიკვირვა გამოძიებელმა. შემდეგ, საქალაქიდან ფოტოსურათი ამოიღო და პატიმარს გაუწოდა: — აი, ინებეთ და დარწმუნდით თქვენს სულელურ კონსპირაციაში. იქნებ, ამის შემდეგ მაინც გეყოთ გამბედაობა და შეურიგდეთ თქვენს სრულ ჩავარდნას, — დაუმატა დაცინვით.

კიტოვანმა უხალისოდ ჩამოართვა სურათი, თვალი შეავლო 50-მანეთიანი ბანკოტის ფოტოასლს, შემდეგ მხრები აიჩეჩა და სურათი გამოძიებელს დაუბრუნა.

— იცანი? — შეეკითხა გამოძიებელი.

— რა ვიცანი?
— ფული, რომელიც დევიძეს გაატანეთ ხოტოველთან.

კიტოვანი გამხიარულდა.

— აბა, შენა ყოფილხარ, აი!.. — გაილიმა მან. — გეგონება, ბოლშევიკებს მხოლოდ ერთი ცალი ხუთთუმიანი მოეჭრათ და ისიც უეჭველად, ჩემი დასტურით, რომ, შევხედავ თუ არა, ხელად ვიცნო.

— ლაზღანდარობას თავი დაანებეთ, კიტოვანო!

— ჩემმა მზემ, „სტრანნი“ ვინმე ხართ-მეთქი, აა! საიდან მოიტანეთ, რომ ეს „ჩაკარტიჩკებული“ 50-მანეთიანი, უეჭველად ჩემი „ნაცნობია“?

— მაშ, უარყოფთ?

— ვა, შარი თუ გინდა, ეს არი, აი! იქნება, ახლა, ისიც მითხრათ, ამ 50-მანეთიანს რანაირი „მეტრიკა“ და „პასპორტი“ აქვს?..

— გეტყვით, აუცილებლად გეტყვით, — მიუყო გამოძიებელმა სერიოზულად.

— ვაა! აი, სეირი თუ გინდა, ეს იქნება, აი! მაშ მოიტა, მჩვენე, რო ერთი ჯიგრიანად გავიცირო, რაღა.. — კიტოვანს სრულიად გაუარა ჩერქეზის სხენებით გამოწვეულმა

შიშმა და ისევ ლაზღანდარობა დაიწყო.

— კეთილი, თავის დროზე, ყველაფერს გიჩვენებთ, ჯერ კი, შემდეგ კითხვაზე მიპასუხეთ: ვინ მოგცათ ბასკაკოვას მისამართი?

— ვისი მისამართი?

— ბასკაკოვას, ტანია ბასკაკოვას მისამართი.


— აკი გითხარით, არ ვიცნობ, ვილაც ოხერი ბასკაკოვაა..

— მაშ, ვისთან უნდა გამოცხადებულეყო ხოტოველი 15 იანვარს, საღამოს 10 საათზე?

— მე ეგ საიდან უნდა ვიცოდე?!

— სწორედ თქვენ უნდა იცოდეთ — აკი, ასე დაავალეთ ხოტოველს.

— რამდენჯერ უნდა გითხრათ — ხოტოველისათვის არაფერი დამივალუბია-მეთქი?!



— თქვენ ასე გგონიათ?..

— მა, ისე უნდა მეგონოს, როგორც თქვენ გინდათ?..

— არა, კვალაშვილო, მაგრამ არც ისე, როგორც თქვენ გინდათ, — შენიშნა მინდელმა და დაუმატა: — აბა, ამ სურათს ერთხელ კიდევ დახედეთ, კარგად დააკვირდით და შემდეგ მიპასუხეთ.

მინდელმა 50-მანეთიანი ბანკოტის ფოტოასლი პატიმართან ახლოს მისწია.

— ვა, ვნახე და ის იყო! ახლა, ზეპირად ხომ არ უნდა ვისწავლო?..

— დახედეთ, დახედეთ და მიპასუხეთ — რა წერია? — შეეკითხა მინდელი და ფულზე გაკეთებულ წარწერაზე მიუთითა.

კიტოვანი წარწერას დააცქერდა.

— რა წერია? — გაუმეორა კითხვა გამოძიებელმა.

— რა ვიცი, რა წერია?! „ტანია“ და რაღაც ციფრები. ეტყობა, ვილაცას ფინან-

სთა მინისტრობა დაუწყია... — გაიღრჩხა ქურდი.

— ნაწერი არ გეცნობათ?

— მეე?

— ჰო, თქვენ.

— რა თქმა უნდა, არა. ეგეთ ხალხთან საქმე არა მაქვს.

მინდელმა მეორე ფურცელი ამოიღო, რომელზეც, რამდენიმე სტრიქონში, ერთი და იგივე რუსული სიტყვა იყო დაწერილი და კიტოვანს გაუწოდა.

— ეს ნაწერი თქვენია?

კიტოვანმა ფურცელს დახედა.

— მერე რა, რო ჩემია?! ეს სო თქვენ თვითონ დამაწერინეთ.

— მაშ, კარგად დააკვირდით: ფულზე და თქვენ მიერ ჩემი თხოვნით ამ ქალაქზე დაწერილ რუსულ სიტყვაში — „ტანია“ — ორივეგან, ერთი და იგივე შეცდომაა დაშვებული.

— მერე, ეგ მე რაში მებება?!

— საინტერესოა... — გაილიმა მინდელმა.

— რა არის საინტერესო?
— თქვენი ქცევა. სირაქლემა გაგიგონიათ, ვახტანგ?

— მერე რა?

— ის, რომ თუ სირაქლემა გაგიგონიათ, იქნებ, ისიც იცით, მას ერთი, ძალზე სულელური ჩვევა აქვს.

— სულელური ჩვევა?

— ჰო, სულელური: როცა მონადირეები დაედევნებიან, თავს ფრთის ქვეშ მალავს და ჰგონია, მდევარი მოვატყუეო.

— მერე, მე რაში მეკითხება, თავს მალავს თუ კუდს?!

— გაუკვირდა კიტოვანს.

— თქვენც ასე იქცევით, თუმცა, სირაქლემაზე მეტი მოგეთხოვებათ.

— აბა, ეგები არ იყოს, მე სირაქლემა არა ვარ!

— სირაქლემათა საბედნიეროდ... მაგრამ დაუბრუნდეთ საქმეს: მაშ, ეს ნაწერი არ გეცნობათ?

— არა-მეთქი, გითხარით.

— კეთილი. გამოდის, რომ ექსპერტი შეცდა.

მინდელმა საქმის მასალებიდან სხვა ქალაქი ამოიღო.

„50-მანეთიანი ბანკოტის ფოტოასლზე არსებული რუსული წარწერა „ტანია“ შესრულებულია ვახტანგ ილარიონის ძე კიტოვანის, იგივე გიგლა გაიოზის ძე კვალაშვილის მიერ“, — დინჯად ჩაიკითხა მან, შემდეგ, დასკვნა კიტოვანს გაუწოდა და დაუმატა: — რას იტყვით?

— ამას ექსპერტი წერს?

— ცხადია, ექსპერტი, ექსპერტი-კალიგრაფი.

— მაშ, ეგ ექსპერტი კი არა, ტუტუცი ყოფილა!

— ჯიუტობას აზრი აღარა აქვს, კიტოვანო!

— ეგ საკენკი სხვას დაუყარე, მე კი შემეშვი. აგიტაციით, საკენკს კი არა, მწ-

ვადს აღარ ვჭაბ.

— მაშ, არ გინდათ, აღიაროთ?

— რაც გამიკეთებია, მიტყვი, სხვის საქმეს კი, ტყუილად ვერ მაკისრებინებთ. გაიგეთ, ვერ მაკისრებინებთ-მეთქი! — ბრაზიანად გაიმეორა კიტოვანი და თვალები ჩაუსისხლიანდა.

— კიტოვანო, თქვენ პირველად არ ზიხართ და უეჭველად გესმით, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხართ მოხვედრილი. იმის შემდეგ, რაც თქვენ აღიარეთ, სისულელეა წვრილმანების უარყოფა, ეს არაფერს მოგცემთ. ჯობს, ბოლომდე მიიყვანოთ დაწყებული საქმე.

— მე არ ვვკუთვები. გითხარით, რომ ბინა გავქურდეთ, ტყუელია მე არ დამიჭრიან, ნაქურდალი ნივთები და ობლიგაციები „შევასოხარეთ“. წამლები თქვენ არ გაყავთ და ვერც დაიჭერთ — გაგიფრინდათ. ხოტოველი ამ საქმეში არ ყოფილა. ჩარგივეს არ ვიცნობ, არც ვილაც ბასკაკოვას. ვიკისრე ისიც, რომ ექიმი გრძელიძე მოვიტაცეთ. ვინც ჩემთან იყო, წავიდა, მის სახელსაც ვერ გაიგებთ. „პუშკები“ ჩემი არ არის, ივანისელება დაგადასტურათ. ჩემიც რომ იყოს, მაინც ვერ გაიგებთ, ვინ მომცა. სხვა რა გინდა? თავი გამანებე და საქმე დაამთავრე! ბარემ „მისუდონ“ და — მორჩა. საიდანაც მოვსულვარ, ისევ იქ წავალ.

— ასე, იოლად ვერ გახვალთ.

— მეტს ხომ ვერ აპყიდებთ! 15 წლის „სროკზე“ მეტს ხომ ვერ მომცემთ!

— ჩიკვაიძის მკვლელობა რა დაგიჯდებოდა, დაფიქრებულხარა?..

— მაგაზე იმან იფიქროს, ვინც მოკლა. ჩვენ არ გავიკეთებია, ვერ აგვიკიდებთ, სულ ერთია, „სული“ ვერ დაგვიმტკიცებს.

— უეჭველად დაგიმტკიცებთ. ეს არის, რომ ცოტა მეტ დროს დავკარგავთ.

— ჰოდა, როცა დამიმტკიცებთ, მაშინ ვილაპარაკოთ... — უტიფრად მიახალა კიტოვანმა.

— კეთილი, კეთილი, კიტოვანო. დღეისათვის კმარა, იმედი მაქვს, მოიფიქრებთ და შემდეგ დაკითხვაზე მეტ გონიერებას გამოიჩინებთ, — მიუგო მინდელმა და მორიგე მილიციელი გამოიძახა. — წაიყვანეთ პატიმარი! — უბრძანა შემოსულ სერჟანტს.

კიტოვანი ზანტად წამოდგა, ამას შეჩვეული კაცის იერით შემოინყო ხელები ზურგს უკან და ნელა გავიდა კარში.

მარტოდ დარჩენილი მინდელი მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, დინჯად აკრიფა ფურცლები და საქმესთან ერთად, ცეცხლგამძლე ყუთში ჩაკეტა. დაღლილ სახეზე ხელი გადაისვა, რამდენჯერმე გაიარა-გამოიარა კაბინეტში და ფანჯარასთან გაჩერდა.

ბინდებოდა. მოულოდნელად ამოვარდნილი ქარი გამეტებით აწყდებოდა ფანჯრებს.

მინდელი ჩაფიქრდა: „ჩარგივე უთუოდ ძალზე გამოცდილი ქურდი-რეციდივისტია, ამიტომ ემინიათ მისი ისეთ კვალიფიციურ ქურდებსაც კი, როგორებიც კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი არიან. მაგრამ როგორ მოხდა, რომ მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოს არავითარი ცნობა არ მოე-

პოვება მასზე?.. ნუთუ მცდარია ჩემი მოსაზრება და ჩარგივე და ჭალარა ერთი და იგივე პიროვნება არ არის?! დაფუძვით, მართლაც, არ არის ქართული; როდის ჩამოვიდა საქართველოში და რომელ ქალაქში „მოღვაწეობდა“ ადრე?.. მათ მოკლეს ჩიკვაიძე თუ მისი მკვლელობა ცალკე დანაშაულია და გამოძიება ამ ნაწილში მცდარ გზაზე დგას?.. სად ვფიქრობ ჩარგივეს პიროვნების დამადასტურებელი ცნობები?“

— გამარჯობა, ლევან. როგორ ჩაფიქრებულხარ!.. — მოესმა უეცრად მინდელს და გამოერკვა. კაბინეტში ბალანჩივაძე იდგა და უღიმოდა.

გაუკვირდა, ფიქრებში ნასულს, კარის გაღების ხმა რომ არ გაუგონია.

— ჩანს, ძალზე დაღლილი ხარ, ლევან, თუ ჩემი შემოსვლა ვერ გაიგე, — განაგრძო პოლკოვნიკმა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობათ, დავით ილიჩ. მართლაც, ცოტა დავიღალე, — გაიღიმა მინდელმა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— როგორ მიდის საქმე? არის რაიმე ახალი? — შეეკითხა პოლკოვნიკი და სავარძელში ჩაჯდა.

— არის, დავით ილიჩ. დევიძის ბინაში შეპყრობილმა ბანდიტებმა ძირითადად, დანაშაული აღიარეს.

— ჩარგივე?

— ჩარგივეს შესახებაც არის ზოგი რამ...

— სახელდობრ?

— დღეს მისი მეტსახელი დავადგინე — საშუა ჩერქეზი, — უპასუხა მინდელმა.

— საშუა ჩერქეზი? როგორ დაადგინე, ვინ ამხილა?

— განზრახ — არაფერ. ისე კი, ბალავაძე „დაამხმარა“...

— საკვირველია, როგორ მოახერხე!

— საინტერესო შემთხვევაა, — მინდელმა სეიფი გახსნა, საქმიდან ერთი ფურცელი ამოიღო და პოლკოვნიკს გაუწოდა. ბალანჩივაძემ ჩამოართვა, რამდენჯერმე გადაავლო თვალი, ტირე-ნერტილებით აჭრელებულ ორიოდვე სტრიქონს, შემდეგ, ფურცელი მაგიდაზე დადო.

— არაფერი მესმის! — ჩაილაპარაკა წყნარად.

— მორზე, დავით ილიჩ. ამ ორ სტრიქონში ბალავაძისა და ივანისელის დიალოგია ჩანერილი, მორზეს ანბანით გამართული დიალოგია...

— ეს როგორ? — უფრო გაუკვირდა პოლკოვნიკს.

— სულ უბრალოდ, — მიუგო მინდელმა და დაწვრილებით უამბო ბალავაძისა და ივანისელის შესხვედრის შესახებ.

— დიდებულა! — აღფრთოვანდა პოლკოვნიკი, შემდეგ, სანერი მაგიდიდან ფურცელი აიტაცა და სათვალე მოირგო.

„არ გაბედო საშუა ჩერქეზის ხსენება, დავახრჩობს, არ გაბედო!“ — „მესმის, ჩემგან ვერაფერს გაიგებენ“, — გაშიფრა მან ტირე-ნერტილები და კმაყოფილებით შეხედა დაქანცულ მინდელს.

— დიდებულა! — გაიმეორა მან და მაგრად ჩამოართვა ხელი. — ყოჩაღ, ლევან! აი, რას ნიშნავს გონივრული აზრი! ყოჩაღ! მინდელს ყურები შეუწითლდა...

— ეს კი დავადგინე, ბატონო დავით, მაგრამ ოფიციალური ჩვენება ვერც ერთი-საგან ვერ მივიღე, ასე რომ, ბანდიტების აღიარება — ჩარგივეს ვიცნობთო — მაინც არ გვაქვს.

— ეგ არაფერია. მთავარი ის არის, რომ შენი ვერსია სწორი აღმოჩნდა და ჩარგივეს უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანის საბურველი შემოეცალა. განა, ეს ცოტაა!.. ვფიქრობ, ჩარგივეზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მისი მეტსახელის დადგენა, — პოლკოვნიკი წამით შეუკონდა და შემდეგ განაგრძო: — მაშ ასე, დავაჯამოთ შედეგები: ჩარგივე ბანდის მეთაურია; ბანდიტებმა იცინა, რომ მილიციის სამძებრო განყოფილებას მის შესახებ კომპრომასალა არ მოუპოვებია, ამიტომაც, ასე გულმოდგინედ უარყოფენ ჩარგივეს მონაწილეობას საქმეში. რა თქმა უნდა, ამას ჩერქეზის წინაშე ძრწოლაც ემატება... დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები ბასკაკოვას არ იცნობენ. ჩარგივესაც მხოლოდ კიტოვანი ხვედებოდა. ბასკაკოვას მისამართიც კიტოვანს ჩარგივემა მისცა. მან კი, თავის მხრივ, ხოტოველი გაგზავნა ბასკაკოვასთან. სწორედ ამით არის გამონწვეული, რომ კიტოვანმა, თუმცა აღიარა ტყუელია ბინის გაქურდვაში მონაწილეობა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს წყალტუბოში ხოტოველის გაგზავნის ფაქტს. რატომ ზოგაც ხოტოველს?.. პასუხი ერთია: ხოტოველი — ის რგოლია, რომელიც ამ ჯაჭვში მტკიცედ აკავშირებს ჩარგივეს დანარჩენ ბანდიტებთან. მამასადამე, ხოტოველის მხილება — ჩარგივეს მხილებაა, ეს კი ბანდიტების ანგარიშში არ შედის. გასაგებია ისიც, რომ უარყოფენ ჩიკვაიძის მკვლელობას.

— სასვენო გეთანხმებით, ბატონო დავით, მაგრამ ჩემი აზრით, ბევრ რამეში ჯერ კიდევ ნავისუსტებთ.

— სახელდობრ?

— ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა ჩარგივე და ჭალარა? თქვენთვის ცნობილია ჩემი მოსაზრება, რომელიც ჩარგივეს დაკავებას დაედო საფუძველად: დაკნენილი ფრჩხილები და თეთრი, ლამაზი კბილები სხვასაც შეიძლება ჰქონდეს. ამასთან, ჩემი ვერსია, რომ ჩარგივეს გრიმი ჰქონდა გაკეთებული, მხოლოდ მოსაზრებაა და იურიდიულად არაფრით არ არის გამაგრებული. შეიძლება, ჩარგივემ მხოლოდ ბანდის ერთ-ერთი წევრთაგანია და ჭალარა ხელიდან გაუშვით? კიდევ ერთი რამ: ჩიკვაიძის უცნაური მკვლელობა კვლავ ბურუსით არის მოცული. ბანდიტები კატეგორიულად უარყოფენ ამ ბრალდებებს, მაგრამ თუ მაინც დაფუძვებით, რომ ისიც შეპყრობილმა ბანდიტებმა მოკლეს, ისმის კითხვა — რა ურთიერთობა ჰქონდა ჩიკვაიძეს ბანდიტებთან? ვინ არის იგი? მსხვერპლი, საქმის მიმცემი თუ ბიძის მკვლელობის უშუალო მონაწილე? სად და როგორ დაუკავშირდნენ ანზორს პროფესიონალი ქურდები?.. და, ბოლოს: რატომ და რა ვითარებაში მოკლეს ჩიკვაიძე?.. — დაამთავრა მინდელმა და პოლკოვნიკს მი-აჩერდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფოტოგრაფის ავტობიოგრაფია



მთელი თეატრალური საზოგადოება, დიდი მსახიობის – ქალბატონი მედეა ჩახავას იუბილეს აღნიშნავს, რომელიც მისი ვარსკვლავის გახსნით გვირგვინდება. ეს პროგრესი კი, დღეს უკვე შორეულ (თუმცა, გაგიკვირდებათ: მიუხედავად იმისა, რომ იმ დღიდან, ბევრი დრო გავიდა, ქალბატონი მედეა თითქმის ისეთივე მომხიბვლელია, როგორც მაშინ იყო) 1993 წლის სექტემბერში, მის ბაღში გადავიღე.

იური მეჩიაი

გრიგოლ რობაქიძე

ჯიორჯო ჰიელოერი უცხოელი მწერლის თვლით

(ნიგნის ფრაგმენტები)



საბჭოური ცენზურის მიერ ათწლეულების მანძილზე აკრძალული, გამოჩენილი ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის მიერ დახატული ადოლფ ჰიტლერის პორტრეტი ბევრ მკითხველს გააკვირვებს, ზოგი კი (მეტადრე, უფროსი — ომგამოვლილი თაობის წარმომადგენლები), შესაძლოა, აღაშფოთის კიდევ, ზოგიერთის წინაშე კი, ბევრ კითხვას დასვამს. ერთი რამ უდავოა: ინტერესს ნებისმიერ მკითხველში აღძრავს — ჩვენ სომ მხოლოდ შავბუნელ ფერებში დახატულ ფიურერს ვიცნობთ და ვერას-

დროს წარმოგვედგინა, რომ მისი სხვაგვარად დახატვა იყო შესაძლებელი. სულ სხვანაირად იყო საქმე მაშინ, როდესაც ჰიტლერი კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა და სულ სხვაგვარად უყურებდნენ მას იქ (მის სამშობლოში), სადაც იმ დროს, სამშობლოს მოწყვეტილი, ქართველი მწერალი ცხოვრობდა...

დასაწყისი იხ. „გზა“ №19

მთარგმნელისაგან

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი შემოქმედებიდან (რომანები: „ჩაკლული სული“, „გრაალის მცველი“; პორტრეტები: „ლენინი“, „სტალინი“, „ტროცკი“, „მუსოლინი — მზიურნიშნული“, „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“), ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადოლფ ჰიტლერზე დაწერილი ესე, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, სრული სახით ქართულად დღემდე არ გამოქვეყნებულა. ურუნალ-გაზეთებში წლების წინ დაიბეჭდა მხოლოდ მისი რამდენიმე ფრაგმენტი. ამჯერად ჩვენც რამდენიმე ნაწყვეტს გთავაზობთ, ცალკე წიგნად კი მას მალე მიიღებს მკითხველი.

თარგმანი მაქსიმალურად შევეცადეთ, დაგვეცვა გრიგოლ რობაქიძის სტილი. ამ მიზნით გამოვიყენეთ მისი ლექსიკა და რიტმული სვლები.

ბროშურის გამოცემის ზუსტი თარიღი უცნობია. ავტორი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ის II მსოფლიო ომის პირველ წლებშია დაწერილი და გრიგოლ რობაქიძის თქმით, „არც ფაშისტურია და არც ნაცისტური“...

ლალი ფანჯიძე

პირველმდგენი

იდუმალბებიტაა მოცული ის რაღაც, რომელიც ნებისმიერი ხალხის თაურხატის სახით ვლინდება. ესაა პირველმდგენი, სიცოცხლის მქმნელი: ოლონდ არა მოდგმისა თუ ჯიშის შექმნის გაგებით. იგი ჩვენთაგანი არ არის, მაგრამ მინც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს. იგი ზუბიოლოგიური ბუნებისაა და შინაგანი სულიერ-ხორციელი არსებობის შუაგულიდან მომდინარეობს. ეს ზესთაპიროვნული ინდივიდუალურობაა, მაგრამ მითიურ ადამიანს იგი კონკრეტული პიროვნების სახით შეიძლება გამოეცხადოს.

ქართველები ჩვენი ხალხის პირველმდგენს სახელსაც კი ვარქმევთ, კარდჰუს, ბერძნულ ყაიდაზე — ქართლოსს. მცხეთაში, თბილისის მახლობლად, სადაც ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისა გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოხსენება, იქ, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა ნინომ ვაზის ნახლევისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად გვეგულებოდა კარდჰუს

წმინდა საფლავი. ყოველ წელს იმართებოდა მისი დატირება, ოლონდ ამაში ალბათ არ იგულისხმებოდა პირველმდგენის ქეშმარიტი საკვდილი. მაშ რა იგულისხმებოდა? იმ ხალხის ცნობიერებაში, რომელიც აუხსენელი მიზეზების გამო, პირველმდგენის ძალეს კარგა ხანია ჭკნობა შეჰპარვოდა, ფესვებს მწარე შიში ღრღნიდა, რომ თვით პირველმდგენი იყო დასაშრეტად განწირული, რადგან ძნელი წარმოსადგენია პირველმდგენი, როგორც ღვთაებრივი შესაქმეს თაურხატი, უკვალოდ გამქრალიყო. მაგალითად, ლანგებარდები, როგორც ხალხი, დიდი ხანია გადაშენებულია, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მინც გადაეყრებით ხოლმე ვინმეს, ვის სახეშიც რასიულად შეიცნობა მისი ლანგებარდული წარმომავლობა. ამრიგად, კარდჰუს იმიტომ დასტიროდნენ, რომ ქვეყნულად გრძობდნენ: პირველმდგენის გარეშე ხალხს ხალხი აღარ ჰქვია. ეს შეიძლება იყოს ადამიანების ჯგრო, მაგრამ მას არ ეწება არსი. მე ვიცი, კავკასიაში ბინადრობს ერთი ხალხის ნაშთი, სახელად უდები, რომელთაგანაც სამი-ოთხი სოფელიაა შემორჩენილი. ერთი შეხედვით ისინი სხვა ხალხებივით, ჩვეულებრივად ცხოვრობენ, მაგრამ კარგად თუ ჩაუვკვირდებით, მივხვდებით, რომ მათი სათუთი მყუდროება მეტაფიზიკური სიკვდილის მოახლოების მაუწყებელია. ყველა ნიშანი მოწმობს, რომ იდუმალბებით მოცული მიზეზების გამო მათ თაურხატს ნამდვილობა აქვს დაკარგული.

ნათელმხილველური ნიჭით დაჯილდოებული ბევრი მხატვარი ჭვრეტს ადამიანის სახეში მის რასიულ ხატს. ერთმა უცნობმა ოსტატმა უტა ფონ რაუმბურგის პორტრეტში სრულყოფილი პლასტიურობით გამოსახა გერმანული ტომების ნაშთი პირველქმნილი ქალი. გრაფინია უტას სახეში ცოცხლად არის განსხეულებული ჩრდილოელი ევას თაურხატი, ოლონდ იგი ცოცხლად დაცემით არ არის დამიძებული. ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ეს მზესთან მთელი არსებით წილნაყარი ქალი თავის წიაღში ფარული შინაგანი მგზნებარებით თვით მზის ნაყოფს დაატარებდეს. შეუდარებელია მის მშვენიერ ყელთან მომდგარ მოსახამზე გამოსახული უბინო ნაოჭი: გზნების ამოსაცნობი ნიშანია, ოლონდ ისეთი გზნებისა, რომელიც მარად წმინდა რჩება და არასოდეს გახდება „ბინიერი“. იგი შორეთში ჩაკარგულივით ნანაობს ჩვენს თვალწინ და თან ისე ახლოსაა, რომ გინდებთ შთაბეჭდილება: იგი რომელიმე შუასაუკუნეებრივი ქალაქის ნებისმიერ კუთხეში შეიძლება შემოგვეფოს.

ყოველი ცალკეული ადამიანი როგორღაც თავისი ხალხის თაურხატთან შემაკრთობული იდუმალბებითაა დაკავშირებული. ყოველი გენიოსი ქვეცნობიერად კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს თავისი რასის პირველმდგენთან ფარულ კონტაქტს და მისი გამოვლენის ფორმა იმ პირველმდგენითაა დალდასმული. ამ კონტაქტის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედებითი აქტი. ისტორია ამ წესის თითქმის ვერც ერთ

გამონაკლისს ვერ დაგვიდასტურებს.

მაშინ ამერიკასა და ამერიკაში მხოლოდ რაღაც უნდა ვთქვათ? შემაცხუნიველი კითხვა, რომელიც თითქოს მთელ ამ კონცეფციას აცამტყვერებს. ამერიკა მე მართლაც ახალ სამყაროდ მესახება, რომელსაც პირველმდგენის ძალების ზემოთ მოყვანილი მიმოხილვა ერთი შეხედვით თითქოს არ ესადაგება. ამ დროს გვახსენდება ამერიკის მთელი კულტურული ცხოვრობის ატომიზირება, ყოფიერების შეუკავშირებლობა და ინდივიდუალიზმის ბატონობა. ყველაფერ ამას აკლია ერთიანი თაურსატი, ვინაიდან იგი დასაბამიდან არ მომდინარეობს. ჩვენ აქ ვანყდებით ისეთ განვითარებას, რომელსაც შეეძლო ხალხად ქცევის პროცესამდე ახლებურად მივეყვანეთ. აქ შეძლებისდაგვარად შემდეგი მოსაზრება შეიძლება გამოიკვეთოს. ის, რაც მითიური ადამიანისათვის პირველმდგენია, ამერიკელს სამყაროს ფიზიკურ უწყვეტობად ევლინება. ცხოვრების ტენიზაციას შეეძლო სიცოცხლის წარმოშობის სხვა ხედვამდე მივეყვანეთ. მაგალითად, ატლანტის ოკეანის თავზე მყოფმა მფრინავმა შეიძლება უსასრულო სამყაროში ერთი წამით მზის მოლექულებად იგრძნოს თავი. მაშინ ამ შეგრძნებაში პირველმდგენი გამოვლინდებოდა. თუკი ვინმეს წილად ერგება ბედნიერება, ამაღლებად შეიმეცნოს თავისი თვითობა, მაშინ იგი, როგორც მისტიკოსი, უფრო დიდი და ღრმა იქნება, ვიდრე სხვა ვინმე, კაცის ჩეროში წამოწოლილი წყნარ მედიტაციას რომ მისცემია და ნირვანის მესვეობით შედის უსასრულობაში. მართალია, ეს ცდა უსამშველოდ ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ, რა წყალობასა და ბედნიერებას ეზიარებოდა მისი მაძიებელი? ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. პირველმდგენსა და ცალკეულ პიროვნებას შორის გამუდმებით მოქმედებს დრამატიზმით აღსავსე დაძაბულობა, ნებისმიერი პოეტი, ვინც კი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის დანიშნულებას, ამას თავის შემოქმედებით შრომაში ნათლად გრძნობს. იგი ცდილობს შექმნას რაღაც ახალი, ანუ სიტყვებისა და ხატების სამყაროში ხელახლა წამოიწყოს შესაქმნე, მაგრამ თუ წამოწყება პირველსანწყისის ერთგული არ იქნება, მაშინ შემოქმედებაში თვითნებობა აღზევდება, რამაც შეიძლება მანერულობა შვას, თორემ ქვამარიტი სტილის შექმნა გაუჭირდება. გოეთეს კლასიტი არ სწამდა, ოლონდ იმიტიომ კი არა, რომ თვითონ „ოლიმპიელად“ იყო დაბადებული. იგი თავის თავში გრძნობდა კლასისტს, რომელიც უნდა დაედგინა. არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც თვითნებობისა. ელისტის შემთხვევაში თვითნებობა, მისი აზრით, გრძნობათა აღრევაში ვლინდებოდა, რასაც თვითონ გამუდმებით უნდა გამკლავებოდა. ასე ამაღლდა იგი საკუთარ თავზე, რათა სანწყისთა სანწყისთან კონფლიქტი არ მოსვლიდა.

შეგრძელები იყოს ის, ვისაც ხელმოწევბა ჰარმონიაში ამყოფოს სანწყისსა და პირველსანწყისს შორის არსებული იდუმალი ცეზურა. ვაი, მას, ვინც ეს ვერ შეძლო: იგი საბოლოოდ არაირად გადაიქცევა.

მაგრამ ვინ გადაურჩება პირველმდგენთან შინაგან ბრძოლას, ისე რომ განადგურების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს? ო, ადამიანის ყოფიერების საიდუმლოც — ასეთებზე არსებობენ: ისინი ან სამყაროს უარყოფილები არიან — იგულისხმებიან ასკეტები — ან სამყაროს დამაქცევლები.

აქ მივადექი ადოლფ ჰიტლერის ფენომენის ცენტრალურ პუნქტს. ფრანგი მწერალი ალფონს დე შატობრიანი თავის წიგნში ახალ გერმანიზე ჰიტლერს ახალ ადამიანს უწოდებს. დიან ჰიტლერი მართლაც ახალი ადამიანია, უფრო ზუსტად: ადამიანის ახალი ხატი. მის სტიქიაში მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით შემოქმედებითად იძვრის ცალკეულ ადამიანსა და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმელი ცეზურა.

ცეცხლოვანი სასმელი

ერთი ქართული ნაწარმოები მოგვითხრობს: მე-18 საუკუნის დასასრულს, მონებად გასაყიდად სამეგრელოდან ორი ბიჭუნა გაიტაცეს. საქართველოს ამ კუთხეში ეს საზიზლარი ვაჭრობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ისინი ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დაამორეს და აი, 1798 წელს, ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობისას ერთი მათგანი დიდი მხედართმთავრის არმიოში აღმოჩნდა, მეორე კი ლომგული მამლუქების ბანაკში. პირამიდებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი მათგანი ბრძოლის ველზე ეცემა. სასიკვდილოდ დაკოდილს ერთი სიტყვა აღმოსდება: „ნენა“, დედის სააღერსო სახელი, ერთადერთი სიტყვა მშობლიური ენისა, რომელიც დანახილი სულის სიღრმეში ჰქონდა შემორჩენილი. როგორც დაუნანევერებელი ბერებისაგან შემდგარი გმინვა, ისე განიბნა მისი ხმა კოსმიურ სივრცეში. განა ვინმეს შეეძლო გონიხდილის ხმა გაეგონა, მაგრამ არის ერთი კაცი, ვინც ამ ხმას გაიგონებს: მისი ოდინდელი მეგობარი. მის გულშიც მშობლიური ენის ეს სიტყვაა შემორჩენილი. თავზარდაცემულს ესმის სულთმობრძავის ხრიალი. ტკივილი უორმაგდება, როცა მიხვდება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ხმლით განუგმირავს. მაშინ კი სასონარკვეთილი ყვირილი აღმოსდება და მის ყვირილში წუთისოფელთან გამოთხოვების გმინვა თვით წუთისოფლის წყევლა-კრულვად გადაიქცევა.

ვისაც ეს ყვირილი ძარღვს არ შეუტოვებს, იგი სიტყვა „სამშობლოს“, ფიურერის მიერ წარმოთქმულს, ვერასოდეს გაიგებს. ადოლფ ჰიტლერმა ამ საკვირველ სიტყვას ქუმარიტად დაუბრუნა თავისი პირვანდელი აზრი. სამშობლო — აი, რა არის მისი ცეცხლოვანი სასმელი.

იგი მკაფიოდ გამოკვეთის სამშობლოს ცნებას და მისი მეოხებით თვითონაც ვითარდება. ისევე როგორც მისი სახე ირეკლება ხოლმე მასთან მოსაუბრის სახეში. ასევე ხელშესახება ცნაურდება გერმანი-

ის მზის წნულში მისი არსი. ამბად ყვებიან: ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვინის, მეგობარს კი თავის მხრივ სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული; ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გაცეხულნი ხედავენ: ერთმანეთისთვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვინათ. კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომ სურათებზე ორივეს ნაუნერია: „ფიურერისადმი ერთგულების ნიშნად“. სხვა ამბავსაც ყვებიან: ერთ მოხუც მანდილოსანს საგანგებოდ გამოუკითხავს რა ჯიშის ვარდი ჰყვავის აპრილში. იმ ჯიშის ვარდი თავის ბაღში დაურგავს და ყოველი წლის 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეს, მონივნით თავდახრილი, მლოცველივით დგას მის წინაშე. გამიგონია: ერთი ყმაწვილი გოგონას შარავანდედივით რომ დასდგომოდა ნათელი და მარჯვენა მოსდუნებია. კიდევ ერთ ამბავს გავისხენებ. ერთი ქალი აგვიწერს ჰიტლერთან შეხვედრის ამბავს: თავიდან მხოლოდ ვუყურებდი ფიურერს, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი დაიწყო და ხელები აამოძრავა, იგი საოცრებად გადაიქცაო. ეს სიტყვები ბავშვური გენიალობის ნიმუში გახლავთ! (გეორგ შოტი: „სახალხო წიგნი ჰიტლერზე“), ერთი ახალგაზრდა კაცისთვის უკითხავთ, როგორ ეზიარე ნაციონალურ სოციალიზმსო? მას მოკლე პასუხი გაუცია: ფიურერის დანახვისთანავე გამიჩნდა გრძნობა, იგი ჩვეულებრივ ადამიანზე აღმატებული რომ იყოო. კიდევ ერთი პატარა ამბავი: ერთი უცხოელი ბერლინიდან იენაში მიემგზავრება, მასთან ერთად კუბეში ერთი ქალი და მისი ხუთი-ექვსი წლის გოგონა ზის. გაიბმება უბრალო საუბარი. ქალი შეამჩნევს, რომ მისი თანამგზავრი დამწუხრებულია და ეკითხება, რა შეგემთხვათო? იგიც უყვება, ახლახან თბილისში, როგორ დახვრიტეს მისი მეგობრები, მისი სამშობლოს მზეკაცები, რომლებიც მისთვის ძმებზე მეტი იყვნენ. შეწუხებული ქალი დუმს, მისი გოგონა კი კაცს უცნაური სახით დიდხანს, სერიოზულად უყურებს, მერე კონვერტიდან სათუთად იღებს რამდენიმე ლია ბარათს და დამწუხრებულ კაცს ათვალერებინებს. „აი, ფიურერის სახლი“, „ჩურჩულებს იგი სიყვარულით სავსე ხმით, „აი, თვითონ ფიურერი“. გულაწყვეტილი კაცი გოგონას საერთისებურ სიხალკეს შეისუფნობას და შეუცდომლად გრძნობს, რომ ბავშვი ამ სურათებით შეუმჩნევლად მის ნუგეშისცემას ლამობს. არასოდეს დაავინყდება გოგონას გულთბილი სახე, თუმცა მისთვის სახელიც კი არ უკითხავს. ასე ჯობიაო, ფიქრობდა შემდეგ: ქუმარიტი შეხვედრა, რომელიც რაღაც ღმერთთან სიხალკოვისებური ურევია, ჩვეულებრივი „ნაცნობობით“ ვერ დამთავრდება. ის კაცი, ვისაც ეს ამბავი შეემთხვა, ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. აი, ასე, უმცირეს დეტალებში მჟღავნდება ფიურერის ზემოქმედების ძალა. იგი ხალხის ენერგიებს განასხეულებს და მისი პიროვნული არსიც იმ ენერგიებით იკვებება. იგი ამას საკუთარი სულის სიღრმეში გრძნობს. 1936 წლის 29 მარტს წარმოთქმულ წინასაარჩევნო სიტყვაში მან გულიდან ამოხეთქილი სიტყვები თქვა: სამი წლის მანძილზე მე ვაძლევდი გერმანელ ხალხს ძალას, ახლა ველოდები, მაგრამ გერმანელმა ხალხმა თავის მხრივ მე მომცეს ძალა, მე ვრწმუნა განვუმტკიცე, ახლა ვიმედოვნებ, ერი მე განმიმტკიცებს რწმენასო.

ღრმაზროვანი შუქმფინარე სიტყვებია. მხოლოდ მას, ვინც თავისი სულის იდუმალ სიღრმეში დაძაბულობის ფასად უზრუნველყოფს პიროვნული თვითობისა და მთელის ნების ფასად ნაყოფიერ ურთიერთზემოქმედებას, მხოლოდ ამას ძალუძს, ბედნიერების მომნიჭებელი ღვთიური ჟრუანტელით ატანილია მიადევნოს თვალი ამ ენერგიების მიქცევა-მოქცევას.

წინასაარჩევნო უკანასკნელი სიტყვა ადოლფ ჰიტლერმა 28 მარტს, კიოლნიში წარმოთქვა. „ისეთი შეგრძნება დაგეუფლებოდა, ამბობს მისი თანამებრძოლი დოქტორი გებელსი, — თითქოს გერმანია ყველა ფენის, პროფესიისა და კონფესიის მომცველ დიდ ღვთის სახლად გადაქცეულიყო, სადაც მათი მფარველი ყოვლადძლიერის მაღალი საკურთხევის წინაშე ნებისა და საქმის დამადასტურებელი სიგელის მოსაპოვებლად იღვწოდა და თან უზენაესს წყალობასა და მფარველობას ევედრებოდა იმ მომავლისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველად და ბუნდოვნად იდო ჩვენს თვალთა წინაშე“. როცა მიმართვა გერმანელი ხალხისადმი დასრულდა, ფიურერი კიოლნიდან გაემგზავრა. დოქტორი გებელსი განაგრძობს: „ვაგზლებზე, სადაც კი რამდენიმე წუთი შეეჩერდით, ხალხის ტევა არ იყო. ისინი ეტყობა, გულის კარნახს აჰყენენ და ერთხელ კიდევ განადიდებდნენ იმ ადამიანს, ვისმა ხმაამც ისინი აქ მოიყვანა. ის კი მდუმარედ იჯდა თავის კუბეში, ფანჯასთან, თავის ქვეყანაში, თავის ხალხში გამავალ გზას მიუყვებოდა და იმ წუთებში ალბათ არ ტოვებდა ბედნიერების განცდა, თავისი ერის გულში ღრმად და მყუდროდ რომ იყო ჩაბუდებული. „ზუსტი ნათქვამია!“

ზოგჯერ ერთი ჭის წყალს მთლიანად გამოფიტულ მიწაზე მიუშვებენ ხოლმე, მერე ამომშრალი ჭა ერთხანს ჩაფლულია ნეტარ მყუდროებაში, მაგრამ მისი სიღრმიდან მაინც ჟინიანად მოიკვლევს გზას წყლის ნაკადი — საქართველოში ამას წყაროს-თვალს ეძახიან — და ჭის წილი ნელ-ნელა უხმაუროდ ივსება. ეტყობა, მამინ სიმშვიდეში ჩაძირული, მდუმარე ჰიტლერი გრძნობდა, მასში იმ ჭსავით როგორ მოედინებოდა ხალხის ძალები.

გერმანულიდან თარგმნა
დალი შანჯიკიძე



დღეს, ისევე, როგორც გუშინ და გუშინწინ, ტელესაინფორმაციო გამოშვება კიდევ ერთხელ, დიდი ზარ-ზეიმით აშუქებს კიდევ ერთი, უფასო სასადაილოს გახსნას. კადრში მოხუცთა და ნაციონალ მაღალჩინოსანთა სახეები ცვლიან ერთმანეთს. ერთი მოხუცი კაცი, ფეხზე წამომდგარი ლექსს უკითხავს პრეზიდენტს, მოხუცი ქალბატონი კი ცდილობს, როგორმე ჩაეხუტოს და ასე გამოხატოს თავისი მადლიერება... და უეცრად, კადრში ჩემი მეგობრის დედას მოვკარი თვალი, რომელსაც ერთადერთი შვილი აფხაზეთში დაეღუპა... „გაცრეცილ“ სახეზე უიმედობა და ტკივილი აღბეჭდოდა, სხვა მოხუცებისაგან განსხვავებით, არაფერი უთქვამს მადლიერების გამოსახატავად...

მანანა ჭირაქაძე

— ვაიმე!.. დედა თამარ! — წამომცდა უნებლიეთ. ოპერატორმა, უფრო მსხვილი პლანით აიღო მისი ჯერ კიდევ ლამაზი სახე.
...ქალბატონი თამარი თეფშს ჩამტერებოდა, გეგონებოდა, იქ ხედავდა რაიმე საინტერესოს... ამ დროს, ქვეყნის პირველი პირი და მისი ამაღლა, სიამოვნებით აგემოვნებდნენ ცხიმინ წვნიანსა და კატლეტებს...

იმავე საინფორმაციოში, შვილმოკლული დედის გახვევებულის სახე... კიდევ ერთი პრესკონფერენცია და კიდევ ერთი განცხადება: „არ გავჩერდები, ვერ გამაჩერებთ, ვერც დაშინებით და ვერც ფულით. მოვითხოვ: ჩემი ერთადერთი შვილის საქვეყნოდ ცნობილი, მაგრამ თქვენთვის ვითომ უცნობი მკვლელების კანონით დასჯას“.

...მაგიდაზე პატარა, კოხტასადგამიან ხის ჩარჩოში, ახლახან გარდაცვლილი დედა-

ჩემის ფოტოს შევხედე და ძალიან, ძალიან მომიწადა, შემოლანუნებასავით კითხვა დამესვა მათთვის, ვინც ახლა „მუსიკას უკვთს“ ისე, როგორც ცნობილ ქართულ ფილმშია: — „დოქსოპულო, შენ დედა გყავს?“ — და ამ კითხვასთან ერთად, მათთვის გრიგოლ რობაქიძის ნათქვამი გამეხსენებინა:

„დიდი დედა“: „მანანა მატერ“ ცნობილია ყველგან. „დედა“ — იგულისხმება ქალური თაური მსოფლიოსი, არ მგო-

მე ქართლის დედა ვარ, შეიღობილი დედა და სხვა შვილისებთან ერთად, თუ გზების გადაკეცვებმა არ გვიშველა



ნია, რომელიმე ხალხს ეგზნოს ეს თაუ-რი ისეთი სიღრმით, როგორც ქართველებს. „დიდ-დედას“ სვანთა, ეს-იტყვება „ადგილის დედა“ ხევსურთა: როგორც ასული — დედას...

გვყავს სამი დედა: წმ. ნინო, მეფე თამარ, დედოფალი ქეთევან. თითოეუ-ლი მათგანი, თავისებურ ასახიერებს ქალურ თაურს.

ნინომ დამყნა საქართველოს ხის ტან-ში ქრისტეს სჯული — ხე იქცა ნამყ-ენით „ხედ სიცოცხლისა“.

თამარმა განფინა: შარავანდით ხე-ლმწიფობა ქართველთა, დგინებული დავით აღმაშენებლის მიერ.

ქეთევან ეწამა ნაქმისათვის, როგორც ნინოს, ისე თამარისა.

ამ სამის ურთიერთობის მუხლში მოქცეულია უშრეტი ენგადი ქართველ-თა ყოფის“.

...ვუძღვნი დედაჩემს, დედაშენს და იმის დედასაც, ვისაც ხშირად ჩაეკითხ-ებიან ხოლმე:

„დოქსოპულო, შენ დედა გყავს?..“

ამას წინათ, სულხან-საბას განმარტებით ლექსიკონში ერთი, ჩემთვის საჭირო სიტყვის საბასეულ ახსნას ვეძებდი „დ“-ზე და სიტყვა „დედას“ წავაწყ-ედი. სხვა სიტყვებისგან განსხ-ვავებით, ახსნა მოკლე, მოსხ-ეპილი, მწირი და თანაც კატე-გორიულია: „დედა — მშობე-ლი“. არც ერთი ზედმეტი სი-ტყვა და ალბათ, არც საჭიროე-ბაა მისი ახსნისა...

თბილისს, ნარიყალიდან ქართველის დედა გადმო-ჰყურებს, ისევ ისე, როგორც იმ ავადსახსენებელი კომუნისტე-ბის დროს... ჰო, ჰო — ჩემი დედა,



„მეც ქართველის დედა ვარ, უფრო სწორად „მუზა“- ფილარმონიის წინ ვდგავარ და სხვადასხვა სანახაობაზე მოსულ ხალხს ვეგებები.“

შენი დედა, ჩვენი დედა... ყური დაუგ-დეთ. „მე ქართველის დედა ვარ, დედა სრულიად საქართველოსი... მერე რა, რომ რკინაბეტონის სხეული მაქვს — გული მაქვს დედის! ყური დაუგდე... ეს ჩემი გულისცემაა. მე ქართველის დედა ვარ: ერთ ხელში — ხმალი, მეორეში — ფიალა. ფიალა — მოყვრისთვის, ხმალი — მტრისთვის. ოღონდ ახლა ვინ არის მტერი და ვინ — მოყვარე — ცოტა ძნელია, ამის გარჩევა...“

„მეც ქართველის დედა ვარ, უფრო სწორად „მუზა“... ფილარმონიის წინ ვდგავარ და სხვადასხვა სანახაობაზე მოსულ ხალხს ვეგებები... აბა, რა ვქნა?! მე ხომ მუზეუმის დედა ვარ, ოღონდ — როგორი მუზეუმისა — ეს საკამათოა... და მიუხედავად იმისა, რომ ახლა აქ, ჩვენთან, ქვემეხები არ ჰქუხან, „ნამდ-ვილი“ მუზეუმი დუმან, გარდა პოლი-ტიკურისა, რაღა თქმა უნდა...“

„მეც ქართველის დედა ვარ, ქართველი დედა, ერთ დროს სახლკარიანი, ახლა



მეც ქართველის დედა ვარ, ჰო, ქართველი დედა ადრე — თურქეთში „ემოლვანობდი“, მრცხვენოდა...

უსახლკარო — ლტოლვილი. საცხოვრე-ბელი ადგილი? ადრე — აფხაზეთი, მერე — „ნატვრის ხესავით“ აფერადებული სას-ტუმრო „ივერია“, ახლა — ქალაქის ერთ-ერთი გარეუბანი. — რას ვითხოვ? — აფხაზეთში, ჩემს მიწა-წყალზე დაბრუნებას... იმედი?! — ამითი? იმედი — არა, ღმერ-თი თუ გვიშველის...“

„მეც ქართველის დედა ვარ, ჰო, ქართველი დედა, ადრე — თურქეთში „ემოლვანობდი“, მრცხვენოდა... ახლა, ცირკთან ვარ ატუზული, მოზუზული და გაყურებული“.

„მე ქართველის დედა ვარ! — ტელეეკ-რანიდან მომხიბვლელად მოლიმარი, დახვეწილად ჩაცმული, პოლიტიკური ტოქსოუს სენსაციურად პოპულარუ-ლი ნამყვანი, ტელემყურებელთა კერ-პი. ჩემს გადაცემაში „ტოქიც“ ბევრია და „შოუც“. ანაზღაურება... ჰმ... არც იოცნებოთ!.. საქმე?... რა ჩემი საქმეა?!“

„მეც ქართველის დედა ვარ, შვილ-მოკლული დედა და სხვა შავოსნებთან ერთად, თუ გზების გადაკეტვებმა არ გვიშველა, ხან კანცელარიის, ხანაც პარ-ლამენტის წინ ვდგავარ და სამართალს



მე ქართველს დედა ვარ, დედა სრულიად საქართველოსი... მერე რა, რომ რკინა-ბეტონის სხეული მაქვს — გული მაქვს დედის!

მოვითხოვ, გაყიდულ სიმა-რთლესა და სამართალს“.

„მე ქართველის დედა ვარ — ერთ დროს ცნობილი, ახლა კი — უმუშევარი, განათლების რე-ფორმას შეწირული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უნივერსიტეტის ლექტორი“.

„მეც ქართველის დედა ვარ, ერთ დროს ქრისტიანი, ახლა — იელოველი... მიზეზთა და მიზეზთა გამო, მათი წესების გამოზარებელი და მათ კერპე-ბზე მლოცველი“...

ამ დროს კი, თბილისის ნარიყალიდან, ისევ ისე, როგორც წლების წინ, იმ ავადსახსენებე-ლი კომუნისტების დროს — ქართ-ვლის დედა გადმოჰყურებს, რკინაბე-ტონის სხეულით, ფილითა და ხმლით...

ისიც, თითქოს ჩურჩულით იმეო-რებსო: „მე ქართველის დედა ვარ, სევ-დიანი თვალებითა და ნალველით სავსე გულით... ნეტავ, დაყვრუდე და არ მესმოდეს... ყოველდღე, ყოველ წუთს — „ჩემი დედა“, „შენი დედა“...“

ჰო, მე ქართველის დედა ვარ. შესა-ძლოა, უკვე ვეღარ ან აღარ მცნობთ?..

— ვერ იცანით?!

— ვერ ვიცანით?!

— აუ, ეგ რა დაგმართვია?! ჩემი დედა, შენი დედა, ჩვენი დედა!..

„ნინოს ვიგონებთ იანვარში: „კალენ-დარულად“; თამარს — მაისში, როცა მიწვეულნი ვართ რომელიმე თამარ-რქმეულთან; ქეთევანს არც ისე ვისხენებთ და არც ასე — დაგვიწყვება.“

„სასურველია, ეს სამი დედა — ნინო, თამარ, ქეთევან: მოვიგონოთ ფესვე-ბით. დღესასწაულისათვის მე ვირჩე-ვი რომელიმე დღეს მწიფობისთვი-სას...“ — გრიგოლ რობაქიძე.


„მიიღეთ, კვებო, თქვენი მსჯავთაჲნი, როგორც თაჲდა სული მღვდელ სწავლ...“

მართლმადიდებელი ეკლესია ნიკოლოზობას წელიწადში ორჯერ — 19 დეკემბერს და 22 მაისს დღესასწაულობს: დეკემბერში აღინიშნება მიცვალება წმინდა საკვირველმოქმედი ნიკოლოზისა, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა, მაისში კი — წმინდანის პატიოსან ნაწილთა ამოყვანება და გადაბრძანება მირონიდან ქალაქ ბარში...

მორენა მერკვილაძე

წმინდა ნიკოლოზი მრავალი წლის მანძილზე იყო მცირე აზიის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე, ლუკიის ოლქის ქალაქ მირონის მღვდელმთავარი, ამიტომაც იწოდება იგი მირონ-ლუკიის მთავარ ეპისკოპოსად. ნიკოლოზი მღვდელმთავრად ღვთის განგებულებით დაადგინეს — თავისი წმინდა ნება უფალმა ერთ-ერთ ეპისკოპოსს განუცხადა, მირონის გარდაცვლილი მთავარეპისკოპოსის ნაცვლად, ახალი მღვდელმთავრის არჩევის წინ. უფალი გამოეცხადა მას და უბრძანა: „ღამით ტაძრის კართან დადექი, ვინც ტაძარში პირველი შევა, ის იქნება ჩემი რჩეული, მას ნიკოლოზი ჰქვია“. ღვთის ნებით, ნიკოლოზი მართლაც ჩავიდა ქალაქ მირონში, ღამით კი, ცისკრის ღოცვაზე დასასწრებად, იმ ტაძრისკენ გაემართა, სადაც ღვთის რჩეული მთავარეპისკოპოსის მომლოდინე მღვდელმთავრები იყვნენ შეკრებილები. კართან მდგარმა მთავარეპისკოპოსმა, შეიტყო თუ არა ნიკოლოზის — ტაძარში პირველად შესული მღოცველის — სახელი, იქვე შეკრებილ მღვდელმთავრებს შორის ჩააყენა და ხალხს მიმართა: „მიიღეთ, ძებო, თქვენი მსჯავთაჲნი, რომელიც თავად სულიწმიდამ ცხობ და თქვენ სულეზზე ზრუნვა მიანდო; რომელიც ადამიანთა კრებულის მიერ კი არა, თვით ღვთის განგებულებითაა დადგენილი...“

საკვირველმოქმედად წოდებულმა მღვდელმთავარმა (წმინდა ნიკოლოზი მრავალ საკვირველებსა და სასწაულებს იქმოდა, ამიტომაც ეწოდა საკვირველმოქმედი) ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია და მშვიდობით შეკვდარა სული უფალს დაახლოებით 345-351 წლებში. მისი ნეშტი მირონის სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. X საუკუნეში კი, წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილები იტალიის ქალაქ ბარში გადააბრძანეს... ვიდრე ეს მოხდებოდა, იმავე X საუკუნეში, საბერძნეთი თურქებმა დაარბიეს და მისი აღმოსავლეთ მხარეები ააოხრეს — გაანადგურეს და გაძარცვეს ქალაქები და სოფლები. განვიტეს მოსახლეობა, შეურაცხვეს წმინდა ტაძრები და საეკლესიო სინამდებეები. მაჰმადიანები წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილების განადგურებასაც შეეცადნენ, მაგრამ შემთხვევით, წმინდანის სარკოფაგის გვერდით მდებარე სამარხი შემუსრეს. ღვთის განგებით გადარჩენილ სარკოფაგს ამის შემდეგ მხოლოდ 4 ბერი შემორჩა მზრუნველად და მცველად, რადგან თურქთა გაანადგურებელი შემოსევის შედეგად, უდაბნოდ იქცა ქალაქი მირონიც, სადაც წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილები იყო დაცული.



1087 წელს, ალექსი კომნენოსის მეფობის ჟამს, წმინდა ნიკოლოზი, ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქ ბარის ერთ-ერთ მღვდელმსახურს გამოეცხადა და უთხრა: „ნადი და აუწყე სამღვდელთა და ხალხს, რომ ჩემი წმინდა ნაწილები მირონ-ლუკიიდან წაიხილნენ და ქალაქ ბარში დასავენონ. უფალს არ სურს, ამ უდაბნოში დაკრწეს“. ამ უწყებამ ძალზე გაახარა ბარის ღვთისმსახური და მოსახლეობა. რამდენიმე მღვდელი და ღვთისმომხმადებელი წმინდანის პატიოსანი ნაწილების გადასაბრძანებლად გაემგზავრა, მაგრამ მათ მოგზაურობის ნამდვილი მიზეზის გამოხელა არ სურდათ, ამიტომ ხომალდი ხორბლით დატვირთეს, თითქოს სავაჭროდ მიდიოდნენ. მათ ანტიოქიაში ხორბალი გაყიდეს და სხვა საქონელი შეიძინეს. იქვე შეიტყვეს, რომ წმინდა ნიკოლოზის ნაწილების წაშლამ, იმჟამად ანტიოქიაში მყოფ ვენეციელ ვაჭრებსაც განუბრძანა. სასწრაფოდ დატოვეს ანტიოქია და ლუკიისკენ გაემგზავრნენ.

ლუკიაში ჩასულმა ბარელებმა წმინდა ნიკოლოზის სარკოფაგთან წინდანინ წარგზავნეს ორი კაცი მიდამოს დასაზვერად. ისინი მალევე დაბრუნდნენ ხომალდთან და თავიანთ თანამგზავრებს აცნობეს, რომ ეკლესიაში, სადაც წმინდა ნიკოლოზის პატიოსანი ნაწილები იყო დაბრძანებული, მხოლოდ 4 ბერმონახონი იმყოფებოდა. მოგზაურთა ნაწილი ტაძრისკენ გაემართა, ნაწილი კი კვლავ სანაპიროზე დარჩა. ბერებს მათზე ეჭვი არ აუღიათ და მოგზაურებს წმინდა ნიკოლოზის სამარხი უჩვენეს. ისიც

გაუმეღანეს, რომ წმინდანის ნეშტის ნაწილთა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ამაოდ, რადგან წმინდა მღვდელმთავარს მირონის დატოვება არ სურდა. რამდენიმე ხნის წინ, წმინდა ნიკოლოზი ერთ-ერთ ბერს გამოეცხადა და აუწყა — მალე დავტოვებ მირონ-ლუკიასო, — დასძინეს მათ. ნაამბობით გამოხევებულმა ბარელებმა მირონში მათი ჩასვლის მიზეზი განაცხადეს და წმინდანის პატიოსანი ნაწილების გამოსასყიდად, ბერებს 300 ოქრო შესთავაზეს, მაგრამ მათი მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობას წააწყდნენ — ბერებმა გაქცევა სცადეს, რათა ამ ამბის შესახებ თანამოქალაქეებისთვის ეცნობებინათ. ბარელები იძულებულნი გახდნენ, ისინი ძალით შეეჭრებინათ. მათ წმინდა ნიკოლოზის სამარხიდან ფიცარნაგი აიღეს და სამარხიდან თეთრ ლუსკუმში ჩაბრძანებული წმინდანის პატიოსანი ნაწილები ამოაბრძანეს. როდესაც ლუსკუმს სახურავი ახადეს, იქაურობა საოცარმა კეთილსურნელებამ მოიცვა. ლუსკუმს მთლიანად კეთილსურნელვანი მირონით იყო სავსე — წმინდა ნიკოლოზის პატიოსანი ნაწილები მირონში ცურავდა. ბარელებს წმინდანის სასწაულმოქმედი ხატის ნაბრძანება სურდათ, მაგრამ თავად წმინდა ნიკოლოზი შეეწინააღმდეგა მათ ნებას — გამოეცხადა და აუწყა, რომ მღვდელმთავარს მირონ-ლუკიის მფარველობის გარეშე დატოვება არ სურდა, ამიტომ მხოლოდ წმინდა ნაწილები წააბრძანეს. სანაპიროსათან მისულებმა ადიდეს ყოვლისშემძლე უფალი, მათი განზრახვის კეთილად დაგვირგინებისთვის და იტალიის ქალაქ ბარისკენ გაემართნენ. ეს მოხდა 1087 წლის 20 აპრილს (ძველი სტილით).

როდესაც ხომალდმა ბარისკენ აიღო გზი, ღამით ერთ-ერთ ბარელს წმინდა ნიკოლოზი გამოეცხადა და აუწყა: „წუ გუმინათ, მე თქვენთან ვარ! 20 დღეში ქალაქ ბარში ჩავალთ“. მართლაც, 20 დღის შემდეგ, ქველი სტილით 8 მაისს, ახალი სტილით კი — 21 მაისს, ხომალდი, რომლითაც წმინდა ნიკოლოზის მირონმდინარ ნაწილებს მიაბრძანებდნენ, ბარს მიადგა. მეორე დღეს კი, წმინდა ნაწილები ზემოთ გადასვენეს წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარში. მასთან მიახლებსას მრავალი სასწაულბრძანე კურნება მოხდა.

ერთი წლის შემდეგ, მაღლიერებით აღვსილმა ბარელებმა წმინდა ნიკოლოზის სახელზე ეკლესია ააგეს და წმინდანის მირონმდინარი ნაწილები იქ გადააბრძანეს, ამ უდიდესი სიწმინდისთვის საგანგებოდ დამზადებულ ვერცხლის ლუსკუმში. რამდენიმე ხნის შემდეგ, წმინდა მღვდელმთავარი ერთ მონახონს გამოეცხადა და ამცნო, რომ მისი წმინდა ნაწილები ტაძრის საკურთხეველის ტრაპეზის ქვეშ დაეკრძალათ... ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდე, წმინდა ნიკოლოზის პატიოსანი ნეშტი დღემდე ბარის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის საკურთხეველში განისვენებს.

ბესო ღბრჭანიბა ბავშვობიდანვე ხელოვნებით, კერძოდ, ხეზე კვეთით იყო გატაცებული, მაგრამ მერე, უკვე პროფესიით ბიოქიმიკოსი, ძალღლებს კვეთდა და გულღებს აცლიდა... წლების მანძილზე კარდიოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტში მუშაობდა და ექსპერიმენტებს ცხოველებზე ატარებდა. საინტერესო გამოკვლევებიც ჰქონდა და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველაფერს თავი დაანება და ცხოვრება მთლიანად ხელოვნებას დაუკავშირა. კამეით მის დაინტერესებას კი, არც მეტი, არც ნაკლები, სიყვარული უდევს საფუძვლად. ბატონი ბესო არაჩვეულებრივი მოსაუბრე აღმოჩნდა და საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული რამდენიმე სახალისო ამბავიც გაიხსენა.



გამონტის ეპიზოდს ღამზაღბული კამეა ღ სემეჰური „კამეუსტრის“ კომპოზიციით

ზნუ როგორ ზრჩეღბ ჰოზებს ღამეზი ქალბუციონი...

ნილო ჯავახიშვილი

— პროფესიით ბიოქიმიკოსი ვარ. ბავშვობიდან ვზატავდი, მაგრამ მშობლების სურვილს ვერ შევეწინააღმდეგე და უნივერსიტეტში ჩავაბარე. პარალელურად, დავდიოდი ხალხური შემოქმედების ცენტრში, გურამ გაბაშვილთან. ეს კაცი თვითნასწავლი მზატვრების სულიერი მამა გახლდათ... დავამთავრე ხელოვნების ფაკულტეტი, ქანდაკების სპეციალობით. არაერთ გამოფენაში მიმიღია მონაწილეობა. 26 წლის ვიყავი, როდესაც კამეით დავინტერესდი. მე და ჩემი შეყვარებული (ამჟამად, ჩემი მეუღლე გახლავთ) რუსთაველზე ვესირნობდით. ვიღაც ქალბატონმა გვერდით რომ ჩავგიარა, ქეთინომ ჩაილაპარაკა — რა ღამეზი კამეა უკეთიაო. მაშინ არც კი ვიცოდი, რა იყო კამეა. თვალი მოვკარი იმ ქალბატონის გულსაბნევს და მივხვდი, მასალად ნიჟარა იყო გამოყენებული. ბიძაჩემს საავადმყოფოდან გაფუჭებული ბორმანქანა ჩამოვანერინე, მეგობარს ნიჟარა წავართვი და პირველი კამეაც გავაკეთე. მინდოდა, საქორწინოდ მეჩუქებინა საცოლისთვის. ქეთინო მართლაც, ძალიან გავახარე. კამეა ზომ სავმოდ ძვირი ღირს — გააჩნია მასალას, ესკიზის სირთულეს და სიდიდეს: ის კეთდება ნიჟარით, მარჯნით, სპილოსა და მამონტის ეშვებით. მამონტის ეშვი ციპბირში არსებულ სამარხებში და ალასკაზე მოიპოვება. ამ ცხოველების გადაშენება 30000 წლის წინ მოხდა, მაგრამ ჩუქჩები და ესკიმოსები ბევრს პოულობენ და ვაჭრობენ. შესაძლებელია, ინტერნეტითაც ყიდვა. უცხოელები ხელს არ ჰკიდებენ სპილოს ეშვს, რადგან წითელ წიგნშია შეტანილი და საზღვარგარეთ მხოლოდ არალეგალური გზით შეიძლება გაიტანო. ერთხელ, ისტორიის მუზეუმში კანადელები ჩამოვიდნენ. მათ ნანახი ჰქონდათ ჩემი საიტი ინტერნეტში და ჩემთან შეხვედრა სურდათ. ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც მაშინ იქ მუშაობდა (არ ვიცი, დაავიწყდა თუ აერია ერთმანეთში), კანადელებს უმტკიცებდა — გინდა თუ არა, ბესო დარჯანია დინოზავრის კბილზე მუშაობსო. რა თქმა უნდა, კანადელები სახელოსნოში აღარც კი გამოჩენილან: ალბათ იფიქრეს, ვიღაც აფერისტი და გვატყუებსო. მერე, ჩემი მეგობარი მოვიდა სახელოსნოში და მისაყვედურა — არ გრცხვენია, უხერხულ მდგმარეობაში რატომ ჩამადე, უცხოელებისთვის ტყუილი რატომ მათქმევიყო? გამიკვირდა — კი, მაგრამ მაინც რა უთხარი კანადელებს, რა ტყუილზე მელაპარაკები-მეთქი? — რა და, შენ არ მითხარი, დინოზავრის კბილზე ვმუშაობო? — შე დალოცვილო, დინოზავრის კბილზე როგორ ვიმუშავებ, მილიონი წლის წინ გადაშენდნენ, მამონტის ეშვზე ვმუშაობ-მეთქი, — გამეცინა. თავში ხელები წაიშინა — ვიძიე, ეს რა მითქვამს, კანადელები გაიქცეოდნენ,

აბა, რას იზამდნენო?! რაღას გავწყობდით, სინანული გვიანლა იყო...

— როგორც ვიცი, ყველაზე ძვირად ღირებული, ქვაზე შესრულებული კამეა, თანაც — უფრო კლასიკურ სამკაულად მიიჩნევა. სამკაულების გარდა, თუ აკეთებთ სხვა რამეს?

— ყველაზე ძვირად ღირებული მართლაც, ქვაზე შესრულებული კამეაა. გეთანხმებით იმაშიც, რომ კამეა კლასიკური სამკაულია, უფრო სშირად, ასაკოვანი ქალბატონები ატარებენ, თინეიჯერი კამეას არ გაიკეთებს. თუმცა, იყო პერიოდი, როდესაც ძალიან მოდურად მიიჩნეოდა. სამკაულების გარდა, ვაკეთებ პატარ-პატარა ფიგურებსაც, მიკვეთენ ასევე თილისმებს — ჯანმრთელობისთვის, ბარაქისთვის, ქვალზე ვკვეთ რაიმე ემბლემას, ან ორნამენტს, ან სახელს. ექიმებმა დაადგინეს, რომ დადებითი ბიოველი — სამკურნალო ბიოდენები მაქვს და მასწავლეს, როგორ დავიცალო ზედმეტი ენერჯისგან; როგორც ჩანს, ეს ენერჯია ნამუშევრებზეც გადადის. ვქმნი ადამიანის პორტრეტებსაც, მცირე ზომის ქანდაკებებს, რაც ურთულესი გასაკეთებელია: ზუსტ მსგავსებას უნდა მიაღწიო, გადმოსცე განყობილება... რაც შეეხება თემატიკას — ძირითადად, რელიგიურ და ისტორიულ თემებზე ვმუშაობ, თუმცა ანიმალისტიკაშიც მოვისიჯე ხელი. უცხოელებმა არაერთხელ დამიკვეთეს თავიანთი ძაღლების თუ კატების კამეები.

ყველაზე ძვირად ღირებული მართლაც, ქვაზე შესრულებული კამეაა





შესაძლებლობა მომეცა, რომ ერთი თვე ვაშინგტონის სხვადასხვა გალერეაში მემუშავა

— კი, მაგრამ ვის რაში სჭირდება ძაღლის ან კატის გამოსახულებიანი კამეით დაიმშვენოს ყელი ან თითები და ყურები?..

— ქართველებისთვის ეს ცოტა უცნაურია, მაგრამ უცხოელებს განსაკუთრებულად უყვართ თავიანთი ცხოველები და როგორც ჩანს, სიყვარულს ასეთი ფორმითაც გამოხატავენ. ღმერთმა უმრავლეს ძაღლები და კატები: რაც უფრო მეტი შეკვეთა მექნება, მით უკეთესია ჩემთვის. გზუმრობ ხოლმე — მაგათ ფული გადაიხადონ და ძაღლებს და კატებს კი არა, სულ მეგრულ თხებს გავაკეთებ-მეთქი. შეკვეთებს მათგან ინტერნეტითაც ვიღებ. დიდი ხანი არ არის, რაც წლების ოცნება ავისრულე და გავსენი გალერეა-სახელოსნო, სადაც ჩემი კლიენტები მოდიან. გალერეა „კამეაში“ მუდმივმოქმედი გამოფენა-გაყიდვაა.

— როგორც ვიცი, 2002 წელს, „საერთაშორისო ხელოვნებისა და განათლების ფონდის“ გრანტი მოიპოვეთ და ვაშინგტონში გამოცემული, ხელოვნების ილუსტრირებულ ენციკლოპედიაშიც მოხვდით. გვიამბეთ ამის შესახებ.

— ამ გრანტში გამარჯვებით შესაძლებლობა მომეცა, რომ ერთი თვე ვაშინგტონის სხვადასხვა გალერეაში მემუშავა. ვმონაწილეობდი მერილენდის შტატის ქალაქ როკვილში გამართულ მხატვართა გამოფენაშიც. სწორედ, იქ გადაიღეს ჩემი ნამუშევრები და მთხოვეს, რომ ფოტოებს გამოიყენებდნენ. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მალევე გამოიგზავნეს ნიგანი — ხელოვნების ილუსტრირებული ენციკლოპედია, რომელშიც შეტანილია მამონტის ეშვით გაკეთებული ჩემი ნამუშევარი და მოკ-

ლე ბიოგრაფიული ცნობა. გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ, ქეთი დოლიძის მოღვაწეობამ დაამაინტერესა და ორგანიზაციისთვის — „თეთრი მანდილი“ დავანესე პრიზი — „თეთრი კამეა“: ის ყოველწლიურად ყველაზე კეთილშობილ ქალბატონს უნდა გადასცემოდა. პირველი პრიზი ქეთევან თურმანიძეს მიაკუთვნეს, მეორე კი ქეთი დოლიძემ ინგლისელ მსახიობს — ვანესა რედგრეივს გადასცა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, საქართველოს საჩუქრად სახანძრო მანქანები გამოუგზავნა.

— ბატონო ბესო, ბოლოს, დაპირებული კურიოზებიც გაიხსენეთ.

— ზოგჯერ ძალიან უცნაური კლიენტები მყავს. ერთი ქალბატონი მოვიდა — სომეხი იყო თუ აზერბაიჯანელი, არ მახსოვს, — ქართულად ლაპარაკი უჭირდა. როგორი კამეა გნებავთ-მეთქი? — ვვითხვინდა, ძალიან „ვიპუკლი“ და „როზოვიო“, — მიპასუხა, — ე.ი. ძალიან ამოზურცული ზედაპირი ჰქონდეს და ვარდისფერი იყოსო. ვუთხარი, ძალიან ამოზურცული უშნო იქნება, ნაზი რელიეფით კლასიკურ სტილში ჯობს-მეთქი. ეს ნაზი რელიეფი რაღაც ვერ გაიგო. ვცაადე ამეხსნა, ის კი მაინც მეკითხებოდა — ე.ი. „ვიპუკლი“ სულ არ იქნებაო? მივხვდი, რომ მაინცდამაინც ამ სიტყვის მოსმენა სურდა ჩემგან და დავამშვიდე — კი, ბატონო ხომ გინდა ძალიან „ვიპუკლი“, ეს უშნო იქნება და ამიტომ ცოტა „უკლის“ გავაკეთებ-მეთქი... მის ენაზე რომ დავლაპარაკე, დამშვიდდა და კმაყოფილი დარჩა... ერთ ეროტიკულ კურიოზსაც მოგიყვებო. ჩემი ყველა ნამუშევრის ფოტოს ვინახავ, რომ კლიენტებს ვაჩვენო. ერთმა ინგლისელმა, „კამასუტრის“ კომპოზიციით, საკმაოდ მოზრდილი ზომის კამეა გამაკეთებინა. ამ ნამუშევრის ფოტო ალბომში ერთმა ახალგაზრდა, საკმაოდ სიმპათიურმა ქალბატონმა ნახა და მოუწონა. სამაჯურის გაკეთება უნდოდა. მივართვი „კამასუტრის“ უშველებელი ალბომი, კომპოზიციის ამოსარჩევად. იცით, რა დღეში ჩამავადო? გინდა თუ არა, თქვენ მირჩიეთ, მითხარით — რომელ პოზას შემომთავაზებთო?. არა და არ მომეშვა. ვუთხარი — ქალბატონო, მე რას მეკითხებით, რა ვიცი, თქვენ რომელი პოზა მოგწონთ, შემიკვთეთ, ჩემი საქმე კამეის დამზადებაა-მეთქი. — არა, მაინც მირჩიეთ რამე, თქვენ ხომ სპეციალისტი ხართო. — ქალბატონო, მე კამეის სპეციალისტი ვარ და არა „კამასუტრის“; ისე, მოყვარული კი გახლავართ მაგ საქმის-მეთქი... — ვუპასუხე. როგორც იქნა, შეარჩია, მაგრამ შეწუხდა — ვაიმე, ფული რომ არ მყოფნისო — არა უშვას, ნატურით გადამიხადეთ-მეთქი... — ახლა უკვე მე დავდექი ხუმრობის ხასიათზე. — რას ლაპარაკობთ, ქმარი მყავსო! — შეიცხადა. ერთი სიტყვით, ძალიან კი გამაწვავა, მაგრამ ულამაზესი სამაჯური გამოვიდა და მიმაჩნია, რომ ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია...



გალერეა „კამეაში“ მუდმივმოქმედი გამოფენა-გაყიდვა

xaSur i dan
sanqt-
peterburgSi,
daklebul i
74 kilogrami
da mwvadi sa da
xinklis
davi wyebul i gemo

შეა ტუხიაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თამაზ მჭედლიძე, უკვე რამდენიმე წელია, რაც სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს და წარმატებით ავითარებს სამედიცინო ბიზნესს. მის თორმეტ სხვადასხვა პროფილის კლინიკას, ნდობას რუსეთის მაღალი საზოგადოება უცხადებს — კულტურის ცნობილი მოღვაწეებით დაწყებული და უმაღლესი პოლიტიკური ჩინოსნებით დამთავრებული. მაგრამ ის, რაც ქართველი ექიმის ბოლოდროინდელ მიღწევად მიიჩნევა, უკვე ისე შერაცხეს, როგორც სასწაული ფანტასტიკის სფეროდან. მძიმეწონიანმა ექიმმა, სპეციალური გამაჯანსაღებელი სისტემის წყალობით, 74 კილოგრამი დაიკლო, რასაც მარტივად — „საკუთარ თავთან დაბრუნება“ უწოდა და ამ ფაქტს, ნიგნაც კი მიუძღვნა. ცოტა ხნის წინ, ბატონი თამაზი ოჯახთან ერთად, რამდენიმე დღით საქართველოს ეწვია.

—წლების განმავლობაში, მამაჩემი რუსეთის ჩრდილოეთით, კომის რესპუბლიკაში რკინიგზის სისტემას ხელმძღვანელობდა, მეც იქ დავიბადე. შემდეგ ბაბუა გარდაიცვალა, ბებიას ინსულტი დაემართა და ჩვენი ოჯახი იძულებული გახდა, მშობლიურ ხაშურში დაბრუნებულიყო. ჩემი უფროსი და-ძმის მსგავსად, საშუალო სკოლა



გახლომაშვილი

გახლომის შემდეგ

მეც ხაშურში დავამთავრე და ისევე, როგორც მათ, მეც სამედიცინო ინსტიტუტში გადაწყვიტე ჩამებარებინა. ამ დროს, ჩემი და უკვე ლენინგრადის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი იყო, ხოლო ჩემი ძმა, ამავე ქალაქში, სამხედრო სამედიცინო აკადემიაში ექიმის პროფესიას ეუფლებოდა. თავიდან დავაპირე, მისი კვალს გავეყოლოდი, მაგრამ როდესაც აკადემიის სასაბუღალტრო მოვებზე და ჯარისკაცების ვიზიტით, მწყობრად მდგარი სტუდენტები დავინახე, მივხვდი, რომ 6 წელი ასეთ რეჟიმს ვერ გაუძლებდი და იმ სასწავლებელს მივაშურე, სადაც ჩემი და სწავლობდა. ცოტა ხანში, უკვე სტომატოლოგის პროფესიასაც ვეუფლებოდი. მახსოვს, პირველი ბუენი ახალგაზრდა ლამაზ გოგონას გაუუკეთე. შემდეგ გადაწყვიტე, უკეთ გავცნობოდი სტომატოლოგიას და სარკის წინ, სამი კბილი დავიპოვებე. სხვათა შორის, ერთ-ერთმა ბუენმა აგერ უკვე 24 წელია გამიძლია, არ გამომიცვლია... ინსტიტუტი ახალი დამთავრებული მქონდა, როდესაც სამუშაოდ არსანგელსკში მიმავლინეს. იქ ვერტმფრენი მემსახურებოდა და 5 წლის განმავლობაში, საჩუქარებით მხოლოდ იმ სოფელში მგზავნიდნენ, რომლის კოლმეურნობაც გადაჭარბებით შეასრულებდა გემას. სტომატოლოგს კი არა, ამ მხარეში, 200 კილომეტრის რადიუსზე, უბრალოდ, ექთანსაც ვერ იპოვიდი. ამიტომ, რადგან ექიმი მერქვა, ყველანაირი ავადმყოფის მკურნალობა მისდებოდა. მხოლოდ მშობიარე ქალები არ მიმიღია, რადგან, ამას იქაური ბებიები ებრძოდნენ ართმეფდნენ თავს. არსანგელსკში ყოფნისას, დედაჩემი ამანათით, ვაშლთან და მანდარინთან ერთად, საგვარეულო მალამოსაც მიგზავნიდა. ეს მალამო ფიჭვის

ფისზეა დამზადებული და მისწრება ისეთი დაავადებებისთვის, როგორც არის: კანის დამწვრობა, ტროფიკული წყლული, ართროზი, ნევრალგია და მრავალი სხვა. სხვათა შორის,

ანობის დასაწყებად საჭირო არ იყო, ამიტომ, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, პირველ სართულზე, სამოთხიანი ბინა ვიქირავე, ქუჩიდან კარი გავჭერი და სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა გავხსენი. მოგვიანებით, მარკეტინგის საფუძვლებზე გავერკვიე და დღეისათვის, სანქტ-პეტერბურგში — 10, მოსკოვში კი ერთი სტომატოლოგიური პროფილის კლინიკა მაქვს. გარდა ამისა, მაქვს ესთეტიკური მედიცინის კლინიკა და დიპლომირებული სტომატოლოგებისთვის დახელოვნების აკრედიტებული ცენტრი. ამასთან ერთად, ვფლობ მხედველობის ლაზერული კორექციის ცენტრს და საოჯახო მედიცინის კლინიკას.

დედამ ამ მალამოს დამზადების საიდუმლო მეც გამიხილა და ახლა სანქტ-პეტერბურგში მაქვს წარმოება, სადაც საქართველოდან ჩამოტანილი ფიჭვის ფისით, სწორედ ამ მალამოს ვამზადებთ.

— გამოდის, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთში სასწავლებლად გაემგზავრეთ, საქართველოში დაბრუნებაზე აღარ გიფიქრიათ, არა?

— 1989 წელს, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით — უმცროსი შვილი ხარ და შენ უნდა გვიპატრონო, სანქტ-პეტერბურგიდან ხაშურში დავბრუნდი და ჩემი საქმიანობა აქ გავაგრძელე. კერძო სამედიცინო პრაქტიკა ახალი ნებადართული იყო, ამიტომ ჩვენი სახლის პირველ სართულზე კაბინეტი გავხსენი. მთელი ხაშურის რაიონიდან მოდიოდნენ ჩემთან კბილების გასაკეთებლად. მახსოვს, ხალხს ჩემი სახლის ჭიშკართან, მანქანებშიც კი ეძინა, რომ დილით ადრიანად დაეკავენ ბინა რიგი. რუსეთიდან ახალი, ტიტანის სამედიცინო ხელსაწყოები მქონდა ჩამოტანილი და მათი მეშვეობით, კბილს აბსოლუტურად უმტიკვეფლოდ ვაძლავდი. მახსოვს, ჩემს სახლთან ხალხი ნაძღვესაც კი დებდა: დავნაძღვედეთ, რომ კბილს ისე ამოგიღებს, ვერც გაიგებო. მოკლედ, არც პაციენტები მაკლდა და არც შემოსავალი, მაგრამ სანქტ-პეტერბურგი მენატრებოდა. ხაშურში ერთი გორაა, რომელსაც ზემო სერს ეძახიან. ადრე, ამ გორაზე, მარქისის, ნეგელისის, ლენინისა და სტალინის შუშის ფერადი ქანდაკებები იდგა, შემდეგ, ეს ქანდაკებები დაანგრეს და ბავშვები გორაზე შუშების შესაგროვებლად დადიოდნენ. დამესიზმრა, რომ სანქტ-პეტერბურგის სიმბოლო სფინქსი, სწორედ ამ გორაზე იდგა, მისი ნათება კი, ამ ფერად-ფერად შუშებს კიდევ უფრო მეტ ბზინვარებას სძენდა. ჩემი სიზმარი იმდენად შთაბეჭდავი იყო, რომ დილით სანქტ-პეტერბურგში დაბრუნება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი.

— მშობლები როგორ შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას?

— რა თქმა უნდა, მშობლებისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს, მათ იცოდნენ, რომ რუსეთში სტომატოლოგიური მასალების შესაძენად მივემგზავრებოდი. იმ დროს რუსეთში ჯერ კიდევ გარდაქმნის ხანა იყო; არანაირი ნებართვა და ფორმალობა, კერძო საქმი-

— ალბათ, თქვენი კლინიკების პაციენტები და კლიენტები რუსეთის ცნობილი ადამიანებიც არიან, არა?

— როდესაც ექიმი თავისი პაციენტების ვინაობას ამხელს, ეს სამედიცინო ეთიკის ყველა ნორმას სცილდება. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ჩემი ბიზნესი, ძირითადად, საზოგადოების საშუალო და მაღალი ფენის მომხმარებლებზეა ორიენტირებული.

— ცოტა ხნის წინ, საზოგადოება გააოცეთ, როდესაც წონაში 74 კილოგრამი დაიკელით...

— როდესაც ჩემი ბიზნესის განვითარებით კმაყოფილი დავრჩი, დავფიქრდი იმაზე, თუ რისი გაცემა მსურდა კიდევ და მივხვდი, რომ ადამიანს სურს, ყოველთვის იყოს ჯანმრთელი, ახალგაზრდა და ლამაზი. დავიწყე ფიქრი ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც საშუალებას მისცემდა ადამიანს, რაც შეიძლება ხანგრძლივად, კარგად ეგრძნო თავი. ეს უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად ახალი მედიცინა, შერწყმული ჯანსაღი ცხოვრების წესის კულტურასთან. გარდა ამისა, ცოტა უხერხულია, როდესაც ექიმი, რომლის წონაც 164 კილოგრამია, პაციენტს ჯანმრთელობაზე ელაპარაკება. ხშირად, მეკითხებიან ხოლმე: რა განუხებდაო? მანუხებდა ის, რომ კიბზე ასვლისას მალე ვიღლებოდი, ის, რომ ფესსაცმლის ზონარს ვერ ვიკარებდი, ის, რომ გულადმა ვერ ვწვებოდი და მხოლოდ გვერდზე მეძინა და ისიც, რომ არანორმალურად ვოფლიანდებოდი.

— წონის პრობლემა ბავშვობიდან გქონდათ?

— მერვე კლასში ვიყავი, როდესაც გლანდების ოპერაცია გამიკეთეს. სწორედ, ამ ოპერაციის შემდეგ მაძალებდნენ, რომ ნოყიერად და რაც შეიძლება მეტი მეჭამა. ამან თავისი შედეგი გამოიღო. საერთოდ, ის მშობლები, რომლებიც შვილებს კოვზით დასდევდნენ და აძალებდნენ: ჭამე-ჭამეო, დანაშაულს სჩადიან. ამით ჩვენ ბავშვის ენერგეტიკულ ბალანსს ვარღვევთ, რასაც შემდეგ ძალზე უარყოფითი შედეგები მოაქვს.

— მოგიყვებით, როგორ გაქრა თქვენი ზედმეტი კილოგრამები?

— მანამ, სანამ გაჯანსაღების სისტემას



ლუდმილა გურჩენკოსთან ერთად

შევემნიდი (გაჯანსაღების და არა გახდომის, რადგან ადამიანი შიმშილითაც შეიძლება გაახდუნო და ინვალადად აქციო), რა აღარ ვცადა — ყველანაირი დიეტა, გასახდომი ტაბლეტები და შიმშილიც კი, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველა ცდამ, 164 კილოგრამამდე მიმიყვანა. გაჯანსაღების ახალი სისტემა პირველად საკუთარ თავზე გამოვცადა და როგორც ხედავ, შედეგმაც არ დააყოვნა. მე არ ვამტკიცებ იმას, რომ წელიწადის განმავლობაში 74 კილოგრამის დაკლება რეკორდია. მაგრამ ორგანიზმის სრული გაჯანსაღება მართლაც წარმოუდგენელი რამ იყო. შედეგი მიიღწევა ინდივიდუალური კვების რეჟიმით, ფიზიკური აქტივობით, ფსიქოლოგიური მოტივაციით, მაგრამ ყოველივე ეს, სამედიცინო მეთვალყურე-

ანის ბიოლოგიური ციკლი 24 საათისგან შედგება, აქედან, 10 საათის განმავლობაში, ადამიანს შეუძლია მიიღოს საკვები და იდეალური ვარიანტია, თუ საკვების მიღება საღამოს 7 საათისთვის შეწყდება, რადგან ამის შემდეგ, ადამიანის ორგანიზმი სხვა რეჟიმში გადადის, ხოლო 7 საათის შემდეგ მიღებული საჭმელი, ჩვენს ენერგეტიკულ ბალანსს მთლიანად არღვევს. ამის დასტურად, ექსპერიმენტი საკუთარ თავზე ჩავიტარე და საკვების მიღების ბოლო დრო, ღამის 11-12 საათისთვის გადავნიე. ერთ კვირაში, ზუსტად 3 კილოგრამი მოვიმატე...

— **ბატონო თამაზ, ასლა წონის რეგულირების კიდევ ერთ მეთოდზე გვიამბეთ, რომელსაც პირობითად თერმოგასეირნებაც კი უწოდებ...**

— როდესაც ადამიანის ორგანიზმში დარღვეულია ნივთიერებათა ცვლის პროცესი, სწორედ ეს არის ქონის წარმოქმნის მიზეზი. თერმოგასეირნება კი, კარგად გააზრებული ტექნოლოგიაა, რომელიც ზედმეტი ქონის მოცილებაში გვხმარება. შიშველ ტანზე, უნდა ჩავიცვათ ჯერ ბამბის ქსოვილის სამოსი, შემოდან მატყლისგან დამზადებული სამოსი და ბოლოს პაერგაუმტარი ქურთუკი. ასე ჩაცმულებმა ქუჩაში უნდა ვიაროთ და შემოდის გითხრათ, რომ 164-კილოგრამიანი ადამიანი 1-საათიანი თერმოგასეირნების შედეგად, 250 კალორიას წავაგვ. აქვე მინდა გავაფრთხილო ყველა მძიმეწონიანი ადამიანი, რომ 100-110 კილოგრამი წონის ადამიანებისთვის სირბილი დაუშვებელია, რადგან შესაძლოა, ამით სერიოზული პრობლემა შეუქმნან საკუთარ ჯანმრთელობას.



ალისა ფრეინდლიხთან ერთად

ობის ქვეშ ხდება. ამ სისტემის რეალიზებაზე, ჩემს კლინიკაში 180 ექიმი მუშაობს. ყოველი მათგანი მივლინებით იმყოფებოდა ინდოეთში, ჩინეთში, ტაილანდში, რათა ტრადიციული მასაჟის ხელოვნება შეესწავლათ. ყოველივე ამან კი, ხელი შეგვიწყო იმაში, რომ ფიზიოთერაპიის და მასაჟის განსაკუთრებული სისტემა შეგვექმნა. ამ სისტემის წყალობით, დღეისათვის ჩემთვის წონის მართვა პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ სისტემის დანერგვა საქართველოშიც მსურს, რადგან აქ რომ კლიმატი, ჰაერი და წყლებია, სხვაგან ვერსად ნახავ. ცოტა ხნის წინ, შვეიცარიაში ვიყავი და გული დამწყდა, რადგან მანამ, სანამ ჩვენი მამა-პაპა ფრონტის ხაზზე ნითელ დროშებს აფრიალებდა, ისინი ქვეყანას აშენებდნენ. საქართველოში რომ კურორტებია, ისეთ მსოფლიოში ვერსად შეხვდებით, ამიტომაც მინდა, რომ აქ მსოფლიო გამაჯანსაღებელი ცენტრი გავაკეთო.

— **ალბათ, თქვენი კვების რაციონი მნიშვნელოვნად განსხვავდება უწინდელისგან...**

— ადრე ძალიან მიყვარდა შემწვარი ცხვრის ხორცი და კიდევ ამ მწვადის ცხიმში დასველებული თეთრი პურის გული. ასლა ასეთი რამ რომ მივირთვა, შესაძლოა, ცუდად გავხდებ. საერთოდ არ ვჭამ საღამოს შვიდი საათის შემდეგ. ადამი-



ფილიპ კირკოროვთან ერთად

— **როგორ იყო იმ ადამიანების რეაქცია, ვინც წონის კორექციის შემდეგ განაზო?**

— რა თქმა უნდა, ბევრი ვერ მცნობდა. რუსულ ინტერნეტსაიტებზე ჭორებიც კი გაავრცელეს: თამაზ მჭედლიძემ კუჭის ოპერაცია გაიკეთაო. ზოგი იმასაც ამბობდა: თამაზი თბილისშია საქმეების მოსაგვარებლად და აქ მის ნაცვლად მისი ბიძაშვილი ასალებს თავსო, მაგრამ ყველაზე მეტად, რამდენიმე ადამიანის რეაქცია მომეწონა. მას შემდეგ, რაც წონაში დავიკელი, ჩემი თანაკურსელი გოგონები ვნახე, არადა, უკვე 20 წელია, ერთმანეთს არ შეხვედრივართ. გაცემულებმა მითხრეს: ინსტიტუტის შემდეგ საერთოდ არ შეცვლილხარო. ერთხელ, ირმა ნიორაძესთან და მის მეუღლესთან ვსადილობდი და იქ ჩემი თავი, ცნობილ ბალერონს იგორ ზელინსკის წარუდგინეს. რა თქმა უნდა, გაცნობისას ისიც უთხრეს, რომ უნინ ძალიან მსუქანი ვიყავი. ზელინსკის, რომელიც ყოველთვის იდეალურ ფორმაშია, ის კი არ გაჰკვირვებია, როგორ გავხდი, გაცემულმა მკითხა: ამხელა როგორ იყავიო? შარშან დაბადების დღეზე, ჩემმა მეგობრებმა, ჩემი უწინდელი გაბარიტების ზუსტი ასლი, ჩემი ცვილის ფიგურა მაჩუქეს — ჩემად შეუტანიათ ჩემს კაბინეტში და დაუდგამთ, დილით კი, იქ შესულ მდივანს, შიშისგან ღამის მეტყველების უნარი წაერთვა.

— **ბატონო თამაზ, რამდენიმე დღე საქართველოში გაატარეთ და როგორ დაგიჯერო, რომ ქართული სუფრა არ დააგემოვნეთ...**

— კვების რაციონი კი შევიცვალე, მაგრამ ქართულ სუფრაზე უარი არ მითქვამს. თვეში ერთხელ, 4-5 ხინკალსაც გეახლებით ხოლმე, ორ თვეში ერთხელ — ხაჭაპურსაც. სხვათა შორის, ქართული სამზარეულო იდეალურად ერწყმის ადამიანის ორგანიზმის რეინჯინერის პროცესს. მანონი, რომლის ანალოგსაც მსოფლიოში ვერ ნახავთ, ფორმის შესანარჩუნებლად უებარი წამალია, ხოლო ამერიკის დიეტოლოგთა ასოციაციამ, ისპანახი და ორაგული ყველა ღირებული მიკროელემენტის შემცველ პროდუქტებად გამოაცხადა.


— **საუბრის დასასრულს, რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ თქვენი მოსაზრება მაინტერესებს...**

— რა შემოიძლია გითხრათ, გარდა იმისა, რომ ზოგადად, რუს ხალხს ქართველები ვუყვარვართ. როგორც ხედავთ, უკვე მრავალი წელია, რუსეთში ვცხოვრობ და სიყვარულისა და სითბოს მეტი არაფერი მიგრძნია. სხვათა შორის, ასლა თბილისში ყოფნისას, 9 მაისის დღესასწაულის აღმნიშვნელ სუფრაზე მოვხვდი და როდესაც ორკესტრმა „День Победы“ შეასრულა, მაშინვე დავურეკე ჩემს მეგობარს, რუს მაღალიჩინოსანს და მოვასმენინე: ხედავ, ჩვენთან რას უკრავენ-მეთქი?!

შოკოლადი აბაზის ნაცვლად?

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

შესაძლოა, სულ მალე, გულთ დაავადებულთათვის მწარე აბები შავი შოკოლადის ფილებმა შეცვალოს. ბრიტანელმა პროფესორმა, როჯერ კორდერმა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა გამოკვლევა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მქონე 40 პაციენტზე სხვადასხვა ხარისხის შავი შოკოლადის ზეგავლენის შესახებ.



შოკოლადის დადებით ეფექტს. პროფესორი კორდერი ამბობს: „არასწორი იქნება, მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერი მუქი შოკოლადი სასარგებლოა. ვგონებ, ექვსიდან თორმეტ თვემდე მაინც დაგვჭირდება იმისათვის, რომ საბოლოოდ დავადგინოთ ყველაზე სასარგებლო სახეობათა სია“. კვლევის მეორე მიზანი იყო, ფლა-

ვონოიდების როლის დადგენა გულის იშემიური დაავადების მქონე ავადმყოფთა მკურნალობისას. დღემდე ჩატარებული გამოკვლევების დროს, შეისწავლებოდა ფლავონოიდთა გავლენა ჯანმრთელ ადამიანებსა და გულის მსუბუქი პათოლოგიების მქონე პაციენტებზე.

ფლავონოიდები აღმოჩნდა ხილში, ბოსტნეულში, ჩაისა და წითელ ღვინოში. ექიმი გრიფიტი მიიჩნევს, რომ არსებობს ფლავონოიდების მიღების ყველაზე ჯანსაღი გზა — თქვენ საუკეთესოდ დიაცავთ საკუთარ გულს, თუ დღეში რამდენჯერმე მიირთმევთ ხილსა და ბოსტნეულს. თანაც, არც შაქრისა და კალორიების სიჭარბე დაგემუქრებათ, შოკოლადის ჭარბად მიღების შემთხვევაში. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შოკოლადი საჭირო არ არის — ყველასთვის კარგი იქნება, დროდადრო ამ ნუგბარით პირის ჩატკბარუნება.

დიდი ხანია, ცნობილია, რომ შოკოლადი შეიცავს ფლავონოიდებს, რომლებიც ეწინააღმდეგება გულის დაავადებათა განვითარებას, აქვეითებს ინსულტისა და ინფარქტის რისკს. მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შაქრისა და კალორიების მაღალი შემცველობა მკვეთრად აქვეითებს

ბალანის აბაზანები

სახლის პირობებში სამკურნალო ბალახების ნაყენების ან ნახარშებისაგან მომზადებულ აბაზანებს რატომღაც, იშვიათად იყენებენ. არადა, ეს ნამდვილი „საშინაო კურორტია“. წყლის ტემპერატურა აბაზანაში 36-37 გრადუსი უნდა იყოს, პროცედურის ხანგრძლივობა კი — 10-20 წთ. საჭიროა 12-15 აბაზანის მიღება. პროცედურა ტარდება ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით.

კატაბალახას (ვალერიანის) აბაზანას იყენებენ ნერვული გადაღლილობის, უძილობის, აგზნების, ბავშვთა ეპილეფსიის შემთხვევაში, ქალები — კლიმაქსურ პერიოდში. ერთ აბაზანას მცენარის 2-4 ს/კ მზა ექსტრაქტი სჭირდება.

მინდვრის შვიტას აბაზანა კარგია ეგზემის გამწვავების, ჭრილობების, ვარიკოზული წყლულების, ოსტეომიელიტის, ფურუნკულოზის, ფეხების ოფლიანობის დროს. აბაზანის მოსამზადებლად საჭიროა 100-200 გ გამომშრალი შვიტა, რომელსაც ასხამენ 2 ლ ცივ წყალს, ხარშავენ 1 სთ-ს, გადანურავენ და ამატებენ წყლით სავსე აბაზანაში.

წიწვოვანი აბაზანა კარგია ნევროზების, მომატებული გალიზიანებულობისა და დაღლილობის, ცუდი ძილის დროს, ჰიპერტონიული დაავადების საწყის სტადიაზე. აბაზანის მოსამზადებლად, წყალში ხსნიან 50-70 გ ფხვნილისებურ ექსტრაქტს ან 100 მლ თხევად წიწვოვან ექსტრაქტს.

მუხის ქერქის აბაზანებს იღებენ კანის ქრონიკული დაავადებების დროს. ნახარშს ამზადებენ 1-2 კგ მუხის ქერქისაგან. მიღებულ ნახარშს ასხამენ მტკნარი წყლის აბაზანაში.

სალბის აბაზანა რეკომენდებულია სპეციფიკური და არასპეციფიკური ინფექციური პოლიართრიტების, სახსრების დისტროფიული დაზიანებების,

სასახსრე ჩანთის იოგოვან-კუნთოვანი აპარატის დაზიანების, ნელა შეხორცებადი მოტეხილობების, პოლიომიელიტის შემდგომი მოვლენების, პერიფერიული ნერვების დაზიანების, ქალთა სასქესო სისტემის ქრონიკული ანთებების, მაობლიტირებული ენდარტერიტის (არტერიის შიგნითა გარსის ანთების), ნეიროდერმიტის დროს. 100 გ გამხმარ ბალახს ასხამენ 1 ლ წყალს, ადუღებენ 60-80 წთ-ს, მიღებულ ნარევს ერთი დღე-ღამის განმავლობაში აჩერებენ, წურავენ და ასხამენ მტკნარი წყლის აბაზანაში.

ცხენის ნაბლის აბაზანა ეფექტურია მიაღგიების (კუნთების ტკივილის), ნევრალგიების, რევმატიზმის, კანის ქავილის, ნიკრისის ქარის, თრომბოფლებიტის, ბუასილის, ვენების გაგანიერების დროს. აბაზანის მოსამზადებლად გამოიყენება ნაბლის თესლი და ქერქი. 1-1,5 კგ დაქუცმაცებულ ნედლეულს უმატებენ 5-10 ლ წყალს, ხარშავენ 20-30 წთ-ს, წურავენ და შემდეგ ასხამენ აბაზანაში.

კაკლის აბაზანა შეუცვლელია ეგზემის, ფსორიაზის, ფურუნკულოზის დროს. ამისთვის, 400 გ ფოთოლსა და 400 გ ნაჭუჭს ცალ-ცალკე ასხამენ მძულარე წყალს. ფოთოლს აჩერებენ 30-40 წთ-ს, ნაჭუჭს კი, ადუღებენ რამდენიმე ხანს. შემდეგ წურავენ და ამატებენ აბაზანაში.





ლამა თაბაგარი

გასული საუკუნის 30-იან წლებში, ქუთაისში კალათბურთის ბუმი იყო, რაც ლენინგრადის გუნდის სტუმრობამ გამოიწვია და ბუნებრივია, სპორტის ამ სახეობით პატარა ოთარიც დაინტერესდა. ბავშვები თავად ამზადებდნენ ფარებს და ეზოში კედელზე ან ხეზე კიდებდნენ, ხოლო ბურთებს ძველმანებისგან აკონინებდნენ. თუმცა, გარკვეული პერიოდი, ოთარი მძლეოსნობასაც მისდევდა, რაც სრულიად შემთხვევით მოხდა. საქმე ის იყო, რომ საკალათბურთო მოედნის გვერდით, მძლეოსნები ვარჯიშობდნენ და ერთ-ერთი მათგანის მიერ ნასროლი ბადრო კალათბურთელების სიახლოვეს დაეცა. ამან ქორქია საკმაოდ გააბრაზა და ბადრო მთელი ძალით საპირისპირო მიმართულებით გადააგდო, თან, ყველას გასაოცრად — საკმაოდ დიდ მანძილზე. ამის შემდეგ, მას მძლეოსნობაში ვარჯიში შესთავაზეს და 10 დღეში, საქართველოს პირველობაზე მოსწავლეებს შორის, ბირთვის კვრაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ბადროს ტყორცნაში საკავშირო რეკორდი დაამყარა — 44 მეტრი. ცოტა ხანში, ხარკოვში გამართულ მოსწავლეთა ქვეყნის ჩემპიონატზე მან ბადრო 50 მეტრზე ტყორცნა, პირველი ადგილი დაიკავა და ამ ასაკში მანამდე არსებული რეკორდი გააუმჯობესა. მაგრამ კალათბურთის სიყვარულმა მაინც იმძლავრა და მომავალმა „ცენტრმა“ მე-

ოთარ ქორქია — კაცი, რომელმაც კალათბურთში აკოქა შექმნა

კალათბურთში ოჯახური დინასტია არცთუ ისე ბევრია. სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, გენეტიკური კოდი ნებისმიერ ოჯახში მნიშვნელოვანია, მაგრამ კალათბურთში მით უმეტეს, რადგან სპორტის ამ სახეობაში ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი — სიმაღლეა, რომელიც წინაპრებისგან მომავალ თაობებს ყოველთვის არ გადაეცემა.

ქართულ კალათბურთში ქორქების გვარი განსაკუთრებულია და მას გამორჩეული ადგილი უკავია. ლეგენდარული ოთარ ქორქია საერთაშორისო კლასის პირველი საბჭოთა ცენტრალური თავდამსხმელი გახლდათ, რომელმაც ყველას დაანახვა, თუ რამდენად დიდია ამ ამბლუს სპორტსმენის როლი მოედანზე. XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო კალათბურთელს გამოჩენილმა მწვრთნელმა, ალექსანდრ გომელსკიმ საკუთარ წიგნში — „ცენტრალური თავდამსხმელები“ — მთელი თავი მიუძღვნა და ბუნებრივია, ეს შემთხვევითი არ გახლდათ. ბატონი ოთარი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ორჯერ — ქვეყნის თასი მოიგო. ასევე სამგზის გახლდათ ევროპის პირველობის ტრიუმფატორი, ხოლო ორგზის — სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჰელსინკის ოლიმპიადაზე კი, ქორქია ვერცხლის მედალს დაეუფლა.

გობრებთან ერთად, ქუთაისში ახალგაზსნილ საკალათბურთო სკოლას მიაკითხა, სადაც გივი კილაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშს შეუდგა. მალევე, ის თანატოლებში ლიდერი გახდა, მაგრამ ომი დაიწყო და იძულებული გახდა, ფრონტის დასახმარებლად, ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში ემუშავა. პარალელურად, პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით.

1943 წელს, წყალტუბოში ომამდე საბჭოთა კავშირის საუკეთესო კალათბურთელი, კონსტანტინ ტრავენი ჩავიდა, რომელმაც ქუთაისელ ახალგაზრდა სპორტსმენებს დიდი დახმარება გაუწია. მისი რეკომენდაციით, ქუთაისის გუნდი მოსკოვში მიიწვიეს, სადაც ადგილობრივ „დინამოსთან“ ითამაშა. შემდეგ ქართველები მატჩის ჩასატარებლად, გერმანელებისგან გათავისუფლებულ კიევიში ჩავიდნენ. 1946 წელს, კაუნასში „მცირე“ საკავშირო ტურნირი გაიმართა, რომელშიც მ გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის — თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები. ადგილობრივები თურმე, იმასაც კი კითხულობდნენ — ქუთაისი რომელი სპორტსაზოგადოებო?.. აღსანიშნავია, რომ იმერლებმა ტურნირში მესამე ადგილი დაიკავეს და ქორქიაზე, როგორც ნიჭიერ კალათბურთელზე, უკვე მაშინ ალაპარაკდნენ. 1946 წლიდან მოყოლებული, კარიერის ბოლომდე კი, ბატონი ოთარი თბილისის „დინამოს“ ლირსებას იცავდა.

ომის დამთავრებისას, ქართველი „ცენტრი“ უკვე ევროპამ აღიარა. ქვეყ-

ნის ნაკრების კაპიტნის რანგში, მან გუნდს სამჯერ გაამარჯვებინა კონტინენტის ჩემპიონატზე. მაშინ ევროპაში ჩეხოსლოვაკიელები დომინირებდნენ, რომელთაც ქორქიას წინააღმდეგ ვერაფერი გააჩვენეს. წლების შემდეგ, ჩეხების ლიდერები — ივან მრაზუკი და ირჟი შვერჟიკი იხსენებდნენ, რომ საბჭოელების წინააღმდეგ მატჩებში მათ ქორქიას უზრალოდ, ეშინოდათ. 1947 და 1951 წლის ევროპის პირველობებზე ქართველი „ცენტრი“ მეტოქეებს იმდენად თრგუნავდა, რომ ისინი ფაქტობრივად, თამაშს დაწყებამდე თმობდნენ. მოწინააღმდეგეებს იგი უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური ძალით და ბრძოლის ყინით ჩაგრაავდა. ქვეყნის შიდაჩემპიონატში კი, იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მსაჯები მორიდებით ეპყრობოდნენ. თუმცა, ეს ნაკლებად მოქმედებდა საზღვარგარეთელ არბიტრებზე, რომლებიც ცდილობდნენ, ქორქიას მიმართ განსაკუთრებით მკაცრი ყოფილიყვნენ. სწორედ ამის გამო, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე ბატონ ოთარს ფინალურ შეხვედრაში ამერიკელების წინააღმდეგ დროზე ადრე მოუხდა გაფრთხილებების გამო მოედნის დატოვება, როდესაც ანგარიში 22:22 გახლდათ. აღნიშნულ შეხვედრაზე დამსწრენი იგონებდნენ, რომ მსაჯებმა ქართველი „ცენტრი“ მინიმუმ ორჯერ ტყუილუბრალოდ დააჯარიმეს. ეს ხალხი იმასაც ამბობდა, რომ მოედანზე ქართველის დარჩენის შემთხვევაში, არავინ იცნა, შეხვედრა როგორ დამთავრდებოდა. საბოლოოდ, ამერიკელებმა გადამწყვეტი თამაში ანგარიშით 36:25 მოიგეს. სხვათა შორის, მანამდე, ოკეანის-

გალმელები მეტოქეებს 100 ქულაზე ნაკლებს არ უგდებდნენ, ხოლო ფინალში ამის გაკეთება ვერ შეძლეს, რაც ქორქიას დიდი დამსახურება იყო. გასათვალისწინებელია, რომ იგი სიმალლით მხოლოდ 190 სანტიმეტრი იყო — მაშინ, როდესაც ამერიკელი „ცენტრები“ — კურლანდი, ფრაიბერგერი და ლოველტი — შესაბამისად, 213, 210, 209 სმ სიმაღლისანი გახლდნენ. თან, ფინალურ შეხვედრაში ქართველი, ამოვარდნილი თითოთ თამაშობდა და მოედანი მაინც არ დაუტოვებია. მან ექიმს მაგრად შეახვევინა ხელი და თამაში ფაქტობრივად, ცალი ხელით გააგრძელა, ხოლო საავადმყოფოში მხოლოდ შეხვედრის დასრულების შემდეგ წაიყვანეს. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ნაკრების კაპიტანი, ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად დაასახელეს.

ქორქია სათამაშო ტაქტიკას საკუთარი სიმაღლის შესაბამისად აგებდა. მან იცოდა, რომ გაცილებით მაღალი მონინალმდეგების პირისპირ ფარქვეშ პაექრობა გაუჭირდებოდა, ამიტომ, მეტოქის კალათს მაშინ უახლოვდებოდა, როდესაც ბურთი ხელთ ჰქონდა. გადამწყვეტი ტყორცის შესასრულებლად, როდესაც ჰერში აიჭრებოდა, ფაქტობრივად, ვერ აჩერებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ზედ ეკიდებოდნენ, ხელს მაისურსა და ტრუსში ავლებდნენ, ზოგჯერ, მუჯღუგუნსაც უთავაზებდნენ ან ცდილობდნენ, შეეხოჭათ. 1955 წელს, ვილინუსში, სადაც ჩემპიონატის ოქროს მედლების ბედი წყდებოდა, „დინამო“ ერთი ქულით აგებდა. ამ დროს, ქორქიამ ბურთი მეტოქის ფართან მიიღო, ისე ახტა, რომ მხრებზე ორი მეტოქე ეჯაჯგურებოდა და გუნდს გადამწყვეტი ორი ქულა მოუტანა. მან ცენტრალურ თავდამსხმელებს შორის, პირველმა დაიწყო გამთამაშებლის ფუნქციის შესრულება. მანამდე და მას შემდეგაც, „ცენტრებს“ ძირითადად, საკუთარი ფარის დაცვა და მეტოქის ფარზე შეტევა ევალებოდათ. ქორქიამ ამ ამბლუს კალათბურთელთა შორის სიახლე დანერგა და მისი თამაში გუნდის ტაქტიკას დიდად განსაზღვრავდა.

ძალზე ხშირად, კლუბის ან ნაკრების თამაში ფაქტობრივად, ბატონ ოთარზე იყო აგებული. იმ პერიოდის კალათბურთელებსა და მწვრთნელებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქორქიასთვის ბურთის წართმევა პრაქტიკულად, შეუძლებელი გახლდათ. გარდა ამისა, ის ნებისმიერი გადაცემისას, რაგინდ ძლიერად დარტყმული არ უნდა ყოფილიყო, ბურთს ხელში „აქვავებდა“. თუმცა, როდესაც პარტნიორი მეტისმეტად მოუხერხებულ პასს მისცემდა, იშვი-

ათ შემთხვევაში, ბურთს ქორქიაც კარგავდა, მაგრამ კოლეგას არასოდეს ადანაშაულებდა, პირიქით, ეტყოდა — ყველაფერი რიგზეა, ჩემი ბრალიაო...

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ერთმანეთს იდეალურად უგებდნენ ქორქია და გამთამაშებელი ლისოვი. ის, რომ გუნდი საერთაშორისო არენაზე კონტრშეტევაში კარგად თამაშობდა, მათი დამსახურება იყო. როდესაც ლისოვი წინ გაიჭრებოდა, ქორქია პასს არ უგვიანებდა და მისი პარტნიორიც შეტევას შედეგინად აგვირგვინებდა. თავის მხრივ, ლისოვი ყოველთვის ფარქვეშ მდგომ ქართველს ეძებდა, რათა ზუსტი გადაცემა გაეკეთებინა და ბატონი ოთარიც მიზანს პრაქტიკულად, არასდროს აცილებდა. მიუხედავად იმისა, რომ ქორქია მოედანზე ძალზე თავდაჯერებული იყო, ალექსანდრ გომელსკის თქმით, ზოგჯერ ეს მასვე ვნებდა. ერთ-ერთ მატჩში „დინამო“, ლენინგრადის ოფიცერთა სახლის გუნდს ხვდებოდა, რომელშიც გომელსკი გამოდიოდა. თბილისელთა შეტევისას, ბატონ ოთარს ბურთი კალათში უნდა ეტყორცნა, მაგრამ ამ დროს, ტანდაბალი გომელსკი უკნიდან მიეპარა და ხელიდან გამოსტაცა. ამის შედეგად, სტუმართა „ცენტრმა“ ჰერში ტყუილზარალოდ მოიქცა ხელი, რამაც ტრიბუნაზე მსხდომ მაყურებლებს შორის, ღიმილი გამოიწვია. ქორქიამ კი, გაკვირვებულმა მიმოიხედა — ვინ გაუბედაო ასეთი რამ? — და ტანდაბალი ოპონენტის დანახვისას, სიტყვებით — ღლაპო, ახლა განახვებ სეირსო! — მას უკან „ორმეტრიანი“ ნაბიჯებით გაეკიდა...

წლების მანძილზე, ქორქიას ფიზიკური ძალა თბილისური კლუბისა და ნაკრების მთავარ კოზირს წარმოადგენდა. სხვა საბჭოელი „ცენტრებისგან“

ფიცხი ხასიათის მიუხედავად, ბატონი ოთარი ყოველთვის კეთილშობილადამიანად რჩებოდა



ის სიმაღლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მათ ფონზე, გაცილებით მაღალი და დიდი გაბარიტების ჩანდა. თანამედროვენი, სათამაშო მანერის გამო, მას ტანკს ადარებდნენ, რომელიც საკუთარ გზაზე ყველაფერს მიწასთან ასწორებს.

მართალია, ქორქია ბუნებამ ჯანლონით დააჯილდოვა, მაგრამ მან თავადაც ბევრი იშრომა, რომ საკუთარი კონდიციები განვეითარებინა. ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ქართველი „ცენტრი“ ორთაბრძოლას არასოდეს გაურბოდა და პირიქით, ყოველთვის მოვლენათა ცენტრში იმყოფებოდა, რათა მეტოქეებისთვის საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა. მთავარი იყო, „დინამოელისთვის“ დროზე მიეცათ ბურთი, ხოლო წინ რამდენი მეტოქე დახვდებოდა, ამას არად დაგიდევდათ.

საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკელებთან ფინალური მატჩის დროს, შესვენებაზე ქორქიამ თანაგუნდელებს უთხრა — რამდენ პასსაც მომცემთ, იმდენს ჩავაგდებო, — და სიტყვა მართლაც, არ გაუტეხია. ბატონ ოთარს მეტოქე ცენტრალურ თავდამსხმელთან თამაში ერთადერთხელ გაუჭირდა და ეს 1955 წელს, რიგაში ადგილობრივ არმიელთა სპორტულ კლუბთან შეხვედრისას მოხდა. მაშინ ბალტიისპირელთა გუნდში პირველად გამოჩნდა გიგანტი — იანის კრუშინში, რომლის სიმაღლაც 220 სმ-ს აღწევდა და ცხადია, გაცილებით დაბალი ქართველისთვის წინააღმდეგობის განწევა სირთულეს წარმოადგენდა. თუმცა, ამ ფაქტმა ბატონ ოთარს კალათბურთისთვის თავისი დაწვება ვერ აიძულა და გამოცდილი სპორტსმენი ახალგაზრდა თაობას ცოდნას კიდევ რამდენიმე წელი უზიარებდა.

ერთხელ ყველა გააკვირვა იმით, რომ კალათბურთის დარ-



წლების მანძილზე, ქორქიას ფიზიკური ძალა თბილისური კლუბისა და ნაკრების მთავარ კოზირს წარმოადგენდა

ბაზში ხელთათმანებით მივიდა. ვითხვაზე — თუ რაში სჭირდებოდა ისინი? — მან უპასუხა — თამაშამდე ხელები თბილად რომ მიქონდესო.

მოედანზე თამაშისას შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა, საკუთარ თავს არც მწვრთნელობისას უღალატა. ბატონმა ოთარმა საქართველოში პირველმა შექმნა მინიკალათბურთის ფარები, რომლებიც სამწუხაროდ, დღეს აღარ არსებობს. თბილისის „დინამომ“ სწორედ მის ხელში მიაღწია უდიდეს წარმატებას — 1962 წელს, ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. დღემდე, ასეთი შედეგისთვის სათამაშო სპორტის არც ერთ სახეობაში არც ერთ ქართველს გუნდს არ მიუღწევია.



„დინამოდან“ წასვლის შემდეგ, ერთი პერიოდი, მწვრთნელად მუშაობდა კამბოჯაში

„დინამოდან“ წასვლის შემდეგ, ერთი პერიოდი, მწვრთნელად მუშაობდა კამბოჯაში, სადაც ვაჟთა და ქალთა ეროვნულ გუნდებს ავარჯიშებდა. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის წინ, ქორქია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა და გომელსკიმ სთხოვა, გამოეკვლია, თუ როგორ მოქმედებდა მაღალმთიანი კლიმატი კალათბურთელებზე. ბატონმა ოთარმა კოლეგას საკმაოდ საინტერესო ნაშრომი წარუდგინა, რომელიც გომელსკიმ 1968 წელს, მეხიკოს ოლიმპიადისთვის ქვეყნის პირველი გუნდის მომზადებისას გამოიყენა. ქორქია მიიჩნევდა, რომ კალათბურთელებისთვის შტანგითა და სიმძიმეებით ვარჯიში აუცილებელი არ იყო და ამის ალტერნატივად, წყალში წვრთნა მოიგონა. მისი აზრით, როდესაც წყალში მუხლამდე მდგარი კალათბურთელი ხტებოდა და ბურთს ისროდა, არანაკლები ეფექტი მოჰქონდა, ვიდრე შტანგის აწევას.

ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ, როდესაც საბჭოთა გუნდი ამერიკელებს სიმალღეში აშკარად ჩამორჩებოდა, მან არაერთხელ განაცხადა, რომ ქვეყნის მასშტაბით ტანმალალი ახალგაზრდა სპორტსმენების მოძიება აუცილებელი იყო. ამიტომ, ბატონმა ოთარმა

დაუფიქრებლად დაუჭირა მხარი საკავშირო ფედერაციის გადანაცვლებას, უმაღლესი ლიგის გუნდებში სიმალლის ცენზის დანესების თაობაზე. ქორქიას ავტორიტეტზე ქართულ და საბჭოთა კალათბურთში ისიც მეტყველებს, რომ ყველა, მამის სახელით მიმართავდა, ის ადამიანებიც კი, რომლებთან ერთადაც მოედანზე წლები გაუტარებია.

ფიცხი ხასიათის მიუხედავად, ბატონი ოთარი ყოველთვის კეთილშობილად ამიანად რჩებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა, მისი ოჯახის დამსახურებაა. მამამისი — დიმიტრი ქორქია ქუთაისში ცნობილი ექიმი იყო, ხოლო დედა — სოფიო — რუსული ენის მასწავლებელი. სხვათა შორის, გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ქორქიების ოჯახი აფხაზეთში ცხოვრობდა და სოხუმის მაიმუნების საშენი სწორედ ბატონმა დიმიტრიმ დააარსა.

ბოლშევიკების მიერ განხორციელებულმა კოლექტივიზაციამ საქართველოს სხვადასხვა რაიონში საშინელი შიმშილი გამოიწვია. 10 წლის ოთარს კარგად დაამახსოვრდა, თუ როგორ შეიფარეს მისმა მშობლებმა 9 თბოლი ბავშვი და მათ ლუკმაურს უყოფდნენ მამინ, როდესაც თავად უჭირდათ ოჯახის გამოკვება. 1938 წელს, ოთარის მამა, ანონიური წერილის საფუძველზე, დააპატიმრეს და ყაზახეთში გადასახლეს. შვილმა მშობელი მხოლოდ 1957 წელს ნახა. 1947 წელს, შეკრებაზე, როდესაც გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, მას ყოველთვის ახსოვდა, რომ შეიძლებოდა, შეჯიბრებაზე არ წაეყვანათ, რადგან „ხალხის მტრის“ შვილად მიიჩნეოდა. აღსანიშნავია, რომ შეკრებები იმ დროს, სპორტსმენებისთვის ლამის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომ ნორმალურად გამოკვებილიყვნენ. ახალგაზრდა ქორქია 80 კილოგრამამდე იწონიდა და სიმალღესთან შედარებით, საკმაოდ გამხდარი გახლდათ. ამის გამო, ქუთაისში მეგობრები ხუმრობით „ივანე მრისხანეს“ ემახდნენ, რაც სპორტსმენს არ სწყინდა. იმ წლებში, კალათბურთში „სამი წამის“ წესი არ არსებობდა, ამიტომ, ფარქვეშ მეტოქეებს შეეძლოთ, რამდენიც უნდოდათ, იმდენი ხანი მდგარიყვნენ. იქ ჭიდილისთვის კი, კარგი ფიზიკური მომზადება იყო საჭირო. ამიტომ, მწვრთნელები ფიქრობდნენ, თუ როგორ დაებრუნებინათ ძალა სპორტსმენებისთვის, რომელიც მათ ომმა და შიმშილმა წაართვა.

ევროპის პირველობისთვის, ნაკრები მოსკოვის სიახლოვეს, დაბა ფირსანოვკაში ემზადებოდა, სადაც მეტწილად ნორმალური პირობები იყო შექმნილი. ქართველებიდან, გუნდში, ქორქიასთან ერთად, ნოდარ ჯორჯიკიაც ირიცხებოდა. ყოველი დილა იმით იწყებოდა, რომ კალათბურთელები იმ შენობიდან, სადაც ცხოვრობდნენ, „ელექტრიკის“ გაჩერებამდე სირბილით მიდიოდნენ, რათა მატარებლით სავარჯიშო დარბაზამდე ემგზავრათ. ერთხელ, წვრთნაზე უცნობი ადამიანი მივიდა, რომელმაც ნაკრების თავკაცი, სტეფან სპანდარიანი გვერდზე გაიხმო და რალაცაზე ელაპარაკებოდა, თან, ქორქიასკენ იყურებოდა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, მწვრთნელმა ოთარს უთხრა, რომ მამამისი რეაბილიტირებული იყო და ხვალ, სამხედრო ეშელონით, მოსკოვში, კურსკის სადგურზე ჩავიდოდა...

ცხადია, მამის მოლოდინში, ქორქია საათებს ითვლიდა და ბაქანზე რამდენიმე საათი გაატარა, მაგრამ სანატრელი მატარებელი არა და არ გამოჩნდა. საქმის გახლდათ, რომ კომუნისტმა ჩინოვნიკებმა შეწყალა რატომღაც, გადაიფიქრეს და კალათბურთელი დაახლოებით 10 წლის შემდეგ, თბილისში შესვდა მამას...

პრალაში ჩატარებული, კონტინენტის ჩემპიონატი კი, საბჭოთა გუნდის ტრიუმფით დამთავრდა, რაშიც დიდი წვლილი სწორედ ქორქიამ და ჯორჯიკიამ შეიტანეს. ასპარეზობის ბოლოს, ფრანგულმა პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ მონაწილე გუნდების მწვრთნელებში გამოკითხვა ჩაატარა, რომლის საფუძველზეც, ევროპის სიმბოლური ნაკრები დასახელა. მასში საბჭოთა გუნდიდან, ქორქია, ჯორჯიკია, ივანე ლისოვი და ევგენი ალექსევი მოხდნენ. როდესაც გამოჩენილ მწვრთნელს, ვლადიმირ კონდრაშინს ჰკითხეს — ძველი თაობის კალათბურთელებიდან რომელი შეძლებდა ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშს? — მან ასე უპასუხა: „რა თქმა უნდა, ოთარ ქორქია — ომის შემდგომი წლების ლეგენდა. მიუხედავად 190 სმ სიმაღლისა, ის ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელი, ნაკრების უპირობო ლიდერი იყო. ფიზიკური მონაცემებით, მას NBA-ში ფეხის მოკიდება შეეძლო“. გასული ასწლეულის 70-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა — „სოვეტსკი სპორტმა“ ქვეყნის არსებობის ისტორიაში საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარა. იმ დროის ყველა მწვრთნელმა და კალათბურთის ნამყვანმა სპეციალისტმა ასეთად ოთარ ქორქია მიიჩნიეს. ბატონი ოთარი 2005 წელს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ის მდიდარი, ცნობილი, მომხიზველი ქალია. ბედნიერია, რადგან უყვარს ქმარი და ისიც სიყვარულით პასუხობს. ამჯერად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მოულოდნელად სუპერვარსკვლავის ბედნიერ ყოფას საფრთხე დაემუქრა — ლოპესს მისი არცთუ უმნიშვნელო წარსულიდან მოვლენილი შანტაჟისტი ემუქრება...

ჯენიფერ ლოპესის ცხოვებისეყრი ცხადმა

ადამიანი, რომელმაც 35 წლის მსახიობს ცხოვრება კომპარად უქცია — მისი ყოფილი ქმარი, ოჯანი ნოაა. 35 წლის კუბელმა, ცოტა ხნის წინ, პოპვარსკვლავის ადვოკატს — დევიდ რუბერტის წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ მან წიგნის წერა დაასრულა, სადაც მისი და ჯენიფერ ლოპესის ხანმოკლე (10 თვე) ქორწინების ყველაზე ინტიმური დეტალებია აღწერილი და ახლა, ნოა გამომცემლის ძიებას იწყებს. ოჯანი ირწმუნება რომ ამ ოპუსში ვარსკვ-



ცოლის პროტექციით, ოჯანი მოდელად მიიწვიეს...

ლავი პუბლიკის წინაშე საკმაოდ არასახარბიელო კუთხით წარდგება. მოკლედ, მის ყოფილ ცოლს თავი საქვეყნოდ მოეჭრება...

„უცნობი ფაქტები: სექსუალური ტერორისტი ქალის ფარული ცხოვრება“, — ასეთი ომბიანი სათაური წაუძღვარა თავის წიგნს ჯენიფერის ექსმეუღლემ. მემუარები 12 თავისგან შედგება და თითოეული მათგანის დასათაურება იმ ფილმებიდანაა ნასესხები, რომელშიც ოდესღაც ლოპესს უთამაშია (მაგალითად: „საქორწინო აურზაური“, „სისხლი და ღვინო“, „ფულის მატარებელი“ და სხვა). ეჭვი არ არის, რომ წიგნი, სადაც ჯენიფერ ლოპესის სექსუალური ცხოვრების დეტალებია აღწერილი, ბესტსელერად იქცევა და ამავე დროს, მის ისედაც შებლაღულ რეპუტაციას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. მიუხედავად ამისა, ადვოკატისადმი გაგზავნილი პირველი წერილი ჯენიფერმა პასუხის გაცემის ღირსად არ ჩააგდო, მაგრამ ნოას რიგით მეორე გზავნილმა ჯეი ლოს გადამწყვეტი მოქმედებისკენ უბიძგა — მან სასამართლოს მიმართა, ყოფილი ქმარი შანტაჟში დაადანაშაულა და არცთუ უსაფუძვლოდ: ნოას კარგად ესმოდა, რომ ჯეის მისი მემუარების გამოქვეყნება არ სჭირდებოდა, ამიტომ, მან ყოფილ ცოლს მაცდური წინადადება შესთავაზა: „გამომცემ-

ლის ძიებას თავს დავანებებ... თუ 5 მლნ დოლარს გადამიხდის“. ვიდრე 10 აპრილს ლოს-ანჯელესის უმაღლეს საოლქო სასამართლოში სარჩელს შეიტანდა, ჯენიფერ ლოპესი მეუღლეს, მუსიკოს მარკ ენტონის სერიოზულად მოეთათბირა. ქმარმა მის გადწყვეტილებას მხარი დაუჭირა და ოჯანი ნოასთან გამოცხადებულ ომში დახმარება აღუთქვა. ლოპესი ექსმეუღლეს კონფიდენციალური ხელშეკრულების დარღვევაში ადანაშაულებს, რომლის თანახმად, ნოას მათი ქორწინების შესახებ ინფორმაციის გახმაურება ეკრძალება. სასამართლომ სარჩელი განსახილველად მიიღო და ახლა პოპვარსკვლავს ხმაურიანი სასამართლო პროცესი ელის; მაგრამ ეს პროცესი შანტაჟისტის ალაგმვის ერთადერთი შანსია...

ოჯანი ნოას მიერ მოზადებულ ნაღმს მალაღაზილურებადი მსახიობის (მისი პონორარი, ერთი ფილმისათვის, საშუალოდ, 10 მლნ დოლარს შეადგენს), პოპულარული მომღერლის და წარმატებული ბიზნესმენის იმპერიის საფუძვლიანად შერყევა ძალუხს, მაგრამ ჯენიფერს ამაზე მეტად ის ალელვებს, რომ ის ფაქტები, რომელთა გახმაურებითაც ნოა იმუქრება, მის ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას ბზარს გაუჩვენს.

5 მაისს ჯეი ლოსა და მარკ ენტონის ქორწინებიდან 2 წელი შესრულდა. ადრე, ჯენიფერს „ცუდი გოგონას“ როლში ყოფნა მოსწონდა და პრესას საკუთარი რომანების შესახებ ხშირად მოუთხრობდა ხოლმე, მაგრამ ახლა შიშობს, რომ ბინძური ჭორები მის ტანჯვით მოპოვებულ ბედნიერებას შეარყევს...

„სექსუალური ქალი მუდამ ვიქნები, რადგან ეს ჩემი პიროვნების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ არ მსურს, სკანდალური პუბლიკაციის გმირი ვიყო. ახლა უკვე დავეჭვიანდი და ენაზე კბილის დაჭრა ვისწავლე“, — ამბობს ჯენიფერი. ახლა აღმოჩნდა, რომ ჯენიფერის ხარჯზე ფულის შოვნას ნოა პირველად როდი ცდილობს — უკვე 10 წელია, ოჯანი ყოფილ ცოლს დევნის. ჯენიფერმა ყველა გზა მოსინჯა: თხოვნა, სამსახურისა და ფულის შეთავაზება, მაგრამ,

როგორც ცნობილია, ის ვინც შანტაჟისტის ანკვსზე ერთხელ მინც წამოეგება, მიუღი ცხოვრება მის მძევლად რჩება. სამწუხაროდ, ამ ქეშმარიტებას ჯენიფერ ლოპესი ძალზე გვიან ჩასწვდა...

ჯენიფერმა და ოჯანიმ ერთმანეთი 1995 წელს სან-ანტონიოში ფილმის — „სისხლი და ღვინო“ — გადაღებების დროს გაიცნეს. შესვენებაზე მსახიობები რესტორანში შევიდნენ, ათლტური აღნაგობის, ელვარეკილებიანი კუბელი ოფიციალტი ჯენიფერს თვალს არ აშორებდა, მაგდას ნუთითაც არ სცილდებოდა და მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. როდესაც მიხვდა, რომ მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, ახალგაზრდა, მომხიზლავ მსახიობთან გასაუბრება გაბედა და რომანტიკულ ვახშამზეც მიიპატიჟა.

მათი რომანი თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა. უკვე ერთი თვის თავზე, ოჯანი ჯეის ოფიციალური ბოიფრენდი გახდა, წყვილი მუდამ ერთად იყო. წვეულებებზე ერთად დაიარებოდნენ და ვენიციის შეყვარებულების ფილმმა — „სელენა“ (1996 წ.) ჯენიფერს „ოქროს გლობუსი“ მოუტანა. არავის გაჰკვირვებია, როდესაც პრემიერის აღსანიშნავ ბანკეტზე ოჯანი და ლოპესი ერთად გამოცხადდნენ. შუა ბანკეტის დროს, ყმწვილი მიკროფონთან მივიდა, შეყვარებულს გული და ხელი საჯაროდ შესთავაზა და ეს წინადადება მსხვილი ბრილიანტებით მოოჭვილი ბექდის მიძღვნილ განამტკიცა. საპატარძლოს მოკრძალებული თანხობა მქუხარე ალოადისმენტებმა გადაფარა.

ქორწილი 1997 წლის 22 თებერვალს შედგა, ჯვარი კათოლიკურ ტაძარში დაიხურეს. ქორწინების შემდგომ, ოჯანიმ ოფიციალტად მუშაობას თავი დაანება, რადგან ეს საშუაო მის ახალ სტატუსს არ შეეფერებოდა. ჯენიფერმა მეუღლეს ბოჰემის სამყაროში შეიყვანა. მისი პროტექციით რამდენიმე



ჯენიფერის მეორე ქმარმა, კრის ჯაბმა, პირველს აჯობა: მან განქორწინების საფასურად 10 მლნ დოლარი მიიღო

პოპულარულმა გამოცემამ ნოა ფოტოსესიებზე მოდელად მიიწვია. ახალგაიქორცილმა მოდელმა ორ სურათში მეორეხარისხოვანი როლიც კი ითამაშა. ოჯანის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა — ჯენიფერზე დაქორწინებით, მან ბედნიერი ბილეთი მოიგო, მაგრამ მისი ტრიუმფი მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა... ჯეი ლო მალევე მიხვდა, რომ ეს ნაჩქარევი ქორწინება შეცდომა იყო. ქმარზე გული აიცრუა და სკანდალურად ცნობილ შავკანიან რეპერთან,



ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ბენ აფლეკის და ლოპესის ნიშნობა ოჯანი ჩამალა.

შონ კოუმსთან (რომელსაც მაცურებელი პაფი დადის სახელით იცნობს) რომანი გააჩაღა. ცოლის ლალატი ნოასთვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, მაგრამ თავმოყვარეობის შელახვამ სიტუაციის შეფასებაში ხელი არ შეუშალა და მან თავისუფლების საზღაურად მუშაობა 250.000 დოლარი მოსთხოვა. ჯენიფერს შეეპყრება არც უფიქრია. 1998 წლის 1-ელ იანვარს ოჯანიმ საბანკო ქვითარი მიიღო და სამოქალაქო განქორწინებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ მისივე დაჟინებული მოთხოვნით, ძალაში დარჩა საეკლესიო ქორწინება, რადგან, როგორც განაცხადა, საეკლესიო განქორწინება მის რელიგიურ გრძობებს შეურაცხყოფდა. მაშინ ჯენიფერი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს დათმობა მომავალში შანტაჟისტის ბინძური თამაშის ძლიერ უპირატესობად გადაიქცეოდა!

პაფი დადთან გაჩაღებული რომანი, რომელიც განქორწინების ფორმალური მიზეზი იყო, მალე დასრულდა. 2001 წელს, ჯეი მეორედ გათხოვდა. ამჯერად მისი რჩეული მოცეკვავე და ქორეოგრაფი კრის ჯადი იყო. ამ ქორწინებამ 8 თვეს გასტანა და ტყუპისცალივით წაგავდა მის პირველ ქორწინებას: „ელვისებური სისწრაფით განვითარებული რომანი, ალფონსი ქმარი, ჯენიფერის ლალატი... და როდესაც ლოპესმა განქორწინება მოითხოვა, ჯადმა მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 10 მლნ(!) დოლარი მოსთხოვა. ჯენიფერს თავისუფლება ნებისმიერ თანხად უღირდა, რადგან იმჟამად მის გულს ახალი სატრფო დაუფლებოდა: სურათის — „ჯილი“ გადაღებებზე ჯეი ლოს ჰოლივუდის გულთამყრობელი ბენ აფლეკი შეუყვარდა. მათი რომანი ჯადთან განქორწინებამდე დაიწყო. ცოლქმრული უღლიდან გათავისუ-

ფლებული ლოპესი სიყვარულის მორევში თავდავიწყებით გადაეშვა... და ამ დროს, ჰორიზონტზე ისევ ნოას ავბედითი აჩრდილი გამოჩნდა. ტაბლოიდებში ამოკითხულმა ინფორმაციამ ოჯანი მიახვედრა, რომ კრის ჯადთან შედარებით, თავი მეტისმეტად იაფად გაყიდა. ნოამ ყოფილი ცოლის დაშანტაჟებას მიჰყო ხელი. სკანდალური მემუარების დანერის გენიალურ იდეას მისი გონება ჯერ არ გაენათებინა, მაგრამ ფუკვე ტანჯავდა. არავინ იცის, რამდენი მოსთხოვა მაშინ ყოფილ ცოლს, მაგრამ ფაქტად რჩება: ჯეი ლომ სარკის „ნატურით“ გადახდა გადაწყვიტა და 2002 წელს ნოას პასადენაში მისი კუთვნილი რესტორნის Madre'-სი მმართველად დანიშნა შესთავაზა. ოჯანი იმჟამად ლოს-ანჯელესის მოდურ კლუბში მენეჯერად მუშაობდა, ამიტომ შეეპყრა კიდევ. საბოლოოდ, ჯენიფერმა ყოფილ მუშაულს გულუხვი ხელფასი — წელიწადში 208.000 დოლარი დაუნიშნა. სწორედ მაშინ დაიდო მათ შორის კონფიდენციალური ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ მათი ხანმოკლე ქორწინების პერიოდებზე პრესასთან არასოდეს ისაუბრებდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად...

ჯეიმ ნოას კიდევ ერთხელ გადაუხდა და იმედოვნებდა, რომ მის კლანჭებს თავი სამუდამოდ დააღწია. მის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა: პრესა ერთხმად იუწყებოდა, ჯენიფერისა და ბენ აფლეკის ვარსკვლავური ქორწილისათვის მზადების დეტალებს. ქორწილის თარიღი — 2004 წლის 14 თებერვალი — უკვე დანიშნული იყო, მაგრამ დაკვირვებულმა თვალმა მალევე შეამჩნია, რომ მალალი საზოგადოების შეკრებებზე წველი ცალკე დაიარებოდა. მომავალი ნეფე-პატარძალი კომენტარებისგან თავს იკავებდა, მაგრამ ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ქორწილი ჩაიშალა. პრესა განხეთქილების რამდენიმე სავარაუდო მიზეზს განიხილავდა. ყველაზე პოპულარული ვერსიის თანახმად, თავქარიან ჯენიფერს გატაცებამ გაუარა, მაგრამ იყო სხვა ვერსიებიც, რომელთა თანხმად, გულღვარდიანმა ნოამ საეკლესიო განქორწინებაზე სასტიკი უარი განაცხადა, რაც შეყვარებულთა შორის განხეთქილების მიზეზად იქცა. ვალში არც ჯენიფერი დარჩა. ნოა რესტორანს Madre'-სი მმართველის თანამდებობიდან დაითხოვა. იქნებ, სწორედ მაშინ მოიფიქრა ოჯანი ნოამ ყოფილი ცოლის ინტიმური მემუარებით დაშანტაჟება? მით უმეტეს, რომ სულ მალე შანტაჟისათვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა...

ბენ აფლეკთან განშორების შემდეგ სამი თვეც კი არ იყო გასული, რომ ჯენიფერი ბავშვობის მეგობარს, მომღერალ მარკ ენტონის გაჰყვა ცოლად. მრავალი წლის განმავლობაში ჯენიფერზე თავდავიწყებით შეყვარებული ენტონი ჯეის პირველი ალბომის ჩანერაში ეხმარებოდა, მაგრამ სათაყვანებელ ქალს სიყ-

ვარულში გვიან გამოუტყდა. ჯეიმ ბავშვობის მეგობარს სხვა თვალთ შეხედა და უეცრად მიხვდა, მის წინაშე სწორედ ის დამიანი იდგა, ვისაც მთელი ცხოვრება ექებდა — ერთგული, მოყვარული მამაკაცი, რომელსაც მისი გაგება და მრავალი ცოდვის მიტევება ძალუქს. ენტონი ცოლს, ყოფილ „მის მსოფლიოს“ — დაიანა ტორესს სასწრაფოდ გაშორდა; ოჯახი და 2 ვაჟიშვილი მიატოვა და ჯენიფერ ლოპესზე დაქორწინდა. საიდუმლო ქორწინება კალიფორნიაში, ჯენიფერის სახლში შედგა. სტუმრად მხოლოდ 40 უახლოესი მეგობარი იყო მიწვეული.

სწორედ ამ დროს, ოჯანი ნოამ ისევ თავი წამოყო, პრესას გული გადაუშალა და წარსულში დარჩენილი ქორწინების ინტიმური დეტალებით სვეკულაცია დაიწყო. ნოა ირწმუნება: თურმე ნუ იტყვიო და, ჯეი ლო ფრიგიდული ქალი ყოფილა! ...რომელიც ცოლქმრული მოვალეობის შესრულებისთვის თავის არიდებას ყველანაირი ხერხით ცდილობდა: „ყოველთვის, როდესაც საქმე სექსზე მიდგებოდა, ის უეცრად ცუდად ხდებოდა, სააბაზანოში იკეტებოდა და პირღებინება ეწყებოდა“. ოჯანი იმასაც ამბობს, რომ ჯენიფერი სექსუალური კავშირის დამყარებაზე მხოლოდ და მხოლოდ კლასიკურ, მისიონერულ პოზაში, ჩაბნელებულ ოთახში თანხმდებდა, რადგან შიშველი სხეულის გამოჩენის რისკი ვერცხვია. განსაკუთრებით იმ ნაკვთებს მალავს, რომელზედაც ნოას თქმით, სუფრაც კი გაიშლება (იგულისხმება დუნდულები, სხეულის ეს ნაწილი ჯენიფერ ლოპესს 1 მლნ დოლარად აქვს დაზღვეული).

ალბათ სწორედ ეს და კიდევ მრავალი სხვა ფაქტი ადნერილი ნიგნში, რომლის გამოქვეყნებით ნოა ყოფილ მუშაულს აშანტაჟებს (თუკი ნიგნი მართლაც არსებობს).

ჯეი ლომ საკუთარი ბედნიერების დაცვა მტკიცედ გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ ახლა მას ნამდვილი ოჯახი აქვს. ჯენიფერს სრული ბედნიერების მისაღწევად ერთადერთი რამ — დედობის განცდა აკლია. სამწუხაროდ, დაორსულების მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოა, მაგრამ მიზნის მისაღწევად მსახიობი ყველაფერს იღონებს. ამიტომ მის ბედნიერ ოჯახში ბავშვების გაჩენის უდიდესი შანსი არსებობს. ასე რომ, ჯეის დღევანდელი ბედნიერება საბრძოლველად ნამდვილად ღირს!



ლოპესი და მისი ამჟამინდელი მეუღლე, მომღერალი მარკ ენტონი

Rock and Republic ვიდეოების მქადაგებთან კონტრასტის გაგბელების ალბომის აპირებს



ვიქტორია ბექჰემის დიზაინერული გამოცდილება მხოლოდ უბრალო კაპრიზი ან სარეკლამო ტრიუკი როდია, მაგრამ დღეისათვის სრულიად ჩამოყალიბებული, წარმატებული დიზაინერის კარიერას საფრთხე შეექმნა. ვიქტორიას პროექტი ძალზე წარმატებული აღმოჩნდა: Rock and Republic-ის ჯინსებს მისი სტილის ათასობით თავყვანისმცემლის გარდა, ის ცნობილი ადამიანებიც ყიდულობენ, რომლებიც, როგორც ნესი, მათი კოლეგების მიერ შექმნილ სამოსს არ აღიარებენ. მაგრამ ბრენდის წარმატებისა და დიდი შემოსავლის მიუხედავად, ვიქტორია ბექჰემის, როგორც მოდელიერის, კარიერას საფრთხე ემუქრება. მისი კონტრაქტი Rock and Republic-სთან 3 თვეში იწურება და ახლა ცნობილი გახდა, რომ კონტრაქტის გაგრძელება საუკეთესოა.

ყველაფერი გასული წლის ნოემბერში, კოლექციის ერთ-ერთ ჩვენებაზე დაიწყო, სადაც ქალბატონი ბექჰემი და მარკის ფაქტობრივი მფლობელი, მაიკლ ბოლი სერიოზულად წაკამათდნენ. სკანდალის შემდეგ, ვიქტორია მარკის რეკლამის მიზნით, პუბლიკის წინაშე იშვიათად გამოდის და ყველას თავს არიდებს, ვისაც Rock and Republic-სთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს, რაც ბუნებრივია, ბრენდის ხელმძღვანელების უკმაყოფილებას იწვევს.

ცოტა ხნის წინ, ვიქტორიამ პრესას აცნობა, რომ ჯინსის ახალი კოლექციის შექმნაზე მუშაობს, მაგრამ ახლა უკვე საეჭვოა, ახალმა კოლექციამ მომხმარებელამდე მიაღწიოს.

ჯასტინ ციმბერლინი და ნელი ფურტადო ერთობლივ ფრენს ალბომს

ორივე მომღერალი საკუთარი ალბომების გამო-საშვებად ემზადება. ისინი ერთმანეთს მაიაში, ჯასტინ ციმბერლინის პროდიუსერის ოფისში შეხვდნენ, რომელსაც ეს შესანიშნავი იდეა დაეება, ნელი ფურტადომ განაცხადა, რომ NSYNC-ს ყოფილ წევრთან თანამშრომლობა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. „მას თავისი საკუთარი სტილი და განსაკუთრებული ლირიკა აქვს, რომელსაც მელოდიას უნახებ“. ტრევი Crow Control ჯასტინს იმდენად მოეწონა, რომ ამ სიმღერის ახალ ალბომში შეტანა გადაწყვიტა.

ნელი ფურტადომ უკვე დაასრულა სიმღერების Promiscuous და Maneater-ის კლიპების გადაღება, ციმბერლინი კი, იენისში დაგეგმილი ჩრდილო-ამერიკული ტურნეს ჩასატარებლად ემზადება.



პტილი მუტი დეა გასტინა

39 წლის პოლიფუნქციონირებელი პტილი ბერი დედობისთვის ემზადება. ამის შესახებ ცნობილია „კატამ“ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

„თუ ღვიძლ შეიღს არ გავაჩენ, ბავშვს აუცილებლად ვიშვილებ, ობოლ ბავშვს აღსაზრდელად ნებისმიერ შემთხვევაში ავიყვან“, — ამბობს მსახიობი. გაზეთ „უიხელის“ კორესპონდენტთან საუბრისას, ბერიმ გულწრფელად დაიჩივლა, რომ მამაკაცებთან ურთიერთობაში არასოდეს უმართლებდა. ცნობილია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, მსახიობი „ვერსაჩეს“ მანეკენს, მასზე 9 წლით უმცროს გაბრიელ ობრის ხედება. მაგრამ მომავალი ქორწინების შესახებ, პტილი ბერი ჯერჯერობით ჯიუტად დუმს და არაფერს ამბობს.

შაკირა სხეულის უნაჩე ალაპაბადა

კოლუმბიელი პოპმუსიკალური შაკირა საკუთარი ჰიტის — Hips Don` t Lie თემაზე ალტერნატიული ვერსიის შექმნაზე მუშაობს. ახალი რგოლი იმ კადრებისგან შეიქმნება, რომელიც მომღერალს მისმა ფანებმა გაუგზავნეს. Hips Don` t Lie მსმენელს სხეულის ენის შესახებ მოუთხრობს, ამიტომ ფანებს „მუცლის ცეკვის“ მსგავსი ცეკვის შესრულება და ვიდეოჩანაწერის შაკირას მისამართზე გაგზავნა სთხოვეს. მომღერლის პრესსამსახური იტყობინება, რომ შაკირას მისამართზე უამრავი ჩანაწერი მივიდა. ამჟამად, შერჩეული მასალა მონტაჟდება.

Hips Don` t Lie-ს ახალ ვერსიას მაყურებლის სამსჯავროზე მაისის ბოლოს წარადგენენ. მიკთხველს შევასხენებთ, რომ ორიგინალურ რგოლში შაკირასთან ერთად, უაიკლეფ ჯინი მონაწილეობს. ეს რგოლი 2005 წლის ნოემბერში გამოშვებული Oral Fixation Vol.2-ის თავდაპირველ გამოცემაში არ შესულა. მისი მოსმენა მხოლოდ ალბომის 2006 წლის „განახლებულ“ ვერსიაში შეიძლება. ამ სიმღერასთან ერთად, ალბომში Fijacion Oral Vol.1-ის მთავარი ჰიტი — ესპანურენოვანი სიმღერა La Tortura შევიდა, რომელმაც შაკირას ცოტა ხნის წინ, Latin Billboard Awards-ის 4 ჯილდო მოუტანა.



**ნომის ტექნოლოგიის
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები**

☎ 822 42 55 44
822 006 005
822-006-099

ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეფონ-ბარათებითაც

რუსულან პერიოდი

(დასაწყისი იხ. გზა №42-19)

ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებუის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი აღმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამო ცდილობს, რომ ლანას ბუბის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეულობის ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ემუქრება კიდევ: თუ ლევანს გაჰყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო... ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დაღუპული წერილი დაუტოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შესვდა...

ნოტარიუსისგან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შესხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუყვება. შესარბეულად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დახვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოღბება და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვიდად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინიკო და ლაშა მიადგებიან კარზე. თინიკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიუებო, — რაზეც ლანას ცივ უარს მიიღებს.

ხელობასთან ერთად ლანას ბუბია მთავარ საგვარეულო განძს — ლალისთვლიან ძვირად ღირებულ ბეჭედაც დაუტოვებს, რომელ-



იც მათი შორეული წინაპრისთვის ერთ-ერთ ქართველ მეფეს უბოძებია. ლანა საბოლოოდ რწმუნდება, რომ ნიკოლოზ დვალის მთავარი მიზანი სწორედ ამ ბეჭდის ხელში ჩაგდებაა და ამიტომ, მისგან თავის დახსნას ყველანაირად ცდილობს...

მაგრამ ამასობაში, დვალი ლევანის ბავშვს გაიტაცებს, ლანას კი ულტიმატუმს წაუყენებს: თუ ჩემს ნებას არ დაჰყვები, მამაშვილი ერთმანეთს ვეღარ ნახავსო. ლანა იძულებულია, მოძალადის ულტიმატუმში მიიღოს და ლევანს, ახლობლების თანდასწრებით გამოუცხადოს, რომ ცოლად შენიკი არაა, ნიკოლოზ დვალს მივყვებიო...

ლანას სიტყვები ყველას შოკში ჩააგდებს. საყვარელი ქალის გადანყვეტილებით შეურაცხყოფილი ლევანი კი იქაურობას დემონსტრაციულად ტოვებს. შექმნილ დრამატულ სიტუაციას თინიკოს და ლაშას გამორჩენა ოდნავ განმუხტავს. თინიკო ლანას გივი გიგაურის დაპატიმრების ამბავს შეატყობინებს, შეფიქრიათეული ლაშა კი იმასაც დასძენს, რომ ამის გამო, შეიძლება, შენი საქმეც ხელახლა დააბრუნონ წარმოებაშიო...

— კარგი, ერთი რა, ნუ აზვიადებ! — ისევ პირში ეცა ლაშას თინიკო.

— მოკლედ, სასწრაფოდ ახალი სამოქმედო გეგმა უნდა შევიმუშავოთ. — ცოლს ყური აღარ ათხოვა და პირდაპირ ლანას მიმართა ლაშამ.

— თუ ასეა, მთელი გულსყურით გისმენ! — მართლა სმენად იქცა ლანა, მაგრამ სწორედ იმწუთას, ოთახში თამარი შემობრუნდა და ლაშამაც საუბარი

აღარ გააგრძელა.

— ხელი სომ არ შეგიშალეთ? — შენუხდა თამარი.

— არა, ქალბატონო თამარ, რას ბრძანებთ! — იუარა ლაშამ.

— უბრალოდ, იმის სათქმელად გამოვედი, რომ ლოგინი უკვე გაშლილია-მეთქი... — მაინც დაიწყო თავის მართლება თამარმა.

— აგაშენებთ ღმერთი! — ფეხზე წამოდგა ლაშა. — თუ არ მიწყენთ, მე დავიძინებ, თორემ ხვალ ადრინად ვარწმუნებ ნასასვლელი.

— ვარო, რომ გაიძახი, მე აქ მტოვებთუ რა? — გაუკვირდა თინიკოს.

— ბოდიში, ბატონო, წამომცდა. ვართ-მეთქი, უნდა მეთქვა. კმაყოფილი ხარ? — მიუბრუნდა ცოლს ლაშა და მაშინვე დასძინა: — ისე, ვითომ რა მოხდებოდა, ცოტა ხნით მართლა რომ დარჩენილიყავი?.. ჰაერს გამოიცვლიდი, ნერვებს დაიწყებდი...

— ნერვებდასაწყნარებლები შენკენ მოიკითხე! — თვალები დაუბრიალა თინიკომ ქმარს. — თანაც, ვისთან უნდა დავრჩე?.. ხვალ-ზეგ, ალბათ, ლანა და დეიდა თამარიც თბილისში წამოვლენ.

— ეჰ, შვილო, — ამოიოხრა თამარმა, — რეზიკოს და მაკას რომ ძალიან არ ვჭირდებოდე, ცოტა ხანს მართლა დავრჩებოდი და კარგადაც გიმასპინძლებდი, მაგრამ... — მსრები დამნაშავესავით აიწურა მან შემდეგ.

— სამაგიეროდ, მე ვრჩები... — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ლანამაც.

— არც იოცნებო! — დასჭექა უცბად თამარმა ლანას. — ჩემ გარეშე ერთ წუთსაც აღარსად დარჩები!.. შენ რა?.. მართლა გგონია, რომ იმ კაცის მკვლელს დაუტოვებ შენს თავს?.. უმაღსაკუთარი ხელით გამოგჭრი ყელს!..

თამარის კატეგორიული უარის მიუხედავად, მეორე დღით, როცა სტუმარ-მასპინძელი ნასასვლელად მოემზადა, ლანას ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია. და ის იყო, დედა-შვილის განახლებული კამათი სერიოზულ ჩხუბში უნდა გადაზრდილიყო, რომ სიტუაცია თინიკომ განმუხტა:

— ნუ ნერვიულობ, დეიდა თამარ! — მხარზე ხელი მოხვია გაცოფებულ ქალს. — ლანასთან მე დავრჩები. და თუ ის კაცი, უფრო სწორად კი არაკაცი მართლა გამოჩნდა, სულ კუდიტ ქვას ვასროლინებ!

— ჰმ!.. — ცოლის სიტყვებზე თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლაშამ.

— რა იყო? — მაშინვე ეცა მას თინიკო. — რას აქნევ მაგ თავს? ისეთი რა ვთქვი?..

— ისეთი არაფერი... — სიტუაციის დამძიმება აღარ ისურვა ლაშამ, თუმცა ცოლს თვალთ მანც ანიშნა, გარეთ გამომყვიო.

— რა გინდა, აღარ იტყვი? — ადგილიდან ფეხი მანც არ მოიცვალა თინიკომ.

— რა უნდა მინდოდეს? — ახლა

უკვე თვალების ბრიალზეც გადავიდა ლაშა. — მანქანამდე მაინც ჩამაცილე! რაც არ უნდა იყოს, მთელი კვირა ვერ ვნახავთ ერთმანეთს.

— შეიძლება, ორიც, — „გახახარა“ ქმარი თინიკომ.

— მით უმეტეს. — კარი სწრაფად გამოაღო ლაშამ.

— თინიკომაც, როგორც იქნა, ინება აივანზე გასვლა და როგორც კი კარი გაიხურა, ლაშაც მაშინვე მას ეცა და ციებინავით აჩურჩულდა:

— რამდენჯერ უნდა გითხრა, ენას კბილი დააჭირე-მეთქი!..

— ა, ბატონო, დავაჭირე! — ენა გამომწვევად გამოყო და წამით კბილებიც მთელი ძალით დააჭირა თინიკომ. — კმაყოფილი ხარ?

— ნუ მაიმუნობ! — ისევ განაგრძო ცოლის დატუქსვა ლაშამ. — თუ არ შემირდები, რომ რაც არ უნდა მოხდეს, დვალს მაინც არაფერს ეტყვი, იცოდე, აქ არაფრით არ დაგტოვებ! მუქარაზეც გადავიდა ის ბოლოს.

— რა ტყუილად ირჯები?! — აივნის ბოძს არხეინად მიეყრდნო თინიკო და ქმარი ისე აათვალღერ-ჩაათვალღერა. — ხომ იცი, არაფერს კი არა, ყველაფერს ვეტყვი, ყველა-ფერს!..

— გოგო, იცი, იმ ნაძირალას მართლა რამდენი კაცი ჰყავს მოკლული? — ახლა ცოლის დაშინება სცადა ლაშამ.

— ჰყავდეს, მერე მე რა? — წარბიც კი არ შეუხრია, ისე უპასუხა თინიკომ. — ვინც აქამდე შეუშინებია, ისევ ისინი დაშინოს!

— აუ, ჩემი! — აივანზე ნერვიულად გაიარ-გამოიარა ლაშამ. — ეს ვის გადავეციდი!..

— უკვე გვიანია, ჩემო მფარველო ანგელოზო, თითზე კბენანი. — ქმარს ცეცხლზე ნავთი დაუსხა თინიკომ. — ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა...

— კმარა! — ხელის აწევით გააჩუმა

ცოლი გაცოფებულმა ლაშამ. — აღარ გააგრძელო!

— გეხვენები რა, ლაშკო, ნუ დამტანჯე! — სასწრაფოდ დაუტკება ქმარს თინიკო. — ხომ იცი, ასე რატომაც ვიქცევი?..

— არა, — იუარა ლაშამ, — არ ვიცი... —

— ის მაინც ხომ იცი, ციხეში ჩემი სისულელის გამო რომ მოხვდა?

— ეგ როგორ არ ვიცი?.. — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა ლაშამ.

— ჰოდა, ახლა ავდგე და კაცის მკვლელსაც ჩავუგდო ხელში?

— გაიგე, გოგო, რომ ლანამ თვითონ გადანყვიტა იმ კაცის ცოლობა!

— კი არ გადანყვიტა, იმ ახვარმა აიძულა და სანამ არ გავიგებ, რის ფასად, ვერ მოვისვენებ!.. ბოლოს და ბოლოს, ლანას მეგობარი ვარ თუ მტერი?

— რა ბედნიერება იქნებოდა, მარტო მეგობარი კი არა, ლანას საქმის გამომძიებელიც შენ რომ ყოფილიყავი! — გულით ინატრა ლაშამ. — ხომ ყველას სამარის კარამდე მიჰყვებოდი და სიმართლეს მაინც დაადგენდი.

— არ იცი, რომ? — კოხტა ცხვირი ბავშვივით აბზიკა კმაყოფილმა თინიკომ.

— კარგი... — დანებდა მას ლაშა. — რაც გინდა, ის ქენი, ოლონდ, კისერი ბოლომდე არ წაიმტვრიო!

— შენ დარდი გაუშვი! — ძველბიჭურად მოუქცია თინიკომ და თან, ქმარს გულში ვენებინად ჩაეკრა. — კისერს იმას ნავამტვრევინებ!.. აი, ნახავ თუ არა!..

— ჯერ გადახტი და ჰოპ, მერე დაიძახე — მაინც გააფრთხილა ლაშამ ცოლი და მერე დაუმატა: — კაცმა რომ თქვას, რას ვიშლი ნერვებს?.. დვალს ახლა ისე ჰაერივით სჭირდება თბილისში ყოფნა, რომ ალბათ, სოფელში კიდევ კარგა ხანს ვერ გამოჩნდება.

ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, მაინცდამაინც, ხვალ-ზეგ დაერქოს აქ... ამასობაში კი, მეც ყველაფერს გავარკვევ, დავალაგებ, მერე ამოგაკითხავთ და ორივეს ჩემი მანქანით წაგიყვანთ თბილისში, კარგი?

— კარგი. — სასწრაფოდ დაეთანხმა თინიკო.

— ოლონდ, ხომ იცი, რომ ლანა თბილისში წამოსვლაზე აუცილებლად უნდა დაიყოლიო?

— ეგ პრობლემა არ არის, ძმაო! — ცალი თვალი ძველი ბიჭივით მოჭუტა თინიკომ და ქმარს მხარზე ხელი ისე მოუთათუნა.

— შენი ძმობალა მაკლდა! — უკმაყოფილოდ დაიურტყუნა ლაშამ და კიბეს დაიყოლიო?

ამასობაში, აივანზე რეზო და მაკაც გამოჩნდნენ, მათ უკან თამარი და ლანა მოჰყვებოდნენ. რეზომ და მაკამ ლანას და თინიკოს თავი უსიტყვოდ დაუკრეს და კიბე უკანმოუხედავად ჩაირბინეს. თამარი კი შუა კიბეზე შედგა, შვილს და მის მეგობარს ერთი სვედიანად გამოხედა და თვალზე მომდგარი ცრემლი რომ არ შეემჩნიათ, მაშინვე პირი იბრუნდა...

როგორც კი ლაშას და რეზოს მანქანები თვალს მიეფარა, თინიკო ოთახში პირველი შევარდა და ტახტზე არხეინად წამოკოტრილდა:

— მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩით!.. — კიდევ წაუღიღინა მან შემდეგ.

— შენ ასე გგონია? — სვედიანად გაეღიმა ლანას. — აქ მარტო წამითაც არავინ დაგტოვებს... ჩვენს, უფრო ზუსტად კი შენს საგანგებო მოკითხვას დიდი და პატარა საკუთარ მოვალეობად ჩათვლის და დაინწყებენ ზემოთქვემოთ სიარულს...

— იარონ მერე, ჩვენი რა მიდის! — იხტიბარი მაინც არ გაიტყხა თინიკომ.

— თანაც თუ მოკითხვას რაიმე გემრიელ სასუსნავსაც მოაყოლებენ, ხომ მთლად უკეთესი, თორემ რაც დავფხმობდი, მთლად ჭამად ვიქცი: გავივლი ვჭამ, გამოვივლი, ვჭამ...

— თუ ასე გააგრძელებ, მალე კანში ველარ ჩაეტევი.

— აი, დარდი!.. — გვერდი არხეინად იცვალა თინიკომ. — ჩემს ქმარს მაინც ყველანაირი ვეყვარები!.. მით უმეტეს, თუ ცხრა თვის თავზე ბიჭსაც გავუგორებ...

— გოგო რომ იყოს?..

— ჩემთვის, პრინციპში, სულერთია, ის კი არადა, პირველი გოგო მირჩევნია კიდევ, — აღიარა თინიკომ. — მაგრამ კაცების ამბავი ხომ იცი?.. ისე იკლავენ თავს გვარის გამგრძელებლის გაჩენისთვის, თითქოს ყველანი ბაგრატიონები მყვანდნენ.



მართლა?.. შენ პირველი ბიჭი გინდა თუ გოგო? — ლანას მომავლითაც დაინტერესდა ის ბოლოს.

— მეც გოგო მინდა, მაგრამ ვიცი, რომ პირველი ბიჭი მეყოლება.

— საიდან იცი?.. ჩიტმა უფრო სწორად კი მთლად ყარყატმა ხომ არ მოგიტანა ამბავი?

— არა, — თინიკოს ირონიას ყურადღება არ მიაქცია ლანამ. — იონამ ნახა სიზმარში.

— რაიო?.. — ტახტზე წამოჯდა თინიკო. — იონამ ნახაო?!. ერთი ეს მითხარი, თავად იონა ვინლა ეშმაკია?

— ჩვენი მეზობელია და ბებიაჩემის ყოფილი შეგირდი... იცი, რა თვალები აქვს?

— მარტო თვალები? — თვალები მოწკურა თინიკომ.

— ნუ მაიმუნობ!.. — დატუქსა მეგობარი ლანამ. — იონა საერთოდაც ლამაზი ბიჭია — დაუმატა მან შემდეგ. — აფსუს, რა დროს ვარ გათხრილი?!

— აბა, აბა? — როგორც იქნა, მეგობარს ხუმრობაში აჰყვა ლანაც. — იცი, შენ და იონას რა დახატული ბავშვები გეყოლებოდათ?

— თორემ არა, აი?.. — მხრები არხეინად შეათამაშა თინიკომ — მაგრამ, რას იზამ?.. ხომ იცი, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი დასწრებაზეა და ჩემისთანა ქალს იონას ვინ დაუტოვებდა? ისე იმ ბიჭს, შენ ხომ არ მოსწონხარ?

— ვინ გათხრა, რომ არ მოვწონვარ? — მაშინვე კუდი ყვარზე გაიდო ლანამაც. — მოვწონვარ კი არა, ძალიანაც ვუყვარვარ... ოლონდ — მხოლოდ პლატონურად...

— პლატონი და არისტოტელე არ ვიცი მე! — გაანყვეტინა თინიკომ მეგობარს — თუ კაცი ჰქვია, ქალი კაცურადაც უნდა უყვარდეს!

— იონა უბრალო კაცი კი არა, ზედმინევენით ნიჭიერი კაცია — მაქებრის როლში საბოლოოდ შევიდა ლანა. — ყველა ყვავილსა და ბალახს თვალდახუჭული ცნობს... ის კი არადა, როგორც ჩემი ბიძაშვილი გოგა ხუმრობს ხოლმე, ტყეში ყველა ნადირსაც ხელის ჩამორთმევით იცნობს...

— თანამედროვე მინდია ყოფილა...

შემთხვევით, შიგადაშიგ გველის ხორცსაც ხომ არ ეპარება ხოლმე? — თვალეზი ეშმაკურად მოწკურა თინიკომ.

— ფუ... — გაღიზიანდა ლანა. — მაინც როგორ ახერხებ ხოლმე ყველაფრის ასე გაფუჭებას?!

— რის გაფუჭებას, გოგო? — თავისას არ იშლიდა თინიკო. — ის შენი იონაა თუ ვილაც ეშმაკი, ვაჟა-ფშაველას მინდიას შეგიდარე და მეტი რაღა გინდა?.. თუ „გველის მჭამელიც“ არ გაქვს წაკითხული?

— „გველის მჭამელიც“ წაკითხული მაქვს და ლამის ვაჟას ყველა სტრიქონიც ზეპირად ვიცი! — სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენა მეგობარი ლანამ. — მაგრამ შენ ამას იონას დასაცინად რომ ამბობ, იმასაც კარგად ვხვდები...

— შენ როგორც გინდა, ისე გაიგე, მაგრამ მე შენი იონას ნახვა უკვე მართლა ძალიან მაინტერესებს. — აღიარა თინიკომ. — მობილური არა აქვს, რომ დაურეკო და დაჰპატიჟო?

— მობილური არა, სატელიტური ანტენა არ გინდა?.. — შეუტია თინიკოს ლანამ. — ამ წუთში მთელ სოფელში, ალბათ, სულ სამად სამი მობილური თუ მოიძებნება და აქედან ორი მე და შენ გვიდევს ჩანთებში.

— მესამე სადღა? — მგონი, მართლა სერიოზულად დაინტერესდა მესამე მობილური ტელეფონის ბედით თინიკო.

— მესამე, ჩემს ბიძაშვილს, გოგას აქვს... ბებიაჩემმა უყიდა შარშან...

— ყოჩაღ, ქეთო ბებია!.. — ცოცხალივით შეაქო მოსუცი თინიკომ. — ეტყობა, მარტო ცნობილი მკურნალი კი არა, ამ სოფელში ცივილიზაციის მთავარი შემომტანიც შენ იყავი და აწი რაღა ეშველებათ აქაურებს, ხომ დარჩნენ ერთი მობილურის და ერთი იონას ამარა?!

— გოგო, შენ დღეს მგონი, წერას ჰყავხარ ატანილი... — გაცხარდა ლანა.

— ატანილიც ვყავარ, ჩამოტანილიც და ქალაქიდან ამოტანილიც... — აკისკისდა თინიკო. — აბა, რა ვქნა?.. შენსავით გულხელი დავიკრიფო და თეატრალურად ვიხვენე?

— მე მგონი, ჩემი ხენვით დიდად არ შემიწუხებია? — იწყინა ლანამ.

— ვერც შემანუხებ! — მაინც არ დაუთმო თინიკომ. — იმიტომ, რომ მე ახლა იმდენად „ინტერესნი“ მდგომარეობაში ვარ, რომ მხოლოდ დადებითი ემოციები მჭირდება. თანაც, მასპინძელი ხარ თუ ვინ ხარ?.. მიდი, რაიმე მოიფიქრე და გაამხიარულე სტუმარი!

— ხომ არ გავიწყდება, რომ ბებიაჩემის ორმოცზე ხარ მოსული?

— ორმოცი გუშინ იყო, დღეს კი ორმოცდამეერთე დღეა და არა მგონია, ქეთო ბებიას ჩემი მსუბუქი ხუმრობა ეწყინოს... მაგრამ რადგან შენ საერთოდ არ გეხუმრება, მეც დავსერიოზულდები და საქმეს მივხედავ.

— რა საქმეს? — შეკრთა ლანა.

— აბა, ახლავე ჩამიკაკლე, რა გჭირს?.. — შეტევაზე გადავიდა თინიკო. — ისეთი რა საშინელება მოხდა, რომ კაცის მკვლელის ცოლობა გადანყვიტე?

— ძალიან გთხოვ, — ხმა აუკანკალდა ლანას. — ჯერ ამაზე არაფერი მკითხო.

— ეს შენი „ჯერ“ კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება?

— რამდენიმე დღე მაინც...

— მე მარტო ერთ დღეს გაძლევ! — ხმა გაიმკაცრა თინიკომ. — და თან, მაჯის საათზე დაიხედა: — ასე რომ, ხვალ, ზუსტად დილის თერთმეტ საათზე, დაკითხვაზე იქნები გამოძახებული ჩემთან, ანუ გამოძიებულ თინათინ ელიავასთან. გასაგებია?

— გასაგებია. — სევდიანად გაელიმა ლანას. — ნეტავ, მართლა შენ იყო ჩემი საქმის გამოძიებელი...

— ეგ წელან ლაშამაც ინატრა. — შეიფერა თინიკომ. — მაგრამ რას იზამთ, ჩემო კარგებო, ჩემისთანა „ასის“ ხელში მოხვედრას ბედი უნდა... შენ და ჩემს ქმარს კიდევ...

— მოიცა! — უცბად ხელის აწვეით სცადა ქადაგად დავარდნილი თინიკოს გაჩუმება ლანამ.

— რა იყო? — ხმას დაუნია თინიკომ.

— მგონი, აივანზე ვილაც ამოვიდა...

— ამოვიდა და ამოვიდეს!.. — ისტიბარი არ გაიტეხა თინიკომ, თუმცა ტახტიდან მაინც სკამზე გადაჯდა და აბურღული თმაც თითებით თინიკოვარცხნა.

— გავალ ერთი, გავხედავ... — ნამოინია ლანამ.

— შენ იჯექი! — მეგობარს წამოდგომა დაასწრო თინიკომ. — მე გავხედავ...

— უკვე მასპინძლობაც შეითავსე? — ნაჰკბინა მას ლანამ.

— არა, მაინძლობა... — „გაუსწორა“ თინიკომ, შემდეგ კართან მივიდა, ენერგიულად გამოაღო და ზღურბლთან მდგარი ახალგაზრდა კაცი დაინახა.

— გამარჯობა, — მიესალმა შემცბარი ახალგაზრდა თინიკოს.

— გამარჯობა, გამარჯობა... — გულმოდგინედ აათვალისწინა ის თინიკომ და მერედა დასძინა: — გული მიგრძნობს, რომ ჩემ წინ იონა უნდა იდგეს. ხომ ასეა?

— დიახ. — მორჩილად უპასუხა იონამ.

ამასობაში კართან ლანაც მივიდა და იონას დანახვაზე სახე გაუნათდა:

— იონა, რა კარგია რომ მოხვედი!.. შემოდი, რაღას უდგახარ?

— თუ შემოვუშვი — კი... — განზე არაფრით გადგა თინიკო. — ჯერ პატარა გამოცდა ჩავვაბაროს!

— ნუ სულელობ რა... — დატუქსა ის ლანამ.

— მე ვსულელობ, ხომ? — იწყინა



თინიკომ. — შენ თვითონ არ მითხარი, იონა ყველა აქაურ მხეცს და ნადირს ხელის ჩამორთმევით იცნობსო?

— მერე?

— მერე გვიტხრას, შემთხვევით ორფეხა ნადირს ხომ არსად გადაჰყრი-
ა, ჩვენ რომ გვავინტერესებს?

— არა. — ლანას მაგივრად მშ-
ვიდად უპასუხა იონამ. — ნიკოლოზ
დვალს შემთხვევით არსად გადავყრი-
ვარ.

— რაო? — თვალეები ჭყიტა თინი-
კომ, — გვერდზე ინსტინქტურად გად-
გა და ჯერ იონა და შემდეგ ლანა ეჭვის
თვალით შეათვალიერა: — მაღადავ-
ებთ?.. წინასწარ მოილაპარაკეთ ხომ
ყველაფერი?

— არ მესმის, რას გულისხმობ? —
როგორც იქნა, იონას ოთახში შემოყ-
ვანა მოახერხა ლანამ და კარი მჭიდროდ
მიხურა.

— აბა, იონა საიდან მიხვდა, რომ
მაინცდამაინც, ნიკოლოზ დვალს
გვგულისხმობდი?

— ეგ მე კი არა, იონას უნდა ჰკითხო.
მაგიდასთან მივიდა ლანა და სტუმარს
სკამი გამოუწია.

— იონა, გეხვეწები, რა, მითხარი,
როგორ მიხვდი? — სასწრაფოდ
გაუშინაურ და თინიკო სკამზე
მორიდებით ჩამომჯდარ იონას.

— ძალიან ადვილად, — ულამაზესი
თვალეები ალაღად შეანათა მას იონამ,
— ამ სოფელში მეტი ორფეხა მხეცი
არ დადის.

— ოთხფეხა კი — რამდენიც გინდა,

ხომ? — გამხიარულდა თინიკო.

— ოთხფეხა მხეცები ტყეში არიან,
სოფელს კი, ძალიან რომ მოშიგდებათ,
მაშინ თუ ანუხებენ. — ისევე მშვიდად
უპასუხა იონამ.

— გამოდის, რომ ნიკოლოზ დვალი
ოთხფეხა მხეცზე უარესია, რადგან,
როგორც ვიცი, აქაურები უბრალოდ,
შენუხებულნი კი არა, აკლებული ჰყავს...

— თინიკო! — გაანყვეტინა მეგობარს
ლანამ. — არ შეიძლება, სხვა რამეზე
ვილაპარაკოთ?

— ჯერ ერთი, მე და იონა ვლა-
პარაკობთ, შენ კი გვისმენ. და მე-
ორე: პირველად ვხედავ ქალს,
რომელსაც საკუთარი სურვილით
ამორჩეული მომავალი ქმრის ხსენე-
ბაც კი აღიზიანებს.

— ლანას დვალი არ ამოურჩევია.
— სასწრაფოდ შეეშველა ლანას იონა
და თან, თავი დამნაშავესავით დახარა.

— ა, ბატონო, ესეც მე ვარ? —
ნიშნის მოგებით გადახედა თინიკომ
ლანას. — თანამედროვე მინდიაც იმას
ამბობს, რომ დვალს შენი ნებით არ
მიჰყვები...

— თინიკო, ძალიან გთხოვ... — ხმა
აუკანკალდა ლანას.

— კარგი, ბატონო, — როგორც
იქნა, დაყბულდა თინიკო, — ხმას აღარ
ამოვიღებ... უფრო სწორად დვალისა
და შენს საეჭვო ქორწინებაზე აღარ
ამოვიღებ ხმას, თორემ საერთოდ რა
გამაჩუმებს?.. — დაუმატა მან შემდეგ.

— დვალი და ლანა არასოდეს
დაქორწინდებიან... — თავი არ აუ-

ლია, ისე დაუსვა
საკუთარ აზრს ბე-
ჭედი იონამ.

— მართლა? —

სიხარულისგან კი-
ნალამ ტაში შემოჰ-
კრა თინიკომ და
თან, საბოლოოდ
საქციელწამხდარ
ლანას თვალს ეშ-
მაკურად ჩაუკრა და
მერე ისევ იონას მი-
უბრუნდა: — ეგ ამ-
ბავი სიზმარში ნახე?

— არა. — იუარა

იონამ ასეთ სიზმ-
რებს მხოლოდ ახალ
მთვარეზე ვხედავ.

— ახლა როგორი

მთვარეა, ძველი?

— არა, სავსე..

— აბა, საიდან მიხვდი, რომ ლანა
და დვალი აღარ... მეგობრის გატან-
ჯულ სახეს რომ შეხედა, კითხვა აღარ
დაასრულა თინიკომ.

— თვითონ დვალმა მითხრა...

— რაო? — ახლა კი ორ ხმაში
წამოიძახეს გაოგნებულმა თინიკომ და
ლანამ.

— იონა, მგონი, რაღაცას ურევ...
მარტომ განაგრძო შემდეგ სტუმრის
დაკითხვა ლანამ. — ნელან არ თქვი,
დვალი არსად შემხვედრიაო?

— მე ვთქვი, შემთხვევით არ შემხ-
ვედრია-მეთქი... — დაუკონკრეტა იონამ.

— აბა, საგანგებოდ მოინახულე?

— არა, იმან მნახა...

— რა უნდოდა?

— ამას მარტო შენ გეტყვი... — უპ-
ასუხა იონამ ლანას, თინიკოს კი დამ-
ნაშვესავით გადახედა.

— თინიკო ჩემი მეგობარია, ასე
რომ, შეგიძლია, მასთან ყველაფერი
თქვა! — შეაგულიანა ის ლანამ.

— სამაგიეროდ, დვალია შენი მტერი
და თუ გაიგო, რომ...

— კარგი, კარგი!.. — ხელი ბრაზი-
ანად აიქნია თინიკომ. — რად გინდათ
ამდენი ფილოსოფოსობა?.. პირდაპირ
მითხარით, ცოტა ხნით გარეთ გადით
და მეც გავალ.

— შენ იყავი, ჩვენ გავალთ ბები-
აჩემის ოთახში. — შესთავაზა მას
ლანამ.

— კარგი ერთი, ნუ ფასონობ! გავალ
გარეთ, ცოტა მთის ჰაერს მაინც ჩაყ-
ლაპავ. — ფეხზე მკვირცხლად წამოხტა
თინიკო და აივანზე ტანის მოხდენილი
რხევით გავიდა, თუმცა წამში დაფეთე-
ბული შემობრუნდა უკან.

— რა დაგემართა?

— ჰკითხა მას ლანამ. — მოჩვენება
ხომ არ დანახე?

— მგონი, არც უმაგისობაა... —
ძლივსდა ამოისუნთქა თინიკომ — თქვენ
ჭიშკართან მოხუცი ქალი დგას, გამოხ-
ოხებული ქეთო ბებია გეგონება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ანრი ჯოსაქაე რეჟისორული კაზისიუზი ღკიკაკუოფილკ



ანი 12 მაისს 12 წლის გახდა

— ანრი, შენი ნათლობის სახელი, გავიგე, ანდრია ყოფილა.

— დიახ. ანდრია პირველწოდებულის პატივსაცემად ანდრიად ვარ მონათლული, რაც ძალიან მსიამოვნებს. კლიპის პრეზენტაციაც ამიტომ დავამთხვიე დღევანდელ დღეს.

— რომელ სიმღერაზე აპირებ კლიპის წარმოდგენას?

— სიმღერა, რომელზეც კლიპი შეიქმნა, ერთი წლის წინ არის ჩანერილი, ის დუეტია და მას მე და ეთერ ჭელიძის შვილიშვილი, 12 წლის ანი სირაძე ვასრულებთ. ეს სიმღერა ალბომშიც შევიტანე, მერე კლიპის გადაღების იდეაც გაჩნდა.

— კლიპის რეჟისორ ვინ არის?

— მე თვითონ გადავიღე. სხვათა შორის, სიუჟეტი დიდი ხნის წინ მქონდა მოფიქრებული.

სულ მალე, სცენაზე წამყვანი — თამუნა გომართელი ავიდა და მისთვის ჩვეული ენაწყლიანობით წაუძღვა საღამოს. კლიპის ეკრანზე გაშვებამდე, ისიც შევიტყვეთ, რომ პატარა ანი სირაძეს იმ დღეს, 12 მაისს, „ოქროს დაბადების დღე“ ჰქონდა, რადგან 12 წლის გახდა... კლიპიც ვიხილეთ. ასე რომ, ანრიმ საკუთარი რეჟისორული ამბიციებიც დაიკმაყოფილა, რადგან ვიდუორგოლი გადაიღო, რომლის მთავარი მოქმედი პირი პატარა ანისთან ერთად თვითონვე არის. ისინი მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავების

ანრი ჯოსაქაემ ანდრია პირველწოდებულის სხენების დღეს კლუბ „ბერიკონში“ თავისი გულშემატკივრები და თაყვანისმცემლები შეკრიბა. იქ მისი ახალი კლიპის პრეზენტაცია იყო დანიშნული. „ბერიკონი“ მალე სტუმრებით გაივსო. მასპინძელი ყველას პატივისცემით ესალმებოდა. ღონისძიების დაწყებამდე მასთან გასაუბრება ვცადე.

პაროდებს გვთავაზობენ; მათი მეშვეობით კლიპში შევხვდით: მერილინ მონროს, ბარ-



სიმღერა, რომელზეც კლიპი შეიქმნა, ერთი წლის წინ არის ჩაწერილი

ბრა სტრეიზანდს, კრის ნორმანსა და სიუზი კვატროს, დიანა როსს, ჯორჯ მაიკლს, მაიკლ ჯექსონს, ელვის პრესლის, მადონას... ანრის გადაღებებზე ორი ოპერატორი ეხმარებოდა: ლევან ქარჩავა და პაატა კახაძე. კლიპი ოპტიმისტური სულისკვეთების სიმღერაზე შეიქმნა და მას სახელად „ხვალ“ ჰქვია. ანრი თავადაც ამბობს, რომ ეს მის რეჟერტურაში ყველაზე ოპტიმისტური ნამუშევარია... ვიდუორგოლის „დაჭმნიკების“ შემდეგ, სცენაზე თავად ანრი და ანი ავიდნენ და იმღერეს. მოგვიანებით, სცენა ეკა კვალ-იაშვილს, ანა ჯაკს, დათო ძიძიგურს, ნინი შერმადინს დაეთმოთ... დარბაზში იყვნენ და არ უმღერიათ: თიკა ფაცაცაძე, ეთერ კაკულიას, ანიკო მეფარიძეს...



მემობლები — სალომე და სისტერ სოული

ხანები ქალბატონი თბილისში კონსერტაუსს პარტაკს

თბილისში, ბოლო დროს, ელიტურ შეკრებებზე ერთი ზანგი ქალბატონი გამოჩნდა, რომელიც არა მარტო გარეგნობით, არამედ ენერჯიულობითაც იქცევს ყველას ყურადღებას. როგორც გაირკვა, ის ჯგუფის „სოულ თუ სოულ“ მომღერალია. სისტერ სოული თბილისში გერმანიიდან ჩამოვიდა. აქ კონცერტებს ატარებს და ეცნობა ქართველ ხალხს. ჰქონდა კონცერტი ბათუმშიც, სადაც კვლავ გეგმავს გამოსვლას. ცოტა ხნის წინ, სისტერ სოულმა „სითი ქლაბში“ შეკრიბა ქართველები და მსოფლიოში ცნობილი პოპულარული სიმღერები მოასმენინა. როგორც გაირკვა, იგი თბილისში ახალგაზრდა მომღერალ სალომე წვერაძის მეშობლად ცხოვრობს, ნაქირავე ბინაში. **სალომე წვერაძე:** „არაჩვეულებრივი ქალია, კარგად მღერის, ძალიან მოსწონს თბილისი. სხვათა შორის, აქ ბევრი მეგობარიც ჰყავს. ორი-სამი კვირაა, რაც ჩამოვიდა და ჯერ არ აპირებს წასვლას. „სითი ქლაბში“ გია გუმბერძის მოწვევით მოხვდა და მშვენიერი კონცერტიც გამოუვიდა“.

ქართული ღვინო, ქართული სუფრა და ქალაქური შამსრულაუზლები

რესტორან „მეიდანში“ ქართული ღვინის მხარდასაჭერად ქალაქური სიმღერის საღამო გაიმართა. იქ მისული სტუმრებისთვის ღვინო უფასო იყო. ქართულ ღვინოსა და სუფრას ქალაქური სიმღერებიც უხდებოდა და ამიტომ, იმ დღეს „მეიდანში“ ქალაქური სიმღერების შემსრულებლები: გიო ხუციშვილი, დათო გომართელი, ქეთი გაბისიანი, „ქართული ხმების“ ტრიო, თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტი, გიორგი ლოლობერიძე და ნუცა ქირია გამოდიოდნენ. საღამოსთვის პროგრამა „F ჯგუფმა“ შეადგინა, რომელიც მიემდგვნა რუსეთში ქართული ღვინის აკრძალვას. ეს საღამო ერთგვარად ქართული ღვინის მხარდასაჭერი აქცია იყო. დარბაზი სავსე იყო ხალხით: წამყვანებად მუშაობდნენ ანუკი კავლელიშვილი და დიჯეი დადუ. „მეიდანში“ ღვინო „წინანდალს“ რეკლამას პროექტ „კანდიდატის“ წევრებიც უკეთებდნენ.



ქართულ ღვინოსა და სუფრას ქალაქური სიმღერებიც უხდებოდა


თქვენა გზრილქვილქა და ნატო გელქვილქა ფოსტალიონის ჩანთეზი მოიხლინეს

საქართველოს ფოსტა 200 წლის გახდა. ამ დღის აღნიშვნა გრანდიოზულად და საინტერესოდ გადაწყდა. 17 მაისს საკურიერო მანქანებით, ვაგზლის მოედნიდან, წერილების დარიგება მოდელს — თამუნა გაბრიელაშვილს მიანდვეს; EMS-ს გზავნილების მიტანა დავით აღმაშენებლის №44-ში კომპოზიტორმა ნატო გელაშვილმა იკისრა; ჯგუფ „ფორტეს“ წევრს ზურა მანჯავიძეს მედეა ჩახავასთან საიუბილეო მისალაოცი ბარათების მიტანა ერგო წილად, რასაც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. სარეკლამო ლიფტების დარიგება უნივერსიტეტსა და „რუსთაველის“ მეტროში ყოფილმა „ჯეობარელებმა“ და „პირველი სტერეოს“ წამყვანებმა შეძლეს; ბოლოს კი, საქართველოს ფოსტის საიუბილეო დღე, კინოთეატრ „ამირანში“ უზარმაზარი პრეზენტაციითა და



მშვენიერი როლი მერტო

ა-ლა-ფურშეტიტ დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მობილურმა ტელეფონმა წერილების, დეპეშებისა და მისალაოცი



ფოსტალიონის გახვლი

ბარათების სისტემა თითქოს დაჩრდილა, გაირკვა, რომ საქართველოს ფოსტას მაინც ბევრი მომხმარებელი ჰყავს. წერილებს და დეპეშებს მაინც აგზავნიან ადრესატებთან.

რუბრიკის გაგრძელება
ნ. გვ. 72

ჩქკკკკ



ნელი ბიჩიკაშვილი: მამიერი ზაოქქელქა ზოგჯარ მსპარქის სიქვლით მთაქრქელქა

ში მამიერი ნივთიერქბას...

— რა მიზნი?

— ქალს მეგობრის ქმარი შეუყვარდა და მამიერი ზემოქმედების ნქალობით მიაღნი, რომ ლოგინში ჩაი-

წვინა.

— გასათხოვარი იყო?

— არა, ქმარშვილიანი, მამრამ ცდუნქბას ვერ გაუძლო და დაქალის მეუღლე საყვარლად გაიხადა.

— მისმა ქმარმა ვერ გაიგო ეს ამბავი?

— ქალმა ჯადო ქმარსაც გაუქვთა, რათა გამოეთაყვანებინა და ლოგიქური აზროვნების უნარი აღარ ჰქონოდა, მოკლედ, მეუღლედ და საყვარელიც მამიერი ზემოქმედების ქვეშ ჰყავდა.

— როგორ გამოაშქარავდა მისი მზაკვრული საქციელი?

— ამ ქალბატონის საყვარელმა სიზმარი ნახა, თუ ცოლის ერთგული არ იქნები, სიკვდილი გელისო, გააფრთხილა გარდაცვლილმა ბებია, რომელსაც თურმე სიგიჟედე ჰყვარებია უფროსი შვილიშვილი. თავდაპირველად, ყურადღება არ მიუქცევია სიზმრისთვის, მამრამ როცა მეორედაც უნახავს ბებია, საგონებელში

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტქველებს ნიჭი ბებიისგან გადაეცა მემკვიდრეობით. მას უამრავი ადამიანი ემადლიერქბა. ბიზნესმენები, თუ რაიმე პრობლქმა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან რჩევისთვის — ისე ხელს არ ჰკიდებენ ახალ საქმეს. ნათელმხილვის უნიქალური ნიჭის ნქალობითა და შელოცვებით, უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალადნელ უსიამოვნქბას. ქალბატონ ნელისთან ხალხი რაიონებიდანაც ჩამოღის.

— ამას წინათ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა მომაკითხა, ცოლმა მოიყვანა...

— საერთოდ, კაცები უფრო იშვიათად დადიან ნათელმხილველებთან. რა გაუჭირდა ასეთი?

— ცოლის დაქალმა ჯადო გაუქვთა, სისტემატურად უყრიდა თურმე საქმელ-

ჩავარდნილა. ცოლისთვის უთხოვია ნათელმხილველთან ნავიდეთ, როგორც ჩანს, საფრთხე მელისო.

— თქვენთან როგორ მოხვდნენ?

— ცოლისთვის ნათესავს ურჩევია ქალბატონ ნელისთან მიდით, ჩქმს თავზე მქქეს გამოცდილი მისი ძალა, აუცილებლად დაქმნარებათო. ვუმარჩიელე და ვუთხარი, საყვარელი ჯადოს შენც გიქვთებს და საკუთარ ქმარსაც. თუ თავს არ მიხედავ, შეიძლებქ, სიცოცხლქს გამოგასალოთ ორიგინი, რადგანაც ნლქის განმავლობაში სისტემატურად გიყრით საქმელში მამიერი ნივთიერქბას, დოზებს თანდათან ზრდის, რამაც შესაძლოა, სიკვდილი გამოიწვიოს-მეთქი. თავდაპირველად არ დამიჯერა, ვერ წარმოიდგინა, თუ ჯადო რაიმეს დაკლებდა. არ მჯერა, რომ არსებობსო — გამომიცხადა, მამრამ როცა მის საყვარელს ქმარი მოუქვდა ფრიად უცნაურ ვითარქბაში, კუთილი ინება და თავისი ფქბით მოვიდა, — მიშველეთო.

P.S. დარქვით და წინასწარ ჩაენქვით! მისამართი: წერეთლის №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), I სადარბაზო, I სართული, ბინა №24. საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72; 893.30.65.51; 899.20.37.64.

Ⓜ

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

...და ისევ ჰელე!

ეს იყო ჩემპიონატი, რომელშიც ბევრი რამ პირველად მოხდა. პირველად დართეს გუნდებს მატჩის მსვლელობისას შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელების უფლება. პირველად იყენებდნენ მსაჯები ყვითელ და წითელ ბარათებს (თუმცა, მთელი ტურნირის განმავლობაში, წითელი ბარათი არავის გამოუყენებია — ეს ერთადერთი მუნდიალი გახლდათ, რომელზეც არც ერთი მოთამაშე არ გაუძევებიათ მოედნიდან). პირველად მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი მალალმითან ბუნებრივ პირობებში. გუნდებს ორკილომეტრიან სიმაღლეზე უხდებოდათ ადგილობრივ კლიმატთან შეგუება. პირველად მუნდიალის ისტორიაში „ოქროს ქალღმერთმა“, როგორც გარდაამავალმა ჯილდომ, არსებობა შეწყვიტა — ბრაზილიამ მესამედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და ჟიულ რიმეს თასიც საბოლოოდ დაისაკუთრა. თუმცა, ყველაზე ძვირფას საფეხბურთო განძს, „ტყავის ბურთის ჯადოქართა“ სამშობლოში სამუდამოდ არ დაუღვია ბინა: 1983 წელს, იგი მოიპარეს და როგორც ვარაუდობენ, გადაადნეს.

მექსიკაში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თანამგზავრ — „ტელესტარ-3“-ის სამუშაოებით ტურნირს პლანეტის 73 ქვეყნის, 800 მილიონამდე ადამიანი ადევნებდა თვალებს. უფრო მეტიც, მუნდიალს გულგრილი არც ზოგიერთი საქვეყნოდ ცნობილი პირი დაუტოვებია. მაგალითად, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, ვილსონი მუდმივად ამხნევებდა თავის გუნდს ტელეგრაფებით, ხოლო რომის პაპმა, პავლე მეექვსემ შეჯიბრების მოხანილებს მისასალმებელი სიტყვა გაუგზავნა.

მექსიკის მოედნებზე უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა ბრაზილიის ნაკრებმა. უკვე პირველსავე მატჩში სამხრეთ-ამერიკელებმა ძლიერი ჩენოსლოვაკიის გუნდი 4:1 დაამარცხეს. ამ მატჩშიც და მთელ ტურნირშიც საუკეთესო პელები იყო. იგი არც ენ. შავ სამუშაოს ერიდებოდა და არც დაცვაში თამაშს, ჩინებულად ლიდერობდა თავის გუნდს, პარტნიორებს გამოზომილი პასებით ამარაგებდა და ამავე დროს, არაჩვეულებრივი გოლებიც გაჰქონდა. ულამაზესი გოლი მან ჩეხებსაც გაუტანა. ერთ-ერთ მომენტში კი, — მაშინ, როდესაც მეტოქე გუნდის გოლიკერი მეტისმეტად წინ იყო გამოსული, — მოედნის ცენტრიდანაც სცადა თავის გამოჩენა, მაგრამ ბურთი სულ რაღაც სანტიმეტრებით ასცდა კარს. „ერთადერთი, რაც ვერ შევქელი, მოედნის ცენტრიდან კარის აღება იყო“, — ამბობდა კარიერის დასრულების შემდეგ „ფეხბურთის მეფე“.

პელებს მსოფლიო ჩემპიონ ინგლისელებისთვისაც შეეძლო გოლის გატანა, როდესაც მან

ოთხი მეტრიდან დაარტყა ალბონელთა კარში, მაგრამ ბენქსმა სასწაული მოახდინა და ბურთი მოიგერია. „იმ მომენტში ბენქსს ვერ ვიტანდი“, — განაცხადა პელებმა მატჩის შემდეგ. თუმცა მოედანზე ის მართლაც რაინდულად მოიქცა: ინგლისელ გოლიკერთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. ამ პაექრობაში, პელებს პასით უაირზინიომ გაიტანა გოლი, რისი ნყალობითაც, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა ჯგუფში ყველა პრობლემა მოაგვარეს.

ჯგუფური ეტაპი წარმატებულად დაასრულა საბჭოთა გუნდმაც, მაგრამ მეოთხედფინალში ურუგვაელთა ბარიერი ვერ გადალახა.


ნახევარფინალში ორი სამხრეთ-ამერიკული და ორი ევროპული გუნდი გავიდა: ბრაზილია, ურუგვაი, იტალია და გერ. ბრაზილიელებმა ურუგვაიელები დაამარცხეს (3:1), ხოლო იტალიელებმა — გერმანელები (4:3).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნაკრებები, რომლებსაც ორორჯერ ჰქონდათ მოპოვებული „ოქროს ქალღმერთი“. გამარჯვების შემთხვევაში, ორივე გუნდს ჰქონდა მისი სამუდამოდ დასაკუთრების შანსი. ბრაზილიელები ნამდვილად შეუდარებელი იყვნენ. ანგარიში ოსტატური თავური დარტყმით პელებმა გახსნა. ერთადერთი, რისი გაკეთების საშუალებაც ზაგალოს გუნდმა მეტოქეს მისცა, — ანგარიშის გათანაბრება იყო. მეორე ტაიმში კი, „ტყავის ბურთის ჯადოქრებმა“ იტალიის გუნდი „ულვითოდ“ გააცამტყვრეს (4:1).

ბრაზილია ისევ ზეიმობდა. ჩემპიონებს რიო-დე-ჟანეიროში მილიონზე მეტმა ადამიანმა მოუწყო შეხვედრა. სამწუხაროდ, საერთო-საახალხო ზეიმს უსიამოვნო მოვლენაც ახლდა თან: ქვლეტის შედეგად 73 კაცი დაიღუპა, 2 ათასზე მეტმა ტრავმა მიიღო. კარნავალი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ჟიულ რიმეს თასი ბრაზილიელებმა სამუდამოდ დაიკავეთრეს! აბა, მაშინ ვინ წარმოიდგინდა, რომ სამხრეთ ამერიკაში „ოქროს ქალღმერთი“ ორ ათეულ წელსაც ვერ გაძლებდა და მას მეორედ მოიპარავდნენ, თანაც უკვე სამუდამოდ.

ფინალური ტურნირი 31 მაისიდან 21 ივნისამდე მიმდინარეობდა. გუნდები ოთხ ქვეჯგუფად იყვნენ

დაყოფილნი და წრიული სისტემით ასპარეზობდნენ. თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გადიოდა. ამ ეტაპიდან ტურნირი უკვე ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა.



ეს იყო ჩემპიონატი, რომელშიც ბერი რამ პირველად მოხდა

გამართა 32 მატჩი. სულ დაესწრო 1673975 მაყურებელი (საშუალოდ, 52312 კაცი თითოეულ მატჩს). გავიდა 95 გოლი (საშუალოდ, 2,97 თითო შეხვედრაში). საუკეთესო ბომბარდირად გერდ მიულერი დაასახელეს (გერ, 10 გოლი).

პირველად იყენებდნენ მსაჯები ყვითელ და წითელ ბარათებს. მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, პირველი ყვითელი ბარათი საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენელმა, ევგენი ლოვჩევიმა მიიღო. ისტორიაში პირველი მისი დამსჯელი არბიტრიც. ეს გახლდათ გერმანელი კურტ ჩეშნერი. აი, წითელი ბარათი კი, მთელი ტურნირის განმავლობაში არავის მიუღია. ეს გახლდათ ერთადერთი მუნდიალი, რომელიც მოედნიდან ფეხბურთელის გაძევების გარეშე დასრულდა.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თავკაცი მარიო ზაგალო იქცა მსოფლიოში პირველ ადამიანად, რომელმაც თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა არა მარტო როგორც ფეხბურთელმა, არამედ როგორც მწვრთნელმაც. შეგახსენებთ, რომ ზაგალომ ფეხბურთელის რანგში ბრაზილიის გუნდთან ერთად, 1958 წელს გაიმარჯვა.

პირველად მუნდიალის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონებმა ტურნირის ყველა მატჩში მიაღწიეს გამარჯვებას. პელები კი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა. ამ მხრივ ის ერთადერთი ფეხბურთელია პლანეტაზე.

მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბურთებით მომმარაგებლის რანგში, კომპანია Adidas-ის დებიუტი შედგა. ეს იყო ბურთი „ტელესტარი“ — ტყავის კლასიკური შავ-თეთრი მოდელი. მას შემდეგ მსოფლიო თასის ყოველი გათამაშება „ადიდასის“ ბურთებით ტარდება.



არიქსონი იაღლიანაღა

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სვენ გორან ერიქსონი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავა. ამის შესახებ მან BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „თუ ცოტა გაგვიმართლებს კიდევ, ფინალში გავალთ, — დასძინა ფეხბურთის შვედმა სპეციალისტმა, — ყოველ თამაშში გამარჯვებისათვის ვიბრძობებით. გასულ ჩემპიონატთან შედარებით, გაცილებით ძლიერი გუნდი გვყავს. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე არც ერთი გუნდი არ სარგებლობს ისეთი მხარდაჭერით, როგორც ჩვენ. ვფიქრობ, ამ მუნდიალზე წარმატებას მივაღწევთ“.

ეკვადორელს ნუ ეხუმრებით

ეკვადორის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლუის ფერნანდო სუარესმა პარასკევს პრესკონფერენცია გამართა. Reuters-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სუარესი ოპტიმისტურადაა განწყობილი. „ზღვის დონიდან ჩვენი ქვეყნის მაღალ მდებარეობას გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. ეს მართლაც ასე რომ ყოფილიყო, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ყოველთვის გადავლახავდით, — განაცხადა სუარესმა, — ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ეკვადორის ნაკრებს თამაში შეუძლია და ამ ტურნირში რაც შეიძლება შორს წავალთ“.

რუნის მდგომარეობა დაგააყოფილავთ

Reuters-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტრავმირებული უეინ რუნის სამკურნალო-აღდგენითი პროცესი დამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს. „ვესაუბრე ექიმებს მანჩესტერში. დასკვნა, რომელიც მათ წარმომიდგინეს, საკმაოდ იმედის მომცემი გახლავთ. მინდა ვთქვა, რომ მათ კარგად იმუშავეს რუნისთან“, — დასძინა ალბიონელთა ნაკრების ექიმი, ლეიფ სუორდი.



მასალო, თვით დიაგნოზ ითავაზოს...



ინტერნეტში გაიხსნა საიტი, რომლის საშუალებითაც, ქომაგები დიეგო მარადონას უცხადებენ მხარდაჭერას. საიტის თითოეული სტუმარი ხმას აძლევს იმას, რომ დონ დიეგომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის რომელიმე მატჩში კვლავ მოირგოს არგენტინის ნაკრების მისური. ინტერნეტის მომხმარებლებს სურთ, რომ 1986 წლის მუნდიალის გმირმა გერმანიაში თუნდაც 5 წუთი ითამაშოს. მარადონას 27,5 ათასმა კაცმა მხარი უკვე დაუჭირა.

ბალანს ახალგაზრდობისა არ სჯარა

მიხეღ ბალაკმა Sport Bild-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ გერმანიის ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობის ახალგაზრდული ასაკი და საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის პრაქტიკის უქონლობა, შეიძლება, გუნდისთვის პრობლემად იქცეს. „გერმანიაში კარგად უნდა გააცნობიერონ ის, რომ ახალგაზრდობამ შეიძლება, მოულოდნელად წარმატებასაც მიაღწიოს და ამავე დროს, მარცხიც განგაცდევინოს. რაც არ უნდა იყოს, ჩვენი პროგრამამინიმუმში, მეოთხედიფინალში ან თუნდაც, ნახევარფინალში გასვლა“, — დასძინა ბალაკი.

თუ ვერ მოიგებ, გადადგები

ფრანც ბეკენბაუერის თქმით, იურგენ კლინსმანი ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს, თუ გუნდი ადრეულ სტადიაზევე გამოეთიშება მსოფლიო ჩემპიონატს. „თუ გერმანიის ნაკრები მალევე გაეარდება ტურნირიდან და მისი გამოსვლა იმედს გაგვიცრუებს, კლინსმანი იძულებული გახდება, რომ პოსტი დატოვოს“, — ამბობს ბეკენბაუერი ARD Radio-სთვის მიცემულ ინტერვიუში.



იანი ფეხბურთს ვერ თმობს

ოლივერ კანის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუნდიალზე ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარის რანგში არ იქნება, დიდი ფეხბურთიდან წასვლას მინც არ აპირებს. „ხალხის დიდი ნაწილი მოუთმენლად ელის ჩემი კარიერის დასასრულს, რადგან უკვე 37 წლის ვარ, — დასძინა კანმა Sport Bild-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, — მაგრამ რატომ უნდა შევჩერდე, როდესაც ამ წუთში კარგ ფორმაში ვარ?! ორგანიზმი არ მილაღატებს. კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს. ამიტომ, ბუტების კედელზე ჩამოკიდებაზე არც კი ვფიქრობ“.

ბაქჯიმი ქათამს შეაღარას

პარავაჯის ნაკრების მოთამაშემ, დალიო ტოლედომ ინგლისის ნაკრების კაპიტანს, დევიდ ბექჰემს ქათამი უწოდა. „ის ქათამია. როდესაც ბექჰემს მოედანზე, პოზიციისთვის ებრძვი, იგი აქეთ-იქით ხტუნაობას იწყებს. ინგლისელები ბექჰემის თამაშზე ძალიან იქნებიან დამოკიდებული, ამიტომ მასთან ხისტად პაექრობას ვაპირებ“, — აცხადებს ტოლედო, რომლის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველსავე მატჩში მივიღებ მონაწილეობას“.



ოუანი ეკვ მზადაა

ინგლისის ნაკრების ფორვარდი, მაიკლ ოუენი აცხადებს, რომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის 100%-ით მზადაა. „ფეხი მომირჩა, — ამბობს ოუენი MSN World Cup Diary-სთვის მიცემულ ინტერვიუში, — ჯერ კიდევ მაქვს დრო, უკეთესად მოვემზადები და ვიმედოვნებ, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველსავე მატჩში მივიღებ მონაწილეობას“.

BMW-ს ხეცხოვნეცეპტი და ახალი კაბრიოლეტი

ცოტა ხნის წინ, გერმანულმა ავტოგიგანტმა იტალიაში წარმოადგინა კონცეპტუალური რეტროკუპე — BMW Concept Coupe Mille Miglia. ეს უჩვეულო ავტომობილი, XX საუკუნის 30-იანი წლების სარბოლო მანქანის — BMW 328 Touring Coupe — სტილშია შესრულებული, რომელსაც არაერთხელ გაუმარჯვია 1936-დან 1940 წლამდე პერიოდში მოწყობილ ე.წ. Mille Miglia-ს რბოლებში.

თანამედროვე კონცეპტი BMW Z4-ის ბაზაზეა შექმნილი, მაგრამ ამავე დროს, ძარას ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა. მას 20-დუიმიანი, სპორტული ბორბლები აქვს, აღჭურვილია 3,2 ლ (343 ცხ.დ. სიმძლავრის) მოცულობის სტანდარტული 6-ცილინდრიანი ძრავით, რომელსაც BMW M3-სა და Z4-ს დაესესხა.

კომპანია ამ რეტრომობილის წარმოებას არ აპირებს.

აი, მეორე სიახლე კი, რომელსაც ცოტა




ხანში ბავარიული კონცერნი ავტომოცვარულებს შესთავაზებს, სწორედ სერიული წარმოებისთვისაა გათვალისწინებული: ფირმა თავისი სპორტული კუპეს — M6-ის თავლია ვერსიას ამზადებს. მას საზოგადოების სამსჯავროზე წლევანდელ

შემოდგომაზე გამოიტანენ.

ისევე, როგორც კუპე M6, ახალი კაბრიოლეტი აღჭურვილია 5-ცილინდრიანი V10 აგრეგატით, რომელიც 500 ცხ.დ. სიმძლავრეს განავითარებს. მას თან ერთვის 7-საფეხურიანი ე.წ. სეკვენცური გადაცემათა კოლოფი, რომელსაც M6-ისა და სედანი M5-ის მფლობელები იცნობენ. შესაძლებელია აგრეთვე განხორციელდეს 6-საფეხურიანი მექანიკური ტრანსმისიის მქონე მოდიფიკაციის წარმოება, რომლის პირველი „მფლობელი“ შემოდგომაზე, M5 გახდება.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ქსოვილისგან დამზადებული სახურავის მქონე კაბრიოლეტი, კუპეზე (მას „თავი“ პლასტიკისგან აქვს დამზადებული) მძიმე იქნება. რაც შეეხება რეალიზაციის დაწყებას — კომპანიის მესვეურთა თქმით, კაბრიოლეტი M6 სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე 2007 წლის დასაწყისში გამოჩნდება.



Cadillac კომპაქტუხ კუპეზე მუშაობს



ამერიკულ კომპანია General Motors-ში მიმდინარეობს მუშაობა ახალ კომპაქტურ კუპეზე, რომელიც „კადილაკის“

მარკით გამოვა. ის სედანის — Cadillac CTS — მომავალი თაობის (რომლის წარმოებაც 2007 წლისთვისაა დაგეგ-

მილი) ბაზაზე აიგო. ისევე, როგორც სედანი, ახალი კუპე აღჭურვილი იქნება 6-ცილინდრიანი ძრავით და შესაბამისად, სამ მოდელს — BMW 3-Series Coupe, Mercedes CLK და Infiniti G35 Coupe — გაუწევს კონკურენციას. „კადილაკის“ კონკურენტად მოგვევლინება აგრეთვე ახალი Audi A5, რომელიც სედანის — A4 ბაზაზე აიგება. ექსპერტთა ვარაუდით, ახალი სამოდელი რიგის მწვერვალად ის ვერსია იქცევა, რომელსაც 400 ცხ.დ-ის მქონე V8 ტიპის ძრავა ექნება.

მაგრამ მიუხედავად ნათქვამისა, შესაძლოა, აღნიშნული პროექტის განხორციელება შეაჩერონ კიდევ: „ჯენერალ მოტორსი“ ამჟამად დიდ ფინანსიურ სიძნელეებს განიცდის, ამიტომ ცდილობს, მაქსიმალურად შეამციროს ხარჯები, მათ შორის ის, რომლებიც ახალი მოდელის შემუშავებასთანაა დაკავშირებული.

იმ შემთხვევაში, თუ კომპაქტურ კუპეზე მუშაობა გაგრძელდება, ეს მანქანა 2008 წელს გამოჩნდება მსოფლიო ბაზარზე.

kviris astrologiuri prognozi

(18 – 24 maii)

ჰერძი 21.03-20.04

ამ კვირის გეგმებს, მეგობრებთან და არაორდინარულ ადამიანებთან შეხვედრა ჩაგვილით. კარგი დროა ელექტრონულ-საწყობის შესაძენად, საქმიანი სფეროს მოდერნიზაციისთვის, კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობისთვის. ფინანსურ საკითხებში შესაძლებელია, თქვენთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება. ამ დღეებში, არაჩვეულებრივ ეფექტს იძლევა გონებრივი სამუშაო. კარგია, თუ კვირის ბოლო დროს მოგზაურობას დაუთმობთ.

კურო 21.04-20.05

მთელი კვირის განმავლობაში, თქვენ გეძლევათ საშუალება, დაგეგმოთ პროფესიონალური, საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული საკითხები, რასაც აუქონებლად წარმატება მოჰყვება. შეძლებთ ფინანსური და სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ, მაგრამ ამ ყველაფრის მიღწევა, თქვენგან დიდ ენერჯიას მოითხოვს. წარმატებული პერიოდი ბიზნესისთვის, გრძელვადიანი კონტრაქტების დასადავებად. თქვენ თანამშრომლებში ავტორიტეტის ამოღება და ხელმძღვანელობის კეთილგანწყობა გელით.

ტყუნი 21.05-21.06

ამ პერიოდში, უფრო ძლიერად უნდა გამოავლინოთ თქვენი სასიამოისის თვისებები, როგორცაა მოთმინება, თავდაჭერილობა, მიზანდასახულობა, შეუპოვრობა და სიმტკიცე. ამ დღეებში შემდგარი ნაცნობობა ღრმა და ხანგრძლივი იქნება. პროფესიის შეცვლა, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოგიტანთ. შაბათ-კვირას, მოგეცემათ დასვენების შანსი.

კიბო 22.06-22.07

თქვენ მხიარულება და უჩვეულო წინსვლა გელით. ამ პერიოდში, მნიშვნელო-

ვანია, ყურადღება დაუთმოთ საკუთარ ტანსაცმელს, ყოფა-ცხოვრებას და რაც მთავარია — ჯანმრთელობას, კვებას, გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს. სიმსუბუქე, კონსტრუქტივიზმი და ფასეული იდეები მეტად ეფექტური იქნება საქირო ურთიერთობის დასამყარებლად.

ლორი 23.07-23.08

კარგია, თუ ამ კვირას რაიმე საქმეს წამოიწყებთ, ხოლო ის საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ამ პერიოდში დამყარდება, მომავლისთვის ძალიან ფასეული იქნება. კვირის ბოლოს, სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

ალწული 24.08-23.09

ამ კვირას, შესაძლებელია მოულოდნელად თავი იჩინოს სექსუალურმა და ფინანსურმა პრობლემებმა. გირჩევთ, ძალუფლებასთან და სიყვარულთან დაკავშირებული საკითხები დაუყოვნებლივ გადაჭრათ. ამ პერიოდში, შეეცადეთ თავი აარიდოთ ყოველგვარ ეჭვიანობას, ოჯახურ სცენებს და თანამშრომლებთან კონფლიქტებს. მთელი კვირის განმავლობაში, ეცადეთ, მშვიდი და განონასწორებული იყოთ.

სასწორი 24.09-23.10

ეს კვირა ოჯახური და პირადი საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. მოერიდეთ იმპულსური ნაბიჯების გადადგმას. შემოქმედებითი თვალსაზრისით, დატვირთული პერიოდი გექნებათ და ეცადეთ, იგი რაციონალურად გამოიყენოთ.

შორილი 24.10-22.11

თავს იჩენს საბრძოლო განწყობილება, ენერჯული მისწრაფება იმისკენ, რომ განახორციელოთ დასახული მიზანი. ამავე დროს, მოქმედება სრულიად სპონტანური იქნება, თქვენ დასძლევთ ყველა

დაბრკოლებას. იმოქმედეთ საკუთარი შეხედულებების მიხედვით და ნუ მოექცევით გარშემო მყოფთა ზემოქმედების ქვეშ.

მზილღოსანი 23.11-21.12

ამ დღეებში, თქვენი ენერჯია დუღილს იწყებს და კომერციულ ინსტიქტებს გამოიშუავეს. კარგია, თუ ახალ საქმეს წამოიწყებთ და სპორტით დაკავდებით. ასევე, კარგი პერიოდია მოლაპარაკებებისთვის, მომავალი სამსახურებრივი სტრატეგიის განსახილველად, საქმიანი ვიზიტებისა და კონტრაქტების დასადავებად.

თხის რაბ 22.12-20.01

ეს პერიოდი, თქვენგან უზარმაზარ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს, განსაკუთრებით თუ თქვენ ჩართული ხართ ბიზნესში ან პოლიტიკაში. შაბათ-კვირა ფიზიკურ ვარჯიშს და დასვენებას დაუთმეთ.

მარწყული 21.01-19.02

თქვენ მოულოდნელი წარმატება გელით იმ საქმეში, საიდანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდით. ეს კვირა სასიკეთოა ნებისმიერი საქმიანობისთვის, მოლაპარაკებებისთვის, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის მოგვარებისთვის. თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ, მიიღოთ ფინანსური დახმარება ახალი პროექტის რეალიზაციისთვის.

თაფჯი 20.02-20.03

ამ კვირას, საკუთარ გრძნობებს მოუყარეთ თავი და ის შემოქმედებით მოღვაწეობაში ჩააქსოვეთ. კარგი პერიოდია ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გრძელვადიანი კონტრაქტების დასადავებად, პარტნიორებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. შეეცადეთ, მთელი კვირის განმავლობაში, საკუთარი ენერჯია ბოლომდე დახარჯოთ.

ქანთუქი ენაში რამკვირიზებული გამოთქმები

კლასიკოსი

გამოჩენილ მეცნიერს, მწერალს, კომპოზიტორს ან მხატვარს, რომელმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, კლასიკოსს უწოდებენ.

ამ სიტყვის ისტორია კი, ასეთია: ძველ რომში, საზოგადოება ქონების მიხედვით, ხუთ კლასად იყო დაყოფილი.

იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს

მიეკუთვნებოდა ადამიანი, ისაზღვრებოდა მისი ადგილი საზოგადოებაში. ის მოქალაქეები, რომლებიც პირველ კლასში შედიოდნენ, განსაკუთრებულ პრივილეგიებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ — ფაქტობრივად, ისინი წყვეტდნენ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ საქმეებს. ამ უმაღლეს კლასში შემავალთათვის, დამკვიდრდა განსაკუთრებული სახელი — „კლასიკოსი“.

შემდგომში, როდესაც ბერძენი

ფილოსოფოსები ჰომეროსისა და სხვა ძველ მწერალთა ტექსტებს სწავლობდნენ, მათ მწერალთა სიები იმავე სახით შეადგინეს, როგორც რომში ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს: ყველაზე გამოჩენილი და სახელოვანი მწერლები პირველ კლასში — „კლასიკოსებში“ — იქნენ შეყვანილნი.

ასე დამკვიდრდა ეს სიტყვა ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდეგ სხვა ენებში.

ვის ხელშია ოჯახის პართვის საღაპეპი?



ფაქტია, რომ ისეთ ოჯახებშიც კი, სადაც ცოლ-ქმარს შორის სრული თანხმობა და სიმშვიდე სუფევს, ერთ-ერთ მათგანს წამყვანი ფუნქცია აკისრია ანუ გადაწყვეტილებებს იღებს, მეორე კი, ძალაუფლებურად ემორჩილება მას. ამგვარი დამოკიდებულების განმსაზღვრელი შესაძლოა, უამრავი რამ იყოს, მაგრამ უმთავრესი მაინც ენერგეტიკული პოტენციალია. პარაფსიქოლოგების აზრით, ოჯახში ლიდერობს ის, ვისაც უფრო ძლიერი ენერგეტიკა აქვს.

იმის განსაზღვრაში, თუ სქესისდა მიუხედავად, ვინ ფლობს ოჯახში მართვის საღაპეებს, თქვენ ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ.

1. თქვენს საკუთარ ნივთებს ყოველთვის თავთავის ადგილს მიუჩინებ ხოლმე?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

2. ჭურჭლის რეცხვა და ნაგვის გატანა თქვენი მოვალეობა ხომ არ არის?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

3. შინ, იშვიათად გაცვიათ ხალათი?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

4. თქვენ ყოველთვის თავად წყვეტთ, რა უნდა მოამზადოთ ვახშმად?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

5. ხომ არ გალიზიანებთ, როცა თქვენს დაუკითხავად მაცივარში ვინმე ცხვირს ყოფს?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

6. თქვენ ერთპიროვნულად განაგებთ ოჯახის ბიუჯეტს?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

7. გამუდმებით ერთსა და იმავე ადგილზე ზიხართ და ისე ადევნებთ თვალყურს ტელევიზორს — ანუ გაქვთ თუ არა თქვენი მუდმივი ადგილი ტელევიზორის წინ?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

8. თქვენთვის ზედმინეწით კარგადაა ცნობილი, თუ ოჯახში სად რა ნივთი ინახება?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

9. ტელეფონით ყოველთვის იმდენ ხანს ლაპარაკობთ, რამდენ ხანსაც გასურთ?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

10. ძალიან მიჯაჭვული ხომ არ ხართ საკუთარ სახლზე?

- ა) დიას — 2;
- ბ) არა — 0.

ქულების დაჯამებისას, მათ მიერ დაგროვილ ქულათა რაოდენობას მამაკაცებმა კიდევ 4 ქულა უნდა დაუმატონ.

ტესტის შედეგები

0-5 ქულა: როგორც ჩანს, თქვენ იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნებით, ვინც საკუთარ სახლშიც „სტუმრის სტატუსით“ სარგებლობს ანუ მიდის, ჭამს, სვამს, ისვენებს და საზრუნავიც არაფერი აქვს. თქვენთვის ამგვარი ქცევა ძალზე ხელსაყრელია და ეს, რა თქმა უნდა, იოლიც არის, მაგრამ გაითვალისწინეთ, დროთა განმავლობაში, ამან შესაძლოა, იმგვარი ნაყოფი გამოიღოს, რომ ოჯახში ანგარიში ალარავინ გაგინიოთ.

6-9 ქულა: ვერავინ იტყვის, რომ ოჯახის მართვის საღაპეები სწორედ თქვენ გიპყრიათ ხელთ. მართალია, ოჯახის წევრებს უყვარხართ და სათ-

უთადაც გეპყრობიან, მაგრამ თქვენს აზრს ნაკლებად უწევს ანგარიშს. ოჯახურ ინტერესებს უფრო გულისხმიერად მოეკიდეთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამის შემდგომ, თქვენს აზრსაც ანგარიშს გაუწევს.

10 და უფრო მეტი ქულა: სრული უფლება გაქვთ განაცხადოთ, რომ ოჯახის თავი სწორედ თქვენ ბრძანდებით. მართალია, ოჯახური მეურნეობის გაძღოლის მთელი პასუხისმგებლობა შესაძლოა თქვენ არ გეკისრებოდეთ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვის უფლებით ოჯახში სწორედ თქვენ სარგებლობთ.

როგორ ამოვიყვანოთ ლაქა ტანსაცმლიდან?

● ცხიმოვანი ლაქების ამოსაყვანად, ბენზინში შერეული მაგნიზიის ფხვნილი უნივერსალური საშუალებაა. ეს ფაფისებური მასა, დალაქავებულ ადგილს ზემოდან უნდა წაუსვათ, ქვემოდან კი, სითხეშემსრუტავი ქაღალდი ამოუდოთ. ასე დატოვოთ რამდენიმე საათის განმავლობაში, შემდეგ გაფრთხილეთ. გამშრალი მაგნიზია სამოსს ადვილად სცილდება და მას ლაქაც თან გაჰყვება.

● ზეთოვანი საღებავების ცხიმოვანი ლაქები, შალის ქსოვილებზე სუფ-

თა ბელეკონით ან სპირტით იწმინდება, ტილოს ტანსაცმელზე კი, ბენზინით და სოდანარევი საპნიანი წყლით.

● თაფლის სანთლის ან პარაფინის წვეთებით დალაქავებული ტანსაცმელი, შემდეგნაირად უნდა განმინდოთ: დალაქავებული ადგილები მოათავსეთ სანერი ქაღალდის ფურცლებს შორის და ზემოდან, რამდენჯერმე გადაუსვით ცხელი უთო. ასეთივე ლაქები, ხავერდის ტანსაცმლიდან, 96-პროცენტთან სპირტში დასველებული ღრუბლით ამოიწმინდება.

● ნატურალური ნითელი ღვინის ლაქებს, კარგად ამორებს ღვინის მარილმჟავა, რომელიც შემდეგ, თბილ წყალში დასველებული ბამბით უნდა ამოიწმინდოს. ჟანგის ლაქები, თეთრეულს ან თეთრი ფერის კოსტიუმს, ადვილად სცილდება გაცხელებული ლიმონის წვეთით.

● თაფლით დალაქავებული ტანსაცმელი, ჯერ უნდა ამორეცხოთ საპნით და თბილი წყლით, შემდეგ კი, ბენზინით ან ნიშადურის სპირტით.

ჯგუფი „რონდო“, „გოლერო“ ინგლისურად და პირბუთი ბიტარისტი



დასაწყისი იხ. გვ. 64

სექტემბრის შემდეგ, ჯგუფ „რონდოს“ ფაქტობრივად, კონცერტი არ გაუმართავს, ამიტომაც მაისის შუა რიცხვებში კლუბ „ბერიკონში“ გადაწყვიტა მათთვის შეხვედრა. რამდენიმე თვის მანძილზე — სექტემბრიდან მაისამდე — გოგონებს ახალი სიმღერები დაუგროვდათ. ისინი ახალი ალბომის გამოცემასაც აპირებენ, ამიტომ ეს კონცერტი ერთგვარი პრეზენტაცია იყო იმ ნამუშევრების, რის შეტანასაც ისინი ალბომში აპირებენ. **ელენი ითარაშვილი:** „დარბაზიდან დიდი სითბო, მუსტი მოდიოდა, რაც უფრო მეტ სტიმულს გვაძლევდა. ჩვენი ინტერპრეტაციით დღეს პირველად გავაყლ-

ერთ „ბოლერო“. დიდი ხანია მასზე ვმუშაობთ. „ბოლერო“ მსოფლიო შედეგია და ზოგადსაკაცობრიო თემას ეძღვნება. ინგლისურ ენაზე შექმნილი ტექსტის ავტორია რუსიკო კვირიკაშვილი. ვფიქრობ, კარგი გამოვიდა. მასზე კლიპის გადაღებაც გვინდა. კლიპისთვის სცენარი მოსკოველმა რეჟისორმა პაველ ბუტინიმ შემოგვთავაზა და მას გადაიღებს ირაკლი კირვალიშვილი.“

„რონდოს“ საღამოზე იმდერა პატარა სანდრო კახიძემ, ის „რონდოს“ ხელმძღვანელის, ლიზი ოთარაშვილის მოსწავლეა. მან შეასრულა ცნობილი რუმინელი კო-

მპოზიტორის ფუგაროს სიმღერა ქართულად. ეს სიმღერა ქალბატონ ლიზის ერთ-ერთ საერთაშორისო ფესტივალზე აჩუქეს. ნამუშევარი სოციალურად დაუცველ და უსახლკაროდ დარჩენილ ბავშვებს ეძღვნება. პატარა სანდრო ახლა საერთაშორისო ფესტივალზე გამგზავრებას აპირებს. „რონდოს“ კონცერტზე ვირტუოზი გიტარისტი ხვიჩა მალაქელიც გამოჩნდა, მან იმპროვიზაციებით განაცვიფრა მსმენელი. ეს გია ბალაშვილის მიერ „ქუჩის მუსიკოსად“ მონათლული ხვიჩა მალაქელიცა, ცოტა ხნის წინ „იუმორინაში“ რომ ვიხილეთ. ასე რომ, რონდოს კონცერტით პუბლიკა კმაყოფილი ჩანდა. ■

Krea TV-ის საიხნე ბიზ კეუნეტაქე კლოჩენა

„ფემენ ბარში“ ზაზა სვანაძის ინიციატივით უამრავი ადამიანი შეიკრიბა, სადაც დაარსდა საპროდიუსერო კომპანია Krea TV. ამ კომპანიის მიზანია, მომღერლებს გადაუღოს კლიპები და ისინი მუსიკალურ არხებზე გაუშვას. მასში გაერთიანებულია რამდენიმე რეჟისორი, რომლებიც თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. მათ აღნიშნეს, რომ პირველ კლიპს მომღერალ გიგა კვეციტაძეს გადაუღებენ. მერე მას რომელიმე მუსიკალურ არხზე გაუშვებენ, ამასთანავე, მთლიანად დაკავდებიან კლიპის პიარით, რათა მათი შექმნილი პროდუქცია ყველამ ნახოს და შეაფასოს. ■

რუბრიკა მოამზადა ლალი ფაშიაძე

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩანეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოერდეს. სწორად ამოსხნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

ფინანსების სუდოკუს პასუხები

7	2	4	5	6	1	9	3	8
5	6	3	2	9	8	4	7	1
8	1	9	4	3	7	5	2	6
1	9	5	6	4	3	2	8	7
6	8	2	7	1	9	3	5	4
4	3	7	8	2	5	1	6	9
3	4	6	9	8	2	7	1	5
2	5	8	1	7	4	6	9	3
9	7	1	3	5	6	8	4	2

9	8	3	5	4	7	2	1	6
5	4	6	2	9	1	7	3	8
1	2	7	8	3	6	4	5	9
2	9	1	3	6	4	8	7	5
3	7	4	9	8	5	6	2	1
8	6	5	7	1	2	3	9	4
6	5	2	4	7	9	1	8	3
4	3	9	1	2	8	5	6	7
7	1	8	6	5	3	9	4	2


* მარტივი

2		7	8	4	9			
4	6	3					8	9
			3	2	6	4	5	7
1	8	9		6	4			
	2	5	9		7	6	4	
			2	3		5	9	1
7	1	2	4	9	3			
5	4					9	7	3
			6	7	5	1		4


* * საშუალო

	8	6	4				5	2
		7	5	2	1		9	6
	2	1	8				3	4
1			3	6	2			9
2	5	3				6	7	8
4			7	5	8			1
7	3				9	4	1	
8	1		2	3	5	9		
6	9				7	2	8	

ფოტოკუჩიოზები



6130/18



I.L. Premier by Dead Sea Premier



ՅՈՒՅՆԱՆՔ ԵՎ ՆԱԿԻՏՈՒՄԻ ՓՆՅՆԻ ՆԵՐՍԻ ՆՈՒՆԱՆԻ ՆԱԶՆԵՐԻ I.L. Premier-ՈՍՆԱՅՆ

ԿՐՅՈՒՄՆԻ ԵՎ ՆԱԶՆԵՐԻ ՆԱԶՆԵՐԻ



ՎՃ: (+995 32) 45 33 88
ՑՄԾ: (+995 99) 54 66 66
Թ.Յ.Ն. Ո.Ց. ՆԻՅՈՒՄՆԻ